ჟ. რაჭველიშვილი

საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია

სახელგამი
1927

29.912

ქრისტეფორე რაჭველიშვილი

საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია

სახელგამი
1926

წინასიტყვაობა.

იყო დრო, როდესაც ქართველი მკვლევარები ჩვენში ფეოდალური წყობილების არსებობას სადაოდ სთვლიდენ. დღეს ეს საკითხი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია და ჩვენში ფეოდალიზმის (პატრონ-ყმობის) არსებობა როგორც პოლიტიკურს, ისე სოციალურ სფეროში—ყოველს ეჭვს გარეშეა. „პატრონყმობა ერთსა და იმავე დროს სოციალური ცხოვრების დამახასიათებელიც იყო, სახელმწიფო წესწყობილების მოვლენისაც“—სამართლიანად ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი. მთელი თავისი დამოუკიდებელი არსებობის დროს (რუსეთთან შეერთებამდე) საქართველომ ვერ მოახერხა ფეოდალური წყობილების გარსიდან გამოსვლა და მისი სახელმწიფოებრიობაც ფეოდალიზმის მსხვერპლი გახდა. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ფეოდალიზმის ისტორია საქართველოში—ეს იგივე საქართველოს ისტორიაა განსაკუთრებული განხრითა და განსაკუთრებული მიდგომით გაშუქებული.

ქართულს საისტორიო მწერლობაში ფეოდალიზმის ცალკე საკითხების შესახებ საკმაო მასალები და გამოკვლევები მოიპოება. მაგრამ ეს გამოკვლევანი უმრავლეს შემთხვევაში სპეციალურ საკითხებს, ან განსაზღვრულ ეპოქას ეხებიან. ასეთია, მაგალითად, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მშვენიერი წიგნი—**„ქართული სამართლის ისტორია“**, სადაც პატრონყმობას ცალკე მოზრდილი თავი აქვს მიძღვნილი. იქ ფეოდალურ წყობილებაზე ფრიად ძვირფასი მასალაა მოყვანილი, მაგრამ, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს—„იწყება საქართველოს გაერთიანების პირველ ხანითგან მოყოლებული და განსაკუთრებით უკვე გაერთიანებულ სრულიად საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებას ეხება“.

ყურადსაღებია აგრეთვე პროფ. ხახანაშვილის წიგნაკი: **„ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“** პირველად 1890

წელს გამოცემული. ავტორი აქ ცდილობს არა მარტო მოვლენის აღწერას, არამედ მისი წარმოშობვის სურათის მოცემასაც. მაგრამ ამ საკითხს იგი უფრო გაკვრითა და სხვათა შორის ეხება.

არსებულ ცნობათა სისტემაში მოყვანის ცდა არის სიმ. ავალიანის წიგნში: „Крестьянский Вопрос в Закавказьи" (ტ. I — შესავალი). აღსანიშნავია აგრეთვე მისივე ბროშურა ფეოდალიზმის შესახებ და ს. კაკაბაძის მრავალი გამოკვლევანი ფეოდალური ურთიერთობის ცალკე საკითხების თაობაზე.

ზემოხსენებულ ნაშრომთა შესახებ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ეხებიან ბატონთა და ყმათა ურთიერთობას — ე. ი. მარტოოდენ სოციალურ მხარეს. ისინი მიზნად არ ისახავენ დაგვიხატონ ფეოდალიზმის წარმოშობვის, განვითარებისა და აღსასრულის პროცესი. ჩვენ კი ვიცით, რომ ფეოდალიზმი ჩვენში (როგორც სხვაგან) სახელმწიფოებრივ ცხოვრების დამახასიათებელიც იყო. ამ მხრით, ფეოდალიზმის პოლიტიკური მხარის მთლიანი ისტორია ჩვენს ლიტერატურაში არ არსებობს. არც საამისო მასალებია სავსებით სისტემაში მოყვანილი. მაგრამ იმ მასალებითაც, რაც დღემდეა გამოქვეყნებული, შესაძლებელია ქართულ ფეოდალიზმზე წარმოდგენის შემუშავება.

ამ ნაშრომში მე ვცდილობ უმთავრესი ყურადღება ფეოდალური წყობილების წარმოშობვასა, განვითარებასა და დაცემას მივაქციო. ფეოდალიზმის ნათელი სურათის მოცემა, უფრო სწორად რომ ითქვას, მისი ისტორია — ფრიად ძნელი საგანია. მე აქ არ შევუდგები იმ მასალების ჩამოთვლას, რითაც ამ ნაშრომისათვის ვისარგებლე. ვიტყვი მხოლოდ, რომ შევეცადე გამოქვეყნებული ყველა მასალა გადამეთვალიერებინა და ყურადღებით ანგარიში გამეწია.

რასაკვირველია გამოკვლევათა გარდა, მე ვსარგებლობდი პირველწყაროებითაც, რაც ტექსტში თავთავის ალაგას აღნიშნული მაქვს.

წინამდებარე წიგნი ფეოდალიზმის ისტორიას შეიცავს: იგი მის წარმოშობვას, განვითარებასა და ლიკვიდაციას ეხება. მეორე ნაწილში იქნება ორი დიდი განყოფილება: 1) ფეოდალური საქართველოს შინაგანი წყობილება და 2) ყოფაცხოვრება და კულტურა. ეს ნაწილი, ავტორის განზრახვით, უნდა წარმოადგენდეს ფეოდალიზმის სურათს მის სტატიკურ მდგომარეობაში და ბევრი რამ, რაც ამ პირველ ნაწილში მხოლოდ გაკვრითაა მოხსენებული, იქ უფრო დაწვრილებით იქნება გაშუქებული.

ქ. რ.

P. S. ეს წიგნი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც პროფ. გ. ნათაძის „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციალოგიური მიმოხილვა“ (I-II წ.) გამოვიდა. იგი ფრიად საყურადღებოა და მრავალ საინტერესო პრობლემას ეხება. ჩემი ნაშრომის ხელმეორედ გადათვალიერების დროს პროფ. გ. ნათაძის ზემოხსენებულ წიგნს მე დიდი ანგარიში გავუწიე და ბევრი რამ მისი მიხედვით შევასწორე.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე წიგნი იმავე პროფ. გ. ნათაძემ დაბეჭდვის წინ გადაათვალიერა და მისი შენიშვნების მიხედვით ზოგიერთი რამ შესწორდა. ავტორი გულითად მადლობას უძღვნის პატივცემულ პროფესორს ზემოხსენებული დახმარებისათვის.

ჟ. რ.

შესავალი

ფეოდალიზმის რაობა. საისტორიო მეცნიერებაში კარგა ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო აზრი, თითქოს ფეოდალიზმი ადგილობრივი მოვლენა ყოფილიყოს. სახელდობრ, ფეოდალიზმად მიაჩნდათ სოციალ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც წარმოიშვა ევროპაში საშუალო საუკუნეთა დამდეგს, განვითარდა და განმტკიცდა მე-X—XI საუკუნეებში და მოისპო ახალ საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ფეოდალურმა წყობილებამ რღვევა იწყო და იგი კაპიტალისტურმა სისტემამ შესცვალა. ვიდრე ფეოდალიზმის შესახებ თეორიებს შეეხებოდეთ, დავახასიათოთ თვით ეს წყობილება სქემატიურად, რათა მერე მისი ისტორიის გაგება გაგვიადვილდეს.

ფეოდალიზმის დამახასიათებელია შემდეგი მოვლენები: მიწათმფლობელობის ბატონობა, ნატურალური (კარჩაკეტილი) მეურნეობა, სისუსტე გაცვლა — გამოცვლისა და შრომის განაწილებისა. მის დროს უმთავრესს სიმდიდრეს მიწა წარმოადგენს. მიწათმფლობელი იმავე დროს ბატონიც არის და გამგებელი მთელი ინ მოსახლეობისა, რომელიც მის ტერიტორიაზეა. პოლიტიკური ხელისუფლება დაქუცმაცებულია და ცენტრალური ხელისუფლება სუსტი. სახელმწიფო ძალა-უფლება მჭიდროდ გადახლართულია მიწათმფლობელობასთან და მასზეა დაყრდნობილი. მიწათმფლობელი, რომელსაც აქვს საშუალება manus militaris (შეიარაღებული ხელით) დაიცვას თავისი მამული, იმავე დროს პოლიტიკური ძლიერებითაცაა აღჭურვილი და სუსტნი ცდილობენ მას შეაფარონ თავი, „ეყმონ“ და სამაგიეროდ მის რულ ბატონობას აღიარებენ.

ფიუსტელ-დე-კულანჟი ასე ახასიათებს ფეოდალიზმს:

I. (ფეოდალიზმის) ბატონობის დროს აგრარული წყობილება ისეთია, რომ მიწათმფლობელი მისი ნამდვილი მესაკუთრე არ არის. მიწით სარგებლობა შეიძლება მას მტკიცედ ჰქონდეს უზრუნველყოფილი. შეიძლება ეს სარგებლობა მის ხელში სამემკვიდროდაც გადაიქცეს. მაგრამ იგი მაინც არასოდეს სრულს მის საკუთრებას

არ შეადგენს. მიწათმფლობელს ყოველთვის აკლია ზოგიერთი ისეთი რამ, რაიც საკუთრების ნიშანდობლივს თვისებას შეადგენს. მაგალითად, გაყიდვის უფლება, მემკვიდრეობად დატოვების (ანდერძით) უფლება. გარდა ამისა, ეს მიწათმფლობელობა პირობითია, ე. ი. ის ექვემდებარება ან გადასახადს, ან სამსახურს, ერთი სიტყვით, ექვემდებარება სხვადასხვა ვალდებულებას, რომელთა აუსრულებლობას მიწის მფლობელობის დაკარგვა მოსდევს.

II. მიწები დაყოფილია დიდ-დიდ მამულებად, რომელთაც სენიორიები (საბატონო მამული) ეწოდებათ. ყოველ მათგანს სენიორი (ბატონი) განაგებს და მამულზე მყოფნი მთლად მას ემორჩილებიან. ეს ხალხი სამართლის მხრითაც იმის მაგიერ, რომ მეფეს, ან რომელსამე სხვა სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ემორჩილებოდეს, მემამულეს ექვემდებარება. მოსახლეობა გადასახადს მხოლოდ მას აძლევს, სამხედრო ბეგარასაც მისთვის იხდის და არავის სხვა ბატონს არ ემორჩილება. ამნაირად, თვითეული მამული, ცალკე აღებული, პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს.

III. სენიორები (ბატონები) ყველანი ერთნაირად როდი არიან დამოკიდებულნი მეფეზე. ისინი დამოკიდებულნი არიან ურთიერთზე. ეს დამოკიდებულება იქიდან არის წარმოშობილი, რომ მათ თავისი სენიორიები (მამულები) ერთი-ერთმანეთისაგან აქვთ მიღებული: ეს ფაქტი თაობიდან თაობაზე გადასვლის დროს ფორმალურად დასტურდება ხოლმე. ამნაირად თვითეული მათგანი თავის მიწას სხვისაგან ღებულობს და ამიტომ მას ემორჩილება. აქედანაა წარმოშდგარი ვასალთა და სიუზერენების მეფემდე აღმავალი იერარქია.

მაშასადამე, პირობითი მფლობელობა მიწისა საკუთრების მაგივრად, მოსახლეთა მორჩილება სენიორისადმი (ბატონობისადმი) მეფისადმი მორჩილების მაგიერ და იერარქია სენიორთა შორის, დამყარებული ფიეფის (ლენის-მამულის) და ომმაჟის (ვასალობის, ყმობის) საშუალებით, აი, ის სამი დამახასიათებელი თვისება, რაიც ფეოდალურ წყობილებას ყველა სხვა წყობილებისაგან განასხვავებს“ [1]).

ფეოდალური წყობილება არსებობდა ევროპაში საშუალო საუკუნეებში. ამიტომ მკვლევარებს, როგორც ვთქვით, დიდი ხნის განმავლობაში იგი ადგილობრივ, ე. ი. ევროპიულ მოვლენად მიაჩნდათ.

მეცნიერების შემდეგმა განვითარებამ ცხადჰყო ეს შეცდომა.

---

[1])Фюстель-де-Куланж. История общественного строя древней Франции (начала феодального строя). Перев. О. П. Захарьиной под. ред. профес. И. М. Гревса—1910 г. гз. XXVII—XXVIII.

ფიუსტელ-დე-კულანჟი სამართლიანად შენიშნავს: „აყენებდენ საკითხს, ფეოდალიზმი ძველი რომიდან მოგვეკლინა თუ გერმანიიდანო, და ეჭვნიერები ორ განაკად, **რომანისტებად** და **გერმანისტებად** გაიყვნენ. მაგრამ ჭეშმარიტება არც ერთს ამ ვიწრო შეხედულებაში არ ბუდობს. ფეოდალურ წყობილებას ჩვენ ვხედავთ ისეთს ერებში, რომელთაც გერმანელებთან საერთო არა აქვთ რა. ჩვენ იგი გვხვდება აგრეთვე იმ ერებშიაც, რომელნიც რომაელებთან დაკავშირებული არ ყოფილან. იგი ერთნაირად არსებობდა სამხრეთს გალლიაშიაც, სადაც გალლ-რომაელთა სისხლი სჭარბობდა, ჩრდილოეთ გალლიაშიაც, სადაც ეს ორი ტომი აღრეულია, ბავარიასა და საქსონიაში, სადაც წმინდა გერმანული მოსახლეობა იყო. იგი არსებობდა სლავებსა და ჰუნგრელებშიაც. ისლანდიის ძეგლები ცხადჰყოფს, რომ იქ (ფეოდალიზმი) აღმოცენდა თავისთავად, გარეშე ყოველგვარი დაპყრობისა, გარეშე რომაელთა და გერმანელთა გავლენისა. ფეოდალიზმი გვხვდება ბევრ სხვა ხალხშიაც, ევროპის საზღვრებს გარეშეც და ისტორიის სხვა ეპოქებში იგი განვითარდა ათასგვარი რასის ხალხში. იგი არც რომაელთა ბუნების კუთვნილებაა, არც გერმანელებსა: იგი საერთოდ ადამიანის ბუნების კუთვნილებას შეადგენს“ [1].

ეს აზრი უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოსთქვა **კარლ ბიუხერმა** თავის წიგნში — „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და საზოგადოებრივ კლასთა გაჩენა“: ფეოდალიზმი „სოციალური ევოლიუციის ჩვეულებრივი ფაზაა“. ეს სავსებით მართალი აზრია, მაგრამ ბიუხერმა მას სხვა ხასიათი მისცა. ბიუხერის აზრით, არსებობს ეკონომიური ევოლიუციის სამი სტადია: კარჩაკეტილი, თვითკმარი ოჯახური მეურნეობა, საქალაქო მეურნეობა და სტადია სახალხო მეურნეობისა. ბიუხერი მთელი ძველი ისტორიისა და საშუალო საუკუნეთა დიდს ნაწილს (დაახლოებით მე-XI საუკუნემდე) სთვლის ოჯახური მეურნეობის პერიოდად. საშუალო საუკუნეთა უკანასკნელი სამასი წელიწადი და ახალ საუკუნეთა დამდეგი საქალაქო მეურნეობის პერიოდში აქვს მოქცეული. მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებს სთვლის იგი სახალხო მეურნეობის პერიოდად. ბიუხერს საშუალო საუკუნეთა მეურნეობა მიაჩნია წმინდა ოჯახურ მეურნეობად, სადაც გაცვლა-გამოცვლა სრულიად არ არსებობს და ყველაფერი მზადდება მხოლოდ ოჯახის, გვარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ზემოხსენებული მოსაზრებით, ბიუხერი ფეოდალიზმს სთვლიდა ევოლიუციის ბუნებრივ, ჩვეულებრივ ფაზად მთელი დასავლეთ ევროპისა-

[1]) Фюстель-де-Куланж — ibid. XXVI გვ.

თვის, ანუ როგორც მეცნიერებს შეცდომით თქმა სჩვევიათ,—მთელი კაცობრიობისათვის. მისი თეორიით ისე გამოდიოდა, ფეოდალიზმი თითქოს მარტოოდენ საშუალო საუკუნეების მოვლენა ყოფილიყოს. ნამდვილად კი, როგორც ვიცით, ეს აზრი შემცდარია. ფეოდალიზმი ევოლიუციის ჩვეულებრივი ფაზაა, მაგრამ მას სხვადასხვა ერი სხვადასხვა დროს განიცდის. ასე რომ **სხვადასხვა ერს თავ-თავისი „საშუალო საუკუნეები“** აქვს. ეს აზრი მშვენივრად დაასაბუთა **ედ. მეიერმა** თავის წიგნაკში „ძველი მსოფლიოს ეკონომიური განვითარება“.

მეიერმა კერძოდ საბერძნეთისა და რომის მაგალითით დაამტკიცა ზემოსსენებული აზრი. საბერძნეთის საშუალო საუკუნეები (ე. ი. ფეოდალიზმის ხანა) „ეს არის ეპოქა არისტოკრატიის ბატონობისა, რაინდთა ლაშქრობისა და საგმირო ლექსებისა, როდესაც მიწათმფლობელობამ მესაქონლეობასა და მიწათ-მოქმედებასთან ერთად სრულს თავის განვითარებას მიაღწიაო“ [1]). შემდეგ საბერძნეთმა განიცადა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების პერიოდი, რომელიც დასავლეთ ევროპიელებმა დიდი ხნის შემდეგ განიმეორესო.

ფეოდალიზმის წარმოშობის შესახებ სავსებით გარკვეული შეხედულება აქვთ ისტორიული მატერიალიზმის მიმდევრებს. მათი შეხედულება ამ შემთხვევაში სავსებით ემყარება მეცნიერების მიერ მოპოებულ ცნობებს. ეკონომიურ მატერიალიზმს ყოველ საზოგადოების ევოლი ია შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: პირველყოფილი კომუნისტური წყობილება, შემდგომ პატრიარქალურ-საგვარეულო საზოგადოება, რომელიც განსაზღვრულ პირობებისა გამო ფეოდალურ წყობილებით შეიცვლება. პატრიალქალურ-გვაროვნულ წყობილებაში „არ ყოფილა კლასობრივი ბატონობა წარმოების საფუძველზე და ამ ბატონობის დამცველი ხელისუფლება“. ამიტომ ახალ წყობილებაზე, ფეოდალურ სისტემაზე გადასვლა, რევოლიუცია—მოხდა ძალდაუტანებლად. „ეს ბატონობაცა და ეს ხელისუფლებაც ევოლიუციონურად იზრდებოდენ პირველყოფილი საწარმოო ურთიერთობათაგან კერძო საკუთრების ზრდის საშუალებით. იზრდებოდა საწარმოო ძალები, იზრდებოდა დიფერენციაცია, იზრდებოდა გამოცდილება მოხუცებულთა, იზრდებოდა საკუთრება, იზრდებოდა გაბატონებული კლასის ჩანასახების გამოყოფა“ [1]).

---

[1]) ედ. მეირი. ხსენ. წიგნაკის 21 გვ. რუს.

[1]) ნ. ბ უ ხ ა რ ი ნ ი. ისტორიული მატერიალიზმის თეორია – შ. ნუცუბიძის თარგმანი გვ. 262.

პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილება ფეოდალურმა შესცვალა იმიტომ რომ საწარმოო ძალთა და ტეხნიკის შემდგომი განვითარება მოხდა. ის განვითარება საზოგადოდ ამნაირი ხასიათისაა: როდესაც მომთაბარე, მესაქონლეობის მიმდევარი რომელიმე ხალხი პირველად გადადის ხვნა-თესვაზე, ამ უკანასკნელს მის ცხოვრებაში მხოლოდ დამხმარე ხასიათი აქვს. მიწათმოქმედება ხსენებული პერიოდის დროს უფრო ხშირად მესაქონლეობას ექვემდებარება. მაგრამ მოსახლეობის ზრდა და თავისუფალი მიწების გამოლევა მომთაბარეობისა და მესაქონლეობის შემდგომს განვითარებას საზღვარს უდებს და აბრკოლებს. საჭირო ხდება მტკიცედ დაპატრონება მიწისა და მისი დამუშავების გაუმჯობესება. ბინადარი ცხოვრების დროს კი მიწათმოქმედება არსებობის უმთავრეს წყაროდ იქცევა. როდესაც მიწა იფიტება, საჭირო ხდება მისი დასვენება, ან სასუქით გაპატიება. დასვენება ხდება ამნაირად: ერთს წელიწადს რომ დასთესენ, მეორე წელს დაასვენებენ, ამ დასვენების დროს სასუქს ხმარობენ და სხვ.

კარგად ახასიათებს ამ პროცესს **ნ. როუკოვი:**

1. ფეოდალური რევოლიუციის პერიოდში მეურნეობის ცალკე დარგთა შედარებითი მნიშვნელობა ყველა ქვეყანაში დახასიათდება მიწათმოქმედების წარმატებით. იგი მეურნეობის პირველხარისხოვანი დარგი ხდება, თუმცა ნატურალური მეურნეობა კვლავ რჩება.

მეურნეობის ტეხნიკაც ყველგან წინ მიდის; კერძოდ მიწათმოქმედებაში ახოების სისტემასთან ერთად ჩნდება სანაწილო და ზოგგან სამცვლითი (трехпольная) სისტემაც.

3. ყველაფერს ამას თან სდევდა მიწის კერძო საკუთრების გაჩენა და მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა (როგორც საერო, ისე სასულიეროსი)... გარდა ამისა, მრავალ ქვეყანაში გაჩნდა და განვითარდა მიწის მფლობელობის დამოკიდებული, დროებითი და პიროობითი ფორმები (ბენეფიციუმი, პრეკარიუმი, იკტა, სამხედროთა მამულები და სხვ.) ყველა ეს მოვლენა განუყრელად დაკავშირებულია მიწათმოქმედების წარმატებასა და ნატურალური მეურნეობის შენარჩუნებასთან.

4. მცირდება და თითქმის მთლად ჰქრება სახალხო შემოსავლის თანაბარი განაწილება, რომელიც წინად არსებობდა. საზოგადოება იყოფა კლასობრივი (ეკონომიური) მხრით და წოდებრივადაც (იურიდიულად); თავისუფალთა რიცხვი მცირდება, ერთი ნაწილი არისტოკრატობამდე მაღლდება, ნაწილი კიდევ დამოკიდებულ მდგომარეობაში ვარდება...

5. სახელმწიფო ჩამოყალიბებას იწყებს, მაგრამ მას საფუძვლად პირადი ბატონობის ცნება უდევს: დაწესებულებანი მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენენ, ცენტრალურ მმართველობას მეფის კარისებური ხასიათი აქვს. ხელისუფლების მემკვიდრეობითი წესი პირველ ხანებში აღრეულია, ხოლო მერე მამისაგან შვილზე გადადის. თავისუფალთა კლასის დაცემასთან ერთად პერიოდის დასასრულს ეცემა სახალხო ყრილობაც. თითქმის ყველგან ჩნდება იმუნიტეტები, რაც ზღუდავს და ასუსტებს სახელმწიფო ხელისუფლებას ადგილობრივ, საზოგადოდ ხელისუფლების მთელს მოქმედებას ნაკლები აქტიობის ბეჭედი აზის“ და სხვ. [1])

ეს არის ზოგადი დახასიათება ფეოდალიზმისაკენ გარდამავალი ეპოქისა. რასაკვირველია, ყველგან სრულის ერთნაირობით არ შეიძლება განმეორდეს ეს სქემა. აქ შესაძლებელია მეტნაკლებობა. ერთი რამ კი ცხადია: ყველგან, სადაც კი ფეოდალიზმს ადგილ ჰქონია იგი შედეგია ერთისა და იმავე მდგომარეობისა: საკუთრების გაჩენის და გვაროვნული წყობილების დაშლისა. ეს დაშლა სხვადასხვა ერის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს ხდება. ამიტომ ყველა ერს მართლაც თავისი „საშუალო საუკუნოები“ აქვს. სწორედ ამ თვალსაზრისით უყურებთ ქართულ ფეოდალიზმსაც და შევეცდებით მის წარმოშობვისა, განვითარებისა და დაცემის ისტორიის მიცემას.

ქართული ფეოდალიზმი. ფეოდალიზმი საქართველოში განვითარდა სწორედ ისეთსავე პირობებში, როგორც სხვაგან. ეს პირობები იყო: გვაროვნული წყობილების და მასზე აგებული სახელმწიფოებრიობის რღვევა, მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარება, მიწის მესაკუთრის, მემამულის, აგრეთვე მიწათმოქმედების პრიორიტეტი და ნატურალური მეურნეობის განმტკიცება.

მე-5 საუკუნიდან ქ. წ. 1 საუკუნემდე ქ. შ. ეს არის ეპოქა, როდესაც ქართველი ტომები თემობრივ—გვაროვნული წესით ცხოვრობენ. პირველ საუკუნეში საქართველოს ტერიტორია გაყოფილია ორ დიდ ერთეულად: იბერიად და კოლხეთად. იბერია და კოლხეთი გვაროვნული წყობილობის ნიადაგზე წარმოშობილი სახელმწიფოებია და საკუთარი „მეფეები“ ჰყავთ. თუ როგორი ხასიათისა იყო მათი სახელმწიფოებრიობა — დაწვრილებით შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ამ ვაჭრობის გამო, რომელიც ჩვენში სწარმოებდა ძველათგანვე და რომელსაც უმთავრესად უცხოელები ეწეოდენ—გვაროვნულ

[1]) *Н. Рожков.* Русская История в сравнительно-историческом освещении (основы социальной динамики) т. I. ss. 446—447.

წყობილება ნელ-ნელა ირღვევა. ჩნდება ეკონომიური უთანასწორობა და წოდებები. ამ წოდებების ჩანასახი, არა სავსებით ნათლად ჩამოყალიბებული, ყოფილა ბერძნის გეოგრაფ სტრაბონის დროსაც, რომელმაც საქართველო ასწერა (1 ს. ქ. წ. და 1 ს. ქ. შ.). სპარსეთის მომძლავრებამა და რომის იმპერიის დაცემამ საქართველო ეკონომიურად დააქვეითა. მცხეთის სამამასახლისო, რომელსაც მე-4 საუკუნემდე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად—ეცემა და იბერია-კოლხეთის იზოლიაცია ჰხდება. აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო ვაჭრობის ცენტრებს სწყდებიან და სპარსეთ-ბიზანტიის გაშმაგებული ბრძოლის ასპარეზად იქცევიან. ამას გარდა, თვით ქართველთა ტომებში შინაგანი ცვლილებები ხდება: მიწის კერძო საკუთრება უკვე არსებობს. ვაჭრობის დაცემის გამო იგი ჰხდება ერთად-ერთ წყაროდ სიმდიდრისა და საერთოდ მიწათმოქმედება ეკონომიური ცხოვრების პირველხარისხოვან დარგად იქცევა. მე-5 საუკუნეში უკვე სჩანს ასე თუ ისე ჩამოყალიბებული წოდებები: არიან აზნაურნი და უაზნონი. აზნაურთა შორისაც დიფერენციაციაა. ზოგი უბრალო აზნაურია, ზოგი აზნაური „დიდ-დიდი“ და სხვ. ამ ხანებში მცხეთა საბოლოოდ ჰკარგავს თავის წინანდელ ეკონომიური ცენტრობის როლს და პირველობა ტფილისს რჩება. ტფილისს სპარსელები ციხე-სიმაგრედ გადააქცევენ. იქ სცხოვრობს სპარსელებისაგან დანიშნული მარზპანი, რომელიც ქართლ-კახეთზე ბატონობს.

აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის მოსპობის შემდეგ, განსაკუთრებით არაბთა შემოსევის დროს—უპირველესს როლს „აზნაურნი დიდ-დიდნი“, ერისთავები თამაშობენ. ისინი არიან იმ მამულის ერთად-ერთი ბატონ-პატრონნი, რომელსაც ისინი წინად განაგებდენ, ეკონომიური გაჭირვებისა თუ გარეშე მტერთა მიერ შეწუხების გამო, ცალკე მეურნეობა შეუძლებელი ხდება. უკვე გაბატონებულია პრინციპი, რომ „უპატრონო მიწა აღარსად არის“. ამიტომ წვრილი მეურნე, გლეხი იძულებულია თავი შეაფაროს მსხვილ მემამულეს და იგი თავის ბატონად აღიაროს. ამისთანა გლეხი თვითონ ეძებს მფარველს, იღებს მისგან მიწას და სამაგიეროდ „ყმობას“ უწევს (ვასალიტეტი). ბევრი ჰყავს ყმა ეკლესიასაც, რომელიც მივარდნილ ადგილებს ეპატრონება, მონასტერს აშენებს, მეურნეობას აწყობს და შემდეგ თავის მამულზე ეწევა „მიწასა ზედა დასმას“—ე. ი. მსურველებს მამულს აძლევს სასა~გებლოდ განსაზღვრულ პირობებით. მე-7-8 საუკუნეში მთელ საქართველოში უკვე სენიორალური სისტემის მსგავსი რამ არის გამეფებული. არსებობს ცალკე მამულები, ხშირად

შედარებით დიდი ტერიტორიის შემცველნი, რომელთა მცხოვრებნი ეკონომიურად და იურიდიულად თავის ბატონზე არიან დამოკიდებულნი. ამნაირად, საქართველო დაქსაქსულია როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

მე-8 საუკუნიდანვე იწყება გამაერთიანებელი ტენდენცია. აზნაურნი დიდ-დიდნი და ცალკე პროვინციათა ბატონები იბრძვიან პირველობისათვის და სხვებზე გასაბატონებლად. აღმოსავლეთ საქართველოში გამაერთიანებელის როლის თამაში ტაო-კლარჯეთის მამფლებს ბაგრატიონებს უხდებათ, დასავლეთში-აფხაზთა სამთავროს. მემამულენი, ცალკე ერისთავნი გაშმაგებით იბრძვიან „დამოუკიდებლობისათვის“ და ცენტრალური ხელისუფლების შექმნის, მისი გაძლიერების წინააღმდეგნი არიან. პირიქით, წვრილი აზნაურობა მომხრეა გაერთიანების, ცენტრალური ხელისუფლების დამკვიდრებისა. მომხრეა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მისი უშუალო სენიორის (ბატონის) ხელისუფლება ცენტრის სასარგებლოდ უსაოუოდ შეზღუდულ იქნება. გაერთიანებისათვის ამ ბრძოლაში — მსხვილი აზნაურები მარცხდებიან. ხდება გაერთიანება საქართველოს ტერიტორიისა ერთი მმართველის (მეფის) ხელში. ეს გაერთიანება, რასაკვირველია, სავსებით გარეგნული, უფრო ტერიტორიალურია, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯია წინ. იწყება ხანა ფეოდალური მონარქიისა.

ფეოდალური მონარქები პირველ ხანებში დიდ აზნაურთა მეტოქეობით ძლიერ შეწუხებულნი არიან და მათთან გამუდმებული ბრძოლა აქვთ. მე-XI ს. დასასრულს ეს ბრძოლა მეფეთა გამარჯვებით თავდება. დიდგვარიანებთან ბრძოლაში მათ ეხმაოება ახალი კლასი — ვაჭრები; ეს ვაჭრები თანდათან უფრო მეტს გავლენას ჰპოებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რადგან საქართველოს საერთაშორისო და საერთოდ პოლიტიკური მდგომარეობა მე-XII ს. ისეთია, რომ სავაჭრო კაპიტალის განვითარებას ხელს უწყობს. ფეოდალური მონარქიაც თანდათან გამტკიცდება და თავის ზენიტს აღწევს. სოციალური შინაარსი ფეოდალური მონარქიის ეპოქისა — ძველივე რჩება. იგი დაფუძნებულია პატრონ—ყმობაზე; დროებითი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება საქართველოსი, აგრეთვე მისი ტერიტორიალური გაფართოება — ეფემერული აღმოჩნდება. ეს ძლიერება არაა დამყარებული ჩვენი ქვეყნის შინაგან საწარმოო ძალთა განვითარებაზე, არამედ უფრო ძლევამოსილი ომებისა და ლაშქრობათა ნაყოფია. ამ ძლევამოსილობას ჩვენ მეზობელთა მოუძლურება უწყობს ხელს. საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა და თვით ფეოდალური მონარქიაც შედარებით ადვილად ირღვევა მე-13 საუ-

კუნეში მონგოლების შემოსევის წყალობით, ვინაიდან, როგორც ვთქვით, ჩვენმა ქვეყანამ დროის შესაფერისად ვერ განავითარა საწარმოო ძალები.

მონგოლების შემოსევა, თურქ-ოსმალთა გაძლიერება, შემდგომ მათ მიერ კონსტანტინეპოლის აღება—საქართველოს კვლავ პოლიტიკურ და ეკონომიურ იზოლიციაში აგდებს. ფეოდალურ ნიადაგზე დაფუძნებული ტერიტორიალური ერთობა ირღვევა და ჩვენი ქვეყანა ხელახლა იქსაქსება. აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო კვლავ ერთმანეთს შორდება (მე-19 საუკუნემდე). ნატურალური მეურნეობა ხელახლა იმარჯვებს და მსხვილი მემამულეები, დიდგვარიანები—პროვინციათა მეფეებს ადვილად სჯობნიან. შინაურ შფოთიანობასა და მუდმივს მიხტომ-მოხტომას რაიც ამ პერიოდის დამახასიათებელია, გარეშე მტერთა ხელიც აძლიერებს. ოსმალეთი და სპარსეთი იბრძვიან საქართველოს დასაპყრობად, მთელ წინააზიაში გასაბატონებლად და ჩვენს ქვეყანას ფრიად დიდად აზარალებენ. ფეოდალური მონარქიის აღდგენისათვის ბრძოლა მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც სწარმოებს, მაგრამ გათამამებული ფეოდალები ხშირად მეფეებზე უფრო მძლავრობენ.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მეფეები (ქართლ-კახეთისა და იმერეთისა) ცდილობენ ოსმალეთ-სპარსეთის დაუძლურებით ისარგებლონ. ისინი თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი მმართველნი ხდებიან (აღმოსავლეთში ერეკლე მე-II, იმერეთში—სოლომონ I). ცენტრალური ხელისუფლების სავსებით განმტკიცება და დროის შესაფერისი სახელმწიფოებრიობის შექმნა მაინც ვერ ხერხდება. მეფეები ერთის მხრით ერისთავებს და დიდგვარიანებს ებრძვიან, მეორე მხრით იძულებულნი არიან ძალაუნებურად მათს გაძლიერებას ხელი შეუწყონ. სახელმწიფოს, რომელიც შინაურ ბრძოლისა და გარეშე მტერთა შემოსევებისაგან წელშია გაწყვეტილი—საშუალება არა აქვს საკუთარი სახელმწიფოებრივი აპარატი შეჰქმნას. მას ფული ფრიად ნაკლებად მოეპოვება და ამიტომ მოხელეებს კვლავ მიწის „წყალობით“ აკმაყოფილებს. ფეოდალების ასალაგმავად საჭიროა ახალი კლასი—ვაჭართა ან მრეწველთა, ყოველ შემთხვევაში ვაჭართა მაინც, რომ შესაძლებელი გახდეს ბიუროკრატიული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება. მე-18 საუკუნეში სავაჭრო კაპიტალი თუმცა განვითარებას იწყებს, მაგრამ იგი მაინც იმდენად ძლიერი ვერაა, რომ სახელმწიფოს საჭე ხელთ იგდოს. მეფობის დროის საქართველო გარეშე ძალის დაუხმარებლად ვერ ახერხებს ფეოდალური გარსიდან გამოსვლას. ამ გარეშე ძალად ქართლ-კახეთის სამე-

ფოს—ბიუროკრატიული რუსეთი შოეევლინება. შინაურ და უცხო მტრებისაგან შეწუხებული ქართლ-კახეთის მმართველები დახმარებისათვის რუსეთის იმპერატორებს მიმართავ ნ და მის ვასალობას აღიარებენ. ეს ვასალობა თავდება მეფობის მოსპობით და ქართლ-კახეთის გამოცხადებით რუსეთის პროვინციად. ბიუროკრატიული სახელმწიფო (რუსეთი) საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოებრივ აპარატს ამსხვრევს და მაგიერად თავის წყობილებას ამეფებს. ამნაირად, ისპობა ფეოდალიზაცია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი გაერთიანებულია თუმცა უცხო ძალის, თვითმპყრობელი რუსეთის, მაგრამ მაინ ერთი ხელისუფლების ქვეშ.

მაგრამ პატრონ-ყმობა (ბატონ-ყმობა), ფეოდალიზმის ასე ვთქვათ, სოციალურ ეკონომიური შინაარსი—კვლავ ხელუხლებელი რჩება. იგი, თანახმად რუსეთის კანონებისა, უფრო ნათლად ჩაშოყალიბებულ იურიდიულ ფორმას ღებულობს. ვარეგნად იგი ისპობა მხოლოდ 1864—6 წ. წ., როდესაც რუსეთის შემდეგ, ჩვენშიაც გადავარდა ბატონყმობა. მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ მოხდენილი რეფორმა, ცხადია, უსრული იყო. მან ყმა განათავისუფლა პირადად, მიწა კი კვლავ მებატონეს დარჩა და გლეხი იძულებული იყო იგი გამოესყიდა. ამნაირად წარმოიშვა დროებით ვალდებული გლეხთა ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ მე-20 დამდეგს (1912 წ.) მოისპო. ამიტომ გლეხობა მედგრად იბრძოდა სრული განთავისუფლებისათვის და 1905 წლის რევოლიუციას ჩვენში უმთავრესად და უპირველესად ყოვლისა—აგრარული ხასიათი ჰქონდა. სრული ლიკვიდაცია ფეოდალური ნაშთებისა მოხდა 1917 წლის თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. ამნაირად საქართველოში ფეოდალიზმს მოესპო თავისი ეკონომიური ბაზაც, რომელიც პოლიტიკური ფეოდალიზაციის აღსასრულის შემდეგ კიდევ მთელ საუკუნეს ცოცხლობდა.

აი, მოკლედ ის ეტაპები ჩვენში ფეოდალიზმის წარმოშობვის, განვითარების და აღსასრულისა, რომელზედაც ამ წიგნში მაქვს საუბარი. თავ-თავის ადგილას აქ გამოთქმული სქემატიური დებულებანი შეძლების დაგვარად საბუთებით და ისტორიული ფაქტებით ნათელყოფილი იქნება, რათა ამ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ქართველს მკითხველს შესაფერისი წარმოდგენა ჰქონდეს.

ფეოდალიზმის ნარმოშობა.

გვაროვნული წყობილება. მეხუთე საუკუნეში ქ. წინ დღევანდელი საქართველო თითქმის უკვე მთლად ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ამ დროის შესახებ ჩვენ უკვე ნამდვილი ისტორიული ცნობები მოგვეპოება. ეს ცნობები უმთავრესად ჩვენი მეზობლების, ბერძენთა მწერლების ნაწერებში გვხვდება.

ეროვ. 9912

ქართველ ტომებს ამ დროს უკვე გავლილი ჰქონდათ **პირველყოფილი კომუნიზმის** ხანა. გავლილი ჰქონიათ ევრედწოდებული **დედათმთავრული პერიოდიც** (მატრიარქატი). ჩვენის აზრით, იმ ხალხში, რომელიც ქართველობის მოსვლამდე ჩვენს დღევანდელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო მატრიარქატი. ეს აშკარად სჩანს იმ მრავალი ბერძნული თქმულებიდან, რომელიც კავკასიაში ამორძლების (Ἀμαζόνες) ბინადრობას შეეხება. ამორძლებზე ლაპარაკობს თითქმის ყველა ბერძენი მწერალი—დაწყებული ჰომიროსით. ევროპიელებში ეს თქმულებანი იმდენად გავრცელებული იყო, რომ მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური **შარდენი** სერიოზულად ებაასებოდა ამ საგანზე ქართველ ბატონიშვილს და სჯეროდა, რომ ეს მეომარი ქალები (ამორძლები) კახეთსა და ლეკეთს შორის, სადღაც მივარდნილ კუთხეში ცხოვრობდენ. „მიჯაჭულ პრომეთეში“ ესქილი ამბობს:

სტირიან ქალწულნი კოლხიდის
ბრძოლაში გამოწრთობილნი

. . . . . .

სტირიან მხიელნი კავკასის
ველური ხალხი,—ჯაგარში
შუბთა და ოროლთა ჩამსხდარი.

მაგრამ **ჰეროდოტეს** დროს ჩვენში მატრიარქატის ბატონობა უკვე მოსპობილია. ამ გარემოების დამამოწმებელია აგრეთვე **ქსენოფონტეც** (მე-4 ს. ქრ. წინ.) ხოლო **სტრაბონის** (1 ს. ქრ. წინ და 1 ს. ქრ. შემ.) აღწერილობიდან აშკარად სჩანს, რომ საქართველოში იმ-

ეროვ. ბიბლიოთეკა

დროს ნამდვილი გვაროვნული წყობილება ყოფილა. „ისტორიის მამის“ (ჰეროდოტეს) ცნობით მე-5 ს. ქრ. წინ ქართველები ტომები სპარსეთის დიდს იმპერიას ემორჩილებოდენ და მის მე-18 და მე-19 სატრაპიას შეადგენდენ. სტრაბონის აღწერილობიდან კი ჩვენთვის ცხადი ხდება ძველი იბერიის სოციალური შედგენილობაც.

ასწერს რა იბერიას, სტრაბონი ამბობს: „იბერიაში ხალხი იყოფა ოთხ წოდებად. პირველი წოდება ის არის, რომლიდანაც შეფეს ირჩევენ. მეფედ ირჩევენ იმას, ვინც უფრო დაახლოებული ნათესავია გარდაცვალებულის მეფისა და უფრო მოხუცებული. ვისაც კი ამ ნათესავთა შორის მეორე ადგილი უჭირავს, იმას ირჩევენ მთავარმსაჯულად და მთავარსარდლად. მეორე წოდებას შეადგენენ მღვდლები, რომელთაც, გარდა საღმრთო თანამდებობისა, ვალად ადევთ განაგონ განწყობილება მეზობელ ერებთან. მესამე წოდება შეიცავს მხედრებს და მიწის მუშაკებს და მეოთხე—დაბალ ხალხს, ანუ მეფის მსახურთ, რომელთა მოვალეობას შეადგენს ყოველი სამოქალაქო საქმე. თვითეული გვაროვნობის ქონება ეკუთვნის საერთოდ ყველა წევრს და ამ ქონებას განაგებს და უვლის უხუცესი მათგანი. ასეთია ზნე და დაწესებულებანი იბერიელებისა და ასეთია მათი ქვეყანა“.

აქედან აშკარაა, რომ მაშინდელი (1 ს.) იბერიის წყობილება პირწმინდად გვაროვნული ყოფილა. უპირველესად ყოვლისა, იქ ჯერჯერობით არ არსებობდა მიწის კერძო საკუთრება („თვითეული გვაროვნობის ქონება ეკუთვნის საერთოდ ყველა წევრს“). მიწა მთელს გვარს ეკუთვნის და მას უხუცესი, ანუ „მეფე“, (როგორც მას სტრაბონი უწოდებს) განაგებს.

„პირველი წოდება ის არის, ამბობს სტრაბონი, რომლიდანაც **მეფეს ირჩევენ**“. ვინ უნდა ყოფილიყო მისი ამომრჩევი? უეჭველია ეს იქნებოდა **სახალხო კრება**, რომელიც უმაღლესი ორგანოა გვაროვნული წყობილების დროს. სტრაბონის დროს, სჩანს, გვაროვნულ წყობილებას უკვე წყალი ჰქონია შემდგარი, ვინაიდან სახალხო კრება სავსებით თავისუფალი არაა თავის არჩევანში. იგი **იძულებულია „მეფე“ ამოირჩიოს განსაზღვრული გვარეულობიდან**. მეფის სიკვდილის შემდეგ კი უეჭველად უნდა აირჩიონ **„ვინც უფრო დაახლოვებულია გარდაცვალებულის მეფისა და უფრო მოხუცებული.“** სახალხო კრება მეფეს თითქოს მოადგილეს, თანაშემწესაც მიუჩენს. „ვისაც კი (მეფის) ნათესავთა შორის მეორე ადგილი უჭირავს, იმას ირჩევენ მთავარსარდლად და მთავარმსაჯულადო“—დასძენს იგივე სტრაბონი.

გამოცალკევებული ყოფილა უკვე აგრეთვე სასულიერო წოდე-

ბა, რომელიც თითქოს ახლანდელი დიპლომატების როლს თამაშობდა: მას ვალად ედვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის მოწესრიგება. როგორც სჩანს, მხედრობა ჯერ კიდევ არც ერთი წრის პრივილეგიას არ შეადგენდა. ომიანობის დროს ბრძოლის ველზე მთელი შეიარაღებული ხალხი გამოდიოდა. ამიტომ სტრაბონს უბრალოდ აქვს ნათქვამი: „მესამე წოდება შეიცავს მხედრებს და მიწის მუშაკებსო“, ე. ი. მხედრები და მიწის მუშაკები ერთ წოდებაში ჰყავს მოქცეული.

რა უფლებით სარგებლობდა, ან რა ერქვა ტომის იმ უხუცესს, რომელიც მთელ მის საქმეებს განაგებდა და რომელსაც სტრაბონი (აგრეთვე ქსენოფონტე) „**მეფეს**“ (ბაზილევს) უწოდებს? ნამდვილი მეფე იყო თუ არა იგი, ისეთი მეფე, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია? რასაკვირველია, არა. საერთოდ ბერძნულ „ბაზილევსს“ ძველად „მეფედ“ სთარგმნიდენ, მაგრამ თვით ამ სიტყვა „მეფეს“ ახლანდელი მნიშვნელობა არ ჰქონია. ეს აშკარაა თუნდ იმ ფაქტიდან, რომ „მეფეს“ ირჩევდენ (სახალხო კრება). ქსენოფონტეს სიტყვით მოსინიკების (დასავლეთ საქართველოში) „მეფე (ბაზილევს) ცხოვრობდა ხის კოშკში, რომელიც მაღლობზე იყო წამოდგმული. იგი იქ უნდა ყოფილიყო მუდმივად, მას საერთო ხარჯით ინახავდენ და იცავდენო“. ცხადია, „მეფე“ სავსებით თავის ხალხის სურვილზე ყოფილა დამოკიდებული—მატერიალურადაც და იურიდიულადაც. იგი თავისი ხალხის ნებადაურთველად საკუთარ კოშკსაც კი ვერ მიატოვებს. დიდი უფლება მას მიენიჭება მხოლოდ შემდგომ ხანებში, როდესაც გვაროვნული სახელმწიფო წარმოიშვება. ამაზე ქვემოდ ვილაპარაკებთ.

მაგრამ ქართული წყაროებით ჩვენ ვრწმუნდებით, რომ უძველეს საქართველოში უხუცესს, რომელიც გვარისა თუ ტომის საქმეებს განაგებდა, განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონდა. ეს სახელწოდება სწორედ ზედგამოჭრილია გვაროვნული წყობილებისათვის და კარგადაც ახასიათებს მას.

„ქართლის ცხოვრება“, ასწერს რა ქართველთა პირვანდელ ცხოვრებას და წყობილებას, ამბობს: „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვნეს, არამედ ადგილ ადგილ თავადნი (მეთაურნი) იჩინიან; ხოლო რომელიცა იყვნის მცხეთას, იგი იყვნის ყოველთა მათ სხვათა ზედა და არცა სახელედებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ **მამასახლისი** ეწოდებოდათ“ („ქ. ც.“ ჭიჭინაძის გამ. 24 გვ).

აქედან აშკარაა, რომ ქართველი ტომების პირვანდელ მმარ-

თველნი, უეჭველია, **მამასახლისები** იქნებოდენ. თვითონ სიტყვა **„მამა—სახლისი“** (სახლის მამა) ცხადჰყოფს, რომ თავდაპირველად ყოფილა „სახლის“ (გვარის) უფროსი, ხოლო გაერთიანებული გვარების, ტომის მმართველსაც შერჩენია ძველი, გვაროვნული სახელწოდება. სხვადასხვა წყაროებიდან ვტყობილობთ, რომ ყოფილა „მცხეთისა მამასახლისი“, „ქართლისა მამასახლისი“ და სხვ.

ყოველ გვარს თავისი მამასახლისი ჰყავდა. გვარების კავშირი **თემს** წარმოადგენდა, ხოლო თემები **ტომს** შეადგენდენ. თემის მამასახლისად ყველაზე **გამოჩენილი, მდიდარი და გავლენიანი გვარის** მამასახლისი ითვლებოდა. ტომის მამასახლისად კი ითვლებოდა ყველაზე ძლიერისა და ეკონომიურად ღონიერი თემის მამასახლისი. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე ძლიერი თემი—მცხეთის სამამასახლისო იყო. ამიტომ მცხეთის მამასახლისი—ყველაზე უფროსად, **„მეუფე მამასახლისად“** იყო მიჩნეული.

გვაროვნული წყობილების ნაშთები ბლომად მოიპოებოდა მე-19 საუკუნის საქართველოშიაც კი, განსაკუთრებით მის ჩამორჩენილ კუთხეებში (სვანეთსა, ხევსურეთსა და სხვაგან). გვაროვნული წყობილების გავლენა დარჩენილა ზოგიერთ ტერმინებსა და სახელებშიაც. ახლაც მრავლად არსებობს ისეთი სახელები სოფლებისა, როგორიცაა: „კობიანთკარი, ბარნაბიანთკარი და სხვ. ამ ადგილებში ერთი რომელიმე გვარი ცხოვრობდა, შემოფარგლული ტერიტორია ჰქონდა და საკუთარი მამასახლისი ჰყავდა ხოლმე“ (ივ. ჯავახიშვილი).

მაშასადამე ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და სტრაბონის მოწმობის და მიხედვით თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მე-5 საუკუნიდან 1 საუკუნემდე (ქ. წინ) საქართველოში გვაროვნული წყობილება იყო გამეფებული.

გვაროვნული წყობილების დროის მეურნეობა. როგორი იყო საქართველოს ეკონომიური ვითარება გვაროვნული წყობილების დროს? ჯერ კიდევ ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ ქართველი ტომები ვაჭრობას ეწეოდენ. საბერძნეთსა და საერთოდ უცხო ქვეყნებში განთქმული იყო კოლხეთის სელი, რომელსაც „სარდონულს“ უწოდებდენ. არის აგრეთვე ცნობები, რომ ქართველი ტომები შორეულ ქვეყნებშიაც დადიოდენ. ქსენოფონტეც აღნიშნავს: მოსინიკები (ჭანები) კარგი ზღვაოსნები არიან, ვაჭრობას მისდევენ და შორეულ ქვეყნებშიაც დაიარებიანო.

განვითარებული ყოფილა ქართველ ტომებში აგრეთვე მადნეულობის დამუშავება. ბიბლიაში (დაბადებაში) ნათქვამია: „თობელი მჭედელი რვალისაა და რკინისაო“. იმავე ბიბლიაში ვკითხულობთ,

„ითობელი და მოსოს ვაჭრობდენ შენს შორის (ქალაქ ტვიროსში) სულთა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდაო“.

სტრაბონი განსაკუთრებით იბერიას აქებს: „იბერია ძლიერ მდიდარი და დასახლებული ქვეყანაა, როგორც ამას გვიმტკიცებს სიმრავლე ციხე-ქალაქებისა და სოფლებისა, კრამიტით დახურული და არქიტექტურის წესით აშენებული სახლები, აგრეთვე ქულბაქები და სხვა სავაჭრო შენობებიო“.

იგივე სტრაბონი ასწერს იმ გზებს, რომლითაც მაშინდელ იბერიას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა ჰქონია. ერთი გზა მოდიოდა შავი ზღვის ნაპირებიდან, მისდევდა ყვირილის ხეობას და აღწევდა თიოქმის შუა ქართლს. მეორე გზა ჩრდილოეთიდან მოდიოდა და ისიც შუა ქართლში თავდებოდა (მცხეთასთან), მესამე გზა სამხრეთიდან მტკვრის ხეობით იმავე ადგილს აღწევდა. ხოლო ახლანდელ კახეთში ურთიერთობა ალაზნის ხეობის საშუალებით სწარმოებდა.

ბერძნული წყაროების მიხედვით ამ გზებით გაჩაღებული ვაჭრობა იყო. შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში მრავალი ერის წარმომადგენელი იყრიდა თავს. დიოსკურიაში (ახლანდელ სოხუმში) სამოცდაათ სხვადასხვა ენაზე გაისმოდა ლაპარაკიო. გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე პიტიუნს (ბიჭვინთას), ფაზისს (ფოთს), ქუთაისს. აღმოსავლეთ საქართველოში შესანიშნავი იყო ქალაქები: მცხეთა, წიწამური (ბერძნების თქმით—სევსამორა) და სხვა.

ქალაქები, სავაჭრო გზები, გაცხოველებული ვაჭრობა! ფითქოს ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, როდესაც გვაროვნულ წყობილებაზე ვმსჯელობთ. მაგრამ საქმის ვითარება ცხადი გახდება, როცა გავითვალისწინებთ იმას, თუ რა ხასიათის იყო ვაჭრობა მაშინდელ საქართველოში, ვინ იყო ჩაბმული ამ ვაჭრობაში და რას ვაჭრობდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გვაროვნული წყობილება სავსებით როდი უარჰყოფს ვაჭრობის, აღებ-მიცემობის არსებობას. საქმე მხოლოდ ისაა, რომ აქ ვაჭრობას უმთავრესად **საგარეო** (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ხასიათი აქვს. ყველა ერის განვითარებაში ეს ასე ხდება. საშინაო ბაზრის, ვაჭრობის გაჩენას წინ უსწრობს საგარეო ვაჭრობა (ჯერ გვართა შორის და მერე უცხოელებთან). პირველ ხანებში იგი ძარცვა-გლეჯასთან არის დაკავშირებული. ვაჭრები იმავე დროს მეკობრეები (ყაჩაღებიც) არიან. ვაჭრობა რომ შესაძლებელია ველურ ტომშიაც შეიჭრას, ამას ცხადად მოწმობს ახლანდელი ევროპიელების მოქმედება სხვადასხვა მივარდნილი კუთ-

ხეების (აფრიკა-აზიისა) მიმართ. ასევე იყო ძველად. აი, მაგალითად, როგორ ასწერს ჰეროდოტე კართაგოელების ვაჭრობას ისეთ ველურ ხალხთან, როგორნიც ლიბიელები იყვნენ: „როდესაც კართაგოელები მათთან (ლიბიელებთან) სავაჭროდ მიდიან, გემებიდან საქონელი გადააქვთ და ზღვის ნაპირზე ალაგებენ. შემდგომ ბრუნდებიან თავიანთ გემებზე და ცეცხლს აჩაღებენ. ადგილობრივი მცხოვრებნი კომლს შეანჩნევენ ხოლმე, ზღვის ნაპირზე გამოდიან, საქონლისათვის ოქროს სტოვებენ და უკანვე მიდიან. კართაგოელები გადმოდიან გემებიდან, შინჯავენ—საკმარისი ოქრო დაუტოვებიათ თუ არა საქონლის საფასურად. თუ ოქრო საკმარისია, წაიღებენ და მათი გემებიც დაიძვრება. ხოლო ოქროს რაოდენობა თუ უკმარისად მოეჩვენათ, ხელახლა გემებზე ბრუნდებიან და უცდიან. ადგილობრივი მცხოვრებნი ხელახლა გამოჩნდებიან, უმატებენ იმდენს ოქროს, რამდენიც კართაგოელებს დააკმაყოფილებს“ და სხვ. (Н. Кареев. Монархии Древнего Востока—გვ. 51).

უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობა ქართველებს უმთავრესად ბერძნებთან ჰქონდათ. ბერძენი ვაჭრები ბლომად დაიარებოდენ ჩვენში. საქართველოში მრავლად იყო მათ მიერ დაარსებული სავაჭრო პუნქტები. ისინი ეზიდებოდენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და ძალიანაც აფასებდენ ჩვენი ბუნების სიუხვეს. ამას ცხადად მოწმობს თუნდაც **თქმულება არგონავტების** შესახებ. ბერძნებს ჩვენს ქვეყანაში მართლაც რომ ოქროსმატყლოვანი ვერძი ეგულებოდათ და ამიტომ მოისწრაფოდენ ჩვენსკენ. საქართველო მათი საჩარჩო კაპიტალისათვის—ნამდვილი კოლონია იყო. ბერძნებს გაჰქონდათ ხილეულობა, ხე ტყე (საშენი მასალა), კანაფი, ცვილი და კუპრი, ბეწვეული და ტყავეული. შემოჰქონდათ ისეთი აუცილებელი, პირველი საჭიროების საგანი, როგორიც იყო მარილი, ტანისამოსი და სხვა.

სტრაბონი იხსენიებს **„მიწის მუშებს“**. ცხადია, ქართველებს მიწის მუშაობაც სცოდნიათ. მაგრამ უმთავრესი დარგი გვაროვნული წყობილების დროს, უეჭველია, **მეჯოგეობა** უნდა ყოფილიყო. მაშინდელი საქართველო მოფენილი იყო ერთის მხრით ხშირი, გაუვალი ტყით, მეორე მხრით—მშვენიერი საძოვრებით. რომ მეჯოგეობა, მესაქონლეობა უპირველესი ხელობა ყოფილა, ამას გვაროვნული წყობილების დროის სარწმუნოებაც (წარმართობა) მოწმობს. უძველესი რელიგია ქართველებისა—ეს **მთვარის კულტია**. სტრაბონს აწერილი აქვს ალბანიის საზღვარზე მდებარე ტაძარში მთვარისადმი მსხვერპლის შეწირვის სურათი. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკი-

ცა რომ ძველი მთვარის კულტი ქრისტიანობის ხანაში **წმინდა გიორგის კულტად** იქცა. მაშასადამე მთვარის კულტი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ იგი ქრისტიანობის ხანაშიაც არ გამქრალა. ვისი ღმერთია მთვარე? იგი უმთავრესად მეჯოგე ხალხების ღვთაებაა საზოგადოდ. წმინდა გიორგის შესახებ თქმულებაში ეს წმინდანი პირდაპირ **მეცხვარეთა ღვთაებად** არის დასახელებული. ამ თქმულებაში მეცხვარე მოურიდებლად ეუბნება ელიას და იესო ქრისტეს: **„ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით გაგიტეხავდი თავსაო“** (პრ. ივ. ჯავახიშვილი—„ქ. ერის ისტ.“ I წ. გვ. 95—98) თქმულების მიხედვით აშკარად ირკვევა, რომ მეცხვარეს თავის ღმერთად—წმ. გიორგი მიაჩნდა. მთვარე (ე. ი. წმ. გიორგი) ყველაზე მეტად პატივცემული და სახელოვანი ღვთაება იყო. ცხადია, იგი თავის უმთავრეს ღვთაებად სწორედ **მეცხვარე ხალხს,** მეჯოგეობის მიმდევარს ტომს უნდა დაესახნა. მეჯოგეობას უმთავრესად ალბად ის იბერიელნი მისდევდენ, რომელნიც ბარში არა ცხოვრობდენ.

„ის ნაწილი იბერიელთა, ამბობს სტრაბონი, რომელნიც სახლობს ბარად, განსაკუთრებით მიწის მუშაობას მისდევს და ამასთანავე უფრო მშვიდობის მოყვარეა. **ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი იბერიელებისა, რომელიც ამასთანავე უფრო მეომარია, ცხოვრობს მთებში.** ისინი ცხოვრობენ აქ სკვითებისა და სარმატების მსგავსად“. მაშასადამე, სტრაბონის თქმითაც, იბერიელთა **დიდი ნაწილი** ისეთ ადგილებში ყოფილა დასახლებული, სადაც მიწის მუშაობა ძნელი იყო. აღსანიშნავია, აგრეთვე იმავე სტრაბონის მოწმობა ალბანელების შესახებ: „...საფიქრებელია, რომ ამისთანა ხალხს არც კი ესაჭიროება ზღვა. რადგან თავის მიწითაც ვერ უსარგებლნია როგორც რიგია. მერე რა მიწით?.. აქ ერთხელ ჩაგდებული თესლი იძლევა ორ-სამ სამკალსა და პირველ მკაზე თვითო მარცვალი იძლევა არა ნაკლებ 50 მარცვლისა... **მიწას ღრმად კი არ ხვნენ რკინის გუთნითა, საკმაოა ხის გუთანიც“**. იბერიელნი ალბანელებზე ყოველგვარად მაღლა იდგნენ, მაგრამ მთის იბერიელნი (ე. ი. იბერიელთა უმრავლესობა) ალბანელებზე წინწასულნი არაფრად იყვნენ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მთის იბერიელთა შორის მიწის მუშაობას მტკიცედ არ ექნებოდა ფეხი მოკიდებული. სტრაბონის აღწერილობა, სადაც მოხსენებულია სავაჭროები, კრამიტით დახურული შენობები და სხვა—ეს ბარის იბერიის აღწერილობაა, ე. ი. იმისა, რის ნახვაც თვითონ ავტორს შეეძლო.

უძველესი ქართველების უმთავრესს დოვლათს რომ მართლა შინაური პირუტყვი შეადგენდა, ამის კვალი სხვა ხალხურ თქმულე-

ბებშიაც ამკარად სჩანს. ახლაც იტყვიან ანდაზას: ცხვარი სახლში შემოვიდა, სიღარიბე გავიდაო და სხვ. აღსანიშნავია ერთი, პირველი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ დამახასიათებელი გარემოება; მრავალრძლის (რაჭაშია) წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ერთ-ერთ კედელს **ხარის რქა** ამშვენებს. იქნებ ხარის რქა—მთვარის კულტის გამოსახულება იყო ძველად (ქრისტიანობაში—წმინდა გიორგი'ია), ვინაიდან ნახევარმთვარე გარეგნად ხარის მოღუნულ რქას მოგვაგონებს?

ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გვაროვნული წყობილების დროს, როდესაც მიწის კერძო საკუთრება ჯერ არ არსებობდა, ქართველთა ტომების უმთავრეს სიმდიდრეს მართლაც **ხვასტაგი** (ოთხფეხი) წარმოადგენდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ხოლო როცა გვაროვნული წყობილება დაირღვა, გაცვლა-გამოცვლის ძველი წესის ნაშთად ფულს ხვასტაგის სახელი შერჩა.

ქალაქების წარმოშობა. როგორ წარმოიშვა საქართველოში ის ქალაქები, რომლებიც წინად მოვიხსენიეთ? როგორც სხვა მრავალ ენაში, სიტყვა **„ქალაქს“** ქართულშიაც განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოსდგება სირიული **„კალა“**-საგან, რაიცა ნიშნავს შეზღუდვას ციხეს, სიმაგრეს (შეადარეთ რუსული: город, огородить, огород). ცხადია, პირველ ხანებში ქალაქი—ეს იყო გამაგრებული ადგილი, ციხე. ამ ციხეში შეიძლება პირველად მარტო „მეფე“ ყოფილიყო (გაიხსენეთ ქსენოფონტეს მიერ მოსინიკების მეფის საცხოვრებელი ადგილის აღწერა!). უმთავრესად ეს ალბად იყო ისეთი ადგილი, რომლისაკენ ყველა გვარს ადვილად სავალი გზა ექნებოდა. ამ ადგილის ირგვლივ ნელ-ნელა თავს მოიყრიდენ მამასახლისის ახლობელნი, მისი მონანი და მსახურნი. ამნაირად, ეს შემოზღუდული, გამაგრებული ადგილი—**ადმინისტრატიულ ცენტრად** გადაიქცეოდა. ხოლო მარტო ადმინისტრატიული ცენტრობა ვერ გახდიდა ამისთანა გამაგრებულ ადგილს ქალაქად. იგი იმავე დროს ხშირად მტრის თავდასხმის მოსაგერიებელი პუნქტიც იყო. სიმაგრეს იქ აშენებდენ, სადაც რამოდენიმე გზა ერთმანეთს ხვდებოდა, ან საერთოდ საიდანაც მტერს შემოსავალი გზა ჰქონდა. მაგრამ ყველაზე დიდს როლს ქალაქთა გაზრდა-გაშენებაში—სავაჭრო ურთიერთობა თამაშობდა.

საქმე ისაა, რომ ციხე-სიმაგრე მარტოოდენ გარეშე მტრისაგან მოსაგერებლად როდი იყო საჭირო. იგი საჭირო იყო აგრეთვე იმისათვის, რომ ვაჭრობის პუნქტი ყოფილიყო, ისეთი პუნქტი, სადაც საქონლის პატრონნი ერთმანეთს შეხვდებოდენ. გარდა ამისა, ქალაქი

(ციხე-სიმაგრე) ისეთი ადგილი იყო, სადაც ვაჭრებს არ უნდა ჰქონოდათ მიში ძარცვა-გლეჯისა. ქალაქის წარმოშობის სურათი ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ **მცხეთის** განდიდების ისტორიას.

მცხეთა ისეთს ადგილს იყო გაშენებული, სადაც რამოდენიმე გზა (დასავლეთიდან, აღმოსავლეთ სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან) ჯვარედინდებოდა. ვისაც საქართველოში რაიმე აღებ-მიცემემობის წარმოება უნდოდა, მას უეჭველად მცხეთა უნდა გაევლო, იქ გაჩერებულიყო. ამიტომ ეს ადგილი ერთნაირ საწყობად, სავაჭრო პუნქტად გადაიქცა. ახლო—მახლო და შორეული ქვეყნებიდან მოსული ვაჭრები აქეთკენ მოეშურებოდენ: მოჰქონდათ გასაყიდი საქონელი და იქიდანვე მიჰქონდათ თავიანთვის საჭირო საქონელი. როდესაც ვაჭრობა გაცხოველდებოდა, საჭირო გახდებოდა მისი მოწესრიგება.

საქონელს ძარცვა-გლეჯისაგან დაცვა ესაჭიროებოდა. რასაკვირველია ყველა ვაჭარი იქითკენ მიაწურებდა, სადაც ამნაირი დაცვისა და უზრუნველყოფის უფრო მეტი შანსი იყო. ციხე-სიმაგრის პატრონის სასარგებლოდ ის განსაზღვრულ ხარკს გაიღებდა, ოღონდ თავისი ქონება (და ზოგჯერ სიცოცხლეც) დაეცვა სხვადასხვა ხიფათისაგან. ამნაირად, ციხე-სიმაგრესთან ყოფნა ხელსაყრელი იყო როგორც ციხის პატრონის, ისე ვაჭრებისათვის. თანდათან ამ ციხეთა ირგვლივ შენდებოდა მოსახლეობა, საწყობები, ბაზრები. ზოგი ვაჭარი მუდმივად იყო, ზოგი კიდევ მხოლოდ განსაზღრული დროის განმავლობაში ცხოვრობდა იქ. ამნაირად გაჩნდენ ჩვენში ქალაქები, რომელნიც იმავე დროს ადმინისტრატიულ ცენტრებსაც წარმოადგენდენ.

გვაროვნული სახელმწიფო (იბერია და კოლხეთი). პირველ საუკუნეში ქრისტეს წინ საქართველოში უკვე ორი ჩამოყალიბებული სახელმწიფოა: **კოლხეთი და იბერია.** რომაელთა მთავარსარდალმა პომპეიმ (65 წელს ქ. წინ) საქართველო რომ დაიპყრო, მას იბერიაში შეფე არტაგი დახვდა და შეებრძოლა კიდეც. მაგრამ რანაირი იყო იბერიისა და კოლხეთის სახელმწიფოებრიობა? როგორ წარმოიშვა იგი?

საზოგადოდ, როცა ძველებურ „სახელმწიფოზე" ვლაპარაკობთ, ჩვენ გვაქვს მხედველობაში სამი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება: ერთი ხელისუფლების, განსაზღვრული ტერიტორიისა და ამ ტერიტორიის მოსახლეობის არსებობა. სიტყვა „სახელმწიფოს" ამიტომ ჩვენ აქ ვხმარობთ მის ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოსთან მას ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო. და აი, რამდენადაც არსებობდა განსაზღვრული მოზრდილი ტერიტორია და იქაური მოსახლეობა ემორჩილებოდა **ერთს ხელისუფლებას**, იმდენად ამ ერთეულს შეიძლება სახელმწიფო ვუწოდოთ.

საერთოდ ძველი, ეგრედწოდებული გვაროვნული სახელმწიფოები ორგვარის გზით წარმოიშვოდა: ან ეს იყო გაზრდილი **ერთი ოჯახი**, რომლის მეთაური მის „მეფედ“, მმართველად ითვლებოდა. ან ეს იყო გაერთიანება **რამოდენიმე ოჯახისა**, რომელნიც ჰქმნიდენ ერთს ორგანიზაციას, ოჯახის მსგავსად და ხატად. რამდენადაც უფრო პატარაა ასეთი „სახელმწიფო“, იმდენად უფრო დიდია საერთო საქმეებში მის წევრთა მონაწილეობა. მამასახლისის (პატრიარქის) ირგვლივ არსებობს **საოჯახო საბჭო**, რომელიც მეთაურს ყველაფერში ეხმარება. ამ საბჭოში მხოლოდ მმართველი ოჯახის წევრნი იღებენ მონაწილეობას. მაგრამ რამდენადაც უფრო დიდია **სამამასახლისო**, მით უფრო ნაკლებს მონაწილეობას ღებულობენ მისი მცხოვრებნი თავისი თემის საქმეებში, ვინაიდან საოჯახო საბჭოს წარამარა შეკრება ძნელია. მამასახლისის უფლებას განსაკუთრებით აძლიერებს კიდევ ის, რომ იგი **ქურუმიც** არის. ძველთა წარმოდგენით, გვარისა თუ თემის საქმეებს თემისა თუ გვარისავე **ღვთაება** განაგებს. ამ ღვთაებასთან ყველაზე ახლო კი მამასახლისია. ეს სიახლოვე თავისიანებში მას უფრო მეტს ავტორიტეტს სძენს. ის ვინც ღმერთებთან ლაპარაკობს, ვისაც ეს ღმერთები ხშირად უსმენენ—უეჭველია, არაჩვეულებრივი ადამიანია. ის ღვთისა და კაცთა შორის შუამავალი ხდება. პირველყოფილი ოჯახი, რომელიც ისე გაიზარდა, რომ უკვე თემს წარმოადგენს—**მამასახლისის** ღირსებას დიდი პატივით ეპყრობა. რაკი ის განსაკუთრებული პიროვნებაა,—ცხადია, მისი ხსოვნის შეურაცხყოფა და უპატივცემლობა იქნება,—მისი სიკვდილის შემდეგ მამასახლისად სხვა ოჯახიდან რომ აირჩიონ ვინმე. ესეც არ იყოს, ვის აქვს იმდენი შეძლება, რამდენიც, მამასამლისის ოჯახს? ვის შეუძლია გაჭირვების დროს ეკონომიურად დაეხმაროს თემს? მხოლოდ და მხოლოდ მამასახლისის მდიდარს ოჯახს. მაშასადამე მამის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი მისმა **უფროსმა შვილმა**, ან ყოველ შემთხვევაში ამ ოჯახის უხუცესმა უნდა დაიჭიროს. ეს საკვლებით ბუნებრივია. ამნაირად შეიქმნის **მამასახლისობის თანამდებობის** ერთი ოჯახისადმი მემკვიდრეობითი დასაკუთრება.

ცხადია, გვაროვნული სახელმწიფო შეიძლება ჩაისახოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის ხალხი უკვე ბინადარ ცხოვრებას ეწევა. მიწა—თემის საკუთრებას წარმოადგენს. აგრეთვე ჯოგი, საძოვარი და სხვა. შეუძლებელი იქნება მეურნეობის გაწევა, თუ ეს ბინადარნი მეორე თემის შემოსევის მუდმივ შიშს განიცდიან. მტრის წინააღმდეგ, თავის ავლა-დიდების დასაცავად რამდენიმე ოჯახი შეერთ-

დება და **თემს შეადგენს**. ეს თემი, რასაკვირველია, ოჯახისავე მსგავსად ეწყობა და მეთაურად უხუცესი, **მამასახლისი** ჰყავს.

კარგა ხნის განმავლობაში ქართველობა თემობრივ-გვაროვნულად ცხოვრობდა და ერთს ხალხს არ წარმოადგენდა. ამ ცალკე თემებს საერთო თითქმის არა ჰქონდათ რა და გამუდმებულს ურთიერთ ბრძოლასა და ქიშპობაში იყვნენ. მაგრამ თანდათანობით პირველობას იჩენდა რომელიმე თემი. იგი სხვებს იმორჩილებდა ან იარაღით, ან ეკონომიურად. აღმოსავლეთ საქართველოში ამნაირი გამაერთიანებელი თემის როლი ითამაშა **მცხეთის სამამასახლისომ**. სწორედ მცხეთის სამამასახლისომ შეჰკრიბა ერთეულად სხვადასხვა თემი და თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა. ამნაირად შეიკრა ტომი და შეიქმნა მცხეთის სამამახახლისო, რომელიც შემდგომ **იბერიას** შეიცავდა. მცხეთის სამამასახლისოს წყალობით აღმოსავლეთი საქართველო გადიქცა ერთ „სახელმწიფოდ," რომელიც გვაროვნულ ნიადაგზე იყო დამყარებული.

მცხეთის მოხერხებულ მდგომარეობასა და ამის მნიშვნელობაზე უკვე ვილაპარაკეთ, როდესაც ქალაქთა გაჩენაზე გვქონდა საუბარი. აქ აღვნიშნავთ კიდევ მხოლოდ რამდენსამე გარემოებას.

მცხეთაში მართლაც დიდი სიმდიდრე ტრიალებდა. ამას, სხვათა შორის, იქ ფარნაოზის მიერ ნაპოვნი განძის შესახებ ლეგენდა მოწმობს. სჩანს, ოქრო-ვერცხლს უკვე დიდი გასავალი ჰქონია და მისით კეთდებოდა საქმე. ამას ცხადად მოწმობს ლეგენდის (ფარნავაზის შესახებ) შემდეგი ადგილები: ფარნავაზი შეუთვლის საეგრელოს მფლობელს ქუჯის—დიდძალი ხვასტაგი (ფული) ვიშოვნე: ამ ფულს წამოვიღებ და ვიხმაროთ ორთავემაო. ქუჯიმ უპასუხა: მოდი ჩემთან, „ნუ ჰშურობ ხვასტაგსა შენსა და ხვასტაგებითა შენითა განიმრავლნე სპანი (ჯარი) შენნიო". ფარნავაზიც ეუბნება: „აწ ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანიო". („ქ. ცხ". ზ. ჭიჭ. გვ. 37)

რას მოწმობს ეს? უეჭველია ეს იმის დასტურია, რომ მცხეთის სამამასახლისოში ხვასტაგს (ფულს) უკვე დიდი ძალა ჰქონია. მისით შესაძლებელი ყოფილა არა მარტო გარეშე მტრისაგან განთავისუფლება. მისით შესაძლებელია **„განმრავლება სპათა"**. მაშასადამე აქ უკვე არის ჩანასახი იმისა, რასაც შემდგომ რაზმი, მსახურნი და მხლებელნი ეწოდებოდათ. ვისაც ხვასტაგი მეტი ჰქონდა, უეჭველია, მას რაზმიც დიდი და კარგად შეიარაღებული ეყოლებოდა. ყველაზე მძლავრი რაზმის პატრონი კი, ცხადია, შესძლებდა დანარჩენების დამორჩილებას: უბრალო მამასახლისი—მეუფე მამასახლისად გადიქცეოდა.

ამნაირად **გვაროვნული სახელმწიფო** ერთის მხრით გვარებზე იყო დამყარებული, მეორე მხრით ვაჭრობით გამდიდრებული მცხეთის მამასახლისი შეიქმნა ნამდვილი ბატონ-პატრონი თავისი ტერიტორიისა. სახალხო კრება თანდათან ჰკარგავს პირვანდელ მნიშვნელობას და თითქმის მთელი ხელისუფლება გადადის „ბელადის", წინამძღოლის, მეუფე-მამასახლისის ხელში. ამ მეუფე-მემასახლისს თავისი მოადგილეები, ერისთავები ჰყაკს სხვადასხვა კუთხეებში. რომ ერისთავებს ნამდვილად მეფე (მეუფე მამასახლისი) ნიშნავდა, ამის ცხადი ნიშანია „ქართლის ცხოვრებაშიაც". სხვანაირად არც შეიძლებოდა. პირვანდელი პრიმიტიული წყობილობის დროს შეუძლებელი იყო ცოტად თუ ბევრად მოხრდილი ტერიტორიის ისე გაძღოლა და გამგეობა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი მოადგილეები არ დასჭირებოდა.

მოგვითხრობს რა ფარნაოზ მეფის ღვაწლს, მემატიანე გადმოგვცემს: „...მაშინ ფარნავაზ უშიშქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლისა და ეგურსა ზედა: და განამრავლნა ყოველნი მხედარნნი ქართველსიანნი, **განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტნი**". შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რომელს ერისთავს რა ტერიტორია მისცა სამმართველოდ („ქართლის ცხოვრება," ზ. ჭიჭ. გამ. 38-39 გვ.). ერისთავების დანიშვნა მეუფე მამასახლისის მიერ ცხადად მოწმობს, რომ აქ უკვე შეუძლებელი იყო ძველი თემობრივ გვაროვნული წყობილების დარჩენა. აქ უკვე საქმე გვაქვს **სახელმწიფოსთან**. ეს სახელმწიფო გვაროვნულ წყობილებაზეა აღმოცენებული და მრავალი მისი ნაშთი მასში ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ ეს ნაშთები თანდათან ისპობა, ეკონომიური უთანასწორობა მეფდება, წარმოიშვიან და ყალიბდებიან წოდებანი. რასაკვირველია, გვაროვნული წყობილების დარღვევა უცბად არ მომხდარა. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც რამდენსამე საუკუნეს გაგრძელდა.

მცხეთის სამამასახლისოს რომ დიდი ეკონომიური და ამის გამო პოლიტიკური გავლენა ჰქონდა, ამას ცხადყოფს რომაელების მისდამი დამოკიდებულებაც. რომაელები იბერიას (ე. ი. მცხეთის სამამასახლისოს) შედარებით შელავათიანად ეპყრობოდენ და მის მართველებთან თანხმობით ყოფნას რჩებოდენ. რომის სავაჭრო კაპიტალი დაინტერესებული იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მტკიცე ხელისუფლება ჰქონოდა. ამისთანა მტკიცე ხელისუფლების წარმომადგენელი მცხეთის მამასახლისი იყო. ამიტომ რომაელები სწორედ მისი საშუალებით ცდილობდენ საქმის კეთებას და, როგორც სჩანს, მიზნისთვის მიუღწევიათ. მცხეთაში ნაპოვნ (1867 წ.) ქვაზე წარწერა მოწმობს

რომ რომის იმპერატორებს იბერიის მმართველისათვის ციხე-გალავანიც კი აუშენებიათ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას რომმა, რამდენადაც მის სავაჭრო კაპიტალისათვის ეს საჭირო იყო,—ხელი შეუწყო იბერიაში ერთი ხელისუფლების დამყარებას და გვაროვნულ საფუძველზე დამყარებული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

საკუთრების წარმოშობა. ადამიანთა პირველყოფილმა საზოგადოებამ **კერძო საკუთრება** სრულიად არ იცოდა. პირველყოფილი ადამიანისათვის საჭმელ-სასმელიც კი არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, ვინაიდან იგი ცხოვრობდა ერთი დღის ინტერესით: თუ ჰქონდა რამე—სხვებსაც ადვილად უწილადებდა და მათგანაც ადვილად მიიღებდა. არავინ არავითარ მარაგისათვის არ ზრუნავდა. პირველი საგანი, რომელიც კერძო საკუთრებად გადიქცა—ეს იყო სხვადასხვა **იარაღი, სამკაული და შემდგომ ტანისამოსი.** იარაღი პირველყოფილ ადამიანს მუდამ თან უნდა ეტარებინა. ამიტომ იგი მას შეეჩვია და მის გარეგან გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. ეს იარაღი თითქმის ადამიანის სხეულის განუყოელ ნაწილად გადიქცა. ამიტომ მას განსაკუთრებული სიყვარულით უყურებდენ და მისი დათმობა სამარცხვინოდ მიაჩნდათ. ასეთი იარაღი ძველად იყო: შუბი, მახვილი, ურო, ლანა და ცული. მეორე საგანი, რომელსაც პირველყოფილი ადამიანი მუდამ ატარებდა და რომელიც მას სხეულზე უშუალოდ ეკიდა—ეს იყო სხვადასხვა **სამკაული** და შემდეგ—ტანისამოსი.

რაკი კერძო საკუთრება არ არსებობდა,—ერთმანეთისადმი სურსათ-სანოვაგის გაზიარება ხშირი მოვლენა იყო. ეს მით უმეტეს, რომ პირველყოფილი საზოგადოება—ერთი ოჯახისაგან შესდგებოდა. კერძო საკუთრების უქონლობის ნაშთია, სხვათა შორის, ჩვენებური **სტუმართმოყვარეობა,** რომელიც ევროპიელებს აკვირვებს. იარაღისადმი დიდი პატივისცემა—ჩვენს ხალხში ამ ბოლო დრომდე ფრიად გავრცელებულია. იარაღის აყრა—ქართველი ადამიანისათვის უდიდეს დამცირებას ნიშნავს. ეს ითქმის განსაკუთრებით მთიელებზე. მთიელის ეს რწმენა, მშვენივრად აქვს დახასიათებული ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“-ში. როდესაც აფშინა იარაღს აჰყრის გოგოთურს, ეს უკანასკნელი მოთმინებიდან გამოვა, აფშინას ძირს დაანარცხებს, ახლა თვითონ აჰყრის იარაღს და ეუბნება:

—კი ყოფილაა ადვილი
სხვისად მიცემა აბჯრისა,
სხვის წელზე სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანრჯრისა!
კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია—ო

და რაინდულად უბრუნებს აფშინას წანართმევს იარაღს.

მეჯოგე ხალხებში საკუთრება ჩნდება მაშინ, როდესაც ჯოგი მრავლდება. პირველყოფილ ოჯახს, ცხადია, უკვე აღარ შეუძლია ერთს დღეს შეჭამოს თავისი საქონელი. იგი აშინაურებს მას და მომავლისათვის ინახავს. ამნაირად წარმოიშვის სახლის, გვარისა და შემდგომ **თემის საკუთრება.** სტრაბონის დროს საქართველოში არსებობდა თემები, რომელთა უმთავრეს სიმდიდრეს სწორედ შინაურ პირუტყვთა ჯოგები შეადგენდა.

ყველაფერი ეს იყო გვარის, სახლის საკუთრება. მაგრამ როგორ გაჩნდა მიწის კერძო საკუთრება?

ამის მიზეზი მრავალი იყო, ხოლო უმთავრესი როლი ითამაშა: **ხალხის გამრავლების გამო ახალ-ახალი ტერიტორიების ძებნამ და დაპყრობამ და ვაჭრობის გაფართოებამ.** ყველაფერს ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა თემობრივი წყობილების შეცვლასა და ხალხის ეკონომიურ დიფერენციაციაზე.

ვაჭრობაში, თუნდაც მას მარტოოდენ საგარეო ხასიათი ჰქონოდეს, უეჭველია ყველა ერთნაირს ნიჭსა და მარიფათიანობას ვერ გამოიჩენდა. ეს ცხადი გახდება ჩვენთვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვავითვალისწინებთ, თუ რას ვაჭრობდენ ძველს საქართველოში. გარდა ჭურჭლეულობისა, რაიც ხელოსნობის განვითარებას მოითხოვდა, უმთავრესი სავაჭრო საგანი იყო თაფლი (ველური), ფისი, სხვადასხვა ნადირთა ბეწვეული. ყველაფერ ამის მოპოება, გამოცდილებას და უნარს მოითხოვდა. გამოჩნდებოდა თემში ისეთი, რომელიც სხვებზე უკეთესად მოახერხებდა ყველაფრის გაკეთებას, მოგებით გაჰყიდიდა და ამნაირად სხვებზე მეტს **სიმდიდრეს** შეიძენდა. ამ სიმდიდრის წყალობით იგი უფრო მეტად პატივცემული და გავლენიანი შეიქნებოდა თავის წრეში. ეკონომიური დოვლათი საშუალებას მისცემდა მას მეტი გავლენა მოეხდინა თანამოძმეებზე და პირველი კაცი შექმნილიყო. უეჭველია, მარტო ის თავის გაფართოებულ საქმიანობას ვერ გაუძღვებოდა. ამ დროიდან ჩაისახება საქირაო შრომა. ამგვარი შრომა პირველ ხანებში მხოლოდ შემთხვევითია. თან-თან, საქმიანობის გაზრდასა და გართულებასთან ერთად, მას სისტემატიური ხასიათი ეძლევა. მდიდარი კაცი გაიჩენს **მსახურს,** რომელიც მის ფართო მეურნეობაში მონაწილეობას ღებულობს და სამაგიეროდ მის ხარჯზე ცხოვრობს. ამნაირად ჩნდება უთანასწორობის ერთ-ერთი ელემენტი.

მეორე მხრით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტყვეების ხელში ჩაგდებას ომიანობის დროს, ან მათს ყიდვას. ჩვენ ვიცით, რომ ტყვე-

ების ყიდვა ჩვენში, როგორც ყველგან ძველი დროის განმავლობაში, ძალიან ხშირი იყო. „სულთა კაცთასა“ ჩვენი წინაპრები შორეულ ტვიროსშიაც კი ვაჭრობდენ. ნაყიდი, ან ომიანობის შემდგომ მოყვანილი ტყვე—სრული საკუთრება იყო თავის პატრონისა, იგი მონის მდგომარეობაში ვარდებოდა. მონების შრომა მის პატრონს საშუალებას აძლევდა უზრუნველად ეცხოვრა და თავისი ქონებაც გაეძლიერებინა. პირველ საუკუნეში **მონები, მსახურნი**—უმთავრესად მხოლოდ მეუფე-მამასახლისის (მეფის) ვვარეულობას ჰყავდა. შემდგომს ხანებში, საზოგადოებრივი დიფერენციაციის წყალობით—როგორც აღვნიშნეთ, მონები და მსახურნი სხვა წრეებმაც გაიჩინეს. ეს წრეები—შეძლებულთა წრეები იყვნენ. ქონებრივ სიმდიდრეს—სხვა მხრივ გაძლიერებაც მოსდევს. შეიქმნის ტერმინი დიდი, **დიდებული**, რომელიც **სიმდიდრისაგან** წარმოიშვის (ალ. ხახანაშვილი). ქართულ ისტორიაში ცნობილი **„ჰეროვნება“**—მაღლამდგარობა—პროფ. ა. ხახანაშვილის მართალი შენიშვნის მიხედვით,—შეძლებულს, მდიდარს უფრო ნიშნავდა, ვიდრე წოდებას. წოდებად ეს წრე მხოლოდ შემდგომ ხანებში გადიქცა. წოდებრივ ამაღლებას რომ ყოველთვის ეკონომიური საფუძველი ჰქონდა, ამას აშკარად მოწმობს თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებიც. იგი პირდაპირ ამბობს: **„გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“** („ქ. ც.“ ჭიჭ. გვ. 408).

ცხადია, გვაროკნულ წყობილების უკანასკნელ ხანებში, როდესაც კერძო საკუთრება ნაწილობრივ უკვე შემოსული იყო—სახალხო კრების ძველი როლიც შეიცვლებოდა. აშკარაა, სახალხო კრებაზე მდიდარს უფრო მეტი გავლენა ექნებოდა, ვიდრე ეკონომიურად უძლურს, ვსთქვათ იმას, ვინც იძულებული იყო მდიდრის მსახურად ყოფილიყო. იურიდიულად ისინი ჯერ კიდევ თანასწორები იყვნენ, მაგრამ ფაქტიურად მდიდარი ყოველთვის ბატონობდა. თავის სიმდიდრეს, მისი აზრით—საკუთარი უნარიანობითა და გარჯილობით შეძენილს, ის უკვე აღარ სთვლიდა სახალხო ქონებად.

ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა აგრეთვე **მიწის კერძო საკუთრებაც**. ეს დაახლოებით ასე ხდებოდა. ხალხის მომრავლება ახალ-ახალი მიწების ძებნას იწვევდა. ამ ძებნის დროს, ვსთქვათ, რომელიმე ოჯახი წააწყდა კარგს ადგილს. იგი ამ ადგილს უკვე აღარავის დაუთმობს. ნიშნად იმისა, რომ ესა-თუ-ის მიწა განსაზღვრული პიროვნებისა თუ ოჯახისაა, მისი პატრონი მას სამნებით შემოფარგლავს, ხოლო შემდგომს ხანებში შემოღობავს კიდეც, რათა ნათესები პირუტყვმა ან ნადირმა არ გაუფუჭოს. ესაა მიწის კერძო საკუთრების დასაწყისი.

არის მეორე მხარეც ამ პროცესისა. მიწას სახალხო ყრილობა აძლევს რომელსამე პირს **„წყალობად“** საზოგადო საქმისათვის, ლაშქრობაში გმირობის გამოჩენისა და სხვა ათასგვარი მიზეზის გამო. ეს მიწა უკვე მისი კერძო საკუთრებაა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საამისო იურიდიული საფუძველი, ან ჰქვია თუ არა მას საკუთრება. **ვაჭრობისაგან შექმნილი სიმდიდრე, მიწის კერძო საკუთრების გაჩენა**—აი, პირველი მძლავრი ფაქტორები საზოგადოებრივი დიფერენციაციისა. სწორედ უკვე ასე დანაწილებული თემის, სოციალურად უთანასწორობის განვითარების ნიადაგზე იშლება და ირღვევა გვაროვნული წყობილება.

აზნაურთა წარმოშობა. „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით ისე გამოდის, რომ აზნაურები უცხოელები ყოფილან. ისინი ჩამომავალნი არიან იმ **აზონისა**, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა საქართველოში დასტოვა მმართველად მას შემდეგ, რაც მან ჩვენი ქვეყანა დაიპყრო. ქართლოსიანთა ჩამომავალმა ფარნაოზმა აზონი დაამარცხა და მთელი საქართველოს მეფედ თვითონ შეიქმნა. ამ ბრძოლის დროს აზონს ჩამოშორდა ათასი მხედარი და ქართველებს მიემხრო. ფარნაოზმა მადლობის ნიშნად ისინი „განჰყენა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისა მხნედ იყვნენ და უწოდა მათ სახელად **აზნაურნიო**“ („ქ. ც.“ ჭიპ. გამ. გვ. 40).

უეჭველია, ეს გადმოცემა ბუნდოვანი მოგონებაა რაღაც ისტორიული ამბისა, რომლის მიხედვითაც საქართველოს დაპყრობა მომხდარა, დამპყრობელნი ჩვენს ქვეყანაში დარჩენილან და ადგილობრივს მცხოვრებლებზე გაბატონებულან ცხადია, ისინი ცალკე წრეს, პრივილეგიით მოსილ წოდებას წარმოადგენდენ. ზოგიერთი ხალხის ისტორიაში მართლაც მომხდარა, რომ **არისტოკრატია** უცხო დამპყრობელთაგან წარმომდგარიყოს. აღსანიშნავია ერთი წვრილმანიც. დღევანდელ ქართლშიც კი გაიგონებთ: „ეს **ქართველი კაცია**, ის აზნაურია“. „ქართველს“ მთქმელი ამ შემთხვევაში მხოლოდ გლეხკაცს უწოდებს. **ქართველი და გლეხი** ქართლელისათვის თითქმის სინონიმები იყო. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირვანდელი არისტოკრატია ჩვენში მართლაც უცხოელ დამპყრობელთა ჩამომავალია. ეს მით უმეტეს შესაძლებელია იმ დროისათვის, რომელსაც მემატიანე ეხება (მე 4 ს. ქ. წინ). ჩვენ უკვე ვიცით (მაგალითად ქსენოფონტეს მოწმობით), რომ მე-4 საუკუნესა და შემდეგშიაც საქართველოში გვაროვნული წყობილება ბატონობდა და წოდებრივი დაყოფა მაშინ არ ყოფილა.

მაგრამ არისტოკრატიის ასეთი წარმოშობვა იშვიათია. გარდა ამისა, მისაღებია მხედველობაში ერთი გარემოება. არისტოკრატია (ე. ი. გაბატონებული წრე), პირველ ხანებში შეიძლება უცხოელიც, შეუძლებელი იყო სასტიკად კარჩაკეტილი დარჩენილიყო. შეიძლება ეს ყოფილიყო **არისტოკრატია სისხლის**, მოდგმის. მაგრამ თვით გვაროვნული ცხოვრების შინაგანი პროცესები ხელს უწყობდა იმას, რომ ეს არისტოკრატია ადგილობრივი ელემენტებით გაზრდილიყო.

საერთოდ აზნაურობის შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას: იყო არისტოკრატია **მოდგმის**, ან ლიპერტის სიტყვა რომ გავიმეოროთ, **პატრიარქალური** ჩამომავლობისა. ასეთი აზნაურები (ე. ი. თავისუფალნი, გვარიანები) ან დამპყრობელების ჩამომავალნი იყვნენ, ან მოდიოდენ იმ პატრიარქ—მამასახლისებისაგან, რომელნიც პირველ ხანებში მხოლოდ თავის ოჯახში ბატონობდენ, მართლაც **მამა-სახლისანი** იყვნენ და მხოლოდ შემდეგში გადიქცა მათი ნათესაობა ცალკე წოდებად.

წარმოიდგინეთ პირვანდელი ოჯახი. გარდა ტანსაცმელის და ზოგიერთი იარაღისა, კერძო საკუთრებით სრულიად არავინ სარგებლობს. ოჯახს ესაჭიროება მეთაური. ასეთ მეთაურად ყველაზე გამოცდილი, ჭირნახული, სხვებზე უფრო მეტად მცოდნე უნდა იყოს. ასეთი კი იქნება ოჯახში მყოფი უხუცესი წევრი. მას ბევრი რამ უნახავს თავის სიცოცხლეში და ახალგაზრდები მისგან ჭკუის სწავლებას არ ითაკილებენ. ისინი პატივისცემით ეპყრობიან მას და უსიტყვოდაც ემორჩილებიან. რა შეადგენს ამისთანა **მამასახლისის**, პატრიარქის მოვალეობას? იგი ანაწილებს ოჯახის წევრთა შორის სამუშაოს, სწყვეტს ყველა საკითხს მთელი ოჯახის მაგივრად, წარმომადგენელია თავის ოჯახისა სხვათა წინაშე და სხვ.

ვსთქვათ, ოჯახი ისე გაიზარდა, რომ იგი ერთს სახლში აღარ ეტევა. გაზრდილი ოჯახი ნაწილდება, ესე იგი რამდენსამე ქოხს იშენებს, მაგრამ მთლიანობას არ ჰკარგავს. ყველა ჯოხი ისევ **მამასახლისის** ქოხს გარშემოა გაშენებული და იგი კვლავ მათ უფროსად, მბრძანველად ითვლება. მუშაობის გასაადვილებლად იგი საოჯახო მიწებს ანაწილებს ცალკე წევრთა შორის. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ რაც უნდათ ის დასთესონ და მონაგარი თავის ოჯახშივე მიაქვთ. უკვე აღარ არსებობს საერთო კერა და სამზარეულო, სადაც მთელი ოჯახისათვის საზრდო ერთად მზადდებოდა. თავის კუთვნილ მიწაზე ოჯახის ცალკე ნაწილები მუშაობენ უკვე როგორც წვრილი მესაკუთრენი. თანდათან ისეთი მდგომარეობა შეიქმნის, რომ შეუძლებელი ხდება **მამასახლისმა** ის ყოველდღიური მუშაობა შეასრუ-

ლოს, რასაც სხვები ასრულებენ. იგი მხოლოდ ოჯახის საერთო საქმეებს უძღვება, მის მთლიანობას იცავს იმით, რომ სადაო საკითხებს სწყვეტს. იგი ზოგს რაიმე დანაშაულისათვის სჯის, ზოგს ასაჩუქრებს. რითი-ღა ცხოვრობს თვითონ? ის ცხოვრობს იმ სურსათ-სანოვაგით, რომელსაც მას დიდი ოჯახის წევრები მიუტანენ, როგორც უფროსს. ამითვე ინახავს იგი თავის საკუთარ ცოლ-შვილსაც. რადგან მამასახლისისათვის წილის გაღება ყველას მოვალეობას შეადგენს—**მისი ქონება ყოველთვის მეტია, ვიდრე რომელიმე ცალკე ოჯახისა.** მას შეუძლია მარაგიც ჰქონდეს. ამ მარაგით იგი დახმარებას უწევს იმ წევრს, რომელსაც რაიმე მიზეზით საზრდო შემოაკლდება და გაჭირვებაში ჩავარდება.

ვთქვათ, რომელმამე მეზობელმა თემს ბრძოლა გამოუცხადა და თავს დაესხა. ვინ უწინამძღვრებს მებრძოლთ, ვინ შეჰკრებს რაზმს და ვინ დაჰყოფს მას საჭიროებისამებრ? უეჭველია, უხუცესის ოჯახი, მსხი მეთაური. რამდენადაც იგი ამისთანა ომიანობიდან გამარჯვებული გამოდის, იმდენად მისი გავლენა უფრო და უფრო იზრდება. გავლენას რომ თავი დავანებოთ, იგი ომიანობისაგან სარჩოსაც გამოელის. მ ტრისათვის წანართმევი დავლის განსაზღვრული ნაწილი მას ეკუთვნის. ამიტომ მისთვის ლაშქრობა სახალისო და მომგებიანი საქმეა..

ამნაირად, გარდა იმ ადმინისტრატიული ფუნქციებისა, რომელიც გამოჩენილი გვარისა და მისი მეთაურის ხელში იყო პირველ ხანებში,—მათ ხელთ უვარდებათ **ქვეყნის დაცვის საქმე, მხედრობა.** რადგან სხვა სამუშაო არა აქვთ რა, ეს მხედრები თავის საქმის სპეციალისტები ხდებიან: მათ სხვებზე უკეთესი იარაღი აქვთ და უკეთესადაც იბრძვიან. ამ იარაღს **ისინი** მიმართავენ უმთავრესად გარეშე მტრების წინააღმდეგ, მაგრამ შინაურების დასამორჩილებლადაც მის ხმარებას არ თაკილობენ. ბოლოს და ბოლოს, საქმე იმით თავდება, რომ ლაშქრობა, მტრისაგან თემის დაცვა, ხანდახან სხვების რბევაც—განსაზღვრული წრის (ჯერ კიდევ მცირერიცხოვანის) **ხელობად** გადიქცევა. ამ წრის მოვალეობას მხოლოდ **რაზმელობა,** გარეშე მტრებისაგან დაცვა წარმოადგენს. ამიტომ ისინი სათემო მუშაობაში უკვე პირდაპირ მონაწილეობას აღარ ღებულობენ. სხვები მუშაობენ მათ მაგივრად და სხვები ინახავენ მათს ოჯახს. ისინი ჯერ-ჯერობით საზოგადოებრივ—საჭირო ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან: ისინი **აზნაურნი,** ე. ი. თავისუფალნი, **გვარიანნი** (ახლანდელ ქართულში ეს სიტყვა სიკარგის სინონიმია). სხვები კი **უაზრნონი,** არათავისუფალნი, უგვარონი **არიან.**

აზნაურების მოვალეობას რომ უპირველესად ყოვლისა სამხედრო საქმე შეადგენდა, ამას აშკარად მოწ ობს „ქართლის ცხოვრებაც“. ტყუილად კი არ ამბობს მემატიანე, აზნაურებიო (ე. ი. მისი აზრით აზოს ჩამომავალნი) — **მხედარნი** იყვნენ და ამავე მხედრობას ეწეოდენ მას შემდეგაც, როდესაც ფარნავაზმა ისინი „განჰყენა ხევთა და ქვეყანათა შინა“!

სწორედ ამ „აზნაურების“ წრიდან ირჩევდენ იმ მეფეს („მეუფე მამასახლისს“), რომლის შესახებ ლაპარაკობს სტრაბონი იბერიის წოდებათა აღწერილობაში.

ვაჭრობის დაცემა. დაახლოებით მესამე საუკუნიდან ის ვაჭრობა, საქართველო უმთავრესად უცხო ქვეყნებთან რომ აწარმოებდა — ნელ-ნელა ეცემა. ამისი უპირველესი მიზეზი რომის იმპერიის შესუსტება და მის მაგივრად სპარსეთის გაძლიერება იყო. რომის იმპერია თავის დროისათვის ეკონომიურად ფრიად მოწინავე ქვეყანას წარმოადგენდა. იგი ქვეყნებს იმორჩილებდა არა მარტო თავისი შესანიშნავი ლეგიონებით, არამედ კაპიტალითაც. რომაელთა ლეგიონების ძლევამოსილობას ჰქმნიდა სწორედ ეს კაპიტალი; რომელი ქვეყნის წყალსაც რომაული ცხენები დალევდენ, რომის კაპიტალიც მყისვე იქ გაჩნდებოდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში რომაელები სწორედ ისეთს სამამასახლისოს დაიყრდენ, რომელიც ეკონომიურად სხვებზე ძლიერი იყო (მცხეთის სამამასახლისო). ამისთანა პირობებში, შესაძლებელია, რომის ბატონობა საქართველოსათვის არც თუ ისეთი აუტანელი ყოფილიყო.

სულ სხვანაირი ხასიათისა იყო სპარსეთის ბატონობა. სპარსეთს რომთან მთელი წინააზიისათვის ხანგრძლივი ბრძოლა და ქიშპობა ჰქონდა. მაგრამ რომაელებისა და სპარსეთის მიზანი სხვადასხვანაირი იყო. რომს წინააზია თავისი სავაჭრო კაპიტალის სარბიელად უნდოდა. შედარებით ჩამორჩენილი სპარსეთი კი უფრო დინასტიურ და სარწმუნოებრივ იმპერიალიზმის განმახორციელებელად გამოდიოდა. დაპყრობილი ქვეყნებისაგან იგი უპირველესად ყოვლისა და უმთავრესად — **ხარკს თხოულობდა**. ასე იყო მე-5 საუკუნეში (ქ. წინ), როდესაც საქართველო სპარსეთის იმპერიის მე-18 და 19 სატრაპიას შეადგენდა (ქართველები დაახლოებით 500 ტალანტს [1]) იხდიდენ ხარკად) და ასევე დარჩა ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყების შემდეგაც. საუკუნეთა განმავლობაში ეს პოლიტიკა თითქმის არ შეცვლილა,

[1]) ტალანტი დაახლოებით 1500—2000 მანეთს უდრიდა. რასაკვირველია, ეს ფადასახადი უფრო ნატურით იქნებოდა.

თუმცა სპარსეთმა რამოდენიმეჯერ განიცადა ხანა აყვავებისა და შემდგომ დაუძლურებისა.

დაახლოებით მეოთხე საუკუნეში რომის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება შეირყა. ეს იყო ხანა ხალხთა დიდი მიგრაციისა (გადასახლებისა). უნდა ითქვას, რომ ძველად ხალხთა ამისთანა მოძრაობას, რომელიც დღეს უკვე შეუძლებელი საქმეა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპას შეესივნენ ველური ტომები, რომელთაც რომის იმპერიის მთლიანობა დაარღვიეს და მის ძლევამოსილობას სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ **ხალხთა მიგრაცია ძველად უდიდესი რევოლიუციონური ფაქტორი იყო სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრებაში.** ამიტომ სავსებით მართალია კ. კაუცკი, რომელიც ამ მიგრაციას ძველი დროისათვის ისეთსავე როლს ანიჭებს, რანაირსაც დღევანდელ პირობებში რევოლიუციები თამაშობენ (იხ. მისი „Происхождение Христианства“)

ხშირად ხდებოდა, რომ შედარებით დაწინაურებული, ეკონომიურად განვითარებული ერი შემოსეულ ველურთა ურდოების მსხვერპლად გადიქცეოდა ხოლმე. ეს ურდოები ანიავებდენ როგორც ამ ერის დოვლათსა და კეთილდღეობას, ისე მის სახელმწიფოებრიობას. ასე მოუვიდათ, მაგალითად, ქართველთა წინაპარ ტომებს ტიგრ-ეფრატის მიდამოებში ცხოვრების დროს. ისინი თავის დროის მიხედვით ეკონომიურ და სულიერი კულტურის შედარებით მაღალ საფეხურზე მდგარან. ჯერ სემიტების, ხოლო მერე ველური არიელების მოძრაობამ წალეკა როგორც მათი კულტურა, ისე სახელმწიფოებრიობა. ქართველი ტომები გზა და გზა თანდათან ჰკარგავდენ წინანდელ მონაპოვარს მუდმივი ომიანობისა და ველურების თავდასხმათა გამო. ამიერ-კავკასიაში დასახლების დროს ქართველთა წინაპარი ტომების ნამსხვრევები (მე-5 საუკუნეში) თითქმის პირველ-ყოფილ მდგომარეობაში არიან (ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს მოწმობა).

სწორედ ასევე დაემართა რომის იმპერიას. ხოლო რომის ნანგრევებზე აღმოცენებული ბიზანტიის იმპერია სპარსეთზე არც თუ იმდენად მაღლა იდგა. აღმოსავლეთი საქართველო მეოთხე საუკუნიდან უფრო ხშირად სპარსეთის ხელში იყო ხოლმე, ხოლო დასავლეთი საქართველოსთვის (ლაზიკა) მუდმივი დავა და ბრძოლა სწარმოებდა. ერთის მხრით სპარსეთის ბატონობის ხასიათის, ხოლო მეორე მხრით მუდმივი ომიანობის გამო—ცხადია, შესუსტდებოდა ის ვაჭრობა, საერთოდ აღებმიცემობა, რაზედაც ბერძნის მწერლები გველაპარაკებიან. სპარსეთს არ შეეძლო საქართველოს საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის რითიმე ხელი შეეწყო. როგორც აღვნიშნეთ,

საქართველოდან იგი უმთავრესად მხოლოდ ხარკს ღებულობდა როგორც ფულად, ისე ნატურით. ამიტომ საქართველო სავაჭრო ცენტრებს თითქმის სავსებით მოსწყდა და ეკონომიურად განმარტოებული—საკუთარ წვენში იხრაკებოდა.

რაკი ვაჭრობა ეცემა და საქართველოს მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაკტორი აღარაა—**პირველობას მეურნეობის სხვა დარგი, მიწათმოქმედება მოიხვეჭს**. წინად თუ სიმდიდრეს მესაქონლეობა და ვაჭრობით შენაძენი ფული შეადგენდა—**ახლა უდიდესი ფასი მიწას ედება**. დიდებული და ძლიერი ის არის, ვინც მიწას ჰფლობს, ვინც მისი ბატონ-პატრონია. მიწაზე დასახლებული თავის ტერიტორიას მტკიცედ შემოიფარგლავს და ვინაიდან ვაჭრობა დაცემულია—იგი ყველაფერს, რაც რამ სჭირია, თავისსავე მამულსა თუ თემში ამზადებს. ამნაირად ნატურალური მეურნეობა, გვაროვნული წყობილების ეკონომიკის საფუძველი (მიუხედავად იმ ვაჭრობისა, რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ!) კვლავ რჩება და განმტკიცდება. ზოგიერთის მხრით ეს კარჩაკეტილობა ძლიერდება კიდეც. მზადდება ნიადაგი მსხვილი მიწათმფლობელობის განვითარებისათვის.

აღებ-მიცემობის დაცემის გამო დაეცა მისი ცენტრი—**მცხეთის სამასახლისოც**. სპარსელებმა, რომლნიც აღმოსავლეთ საქართველოს ჰფლობდენ, თავის რეზიდენციად ამოირჩიეს ისეთი ადგილი, რომელიც სტრადეგიულად უფრო მოსახერხებელი იყო ქართლსა და კახეთზე გასაბატონებლად. ასეთ ადგილად მათ მიიჩნიეს ახლანდელი **ტფილისის** ტერიტორია, რომელიც მაშინ პატარა სოფელს წარმოადგენდა. სპარსელებმა აქ ააშენეს ციხე-სიმაგრე და აქვე ცხოვრობდა მათ მიერ დანიშნული მმართველი ქართლ-კახეთისა (მარზპანი—განაპირა ქვეყნის მმართველი). ტფილისი – ცენტრალური ხელისუფლების რეზიდენციად გადაიქცა. აღებ-მიცემობის მისუსტების გამო მცხეთას ისედაც უკვე წინანდელი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მემატიანის სიტყვები, რომელსაც იგი იმ ხანის შესახებ ამბობს: „მცხეთას მოაკლებოდა და კალა აღშენდებოდა, ტფილისი განძლიერდებოდა და არმაზი აღთხელდებოდაო“(„ქ. ცხ.“ ჰიჰ. გვ. 237).

სენიორალური სისტემის ჩასახვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ვაჭრობის დაცემის გამო პრიორიტეტი მიწათმფლობელობას ენიჭება. გავლენიანი თემში ისაა, ვისაც მეტი **მამული** აქვს. წინად მიწათმოქმედებას მეჯოგეობისადმი ქვემდებარე ხასიათი ჰქონდა. ხოლო როდესაც გვაროვნულ წყობილების ჩარჩოში მოქცეული ვაჭრობა შესუსტდა და

თავისუფალი საძოვრების გამოლევამ მეჯოგეობის შემდგომს განვითარებას საზღვარი დაუდვა,—საჭირო გახდა მიწის მტკიცედ დაპატრონება და მისი დამუშავების წესის გაუმჯობესება. მიწა—არსებობის უმთავრეს წყაროდ იქცევა. როდესაც ერთი მიწა იფიტება, მას ასვენებენ, ან სასუქს ხმარობენ. დასვენება ამნაირად ხდება: ერთ წელიწადს რომ დასთესენ, მეორე წელს ასვენებენ, ამ დასვენების დროს სასუქს აყრიან და სხვ. უმჯობესდება დამუშავების წესიც. წინანდელი თოხის მაგიერად—უკვე გუთახი შემოდის ხმარებაში და მიწა უფრო ღრმად იხვნება. ამნაირად, მიწათმოქმედების გაბატონების დროს ჩვენ ვხედავთ ამ დარგში მთელ რიგ ტეხნიკურ გაუმჯობესებას, რაიც ზედმეტად ხელს უწყობს მეურნეობის ახალი სისტემის განმტკიცებას.

როგორც ვსთქვით, ამ ახალი სისტემის დრის უპირველესს როლს მიწათმფლობელობა თამაშობს. თემის მამასახლისები, ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობილნი არიან. ისინი ეკონომიურად დაშოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან, ვინაიდან ნატურალური მეურნეობა მეფობს და ყოველი თემი ყველა საჭირო საგანს (გარდა იშვიათის გამონაკლისისა, როგორიცაა მარილი, ძვირფასი ხივთები და სხვ.) თვითონვე ამზადებს და თვითონვე მოიხმარს. ის მამული, რომლის მფლობელადაც წინად მეფის მორჩილი მამასახლისი ითვლებოდა—თითქმის მის სრულ საკუთრებად იქცევა. ყოველ შემთხვევაში იგია ბატონ-პატრონი თავის ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობისა. იგი იცავს მას გარეშე მტრებისაგან და ორგანიზატორის როლს თამაშობს. ბატონი—**პატრონად** იწოდება, უფლად, რომელიც თავის მცხოვრებთ მფარველობს. მტრის შემოსევისა თუ შიშიანობის დროს—მოსახლეობა ამ პატრონის ციხე-კოშკში იხიზნება და თავს იფარავს. სამაგიეროთ იგი **ყმაა** ციხე-კოშკის მბრძანებლისა. იგი ინახავს მის ოჯახს, მის გვარს. ციხე-კოშკი საჭიროა არა მარტო გარეშე მტრებისაგან თავდასაცავად, არამედ მეზობელი მებატონის თავდასხმის მოსაგერიებლადაც. ცალკე ბატონებს ურთიერთშორის გამუდმებული ბრძოლა აქვთ. დამარცხებული გამარჯვებულის **ყმად** იქცევა. რა საკვირველია, ეს არაა ისეთი უბრალო ყმა-გლეხი, რომელიც ბატონს თავის მამულში ბლომადა ჰყავს. მისი უფლება-მოვალეობანი **მასზე** მაღლა მდგარი მებატონისადმი—სულ სხვაა, იმიტომ რომ ამ „ყმას“ თავის მხრითაც ყმები ჰყავს. ამნაირად, დიდმამულიანს—დიდძალი ყმებიც ჰყავდა.

რანაირად გაჩნდენ ეს დიდმამულიანები და რამ შეუწყო ხელი მათს გაძლიერებას?

ჩვენ უკვე შევეხეთ საერთოდ საკუთრების და კერძოდ მიწის საკუთრების წარმოშობას. გვაროვნულ წყობილების საბოლოოდ დარღვევის შემდეგ ყველგან და, რასაკვირველია, ჩვენშიაც, შეიძლება შემდეგნაირი მიწისმფლობელობა შევამჩნიოთ:

პირველი—ეს არის ის, რასაც ევროპაში **ალოდს** უწოდებდენ. ეს იყო ძალით დაპყრობილი, ან ჯერეთ დაუსახლებელი მიწა, რომელსაც ეპატრონებოდა ცალკე მეურნე. ასეთი მიწა მფლობელის სრულს საკუთრებას შეადგენდა. ამნაირს მიწას ბევრი ისაკუთრებდა ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს.

მეორეგვარი მფლობელობა—ეს იყო **ნაბოძები** მიწა. ნაწყალობევი, ე. ი. ის, რასაც ევროპაში **ბენეფიციუმი** ერქვა. მიწას მეუფე მამასახლისი, ან სათემო კრება უბოძებდა ხოლმე რომელსამე მოხელეს არა საკუთრებად, არამედ დროებით სახმარებლად რაიმე დამსახურებისათვის სახელმწიფოს წინაშე, ან სარჩოდ, როგორც მოხელეს. ასეთი მიწა, ცხადია, ვერ ჩაითვლებოდა საკუთრებად. მიწას მიმღები ჰფლობდა მას განსაზღვრულ დროის განმავლობაში. მაგრამ ვინაიდან ეს მიწა უფრო ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდა (მამისაგან შვილზე) —იგი ბოლოს და ბოლოს საკუთრების ხასიათს ღებულობდა, **ლენად**, მამულად (მამეულად) იქცეოდა.

მესამე სახის მფლობელობა—ეს იყო **ფეოდი**. ამ მიწაზე მჯდომი აზნაური ან მოხელე—მემკვიდრეობით ჰფლობდა მამულს. მაგრამ მიწა ითვლებოდა ინის საკუთრებად, ვისგანაც იგი ბოძებული იყო. მფლობელობის სამაგიეროდ მიწაზე მჯდომი ვალდებული იყო თავის პატრონისათვის რაიმე სამსახური გაეწია. ის იყო **მსახური** რომელიმე დიდგვარიანისა, ან პირდაპირ მეფისა. თუ ასეთი მფლობელი დიდი ფეოდის პატრონი იყო—თავის მხრით, ცხადია, მას საკუთარი ხელქვეითნი ეყოლებოდა. ამ მამულში მყოფს ევალებოდა ჯარის უფროსობა, გამგებლობა, ხარკის აკრეფა.

როდესაც ფეოდის, ან ბენეფიციუმის მფლობელი მოკვდებოდა, მის მემკვიდრეებს უეჭველად უნდა განეახლებინათ თავის მამულზე უფლება. მათ ხელისუფლებისათვის უნდა წარედგინათ საბუთი, სიგელი , რომლის მიხედვითაც უფლების დამტკიცება შესაძლებელი იქნებოდა. ცენტრალური ხელისუფლებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა ფრიად იშვიათი იყო ფეოდის („სახარაჯოდ“ მიცემული მამულის) არ დამტკიცების მაგალითები, მაგრამ მფლობელი მაინც ერთნაირ შიშში იყო და დამოკიდებულებას გძნობდა. ამიტომ არის ხშირი, თითქმის სტერეოტიპიულად გადაქცეული ფრაზა ქართულ სიგელებში: „...მოგვიდექით კარსა, ჩვენცა ვიგულვეთ და ვიგულმო-

დგინეთ, ვისმინეთ თქვენი აჯა და მოხსენება და სიგელი (ან გუჯარი) განგიახლეთ... გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულსა სამსახურსა შინაო".

მსხვილი მიწათმფლობელის მამულში მყოფნი—მის ყმებად ითვლებოდენ. პირველ ხანებში ამ ყმობას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ხასიათი. ყმა მიწაზე როდი იყო მიმაგრებული. მას შეეძლო, როდესაც მოისურვებდა, მაშინ მიეტოვებინა იგი და სხვაგან წასულიყო. მაგრამ ეკონომიური გაჭირვება, მფარველობის საჭიროება იმდენად დიდი იყო, რომ ასეთი აყრა და სხვაგან გადასახლება იშვიათი იყო. მსხვილნი მიწათმფლობელნი დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავის მამულში მრავალი მებეგრე ჰყოლოდათ. **„მიწასა ზედა დასმა"** მათთვის ხელსაყრელი საქმე იყო და ამიტომ პირველხანებში ისინი „მიწასა ზედა დასმულებს" შედარებით შეღავათიანად ექცეოდენ.

ყმების მომრავლებას მრავალი გარემოება უწყობდა ხელს. უპირველესად ყოვლისა, რაკი თავისუფალი მიწა აღარ იყო—მიწის მფლობელის მამულში დასახლებული ადამიანი მექანიკურად ამ მიწის პატრონის ქვეშევრდომი ხდებოდა. ეს არ იყო ისეთი ყმობა, როგორი ხასიათიც მან შემდგომ მიიღო. მაგრამ ის მამულის პატრონის წინაშე მაინც მებეგრე, მეხარკე იყო, ვინაიდან მას ან რაიმე სამსახურს უწევდა, ან ხარკს იხდიდა. მაგრამ ყველაზე მძლავრი ფაქტორი ყმობის გამრავლებისა—ეკონომიური შეუძლებლობა იყო. ისეთი მოვალე, რომელიც ნასესხებს ვერ გადიხდიდა—ყმად იქცეოდა. **„მოვალე—მონა არს მოსესხისა და მონა სყიდული, რომლის მსახურება თანა-წარუვალს არსო"** ნათქვამია ერთ-ერთს ძველს ქადაგებაში, რომელიც უცნობს ავტორს ეკუთვნის და დაახლოებით მე-X საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი (ივ. ჯავახიშვილი). როცა მოაწევს ვალის გადახდის დრო და მოვალეს გადახდა არ შეუძლია **„მიეცემიეს თავი თვისი მონებად"**. თუ შვილი ჰყავს, იგი ამ შვილს აძლევს ვალში, ე. ი. მას ნასყიდ ყმად აქცევს. **„ყრმათა თავისუფალთა თანანადებთათვის (ე. ი. ვალში) მამეულთა მიიყვანდეს განსყიდვადო"**,—ნათქვამია იმავე ქადაგებაში.

მეორე ფაქტორი ყმობისა—ეს იყო **სყიდვა**. სიგელ—გუჯრებში ხშირად გვჩვდება ტერმინი **„ნასყიდი ყმა"**. სყიდვა-გაყიდვა რომ ჩვეულებრივი ამბავი იყო, ეს ზემოხსენებული ქადაგებიდანაც აშკარად სჩანს ნასყიდი ყმის მდგომარეობა ყველა სხვა ყმის მდგომარეობაზე უარესი იყო.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა—მფარველობის ქვეშ შესვლას,

მუდმივი ომიანობა, ცალკე მემამულეთა ბრძოლა—ისეთს ყოფაში აგდებს ადამიანს, რომ იგი იძულებული ხდება ვისმე მიეკედლოს და მფარველობა ითხოვოს. **რაკი უპატრონო მიწა უკვე აღარსადაა, აღარც უპატრონო ადამიანია სადმე.** ცხადია, მფარველობა შეუძლია აზნაურს, მდიდარს (ე. ი. მამულის პატრონს). გაჭირვებული ცალკე მეურნე მიდის მსხვილ მიწათმფლობელთან და ეუმობა, „მიენდობა“ მას. ასეთს ყმას **„მინდობილი კაცი“**, ანუ **ნებიერი** (თავისი ნებით ყმად გამზადარი) ერქვა. „მინდობილი კაცი“, „ნებიერად“ ყმად გამზდარი, განსაზღვრულ პირობებს უდებდა მამულის პატრონს. ეს პირობები იწერებოდა სიგელად, ამიტომ ამისთანა ყმებს სხვანაირად **„სიგლოსანი“** ყმები ერქვათ. ამნაირად, ჩვენშიაც, როგორც ყველგან არსებობდა **ნებიერი ყმობა**, ე. ი. ის, რასაც ფეოდალურ ევროპაში **კომენდაცია** ერქვა.

ეკონომიური მხრით ყმათა მდგომარეობა თუმცა ერთნაირი არ იყო, მაგრამ იურიდიულად ყველა ისინი პატრონის საკუთრებას შეადგენდენ. ერთ-ერთ სიგელში, რომელიც მე-XIII ს. (1258 წ.) არის დაწერილი, ქახა ერისთავთ-ერისთავი ამბობს: ს. ხოვლეში მყოფნი გლეხები **„შეწირული, ნებიერი და სიგლოსანი ერთობ ყველაი მიყიდიაო“**.

როდესაც დიდმამულიანები გაძლიერდენ, მათკენ მრავალი ასეთი „ნებიერი“ ყმა მიეშურებოდა. ასეთი გლეხი სახლდებოდა ბატონის მიწაზე, სამსახურს უწევდა მას, ღალას აძლევდა. სამაგიეროდ მამულის პატრონი იცავდა მას სხვა მემამულეთა მძლავრობისა და საერთოდ გარეშე მტრისაგან.

მამულის ბატონი აშენებდა ციხე-კოშკს და, როგორც ვთქვით, მისი ყმები, გარეშე მტრის შემოსევის დროს იქ იფარავდენ თავს. ერთ-ერთ გუჯარში, რომელსაც თ. ჟორდანია მე-10 საუკუნის დოკუმენტად სთვლის, ვკითხულობთ: „....ვითხოვენ ოთხნი სოფელნი“ და მეფემ მიბრძანა „....დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, დავდგი ხევისა კერძოდ... დავადევ ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი“ და სხვ. (თ. ჟორდანია-ქრონიკები, I ტ. გვ. 87-88).

პატრონ-ყმობის პროცესს მშვენივრად ნათელჰყოფს ის, რაც შავშეთ-ჯავახეთში მოხდა. ეს მხარე სპარსელებმა ააოხრეს და თითქმის უკაცრიელი გახადეს: **„მცირედღა დაშთეს ადვილ-ადგილო“** ამბობს მემატიანე. ქართლიდან ლტოლვილი ერისთავი აშოტ კურაპალატი (786-826 წ.) რომ მივიდა, მთელ ამ მხარეს დაეპატრონა. **„მან რომელნიმე სოფელნი მის ქვეყნისანი მოიყიდნა საფასითი და**

ზოგნი ოხერნი აღაშენა და განამრავლნა სოფლები“ („ქ. ც.“ ჭიჭ. გვ. 271) ამ სოფლებში დასახლებულნი, ცხადია, აშოტ კურაპალატის ყმებად ჩაითვლებოდენ. აშოტი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესახლებინა ამ გავერანებულ ადგილებში და ამნაირად თავისი ქვეშევრდომნი მოემრავლებინა. არაბებისაგან შეწუხებული ხალხი ქართლიდან ბლომად გარბოდა არტანუჯის მფლობელისაკენ და იქ ჰპოებდა მეტს შეღავათს.

მამულში მყოფთ „**მამულის კაცნი**“ ეწოდებოდათ. მათ ერთგულად უნდა ემსახურნათ ბატონის წინაშე და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაშიაც მამული უნდა დაეცვათ. ამიტომ არის, **რომ** ყველა სიგელში, რომლითაც ბატონი თავის ყმას უბოძებს რასმე, დასძენს: „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან **ჩვენსა ერთგულებასა შინაო**“.

მაგრამ პატრონ-ყმობის სისტემაში უშუალოდ მარტო ბატონი და გლეხი როდი იყო ჩაბმული. საქმე ისაა, რომ ყველა აზნაური ერთის შეძლებისა და მამულის პატრონი როდი იყო. ამიტომ პატარა მამულის პატრონი თვითონაც ყმა იყო დიდმამულიანისა. იგი იძულებული იყო თავი შეეფარებინა უფრო მძლავრი ბატონისათვის, მისი ყმა გაზდარიყო. ამნაირად იგი გლეხის მსგავსი „ნებიერი“ ყმა გახდებოდა ხოლმე. თავის მამულში იგი დამოუკიდებელი იყო, ყმებიც ჰყავდა, მაგრამ თვითონაც ყმად ითვლებოდა.

მაგალითად, აშოტ კურაპალატი—ერისთავთ-ერისთავი და მმართველი, ბატონი იყო არტანუჯისა. მაგრამ „**მის წინაშე**“ აზნაურებიც იყვნენ. ასეთი იყო, მაგალითად გაბრიელ დაფანჩული, დიდი აზნაური, რომელზედაც მე-X ს. მწერალი **გიორგი მერჩული** („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) ლაპარაკობს. იგივე მერჩული აშკარად მოწმობს, რომ მე-8 საუკუნეში დიდმამულიანობა უკვე ფაქტი ყოფილა. გაბრიელ დაფანჩული იყო „აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა... ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და **სიმდიდრითა... ამას აქვნდეს ზოგნი სოფელნი მახლობლად ვანსა (მონასტრისა) ნეტარისა გრიგოლისაო**“ ამბობს გ. მერჩული. სჩანს, მე-8 საუკუნის დასასრულს დიდმამულიანობა უკვე გავრცელებული იყო და დიდებულ აზნაურებს „**სოფელნი**“ ჰქონდათ.

მაშასადამე ერთნაირი იერარქიული კიბე არსებობდა. ამ კიბის სათავეში ერისთავთა-ერისთავი, მამფალი ან მეფე იდგა. ყველა ესენი ურთიერთს შორის დამოკიდებულებით იყვნენ დაკავშირებულნი. ყველას ყმა ჰყავდა, გარდა გლეხისა, რომელიც „მონა“-ს წარმოადგენდა. დიდმამულიანობის განვითარება, წოდებრივი დიფერენ-

ციაციის ზრდა—დიდხანს გრძელდებოდა, თითქმის 5 საუკუნეს. მერვე საუკუნეში კი სენიორალური წყობილება ასე თუ ისე უკვე აღსახული იყო. მაგრამ წოდებრივი დაყოფა აშკარა იყო უფრო ადრეც. უკვე მე-5 საუკუნეში ემაღლეს წრეთა შორის დიფერენციაცია მომხდარია. მაშინ ჯერ კიდევ მეფობა მოსპობილი არაა და ამიტომ ეს დაყოფა მაშინდელი სახელმწიფოებრიობის ჩარჩოშია მოქცეული.

წოდებრიობის შესახებ ცნობები გვხვდება ერთ-ერთ სალიტერატურო ნაწარმოებში, რომელიც მე-5 საუკუნეშივეა დაწერილი. ეს ნაწარმოებია „ცხოვრებაჲ და წმებაჲ წამიდისა შუშანიკისი“—იაკობ ხუცესისა. იქ ერთ ადგილას ავტორი ამბობს, **„აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“** („ც. წ. შ.“ გორგაძის გამ. გვ. 20).

მაშასადამე მე-5 საუკუნეში წოდებრივი დიფერენციაცია იმდენად განვითარებული იყო, რომ საზოგადოების ზედაფენებშიაც დანაწილება მომხდარა: საზოგადოება უბრალოდ—**აზნაურებად** და **უაზნოებად** კი არაა დაყოფილი, არამედ არიან უბრალო აზნაურნი და **„აზნაურნი დიდ-დიდნი“**. იგივე იაკობ ხუცესი თავის ნაწარმოებში იხსენიებს აგრეთვე **„მთავრებს“**, **„მსახურთ“**, **„ყრმებს“** და **„მონა-მხევალთ“**.

მე 6 საუკუნეში, როდესაც ქართლ-კახეთს სპარსელი მარზპანი განაგებდა, მას **ციხისთავები** ჰყავდა. ასეთი ციხისთავები, რასაკვირველია, ქართველ მეფეთა დროსაც იყვნენ. სწორედ ესენი უნდა ყოფილიყვნენ ის „აზნაურნი დიდ-დიდნი,“ რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ემყარებოდა. ისინი ერთნაირ მოხელეებს წარმოადგენდენ. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ როგორც შემდეგი დროინდელი საბუთებიდანა სჩანს, ყველა აზნაურს როდი ჰქონდა ციხე. სუმბატის ქრონიკაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ იყვნენ: **„უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხეთა დი რომელნიმე უციხონი“**.

მე-6 საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა სპარსელებმა ფორმალურადაც მოსპეს (გურგენ მეფის აჯანყების დამარცხების შემდგომ 527 წ.). ცხადია, ადგილობრივი **ციხისთავები** და აზნაურნი დიდ-დიდნი ამით უფრო გაძლიერდებოდენ და დამოუკიდებელნი შეიქმნებოდენ. ამიტომ სამართლიანად ამბობს მემატიანე: **„ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა—აზნაურთაო“**.

როდესაც საქართველოს **არაბები** შემოესივნენ—**სენიორალური სისტემა** ჩვენში უკვე ფეხმოკიდებული იყო. ცნობილია, რომ აღმო-

სავლეთი საქართველო არაბებს უბრძოლველად დაემორჩილა. ისიც ფაქტია, რომ დამორჩილებისა თუ საზავო ხელშეკრულება არაბებთან—**ერისთავებმა** დასდეს. ამას არ შეიძლება ხალხში მათი ავტორიტეტი უფრო არ აღემაღლებინა. შექმნილ პირობებში შეუძლებელი იყო ადგილობრივი მმართველები, **ერისთავები** თანდათან არ განთავისუფლებულიყვნენ ცენტრალური ხელისუფლების გავლენისაგან. ეს მით უფრო ადვილი საქმე იყო, რომ მეფობის მოსპობის შემდეგ ეს ცენტრალური ხელისუფლება—**უცხოელთა ხელში** იყო. ერისთავი ერთნაირი წარმომადგენელი და მფარველიც იყო თავის ტერიტორიის მცხოვრებთა—ამ უცხოელთა წინაშე. გადამეტებული ხარკის გადახდა, ხალხის გატყავება უცხოელი ბატონების სასარგებლოდ—არ შეიძლებოდა მისთვის ხელსაყრელი ყოფილიყო. ამიტომ იგი, უეჭველია, ერთგვარად იცავდა თავის საერისთავოს ინტერესებს, რათა საკმაო სარჩო დარჩენოდა.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაგონდება პაპთა ამაღლების ისტორია დასავლეთ ევროპაში. როდესაც რომის იმპერია დაეცა, ეკლესიის უმაღლესნი მსახურნი ერთად-ერთნი იყვნენ, რომელნიც თავიანთ სამწყსოს ჰპატრონობდენ არა მარტო სულიერად, არამედ ეკონომიურ-პოლიტიკურადაც. ისინი ერთად ერთი **შუამდგომელნი** იყვნენ რომის ყოფილი იმპერიის მცხოვრებთა ბარბაროსების წიხაშე. ასევე მოხდა საქართველოში ერისთავების მიმართ.

სენიონალურ სისტემაში იყო მოქცეული ეკლესიაც. ეკლესია-მონასტრებს თავიდანვე საკუთარი სარჩო ჰქონდათ. ამ სარჩოს ემატებოდა კიდევ—მეფეთა თუ აზნაურთაგან **„სულთა საოხად“** და „საალაპოდ“ (მოსახსენებლად) შეწირული მამულები, ყმა-გლეხები და სიმდიდრე. ამნაირად **ეკლესიასაც ბატონს წარმოადგენდა და საკუთარი ყმები ჰყავდა.** ასეთი ყმები სახელგანთქმულს მონასტრებს ფრიად მრავალი ჰყავდათ. ესეც არის, რომ უმაღლესი სამღვდელო პირნი, უმთავრესად მთავარ-ეპისკოპოსნი—აზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი და საკუთარი მამულიც დიდძალი ჰქონდათ. საეკლესიო-სამონასტრო ყმების მდგომარეობა სხვა ყმებთან შედარებით—უკეთესი იყო. ეს იმით აიხსნება, რომ ეკლესიას მტკიცედ ჩამოყალიბებული **საბეგრო სისტემა** ჰქონდა და ყველა მსხვილი მებატონის მფარველობითაც სარგებლობდა. ამიტომ, უეჭველია ეკლესია-მონასტრებს მრავალი „ნებიერი“ ყმაც ეყოლებოდათ. ეკლესიას მრავლად ჰყავდა აგრეთვე საკუთარის ინიციატივით **„მიწასა ზედა დასმულები“**. განსაკუთრებით ეს მოვლენა გახშირდა არაბთა შემოსევის შემდეგ. საქმე ისაა, რომ ეკლესია-მონასტრებს აშენებდენ მივარდნილ,

მტრისაგან დაცულ ადგილებში. ხშირად ეს იყო მტრისაგან აოხრებული ადგილები. მონასტერი აქ საკუთარ მეურნეობას აწყობდა და ერთნაირ კოლონიზატორის როლს ასრულებდა. ამისთანა მონასტრების ირგვლივ თანდათან მოსახლეობა იყრიდა თავს. მონასტერი მდიდრდებოდა სხვადასხვა შეწირულებანით, რომელსაც მაშინდელი ხელისუფალნი მას არ აკლებდენ. ამას ცხადად მოწმობს იმავე გიორგი მერჩულის ნაწარმოები, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ.

როდესაც აშოტ კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელი დაიბარა და ემუსაიფებოდა, ხანძთაში გრიგოლის მოსაყვანად გაგზავნილმა, ალბად ბერების მიერ ჩაგონებულმა მოციქულმა სთქვა: მშვენიერია და ყველაფრით შემკული ხანძთა, მაგრამ **„სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქვეყანაჲ რაით-ურთით არა არს**. არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწვერვალთა მათ ღადოისათაო“. ეს რომ კურაპალატმა მოისმინა: **„შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“**. „ყოველი უხვებით“ შესწირეს მონასტერს კურაპალატის შვილებმაც: ადარნასემ, ბაგრატმა და გვარამმა. ამისთანა ძლვენით გრიგოლ ხანძთელი ფრიად გახარებული დარჩა— „მრავლისა კეთილისა ნაყოფითა სავსე მოვიდა ხანძთად.“ ამისთანა პირობებში, ცხადია, მონასტერი უფრო მეტად გაძლიერდებოდა. ამიტომ ამბობს მერჩული: **„და ვითარცა ხორციელად შეიმატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხვსა მას წმიდათა კაცთასაო“** („შ. და მ. ღ. ცხ. წმ. და ნეტ. მ. ჩვ. გრიგ.“ იზ.)—ე. ი. რამდენადაც მატერიალურად მდიდრდებოდა მონასტერი, იმდენად მეტი ხალხი ემატებოდაო.

ცალკე მემამულეთა და ეკლესიის გაძლიერებას ფრიად ხელს უწყობდა ეგრედწოდებული **თარხნობა**, შეუვალობა, რომელსაც ევროპაში **იმუნიტეტი** ერქვა. თარხნობა ანუ შეუვალობა—ეს იყო სახელმწიფო ხარჯებისაგან განთავისუფლება. სათარხნო მამულის პატრონი სრული ბატონი იყო თავის მიწა-წყლისა და იქ მოსახლე ხალხისა. იგი პასუხს აგებდა უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. თავის ტერიტორიაზე კი ის სრულიად დამოუკიდებელი იყო და სასამართლო უფლებაც მას ეკუთვნოდა. ასეთი იმუნიტეტი მოიპოვა, მაგალითად, შემდეგ ხანებში—სამცხის საათაბაგომ. მაგრამ ეკლესია თავიდანვე სარგებლობდა შეუვალობით. იგი ერთნაირს სახელმწიფოს წარმოადგენდა სახელმწიფოში და თავის დარგის საქმეებში სრული დამოუკიდებელი იყო. თარხნობის მინიჭების სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთს სიგელს: „სახელითა ღვთისათა დავითისაგან ბაგრატუნიანისა, რუსუდანის ძისა... მოვიდეს ჩვენს წინაშე ხეფინის

ხეველნი და წაქველნი და მოიხუნეს სიგელნი... და გვეაჯნეს, რაითამცა შევიწყალენით და სიგელითა ამით ჩვენცა დაუმტკიცეთ და შეუვალ ვქენით და გამოვიყვანეთ ყოვლისა შესავლისაგან სახელმწიფოისა, საერისთავთ-ერისთაოისა და სახელისუფლოისა... შევიწყალნეთ იგინი და შვილნი და ყოველნი მომავალნი მათნი და მიუბოძეთ სიგელი ესე და ავჰხადეთ ყოველი შესავალი სახელმწიფოი, საერისთავთ-ერისთაოი და სახელისუფლოი... ჰქონდეთ სიგელი ესე ხეფინისხეველთა და წაქველთა მკვიდრად, მამულობით, მტკიცედ, შეუცვალებლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსვლისაგან, მათ და შვილთა და ყოველთა მომავალთა მათთა“ (დავით ნარინის სიგ. მე-13 საუკ. „საქ. სიძვ.“ II, გვ. 4).

თვით დავით აღმაშენებელმაც: „განათავისუფლნა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან და ბეგრისაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ქირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსაო“—ამბობს მემატიანე („ქ. ც.“ გვ. 373).

ამნაირად, იმუნიტეტი ენიჭებოდათ ცალკე მემამულეებსა და სოფლებს, ეკლესიას, საერისთავოებს. ამისთანა შეუვალობით აღჭურვილნი ვალდებულნი იყვნენ მხოლოდ შემდგომ ხანებში „სათათრო“ ხარკი გაეღოთ, ე. ი. სპარსეთ-ოსმალეთის (წინად კი არაბების) სასარგებლოდ გადასახადის გასტუმრებაში მონაწილეობა მიეღოთ.

იმუნიტეტის მინიჭების უფლება ორპირი იარაღი იყო. ერთის მხრით ცენტრალურს ხელისუფლებას მისი საშუალებით შეეძლო მომხრეები შეეძინა და ერთგულნი უფრო შემოემტკიცებინა. მეორე მხრით—თარხანნი, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა, ადვილად განკერძოვდებოდენ და სრულს დამოუკიდებლობას მოიპოებდენ ხოლმე. ამით აიხსნება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელების მიერ მეფობის მოსპობას ცალკე ერისთავების გაძლიერება მოჰყვა და მთელი ძალა-უფლება მათ ჩაუვარდათ ხელთ. არაბების ბატონობის დროს ხომ ისინი ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნენ თავის ტერიტორიისა და გარეშე მტრებთან საზავო ხელშეკრულებასაც სდებდენ.

სენიორალური სისტემის განმტკიცება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არაბების შემოსევის დროს (მე 7 ს.) საქართველო ცალკე სამატონოებად, **საერისთაოებად** იყო დაყოფილი. ცენტრალური ხელისუფლება—უცხოელთა, არაბების ხელში ჩავარდა. არაბები პირველ ხანებში დიდად არ აწუხებდენ ხალხს. მათი მფლობელობა მხოლოდ ხარკის აღებით გამოიხატებოდა: „რომელ არს თვითოსა სახლ-

ესა ზედა დრაჰკანი[1]) ერთიო», ნათქვამია არაბებთან დადებულ ხელშეკრულებაში. ამ ხარკს ი ვითონ არაბები როდი ჰკრებდენ. ეს საქმე ერისთავების ხელში იყო: საქართველოს დაპყრობის შემდგომ არაბები უ ან გაბრუნდენ და მათის **„წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდაათსა (ე. ი. 645 წლიდან 695-მდე) აღარა შემოვიდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგანაო“**, სწერს მემატიანე. რასაკვირველია, არაბებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ცალკე ერისთავებთან ჰქონოდათ საქმე, ვიდრე გაერთიანებული ტერიტორიის ძლიერ მფლობელთან. ამიტომ ისინი ხელს უწყობდენ ცალკე ერისთავებს თავის მფლობელობის განმტკიცებაში. ეს, ცხადია ძაშინ, თუ ერისთავი მათი ერთგული იყო, ხარკს დროზე და უკლებლად აძლევდა.

არაბების ბატონობა შემდეგ ხანებში შეიცვალა და მკაცრი გახდა. რაკი მათ ამიერ-კავკასია დაიპყრეს და ბიზანტიასთან ბრძოლაც ასე თუ მოათავეს, ისინი დაპყრობილ ქვეყნებში დაბანაკდენ და **„მათგან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითი ჟამად რბევას“**. აღმოსავლეთი საქართველო შემდეგნაირად იყო დანაწილებული: ტფილისი მისი მიდამოებით და ქართლის სამხრეთი ნაწილი ეჭირა არაბების მიერ დაყენებულ ამირას, რომელიც იყო **„ზედამდგომელი მფლობელი“** და **„მსაჯული“**. **კახეთი** ცალკე სამთავროს წარმოადგენდა და მის მმართველს ქორიკოზი ეწოდებოდა. დასავლეთი საქართველო ორად იყო გაყოფილი: ჩრდილო ნაწილი **აფხაზეთის სამთავროს** ხელში იყო; ხოლო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო— ეპყრათ **„კლარჯთა ხელმწიფეთა“**, ანუ „მამფლებს“. თვითეული ეს სამთავრო თავის მხრით კვლავ დანაწილებული იყო პატარა-პატარა ერთეულებად. ამიტომ სამართლიანი და მდგომარეობის კარგად დაშახასიათებელია მემატიანის სიტყვები: **„იქნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთსო“**. ამ მტრობის და ქიშპობის მიზანი—პირველობის მოპოვება და ერთი რომელისამე მთავრის, ან ერისთავის გაბატონება იყო. ამ ბრძოლამ დიდხანს გასტანა და ბოლოს ფეოდალური მონარქიის დამყარებით გათავდა. ფეოდალურმა მონარქიამ საქართველო ტერიტორიალურად გააერთიანა და ერთს ხელისუფლებას დაუმორჩილა.

[1]) დრაჰკანი— დ ბ ხლოებით მანეთნახევარი ოქრო.

ფეოდალური მონარქია

სენიორალური სისტემიდან—ფეოდალური მონარქიისაკენ. ჩვენ აქამდე არ გვიხმარია „ფეოდალური სისტემა“, არამედ შეგნებით ვასახელებდით „სენიორალურს სისტემას“. იმ მდგომარეობას, საქართველო რომ განიცდიდა მე-6-დან მე-8 საუკუნის დამლევამდე—ეს სახელი უფრო შეეფერება. საზოგადოდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: სენიორალურ სისტემასა და ფეოდალიზმს შორის ერთნაირი განსხვავებაა. პატრონ-ყმობაზე დამყარებულს ცალკე ერთეულებს, რომელთაც საერთო ერთმანეთში ცოტა რამ აქვთ—სენიორალური სისტემა ეწოდება. რომელიმე სენიორი (აზნაური დიდ-დიდი, ერისთავი) ძალით, ან კიდევ პატრონ-ყმობის ნიადაგზე დანარჩენ სენიორებს იმორჩილებს და ამნაირად იგი მათი მეთაური ხდება. იურიდიულად ეს სენიორი არაფრით არ განირჩევა დანარჩენთაგან, იგი არის primus inter pares (პირველი თანასწორთა შორის). მაგრამ ფაქტიურად იგი **ბატონი ხდება, მამფალი, მეუფე მამასახლისია თავისი მოზრდილი ტერიტორიისა,** რომელიც უფრო წვრილ საბატონოთაგან შესდგება. ამნაირად წარმოიშვის ფეოდალური სისტემა, რომელიც აერთიანებს სენიორებს და ერთი სენიორთაგანი დანარჩენების მფარველად ითვლება. მაშასადამე ფეოდალიზმი ჰგულისხმობს გაერთიანება პროცესს, იგი არის ნაბიჯი წინ. ცხადია, ეს გაერთიანება პატრონ-ყმობის ნიადაგზე ხდება და მისი სოციალური შინაარსი ძველი რჩება. მაგრამ ფეოდალური ერთეული—უკვე დიდს ტერიტორიალურს ერთეულს შეიცავს და ნიადაგს უმზადებს მონარქიას. ამ განსხვავებას ცნობილი მეცნიერი ფლაკი ასე ახასიათებს: „ის, რაც სენიორალურ რეჟიმში ბატონობს—ესაა ინდივიდუალიზმი; ფეოდალურ სისტემაში კი—ესაა წესრიგისა და დაკავშირების პრინციპი. სენიორალურ რეჟიმის არსებითი ფუნქცია—ეს არის დაქსაქსვის ფუნქცია, მაშინ როდესაც ფეოდალიზმში ასეთს ფუნქციას—რეკონსტრუქცია წარმოადგენსო“.

ამ რეკონსტრუქციის ტერიტორიალური მთლიანობის აღდგე-

ნისათვის წვრილი აზნაურები ზრუნავენ. მათს გამაერთიანებელ ტენდენციას ფრიად ხელს უწყობს ეკლესია. ასე იყო ყველგან და ასევე მოხდა საქართველოშიაც.

ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის გაძლიერება. გაერთიანების პროცესი დაიწყო თითქმის ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთ საქართველოშიაცა და დასავლეთშიაც. ამ გაერთიანების მეთაურები იყვნენ აღმოსავლეთში—**„კლარჯნი ხელმწიფენი“**, ტაო-კლარჯეთის მამფლები, ხოლო დასავლეთში—**აფხაზეთის სამთავრო.**

ტაო-კლარჯეთში მე-6 საუკუნეში გაძლიერდენ **ბაგრატიონები,** რომელთაც შემდგომ მთელი საქართველოს ტახტი იგდეს ხელთ. ამ კუთხის გაძლიერებას მრავალი რამ უწყობდა ხელს. ჩვენ აღვნიშნავთ უმთავრესს მიზეზებს: პირველი—ეს იყო საბერძნეთის სიახლოვე და საბერძნეთისავე დახმარება იქაურ მამფლებისადმი. ეს დახმარება განსაკუთრებით ძლიერდება მე-7 საუკუნიდან, როდესაც საქართველოს არაბები იპყრობენ. მეორე მხრით, საბერძნეთის სიახლოვის გამო, ეს კუთხე ეკონომიურად უფრო დაწინაურებული იყო (მესხეთი) და მან კულტურულადაც პირველი ადგილი დაიჭირა.

საქმე ისაა, რომ ბაღდადს ხალიფატის დაარსებამ საქართველოზე დიდი ეკონომიური გავლენა მოახდინა. ეს გავლენა უეჭველად პირველად იმას დაეჩნეოდა, ვინც გეოგრაფიულად მასზე ახლო იყო. ასეთ ადგილს კი სწორედ ტაო-კლარჯეთი წარმოადგენდა.

არაბთა სამფლობელო შინაგანმა ბრძოლამ დაარღვია. დაახლოებით 750 წელს—მერვეში დაიწყო აჯანყება ომაიადების წინააღმდეგ. ამ აჯანყებას სათავეში უდგნენ **აბასიდები,** ისინიც მაჰმადის ახლობელი ნათესავები. აბასიდების გამარჯვების შემდეგ არაბთა სახალიფო საბოლოოდ დაირღვა: ესპანიაში ომაიადები გაბატონდენ, ხოლო აფრიკისა და ეგვიპტის მმართველები დამოუკიდებელ ხალიფებად იქცნენ. აბასიდების სახელმწიფო წინანდელი ხალიფატის მხოლოდ ნახევარს თუ შეადგენდა.

ხალიფმა **მანსურმა** მიატოვა ძველი რეზიდენცია დამასკო და ტიგრზე ააშენა ახალი სატახტო ქალაქი—**ბაღდადი.** არაბთა სამხედრო ძლიერებას თითქოს საზღვარი დაედო. მათი ძალ-ღონე მეცნიერებისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისკენ მიიმართა.

მაშინდელი ევროპა ფრიად ჩამორჩებოდა აზიას. ყველაფერი, რაც საუკეთესო რადმე იყო მიჩნეული, აზიაში კეთდებოდა, არაბთა სამფლობელოებიდან მიდიოდა ევროპაში: ოქრო ვეცხლეული, ფოლადისა თუ რკინის იარაღები, შუშა, ფაქიზი ქსოვილები, მრავალნაირი ფარჩეულობა და ხალიჩები. ევროპა მაშინ მხოლოდ ცოცხალ

საქონელს ჰყიდდა აღმოსავლეთში: აღმოსავლეთელი ვაჭრები ყიდულობდენ ევროპიელთაგან ბავშვებს და დუნაის მეკობრეებთან შეთანხმებით ათასობით ეზიდებოდენ მოტაცებულ ქალ-ვაჟს. გარდა ამისა, ევროპიდან ამ ვაჭრებს გამოქონდათ ტყავეულობა, ბეწვეულობა და მატყლი.

რაკი ბაღდადი მაშინდელი აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა – საქართველო ამ ფაქტის გავლენას ვერ ასცდებოდა. ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მხრით, ე. ი. ტაო-კლარჯეთის გზით. უეჭველია, ეს ხელს შეუწყობდა ამ მხარის ეკონომიურს და კულტურულს აღორძინებას. ჩვენ ამისი პირდაპირი და ფრიად საყურადღებო მოწმობაც გვაქვს. კონსტანტინე პორფიროგენი (მ-X ს.) ამბობს არტანუჯის შესახებ: **„არტანუჯის ციხე-სიმაგრე კარგა-დიდია და მდებარეობს იმ მაზრაში, რომელსაც მურღული და აჭარა ეკუთვნის. არტანუჯი ნაყოფიერი მხარეა და ფრიად აღებ-მიცემობს ტრაპიზონთან, ივერიასთან, აფხაზეთთან, მთელ სომხეთთან და სირიასთან“** (დ. ბაქრაძე – ისტ. საქ. გვ. 265).

მაშასადამე შეიძლება ითქვას, რომ ტაო-კლარჯეთში ვაჭრობა განვითარებული ყოფილა. ამიტომ საქართველოს გამაერთიანებელნი სწორედ რომ ამისთანა კუთხიდან უნდა გამოსულიყვნენ. ქართლსა და აფხაზეთს სიარულის დროს ტაო-კლარჯელ ვაჭრებს, უეჭველია მრავალი დაბრკოლება შეხვდებოდათ: ათასგვარი საბაჟო, ერთი ხელისუფლების არქონა და სხვა. ყველაფერი ეს ხელს შეუშლიდა მათ საქმიანობას. ამნაირად, სავაჭრო კაპიტალი, რომელიც ამ მხარეში ყველაზე ძლიერი იყო (საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით) გასაქანს ითხოვდა. ამ გასაქანს მას მხოლოდ ტერიტორიალური გაერთიანება და საქართველოში ერთი ხელისუფლების დამყარება თუ მისცემდა. უეჭველია, ამაში მათ ხელს შეუწყობდენ ის წვრილი აზნაურებიც, რომელთაც სენიორალური სისტემა უკვე ვეღარაფერს სარგებლობას ანიჭებდა. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო მეფობის აღდგენა, ვინაიდან ისინი უშუალოდ ნაკლებად იქნებოდ ნ. დამოკიდებულნი დიდებულ აზნაურებზე. გარდა ზემოხსენებულისა, ტაო-კლარჯეთი—ქართლის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ემიგრაციის ბუდე იყო. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმისათვის, რომ ტაო-კლარჯეთის მამფლებს ქართლისაკენაც ხშირად ხელი გაეწოდათ.

საქმე ისაა, რომ არაბებისაგან დევნილი ხალხი თავშესაფარს სწორედ მესხეთში ჰპოებდა. არაბები ძლიერ გულმოდგინედ შეუდგნენ საქართველოს შემომტკიცებას და როგორც წინად აღვნი-

შნეთ.—შემდგომს ხანებში გაადიდეს ხარკი, დაუშვეს ხალხს რბევა, სდევნიდენ სარწმუნოებას და სხვ. ერისთავი, რომელიც ხალხში რაიმე გავლენას მოიპოებდა—არაბებისათვის უკვე საშიში იყო. ისინი ცდილობდენ მის თავიდან მოშორებას და საერისთაოს ჩამოართმევდენ ხოლმე. ამ შემთხვევაში დევნილი მიდიოდა ტაო-კლარჯეთში და აქ იფარავდა თავს არაბთა მძარცველობისაგან. რასაკვირველია, ერისთავი იქ მარტო როდი მიდიოდა. მას თან მისდევდა მრავალრიცხოვანი ამალა, ახლობელნი, ყმები და სხვ. იქ ბერძნები, რომელნიც არაბებთან ბრძოლას აწარმოებდენ—მათ სიამოვნებით ღებულობდენ და მფარველობდენ კიდეც. ამ მხრით ფრიად დამახასიათებელია **აშოტ კურაპალატის** (786 826) ამბავი. იგი ქართლის ერისთავად იყო. არაბებმა მის ერთგულებაზე ეჭვი შეიტანეს. აშოტი იძულებული იყო ქართლი მიეტოვებინა და „წარვიდეს საბერძნეთად". როგორც ვიცით, იგი კლარჯეთს დაესახლა „და განამტკიცნა ღმერთმან ხელმწიფობა მისი ნებითა ბერძენთა მეფეთათა („ქ. ცხ." ჭიჭ. გვ. 270). კეისარმა მას კურაპალატობა უბოძა.

გარდა ზემოხსენებულისა, ტაო-კლარჯეთისაკენ ხალხს პირდაპირი ეკონომიური სარფიანობაც იზიდავდა. მურვანყრუს (737—742 წლებში) შემოსევის შემდეგ ტაო-კლარჯეთი ისე აოხრებული იყო, რომ თიქმის გაუკაცრიელდა. ამიტომ ფრიად ადვილი იყო იქ თავისუფალი მიწების გამონახვა და დასახლება. თანახმად უკვე გაბატონებული პრინციპისა—უპატრონო მიწა ხომ აღარსად იყო; ყველგან მას რომელიმე ბატონი ჰფლობდა და ის მოსახლეობა, ტაო-კლარჯეთს რომ მკვიდრდებოდა, იქაური მამულის ყმად იქცეოდა. მემატიანე ამბობს: მან (აშოტ კურაპალატმა) „რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანისანი მოიყიდნა საფასითი და ზოგნი ოხერნი აღაშენნა და განამრავლნა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინაო" („ქ. ცხ." ჭიჭ. გვ. 271).

ტაო-კლარჯეთის მმართველები გაძლიერების შემდგომ ცდილობდენ მეზობელი პროვინციებიც ხელთ ეგდოთ. მაგალითად კახეთის მმართველმა გრიგოლმა ქართლის ერთი ნაწილი (ქსნის მხარე) რომ დაიპყრო, აშოტ კურაპალატმა მის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა და განდევნა. ეს იმიტომ რომ გაძევებული აშოტი ქართლს მაინც თავის სამფლობელოდ სთვლიდა. შემდეგ ხანებში აშოტი არაბებმა დაამარცხეს და მოჰკლეს კიდეც. მის მიერ გაძლიერებულს ტაო-კლარჯეთს კვლავ ჩამოეცალა კარგა მოზრდილი ნაწილი დაკერძოდ ქართლი. მაგრამ იმ შემცირებულ ტერიტორიაზე, მის მემკვიდრეებს რომ დარჩათ, სახელმწიფოებრივი მშენებლობა კვლავ

გრძელდებოდა. განსაკუთრებით ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ რომ მე-8 საუკუნის დამლევიდან, როგორც მემატიანე აღნიშნავს,—„**მოუძლურებულ იყვნის სარკინოზნი**“ (არაბები). ტფილისის ამირები თანდათან თავისუფლდებოდენ ხალიფებისაგან და საქართველოში დამოუკიდებელი მმართველობა სწადდათ. ამ შემთხვევაში მათთან ბრძოლა, რასაკვირველია, ფრიად ადვილდებოდა.

არაბთა ცენტრალური ხელისუფლება, ცხადია, ამირების განდგომას ვერ შეურიგდებოდა. მაგალითად, როდესაც ხალიფამ ტფილისის ურჩი ამირას სააკის დასასჯელად სარდალი მოჰმედ გამოგზავნა—ბაგრატ კურაპალატი მას დაეხმარა თავისი ჯარით. მადლიერმა არაბებმა „**მისცეს მას ქართლი**“ (842 წ.). როდესაც მოჰმედმა სააკის დამორჩილება ვერ შესძლო—საქართველოში 853 წ. გამოგზავნილ იქნა ბუღა-თურქი, რომელმაც საშინლად მოაოხრა ტფილისის საამირო. ბაგრატი მასაც დაეხმარა და ალბად შესაფერისი ჯილდოც მიიღო. მისსავე პოლიტიკას განაგრძობდა მისი უმცროსი ძმა გვარამ მამფალი (882 წ.): მას დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი (არდაგანი). კარგა ხნის ბრძოლის შემდგომ, როდესაც ერთს მებრძოლთაგახს **ნასრს** მემკვიდრე აღარ დარჩა, მთელი მისი სამფლობელო **ადარნასე კურაპალატის** ხელში გადავიდა. 888 წელს კი „დასვეს ქართველთა მეფედ ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა“ (ქ. ცხ.“ ჭიჭ. გვ. 280).

ვინ „**დასვა**“ მეფედ ადარნარე, ან როგორ მოხდა ეს, სამწუხაროდ ამის გამორკვევა შეუძლებელია. ერთი რამ კი ცხადია: ადარნასე მეფედ აღიარეს ალბად ქართლის ერისთავებმაც, როგორც უძლიერესი სამთავროს მფლობელი. თუ იგი მეფედ დაჯდა, უეჭველია, ეს მოხდებოდა ფეოდალების დახმარებით. რასა ვირველია იგი მთლად ფეოდალების ნებასურვილზე იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ მაინც ითვლებოდა „ქართველთა მეფედ“.

ადარნარე ქართველთა მეფეს ოთხი ხელქვეითი ერისთავი თუ მთავარი ჰყოლია: ჯავახეთის, აჭარისა და სხვათა. ეს ერისთავები ადარნასესავე გვარიშვილები იყვნენ, მაგრამ ხარისხით „ფრო დაბალნი. ადარნასე მათ შორის ყველაზე უფროსად ითვლებოდა და სხვა მთავრები მას ემორჩილებოდენ პატრონ ყმობის ნიადაგზე. მაშასადამე ტიტული „**ქართველთა მეფე**“—სინამდვილის გამომხატველი არ იყო, ვინაიდან ადარნასეს სამეფო—მთელ აღმოსავლეთ საქართველოსაც კი არ შეიცავდა. მაგრამ თვით მეფობის წარმოშობისათვის ეს ფრიად დამახასიათებელია: მეფე თანასწორია დანარჩენი მთავრებისა, მაგრამ მას აქვს ზედმეტი ხარისხი—ბერძნებისაგან ბოძებუ-

ლი **კურაპალატობა**. დანარჩენნი მფლობელნი უბრალო **მაგისტროსები** არიან. ეს მაგისტროსობა კი ბერძნებისაგან ბაგრატიონთა საგვარეულოს უფროსს ენიჭებოდა. ამნაირად ჩაისახა და გაძლიერდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სამფლობელო, რომელმაც შემდგომ თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო (გარდა კახეთისა და ტფილისისა) გააერთიანა. ეს იყო ტერიტორიალური გაერთიანება ფეოდალურ ნიადაგზე—გაერთიანება არა მტკიცე, რასაც შემდგომ დავინახავთ.

გაერთიანების ამისთანავე პროცესი ხდებოდა დასავლეთ საქართველოში. გამაერთიანებელი როლი იქ ითამაშა **აფხაზთა საერისთავომ**. აფხაზეთის საერისთავო დაარსდა მე-7 საუკუნეში, როდესაც ლაზიკის სამეფო დაეცა და დაირღვა. აფხაზეთი გადურჩა არაბთა შესევას და კარგა ხნის განმავლობაში ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა. ეს ვასალობა უფრო ნომინალური ხასიათისა იყო და ბერძნები აფხაზეთის სამთავროს შინაურ საქმეებში აგრერიგად არ ერეოდენ. აფხაზეთის მთავრებმა ისარგებლეს ბერძენთა დაუძლურებით და თითქმის სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ბიზანტია დაასუსტა არაბებთან ბრძოლამ და შინაურმა უთანხმოებამ. ამიტომ ამბობს მემატიანე: **„რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ..., დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა** („ქ. ცხ." ჭიჭ. გვ. 268). ლეონი (მეორე) მეფობდა 746-791 წლამდე.

საერთოდ დასავლეთი საქართველო არაბთა შემოსევისაგან ნაკლებად დაზარალდა, ხოლო მათი ბატონობა, ბერძენთა მეტოქეობის გამო, იქ თითქმის საკრძნობელიც კი არ იყო. ქართლში შეწუხებული ხალხი დასავლეთისაკენაც ფრიად ბლომად გარბოდა და იგი ერთნაირ აღთქმის ქვეყნად მიაჩნდა. აბო ტფილელის ისტორიკოსი იოანე საბანიძე აღტაცებით ამბობს: **„კრძალულ იყო ქვეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთასაო"** და ამიტომ „ქვეყანა იგი სავსეა ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრ იპოების საზღვართა მათთაო". ეს კი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო იმ ხანაში, როდესაც სარწმუნოებას დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა ხალხზე. სარწმუნოების საშუალებით ვრცელდებოდა ხალხში მაშინდელი კულტურა და იმდროინდელ ინტელიგენციასაც ბერ-მონაზნები წარმოადგენდენ.

ლეონ მეორის შემდგომ დასავლეთი საქართველო ერთი ხელისუფლების ქვეშ არის გაერთიანებული. აფხაზეთის მეფე, როგორც იგი იწოდება ამის შემდეგ, ქ. ქუთაისში სცხოვრობს და ნომინალურად

კვლავ ბერძნების ვასალად ითვლება. ბერძნების ასეთსავე ვასალს წარმოადგენენ ტაო-კლარჯეთის მამფლები. ხშირად ისინი ერთმანეთს ეხმაურებიან არაბების წინააღმდეგ. ამისთანა შემთხვევებში მათ ზურგი გამაგრებული აქვთ ბიზანტიის მიერ. ასეთი დახმარება გაუწია მაგალითად აშოტ კურაპალატს თეოდოსი აფხაზთა მეფემ.

საერთოდ დასავლეთ საქართველოს მმართველები კვლავ ცდილობდენ თავის სამფლობელოს გაფართოებას. აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებაში, როდესაც ეს მისწრაფება ნათლად ჩამოყალიბდა—მათ წინააღუდგნენ ტაო კლარჯეთის მამფლები, ვინაიდან ქართლი თავის სამფლობელოდ მიაჩნდათ. ვინც ქართლს ხელთ იგდებდა, იგი უეჭველად მთელი საქართველოს პატრონიც გახდებოდა. ამიტომ **ბრძოლა ქართლისათვის** დიდხანს გაგრძელდა.

904 წელს კონსტანტინე აფხაზთა მეფე ქართლს იპყრობს. ამას ვერ ურიგდება ადარნარე „ქართველთა მეფედ“ წოდებული, თუმცა იგი ფაქტიურად მარტო ტაო-კლარჯეთის მფლობელია. მან სომეხთა მეფის სუმბატის დახმარებით კონსტანტინე დაამარცხა. სომხეთმა ბოლოს და ბოლოს აფხაზთა სამეფოსთან ისევ დაზავება არჩია, ტყვედ წაყვანილი კონსტანტინე განათავისუფლა და ქართლი დაუბრუნა. რამდენისამე ხანს შემდეგ აფხაზთა მეფემ კახეთის ქორიკოზთან ერთად ჰერეთში გაილაშქრა. **„ამიერიდან საქართველოში უპირატესობა და მეთაურობა აფხაზთა მეფეების ხელში იყო“** (ივ. ჯავახიშვილი).

ქართლში აფხაზთა მეფეებს თავისი მოადგილეები ჰყავთ და მათის საშუალებით ჰმართავენ. ადგილობრივი დიდი აზნაურები, რომელთაც მანამდე ეკუთვნოდათ ხელისუფლება, რასაკვირველია, წინააღმდეგნი არიან საქართველოს გაერთიანებისა. წინააღმდეგნი არიან იმიტომ, რომ ეს მათს ძალაუფლებას ასუსტებს და ფრთებს უკვეცს. ამიტომ ხშირია ქართლის აზნაურთაგან მოწყობილი ამბოხებანი აფხაზთა მეფეების მოადგილეების წინააღმდეგ. ასეთი ამბოხება მოხდა გიორგი აფხაზთა მეფის დროს (+955 წ.) მაგრამ აფხაზთა სამეფოს პრესტიჟი და ხელისუფლება ქართლში მაშინ განმტკიცდა, როდესაც დაპყრობილ იქნა **კახეთი**. დიდ აზნაურთა წინააღმდეგობას მეფეები სასტიკად უმკლავდებოდენ და ამნაირად **საქართველოს გაერთიანება ხდებოდა ცეცხლითა და მახვილითა.**

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთი საქართველო შინაური უთანხმოებისა და შფოთიანობის ასპარეზი ხდება. ამიტომ გამაერთიანებელი ძალები ბოლოსდაბოლოს კვლავ ტაო-კლარჯეთში იყრიან თავს. იქიდანვე გამოდის გაერთიანებული საქართველოს

პირველი მეფე—ბაგრატ მე-III, შვილობილი ტაო-კლარჯეთის შესანიშნავი მმართველის დავით კურაპალატისა.

დავით კურაპალატს, როგორც ტაო-კლარჯეთის მამფალს, კარგი განწყობილება ჰქონდა ბიზანტიასთან. მისი ჯარი თორნიკე ერისთავის სარდლობით დაეხმარა ბიზანტიის იმპერატორს მცირე აზიაში, როდესაც იქ იმპერატორს აუჯანყდა მისი დიდი მოხელე ბარდა სკლიაროსი (978 წ.) ამიტომ, რაკი დასავლეთის მხრით დავითი უზრუნველყოფილი და ზურგგამაგრებული იყო—მისი ყურადღება აღმოსავლეთმა მიიზიდა: მან მოინდომა ესარგებლნა აფხაზთა სამეფოს დროებითი დაუძლურებით და ქართლის დაპყრობა მოიწადინა. ეს მას მით უმეტეს გაუადვილდა, რომ ქართლში მომხრეები, და განსაკუთრებით გავლენიანი ფეოდალი—**იოანე მარუშიძე** ეგულებოდა. მისი რჩევითა და დახმარებით დავითი მართლაც გადავიდა ქართლში და იქ „მეფედ" დასვა ბაგრატ (980 წელს), რომელიც შემდგომ მთელი საქართველოს მეფედ გახდა.

ბაგრატი იყო შვილობილი დავით კურაპალატისა და დისწული აფხაზეთის მეფის თეოდოსისა. როდესაც დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა ჯგუფთა ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელი გახდა ქვეყნის დაშოშმინება—იქაურ დიდებულთა ერთმა ჯგუფმა თეოდოსი მეფე გადააყენა და ლიხ-იმერეთის მეფედ ბაგრატ მე-III მიიწვია. ამიერიდან ბაგრატი ითვლებოდა მეფედ აფხაზთა და ქართლისა კურაპალატად. ეს იმიტომ რომ მამამისი გურგენი, როგორც თანაგამგე, ნომინალურად კვლავ ქართლის მეფედ იწოდებოდა. ქართლის მეფობა ბაგრატმა ფორმალურად მიიღო მხოლოდ მამის სიკვდილის შემდგომ - მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს. დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ ბაგრატისავე ხელში გადავიდა ტაო-კლარჯეთიც, თუმცა მისი ნაწილი იმავე დროს ბიზანტიელებმა დაიპყრეს. ამნაირად **ბაგრატ მეფე** (მესამე) იყო პირველი მონარქი და მისი გამგებლობიდან იწყება ევრედწოდებული **ხანა ფეოდალური მონარქიისა.**

საერთოდ საქართველოს ტერიტორიის გაერთიანება შემდეგნაირად ხდებოდა: მეფე რომ დაიპყრობდა რომელსამე სამთავროს, ან საერისთავოს, ის უცვლელად სტოვებდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ადგილობრივი მთავარი, ერისთავი—თავის თანამდებობას არ ჰკარგავდა. ის იძულებული იყო მხოლოდ მეფის სუვერენიტეტი აღიარებინა და თავის ტერიტორიაზე მისი წარმომადგენელი ყოფილიყო. **ის ტერიტორია, რომელსაც იგი წინად ჰფლობდა, როგორც თითქოს მესაკუთრე, მას მეფისაგან ეძლეოდა უკვე როგორც ფეო-**

დი ფეოდალური ძონარქია სწორედ ასეთი ერთეულებისაგან შესდგებოდა. მაშასადამე, ეს იყო ცალკე კუთხეების ტერიტორიალური გაერთიანება ფეოდალურ ნიადაგზე.

ეკლესიის როლი მოქნარქიის განმტკიცებისათვის. ეკლესია საქართველოს ცალკე საერისთაოების გაერთიანებაში ფრიად დიდ როლს თამაშობდა. უპირველ სად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესია უკვე მე-5 საუკუნის დამლევს ერთს სასულიერო ხელისუფლებას ემორჩილებოდა. მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების დაქსაქსვისა და დარღვევისა—ეკლესიას შერჩა ყოველ შემთხვევაში გარეგანი ერთობა მაინც. ეკლესიის მნიშვნელობა გაიზარდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო არაბებმა დაიპყრეს. მაჰმადიანობასთან ბრძოლა—ეს პოლიტიკური ბრძოლაც იყო. ამ ბრძოლის დროს საქართველო დახმარებას ჰპოებდა ბიზანტიაში, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა ჩვენს კულტურა-განათლებაზე. საბერძნეთი დაინტერესებული იყო ქრისტიანობის განმტკიცებაში, ვინაიდან ეს მის მეტოქე არაბებს ასუსტებდა. ამნაირად, ეკლესია ხალხის წინაშე წარმომადგენელი იყო იმ ძალისა, რომელიც არაბებს ებრძოდა. ამან მისი პრესტიჟი ფრიად გაზარდა. ეს მით უმეტეს, რომ მაშინდელი მწერლობა წმინდა სასულიერო ხასიათისა იყო და მაშინდელი სულიერი კულტურის მატარებელნი—სამღვდელო პირნი იყვნენ.

სასულიერო მწერლობამ, რომელიც ქართულ ენაზე ითხზვებოდა თუ ითარგმნებოდა, ხელი შეუწყო ერთი სალიტერატურო ენის განმტკიცება-გავრცელებას ქართველ ტომებში. სასულიერო პირთა და სასულიერო მწერლობის გავლენით შეიჭრა და შემდგომ გაბატონდა კიდეც ქართული ენა დასავლეთ საქართველოში, სადაც მე-7 და მე 8 საუკუნეში მეგრულად ლაპარაკობდენ. გაქართველებას აღმოსავლეთიდან მიმდინარე კოლონიზაციაც ხელს უწყობდა. ქრისტიანობა და ქართველობა—არაბების ბატონობისა და შემდგომ ხანებშიაც—თითქმის სინონიმებს ნიშნავდა. ამიტომ იყო აღტაცებული ლიხ-იმერეთის ქრისტიანობით მე-8 საუკუნის მწერალი **იოანე საბანიძე.**

იქ, სადაც ქრისტიანული მოძღვრება იმარჯვებდა და მღვდელმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა—ქართლად ითვლებოდა. ამიტომ ამბობს გიორგი მერჩული (X ს.): **„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებისო“.** მაშასადამე აქუკვე არის ჩანასახი იმ ცნებისა, რომელიც მხოლოდ

ფეოდალური მონარქიის შემდგომ, მე-XI საუკუნეში წარმოიშვა „საქართველოს“ ცნება.

ეკლესია საერო ხელისუფლებას აგრერიგად არ ემორჩილებოდა. იგი თვითონ მდიდარი ორგანიზაცია იყო და ხშირად დამოუკიდებლობას იჩენდა. ამას მოწმობს აშოტ კურაპალატისა და ცნობილი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ამბავი. აშოტმა ცოლის სიცოცხლეშივე მეორე ცოლის შერთვა მოინდომა. გრიგოლმა ეს სასტიკად დაჰგმო. აშოტი იძულებული გახდა დაეთმო: „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულიერად ძლიერთა კაცთა სძლესო“—ამბობს ამის გამო ხანძთელის ბიოგრაფი მერჩული. მაგრამ იგივე ხანძთელი აშოტ კურაპალატის შვილებს ამნაირად ლოცავს: **„ჰეშმარიტად, სამართალ არს სიტყვა ესე: სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმერთებისა, რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალ გყვნა ღმერთმან ქვეყნისა განგებისაო“** ეკლესიაში საერთოდ სწორედ ეს უკანასკნელი აზრი ტრიალებდა და იგი მას ერთგულად ჰქადაგებდა. გაერთიანებული საქართველოს მმართველები ამით სარგებლობდენ და ცალკე ფეოდალთა დასამორჩილებლად ამ თეორიას იშველიებდენ. ამიტომ ძველ სიგელ-გუჯრებში ხშირია, რომ მეფე ასე იწყებს: **„ნებითა ღვთისათა** აფხაზთა, ქართველთა, რანთა“ და სხვ. მეფისაო.

ფეოდალური მონარქია. როგორც ვთქვით, ფეოდალური მონარქიის დროს საქართველო ტერიტორიალურად გაერთიანდა. ეს გაერთიანება არ უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ახლა გვესმის. ცალკე საერისთაოები და სამთავროები კვლავ დარჩნენ. გაერთიანება იყო ფეოდალურ სისტემის ნიადაგზე. მეფე არის პრიმუს ინტერ პარეს—პირველი თანასწორთა შორის. იგი ყველაზე დიდი ფეოდალია და სხვები მის ყმებად ითვლებიან. ამნაირად მონარქია საქართველოში თავის წარმოშობით ფეოდალური იყო ისევე, როგორც წინანდელი მეფობა („მეუფე მამასახლისობა“) გვაროვნულ წესზე იყო დამყარებული.

მეფის ასეთი მდგომარეობა სჩანდა მისი ტიტულიდანაც. იგი იწოდება **„მეფეთ მეფედ აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“** და სხვა. მაშასადამე ძველი განკერძოებული ცხოვრება ცალკე ერთეულებისა ჯერ კიდევ დიდხანს დარჩენილა. საქართველო „სამეფოებისაგან“ (ე. ი. სამთავროებისაგან) შ სდგებოდა. დავით აღმაშენებელზე მემატიანე ამბობს: **„აქვნდა ყოვლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთაო.** იგივეა ნათქვამი თამარზე: „იპყრნა მეფობისა შარავანდედი შვიდ სამეფოდ განწესებულიო“. ამიტომ

სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ჯავახიშვილი, რომ ეს ტიტულები საქართველოს სახელმწიფო წყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა.

არ ყოფილა ერთი გაბატონებული სისტემა, რომელსაც ყველა კუთხე უნდა დამორჩილებოდა. მეფე ერთ „სამეფოდან" მეორე სამეფოში, ანუ ახლო-მახლო ადგილას გადადიოდა და ყველა საქმეს ადგილობრივ ისმენდა და განაგებდა ხოლმე. მაგ. ბაგრატ III-ის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „იყო.... ღლიეს და განაგებდა საქმეთა ტაოსსა და ქართლისასა". დავით აღმაშენებელზე ნათქვამია: „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინთამდე და **განაგო საქმენი მანდაურნი**"; ასევეა ნათქვამი თამარზე: „ჟამ გადვიდიან (იმერეთს) და განაგნიან საქმენი მანდაურნი... და მერე გადმოვიდნიან ქართლს, სომხითს და და მერმე დადგიან, მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღთამარქალაქელნი, გაზაფხულ აღმოვიდიან სომხითი, **მოიღიან ხარაჯა ნახჭევნელთა,**—და წარვიდიან **კოლას**, თავსა არტაანისსა და მუნით მოიღიან ხარაჯი კარნუქალაქითა და ერზინკით და სხვათა გარემოთა ქალაქთაო".

ბრძოლა მონარქიის განმტკიცებისათვის. რაკი ერთმეფობა მაინც ფაქტი გახდა, მას არ შეეძლო ერთ წერტილზე გაყინულიყო და ცალკე ფეოდალების დამოუკიდებლობას მედგრად არ შებრძოლებოდა. ტერიტორიალურად გაერთიანებული საქართველოს მეფენი ცდილობენ ნამდვილი მონარქები იყვნენ, ისინი აბსოლიუტიზმისაკენ მოისწრაფებიან, ე. ი. სურთ ნამდვილი და სრული თვითმპყრობელობა იგდონ ხელთ. ამისათვის ბრძოლაში ისინი არავითარ ღონისძიების წინაშე უკან არ იხევენ.

ფეოდალებიც, რასაკვირველია, ცდილობდენ წინანდელი თავისი გავლენა შეენარჩუნებინათ და მეფეების მისწრაფებას თვითმპყრობელობისადმი მედგრად წინააღმდეგობას უწევდენ. მაგალითად, ბაგრატ III-ს ქართლის აზნაურები აუჯაყნდენ **„რამეთუ თითვეულად განაგებდენ საქმეთა ქართლისათა"**. მეფემ ისინი დაამარცხა და დაიმორჩილა. იგი არ მოერიდა თავის ახლო ნათესაობის ამოწყვეტასაც, როდესაც ეს უკანასკნელნი კლარჯეთის ტახტს შეედავნენ: ბაგრატმა მოიტყუილა „კლარჯნი ხელმწიფენი", თავისი მამიდაშვილნი—სუმბატ და გურგენ, შეიპყრო ისინი მთელი მათი შთამომავლობითურთ და ციხეში ამოხადა სული.

საერთოდ ბაგრატ III-ის, გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II-ის ხანა (მეთერთმეტე საუკუნე) **ესაა ხანა მონარქიის გამტკიცებისათვის ბრძოლისა.** ამ ბრძოლაში საზოგადოდ მეფეები არიან

გამარჯვებულნი, მაგრამ ხშირად ცალკე გავლენიანი ფეოდალებიც მძლავრობენ. ასეთი იყო, მაგალითად დიდგვარიანი **ლიპარიტ ორბელიანი**. ლიპარიტის და ბაგრატ მეფის ბრძოლა იმდენად დამახასიათებელია, რომ აუცილებლად საჭიროა მას ცოტა ვრცლად შევეხოთ.

ლიპარიტი იყო ერისთავთ-ერისთავი, თრიალეთის მხრისა და კლდე-კარის ციხის პატრონი. გარეგანი მიზეზი ლიპარიტის ბაგრატისადმი მტრობისა ნათლად არ არის გამორკვეული. ისე კი ცნობილია, რომ მტრობის საბაბად იქცა ტფილისის აღების ცდა. ბაგრატმა ალყა შემოარტყა ტფილისს და საქმე იქამდე იყო მისული, რომ უნდა აეღო კიდეც. ალყაშემორტყმულმა ამირამ დააპირა ტფილისიდან ტივით გაპარვა, ვინაიდან ქალაქში ძალიან დიდი უსურსათობა იყო. „ლიტრა ვირის ხორცი ხუთას დრამით იყიდდესო"—ამბობს მემატიანე. უკანასკნელ წუთს, როდესაც ქალაქი უნდა დაცემულიყო—ბაგრატმა ტფილისს ალყა მოხსნა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სამხრეთით გამოჩნდა ახალი მტერი, მრისხანე და ძლიერი: მოდიოდენ თურქ-სელჯუკები.

ლიპარიტმა ალყის მოხსნა ძლიერ იწყინა, რადგან ეს საკითხი დიდებულებმა უმისოდ გადაწყვიტეს. შეიძლება წყენის მიზეზი ის ყოფილიყოს, რომ ტფილისის უფროსობის ხელში ჩაგდება ლიპარიტს თვითონ ნდომოდეს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ამ ხასიათისავე პრეტენზია ლიპარიტმა განაცხადა მაშინ, როდესაც ანისში მის მაგივრად აბუსერი დანიშნეს. ასე იყო თუ ისე, იმდროიდან **„შეიქმნა ლიპარიტ ქვე გამხედვერად თავის პატრონისაგან"**.

რასაკვირველია, ლიპარიტი არ იყო ინდივიდუალური მებრძოლი. მას მომხრეები ჰყავდა და მეფესთან შემდეგდროინდელ ბრძოლაში ორბელიანს დიდი აზნაურები ეხმარებოდენ. ეს იმას მოწმობს, რომ იგი იყო წარმომადგენელი მსხვილი ფეოდალებისა, რომელთაც მონარქიის გაძლიერება არაფრად ეპიტნავებოდათ და მეფის შესუსტების, თავისთვის მეტი დამოუკიდობლობის მოპოებისათვის იბრძოდენ.

ბერძნებისა და კახელების დახმარებით ლიპარიტ ორბელიანმა ტახტის პრეტენდენტად გამოაცხადა ბაგრატის ნახევარძმა – დემეტრე. ბერძნების ჯარმა, რომელსაც ლიპარიტი უძღოდა, ზემო-ქართლი მაოხრა და მოადგა ატენს. საყურადღებოა, რომ მას მიემხრნენ **„სხვანიცა ვინმე დიდებულნი აზნაურნი"**. ატენის სიმაგრის მცველნი მეფის ერთგულნი აღმოჩნდენ და ბერძნების წინსვლა შეაჩერეს. ამასობაში ზამთარმაც მოაწია. ბერძნების ჯარი უკან გაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ბაგრატი კარგად გრძნობდა ლიპარიტის ძლიერებას და მასთან ზავი არჩია. უფრო საყურადღებო ისაა, რომ მეფემ

მას **„უბოძა ქართლისა ერისთაობა.“** ყველაფერიდან სჩანს, თუ რამდენად უძლური იყო ჯერჯერობით მეფის ხელისუფლება!

ბრძოლა, რასაკვირველია, ამით არ გათავებულა. ლიპარიტს, როგორც ქართლის ერისთავს, უფრო მეტი საშუალება მიეცა მეფისათვის ევნო. როდესაც ტფილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა, ტფილისის **„ბერებმა“** (უხუცესებმა, რომელნიც ქალაქის გამგებლობაში მონაწილეობდენ) ბაგრატი მიიწვიეს ქალაქის დასაჭერად. ბაგრატი დიდი ზეიმით შევიდა ტფილისს და დაიჭირა იგი. მაგრამ სწორედ ამ დროს ლიპარიტმა იმავე ბერძნების დახმარებით ანისის მმართველი **აბუსერი** შეიპყრო (მასთან სხვა დიდებულნიც, მეფის მომრეენი). ბაგრატი იძულებული გახდა ტფილისი მიეტოვებინა. როდესაც ლიპარიტმა აბუსერის განთავისუფლების მაგივრად თავისი შვილის (იოანეს) მასთან გაგზავნა მოითხოვა, ბაგრატი იძულებული გახდა ამას დასთანხმებოდა. ეს იოანე ბაგრატთან მძევლად იყო ლიპარიტის პირველი განდგომის შემდეგ. ყველაფერ ამ აშლილობის გამო საქართველომ დაჰკარგა როგორც ტფილისი, ისე ანისი. ეს უკანასკნელი, სომხის კათალიკოზის პეტროსის თანხმობით ბერძნებმა დაიჭირეს.

ბრძოლა ამით არ გათავებულა და სასირეთის ჭალის თავში მოხდა შეტაკება მეფისა და ლიპარიტის ჯარისა. ლიპარიტმა გაიმარჯვა, მეფის ლაშქარი გააქცია და აბუსერი, აგრეთვე სხვა დიდებულნი, კვლავ ხელთ იგდო. შეშინებული მეფე იძულებული იყო ზავი ეთხოვნა. იგი თვითონ ეახლა ქედფიცხელ ერისთავს სოფ. ხოვლეში და მისი პირადად ნახვა, მასთან მორიგება მოინდომა. მეფე ჰენრიხ მე-IV-ეს (იმავე XI) ს. კანოსაში რომის პაპ გრიგოლ მე-VII-ის სასახლის დაკეტილ კარების წინ, ცოდვილის ტანისამოსში გამოწყობილს, რამდენიმე დღის ცდამ მაინც უშველა და მან შენდობა მიიღო. ქართველ მეფეს კანოსაში წასვლამ ამაოდ ჩაუარა და ქედმაღალმა ფეოდალმა მისი ნახვა არც კი მოინდომა. ბაგრატი იძულებული გახდა შერცხვენილი უკან გამობრუნებულიყო. ეს იყო მეფის უდიდესი დამცირება და მისი პრესტიჟის შელახვა!

ლიპარიტი სავსებით დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. იგი თავისი ჯარით მონაწილეობას იღებდა ბერძენთა ლაშქრობაში. ერთ-ერთ ასეთი ლაშქრობის დროს თურქებმა დაამარცხეს ბერძნები და ლიპარიტიც ტყვედ იგდეს. ბაგრატი თითქოს განთავისუფლდა თავის უძლიერესი მტრისაგან. დასავლეთ საქართველოდან გადმოვიდა, ქართლი დაიპყრო, ლიპარიტის შვილები დაიჭირა და ერთი მათგანი მძევლად დაიტოვა.

საბერძნეთი ცდილობდა ლიპარიტის განთავისუფლებას და მიზანსაც მიაღწია. ლიპარიტმა „ნახა ბერძენთა მეფე და **მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი**“. მან კვლავ აიღო ანისი და ბაგრატს ემუქრებოდა. შეშინებული მეფე იძულებული გახდა აღმოსავლეთი საქართველო მთლად მიეტოვებინა. მან მოინდომა ლიპორიტის პირდაპირი მფარველისათვის მიემართნა და მასთან მოეხდინა მორიგება. ამიტომ იგი წავიდა საბერძნეთს, იმპერატორ კონტანტინე მონომახთან. თავისი შვილი გიორგი მან მეფედ დასვა, მაგრამ მხოლოდ დასავლეთ საქართველოისა („აფხაზთა“), ვინაიდან აღმოსავლეთი გამარჯვებულ ფეოდალს ეჭირა.

ბაგრატი საბერძნეთში სამს წელიწადს დარჩა (როგორც სჩანს ამარდ). ამით ისარგებლა ლიპარიტმა, ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი გიორგი გადმოიყვანა აღმოსავლეთში და მთელი საქართველოს მმართველად გამოაცხადა. ეს ფრიად კარგად მოფიქრებული ხერხი იყო. მცირეწლოვანი გიორგის დროს მთელი სამეფოს ნამდვილი ბატონ-პატრონი, რასაკვირველია, ლიპარიტ ორბელიანი იქნებოდა.

როგორც სჩანს, ლიპარიტზე ბერძნებს გავლენა მოუხდენიათ და იგი დათანხმებულა ბაგრატის დაბრუნებისათვის ხელი არ შეეშალა. თვით ლიპარიტი, როგორც მკაცრი და ქედმაღალი მმართველი, დანარჩენ ფეოდალებისათვისაც მიუღებელი გამხდარა. **„სამეფოისა დიდებულთა მოეწყინათ პატრონობა ლიპარიტისიო“**—აღნიშნავს მემატიანე. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ბაგრატი დაუბრკოლებლივ დაბრუნდა. საგულისხმოა, რომ მეფე დაბრუნების შემდეგაც არ ყოფილა ნამდვილი მეფე. მას თითქოს სარჩოდ მისცეს მხოლოდ „ლიხსა ქვემოდ კერძო“. დანარჩენ საქართველოს კი კვლავ ლიპარიტი განაგებდა.

ბაგრატი, რასაკვირველია, ეცდებოდა სამეფოს დაბრუნებას. უკმაყოფილო ფეოდალების საშუალებით მან შესძლო კიდეც ეს. სულა კალმახელმა, აგრეთვე მესხეთის სხვა დიდებულებმა მოახერხეს და ლიპარიტი მისი შვილებით დააპატიმრეს. შეპყრობილი ფეოდალი მეფეს მიჰგვარეს ჯავახეთს. ლიპარიტს მაინც ბევრი მომხრეს ჰყავდა. ბაგრატი ამიტომ მოერიდა მის სიკვდილით დასჯას. იგი დათანხმდა, ორბელიანს მთელი თავისი სიმდიდრე თითქმის ხელუხლებლად წაეღო. ციხეები და მამული კი ჩამოართვეს. ქედფიცხელმა დიდებულმა უკვე მოხუცებულმა, „ჩაიცვნა ჩუხანი“, ბერად აღიკვეცა, შემდეგ ბიზანტიაში წავიდა და იქ მიიცვალა.

ასეთი ხასიათისა იყო ფეოდალებსა და მეფეთა შორის ბრძოლა

მთელი მე-XI-IIX საუკუნეთა განმავლობაში. სწორედ ეს გარემოება ათქმევინებს მემატიანეს ყურადსაღებ სიტყვებს, რომელიც, ცხადია, აზნაურებს შეეხება: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთგანვე თვისთა უფალთა (ე. ი. მონარქთა), რამეთუ რა-ჟამს განდიდდენ, განსუქდენ და დიდება ჰყონ და განსვენება, იწყებ-დენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნიო. („ქ. ც. ხ.“ ჰიჭ. გვ. 378) იგი უწონეს დავით მეფეს მის მიერ აზნაურთა (ლიპარიტ ორ-ბელიანის) დასჯას: „რამეთუ კუდი ძაღლის არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლიად ვალსო“.

ქართული ეკლესია, როგორც ვთქვით, მოხარქიის განმტკიცე-ბისათვის ბრძოლაში საერთოდ მეფეთა მხარეზე იყო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამის მიზები და აგრეთვე ის, რომ ეკლესია ამტკიცებდა: **„სადა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ღმერთებისაო“.** მეფეებიც მოხერხებოლად სარგებლობდენ ეკლესიის ავტორიტეტით და თავის ხელისუფლებას ღვთის სახელს უკავშირებდენ: „ნებითა ღვთისათა“ ამისა და ამის მეფეო. ძველ სიგელებში ხშირად მეფეებს ღმერთს ადარებენ. ანტონ ჭყონდიდელი, მაგალითად, ამბობს: ღვთისა სწორსა მეფეთ მეფესა თამარს შევეხვეწეო. თამარის ისტორიკოსი ამტკიცებს: თამარი სამების მეოთხე სახეა, „სამებისაგან ოთხად თანა-აღზევებულიო“. ამიტომ საკვირველი როდია, როდესაც გიორგი მეფე 1082 წელს დაწერილ ერთ-ერთს სიგელში თავის თავს **„ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელს“** უწოდებს.

ფეოდალური მონარქიის განმტკიცება. ხანგრძლივი ბრძო-ლისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ. მე-XI საუკუნის დამლევისათვის იწყება ხანა ფეოდალური მონარქიის საბოლოოდ განმტკიცებისა. ცალკე ფეოდალები კვლავ განაგრძობენ მეფის ხელისუფლების შეზ-ღუდვისათვის ბრძოლას. მათ კარგად ახსოვთ, რომ მეფე—ეს მხოლოდ პირველი ფეოდალია, დანარჩენთაგან შეწყნარებული, როგორც ასეთი. ამიტომ ისინი ვერ ურიგდებიან მონარქების მიდრეკილებას აბსო-ლიუტიზმისაკენ. მაგალითად, ფეოდალებმა ბოლოს და ბოლოს ტახ-ტიდან ჩამოაგდეს გიორგი II და მათისავე თანხმობით მეფობა **და-ვითმა** (გიორგი მე-II შვილმა) ჩაიბარა. მაშასადამე დავითმა სამეფო გვირგვინი მიიღო ფეოდალების წყალობით. ამ უკანასკნელთ იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ იგი სწორედ ფეოდალების მონა-მორჩილი იქ-ნებოდა და მათს სურვილს დიდს ანგარიშს გაუწევდა. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. დავითი, რომელიც ისტორიაში ცნობილია „აღმაშენებელის“ სახელწოდებით, როგორც ძლიერი ნებისყოფის

ადამიანი, მოხერხებული პოლიტიკოსი და განათლებული კაცი—უძ-ლიერესი მტერი ხდება ფეოდალებისა და აჰლაგმავს კიდევაც მათ. ამაში მას ხელს უწყობს საქართველოს მაშინდელი საერთაშორისო მდგომარეობაც. ამიტომ დავით აღმაშენებელს თავის მეფობის უკა-ნასკნელ ხანებში ბევრად უფრო მეტი უფლება ჰქონდა „თვითმპყრო-ბელი“ ეწოდებინა თავისთვის, ვიდრე ძამამისს გიორგი II-ს.

უპირველესად ყოვლისა ფეოდალური მონარქიის განმტკიცებას და მისი პრესტიჟის მაღლა აწევას ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ: შინაურმა და საგარეო მდგომარეობამ. შუა საუკუნეების დამდეგს აღმოსავლეთის ხალხები მიიწეოდენ დასავლეთისაკენ და დაიპყრეს კიდეც მთელი ევროპა. დაახლოებით მე XI საუკუნიდან იწყება პი-რუკმო პროცესი: ამხანად უკვე დასავლეთი ევროპა მიიწევს აღმო-სავლეთისაკენ. ამის ერთი გამოხატულებათაგანია ეგრეთწოდებული „ჯვაროსანთა ლაშქრობანი“. ეს ლაშქრობა ვითომ იმიტომ იყო გა-მართული, რომ „უსჯულოებისაგან“ (მაჰმადიანთაგან) განეთავისუფლე-ბინათ ქრისტიანთა წმინდა ადგილები. ამ მოვლენის ნამდვილი მიზე-ზები კი სულ სხვა იყო.

საქმე ისაა, რომ მე-XI საუკუნეში დასავლეთ ევროპაში საკმაოდ გაძლიერდა სავაჭრო კაპიტალი, ხელოსნობა და ამით კიდევ—ქალაქე-ბი. ამან ერთნაირად, პირველ ხანებში სამუშაო და სარჩო მისცა იმ მოსახლეობას, რომელიც სოფლად ვეღარ ეტეოდა, მიწა ვეღარ ჰყო-ფნიდა. მაგრამ, რასაკვირველია, ქალაქები და ხელოსნობა სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა ზედმეტად მომრავლებულ ხალხის საჭიროე-ბას. ამიტომ როგორც რაინდები, ისე გლეხები იწყებენ ახალ-ახალ მიწათა და მამულთა ძიებას სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ძიება მასიურ ხასიათს ღებულობს და მრავალ ლაშქრობით გამოიხატება. რაინდთა და უსახლკარო მასის მისწრაფება სავსებით ეთანხმება ქალაქთა ასეთ-სავე მისწრაფებას (სავაჭრო კაპიტალის) ახალი ქვეყნების ეკონომიუ-რად დაპყრობისაკენ. როდესაც ეს მისწრაფება აღმოსავლეთისაკენ იზამს პირს—მას სარწმუნოებრივი ხასიათი ეძლევა და გარეგნად მი-სი მიზანია—პალესტინის და განსაკუთრებით კი იერუსალიმის გან-თავისუფლება თურქთაგან, რომელნიც ამ ადგილების წინანდელ მფლობელ არაბებზე ბევრად სასტიკი ბატონები აღმოჩნდენ. ისინი ამ ეგრეთწოდებულ „წმინდა ადგილებისაკენ“ მიმავალ მდოცველ ქრისტიანებს ფრიად ხელს უშლიდენ და ხარჯსაც ახდევინებდენ.

პირველი ლაშქრობა ჯვაროსნებისა, როგორც ვიცით, დაიწყო 1095 წელს. პირველ ორ წელს ჯვაროსნებმა დაიპყრეს ანტიოქია, ედესა და მრავალი სხვა ქალაქი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთს

ნაპირზე. მუსულმანები შემფოთებულნი იყვნენ და მთელს თავის ძალ-ღონეს ამ ახალი საფრთხის, ევროპიელებ ს წინააღმდეგ მიმართავდენ.

საქართველოში იმ დროს ამნაირი მდგომარეობა იყო. ტფილისის საამირო, რომელიც თან-თან უძლურდებოდა, არაბებს წაართვეს თურქ-სელჯუკებმა, რომელნიც სასტიკ რისხვად მოევლინენ ჩვენს ქვეყანას და ხარჯი დაადეს. მთელ მუსულმანობაში იმ ხანად სწორედ ეს თურქ-სელჯუკები პირველობდენ. მაგრამ, როგორც ვთქვით, ჯვაროსანთა ლაშქრობამ მდგომარეობა შესცვალა. თურქების საუკეთესო ძალები ჯვაროსანთა მოსაგერიებლად პალესტინისაკენ იქნა გაგზავნილი. ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს და ქრისტიანებში ამან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო იმას, რომ მუსულმანთა ტალღა, საქართველოს რომ აწვებოდა—მინელდა. დასუსტებულმა თურქებმა, რომელნიც ერთ დროს ბაგრატ მეფეს შიშის ზარი დასცეს—თავდასხმაზე ხელი აიღეს და თავდაცვას კმაყოფილდებოდენ.

საქართველომ, რასაკვირველია, ისარგებლა საერთაშორისო ხელსაყრელი პირობებით. დავით მეფემ უარი უთხრა მელიქ-შაჰს ხარკის გადახდაზე (1097 წელს). გაჭირვებაში მყოფმა თურქებმა ეს ფაქტი შეიწყნარეს, ვინაიდან საქართველოს ხელმეორედ დამორჩილებისათვის ძალა არ შესწევდათ. **ხარკისაგან განთავისუფლება,** რომელიც მოხდა მეფის მეთაურობითა და ინიციატივით—დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მან, უეჭველია, აღამაღლა მეფის პრესტიჟი. ამ გარემოებამ იგი ეროვნული თავისუფლების და ღირსების დამცველის როლში გამოიყვანა. ცხადია, ამან უფრო მეტად შეუწყო ხელი მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ამიერიდან საქართველო გარეშე ძალთაგან დამოკიდებული აღარ არის და ეს ხდება თითქოს მეფის ხელისუფლების წყალობით.

საქართველო იწყებს თავის მიწა-წყალის შემოკრებას. დავით მეფემ სასტიკად დაამარცხა განჯის ამირა და კახეთიდან მთლად განდევნა. ამნაირად კახეთიც იმ ხნიდან დანარჩენ საქართველოს შემოუერთდა. თურქ სელჯუკები გრძნობენ, რომ საქართველო არაჩვეულებრივ საბოლოოდ ხელიდან ეცლებათ, არამედ დანარჩენი მათი სამფლობელოებისათვის იგი საშიში ხდება. ამიტომ სხვად-სხვა ამირები ადგენენ კოალიციას. დავითი სასტიკად ამარცხებს მათ და ამნაირად საქართველოს სამხედრო ძლიერებას განამტკიცებს. 1122 წელს ქართველებმა ტფილისი, „ოთხას წელ ქონებული სპარსთა (მუსულმანთა)“—აიღეს და იგი კვლავ სატახტო ქალაქის როლის თამაშს იწყებს.

საქართველოს ტერიტორიის მთლად გაერთიანების შემდეგ იწყება საზღვრების განმტკიცება. საამისოდ მეფეებს უხდებათ მეზობლების საქმეებში ჩარევაც და შეტევითი ომების წარმოება. ეს ლაშქრობანი მალე დინასტიური იმპერიალიზმის იერს ღებულობენ. რამდენადაც მეფე ომიანობაში ძლევარმოსილია, იმდენად იზრდება მისი ავტორიტეტი და საერთოდ მეფის ხელისუფლების პრესტიჟი. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფეოდალებთან ბრძოლაში. დავით მეფე, მაგალითად, ერევა სომხეთის საქმეებშიაც. სომხეთი იმჟამად თურქების ხელშია და ადგილობრივ მკვიდრთა სარწმუნოება-ქრისტიანობა იდევნება. ქართველთა ჯარი ამარცხებს თურქებს და დიდი ზეიმით შედის სომხეთის დედა-ქალაქ **ანისში**, სადაც მას ეგებებიან, როგორც მხსნელს.

ანისის აღების შემდეგ საქართველო დაიჭერს ქ. შემახიას და შირვანს (შირვანი ახლანდელი ბაქოს გუბერნიის დასავლეთი ნაწილი იყო). ამავე დროს მას მოუხდება ლეკებთან შეტაკება და დარუბანდის პატრონის დამარცხება. ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელის მეფობის დასასრულს საქართველოს ტერიტორია ორ ზღვას შუაა გადაჭიმული: მისი საზღვრები ჩრდილოეთით დარუბანდს აღწევს, დასავლეთით ტუაფსეს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით—ყარსსა და არზრუმს.

რითი აიხსნება საქართველოს ასეთი პოლიტიკური წარმატება, რაიც მონარქიის გაძლიერებას უწყობს ხელს? საგარეო, საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. დავაკვირდეთ ახლა საშინაო მდგომარეობას.

ბრძოლა დიდგვარიანებთან და სავაჭრო კაპიტალი. დიდგვარიანებთან ბრძოლაში მეფეები ცდილობდენ მოკავშირენი ეპოვნათ. ამნაირი მოკავშირე იყო მეფისათვის, როგორც წინად ვთქვით, ეკლესია. შემდგომ მას მიემატა ვაჭართა კლასი. იმ დიადი მოძრაობის გამო, რაიც ჯვაროსანთა ლაშქრობით დაიწყო—საქართველოში ვაჭრობა გაცხოველდა. ეს ვაჭრობა სწარმოებდა უმთავრესად ბიზანტიასა და მუსულმანთა სხვადასხვა სამფლობელოსთან. შემოჰქონდათ უმთავრესად ძვირფასი საქონელი: ქსოვილები, თვალ-მარგალიტი, აგრეთვე ფოლადი, შაქარი, აღვირები, ბერძნული ტანსაცმელი (უმთავრესად სამღვდელოებისათვის), საეკლესიო ნივთები და სხვ. საერთოდ მაშინდელ ბაზარზე (ბაზრობას უწოდებდენ „სავაჭრო ერის კრებას") იყიდებოდა: შინაური პირუტყვი, ცხენი, ჯორი, სახნისი, ტაშტი, უნაგირი, აღვირი, ქვაბი და სხვა. აგრეთვე საშენებელი მასალა, მამული და სხვა. „ქვაჲ და კირი ფრიად შორით მიაქვნდა.., და ყო-

ველი სასწორით იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი"—ნათქვამია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (გ. მერჩული მე-10 საუკუნე).

საერთოდ ხელოსანთა და ვაჭართა რიცხვი საგრძნობლად გამრავლდა. თუ რამდენად პატივცემული იყო ვაჭარი, ამას ცხადად მოწმობს ის სიტყვები, რომელსაც ამბობს ბაგრატ მეფე დიდი ვაჭრის შესახებ: „ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვისო". ვაჭართა ინტერესები მოითხოვდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას და ქვეყნის გაერთიანებას, ვინაიდან ეს შესაძლებლობას აძლევდა მათ თავისუფლად ემოქმედნათ, თავისუფალი მიმოსვლა ჰქონოდათ და ერთნაირი კანონის დაცვის ქვეშ ყოფილიყვნენ. ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში ვაჭართა კლასი მეფეთა ბუნებრივი მოკავშირე იყო და ეს უკანასკნელიც ცდილობდა მას დაყრდნობოდა.

მეფეებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ ფეოდალების ბრძოლა მათ წინააღმდეგ შემთხვევითი ხასიათისა არ იყო. ისინი ჰხედავდენ, რომ დიდმამულიანობა იყო მიზეზი ფეოდალების ძლიერებისა და სწორედ ამ საძირკვლის შერყევას ცდილობდენ. დავით აღმაშენებელი, მაგალითად, მოხელეთა დანიშვნის დროს დიდგვარიანობას ნაკლებს ანგარიშს უწევდა. იგი ცდილობდა სახელმწიფო აპარატში ახალი საზოგადოებრივი წრე ჩაეთრია და ამნაირად მისი ერთგულება უზრუნველეყო. ამიტომ მის დროს სახელმწიფო ასპარეზზე იღწვიან ახალი პირები, რომელნიც დიდგვარიანები არ არიან, მაგრამ მონარქიის მომხრეობით ამაღლებულან და მის ერთგულ დამცველებად გამოდიან.

მეფეები ყოველგვარად ხელს უწყობენ ვაჭართა წრის ზრდას და ვაჭრობის განვითარებას. დავით აღმაშენებელი, მაგალითად, ძალიან ზრუნავს ახალი გზების გაყვანისა და ძველი გზების შეკეთებისათვის. ტფილისში შესვლის დროს მან ფრიად დიდი ღმობიერება გამოიჩინა მუსულმან სოვდაგრებისადმი და მრავალი პრივილეგია მიანიჭა. დაპყრობილ ანისიდან მან ვაჭარ ხელოსანნი წამოიყვანა, გორში დაასახლა, საერთოდ დახმარებას უწევდა მათ და სხვ.

ხელისუფლების თავდაცვითი აპარატი. მეფეთა ბრძოლა დიდგვარიანებთან ხანგრძლივი და სასტიკი იყო. ამ ბრძოლაში ორივე მხარე დაურიდებელი და შეუბრალებელი იყო. როგორც მემატიანის სიტყვებიდან სჩანს, მრავალჯერ მოუნდომებიათ დავითის მოკვლა, ერთხელ ისარიც უტყორცნიათ (როგორც სასულიერო პირი, მემატიანე დავითის გადარჩენას მიაწერს ღვთის განგებას: გამოტყორცნილი

ისარი მოხვდა მთავარ-ანგელოზის ხატს, „რომელი ეკიდა ყელსა“ და ამნაირად ხატმა მისი გული დაიფარაო). მეფის ხელისუფლება ჰქმნიდა თავდაცვის აპარატს. უპირველესად ყოვლისა, მან დიდი ყურადღება მიაქცია საქმის იმ მხარეს, რასაც თანამედროვე ხანაში **პოლიტიკური პოლიცია ეწოდება**. მეფეებისათვის საჭირო იყო სცოდნოდათ ხალხის ყველა წრის, განსაკუთრებით კი თავისი მოწინააღმდეგე დიდგვარიანების საიდუმლო განზრახვანი. დავით აღმაშენებელს ეს საქმე, სჩანს, ფრიად კარგად მოუწყვია. „არარა შორიელი არცა სამეფოსაა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთათა და დიდთა და მცირედთა საქმეთა ქმნილი კეთილი, გინა სიტყვა ბოროტი თქმული, **არარა დაეფარვოდა ყოვლადვე**“, არამედ რაც გინდ ფარული ყოფილიყოს საქმე—„ყოველივე ცხად იყოს წინაშე მისსაო“—ამბობს მემატიანე („ქ. ცხ.“ ჭიჭ. გ. 374 გვ.). უეჭველია ასეთი რამ შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეფეს პოლიტიკური აგენტურა კარგად ექნებოდა მოწყობილი და ჯაშუშებიც ბლომად ეყოლებოდა. ეს აგენტურა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ იმავე მატიანის სიტყვით, ყველამ კარგად იცოდა, „პირით აღმოსვლასთანავე თანა სიტყვისასა“, ეს სიტყვა მეფის ყურამდე მიაღწევდა. სწორედ ამ გზით ბევრი ორგული უმხილებია დავითს და დაუსჯია კიდეც. ამიტომ ბუნებრივია მატიანის დასკვნა: „ამისათვის ვერცა ოდენ ვინ განიზრახა ღალატი რათურთით, დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავი და სარიდო (ე. ი. საშიშარი)“.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა, რომელმაც მეფის ხელისუფლების განმტკიცებაში უდიდესი როლი ითამაშა—ეს მეფის ჯარი იყო. ფეოდალებსა თუ მათ მოკავშირე უცხო ძალებთან ბრძოლაში—მეფის უნუგემო მდგომარეობა წინად უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მეფეს არ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ძალა, რომელიც დაიცავდა სახელმწიფოებრივ აპარატს. ჯარი გამოჰყავდათ ფეოდალებს და ისინი იყვნენ თავის მამულში შეგროვილი რაზმების სარდლები. ამიტომ მეფეები ყოველთვის გრძნობდენ ისეთი შეიარაღებული ძალის საჭიროებას, რომელიც ცალკე ფეოდალებს კი არა, უშუალოდ მეფეს, სახელმწიფოს დაემორჩილებოდა. ამნაირად წარმოიშკა აზრი—მეფის მუდმივი ჯარის დაარსებისა.

დავით აღმაშენებელი არ დაერიდა გაბედულ ნაბიჯს: ჩრდილო კავკასიიდან მან მოიწვია ყივჩაღები. თავისი სიმამრის დახმარებით (დავითს იქაური ქალი ჰყავდა) მან მოახერხა თითქმის ორასი ათასი ყივჩაღის (ოჯახობით) საქართველოში გადმოსახლება. ამ რიცხვიდან,

მატიანის სიტყვით, შესაძლებელი შეიქნა დაახლოებით 50 ათასი მეომრის გამოყვანა, რომელნიც მხოლოდ მხედრობას ეწეოდენ. ყივჩაღების ჩვენში გადმოსახლება გაადვილა ერთმა გარემოებამ; იმ დროს რუსის მთავარი ვლადიმერ მონომახი ყივჩაღებს ძალიან აწუხებდა და ავიწროებდა. ამიტომ დავით მეფის მოწოდებამ იქ მყისვე გამოხმაურობა ჰპოვა. გადმოსახლებულნი საქართველოში დააბინავეს და გადასახადებისაგან განათავისუფლეს. სამაგიეროდ ისინი ვალდებულნი იყვნენ მეფის მოთხოვნით ჯარისკაცთა დაწესებული რიცხვი გამოეყვანათ. ყივჩაღები მალე გაქართველდენ, ადგილობრივს მცხოვრებლებში გაითქვიფნენ და მეფის სამსახურს ერთგულად ეწეოდენ. „დააწყვნა გვარად—გვარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნიო“—ამბობს მემატიანე. ამ სპასალარებად, მეფე, ცხადია, თავის უერთგულესს მსახურთ დააყენებდა.

მეფის მიერ ჯარის შექმნა—ფეოდალებისთვის უდიდესი ლახვარი იყო. ამიერიდან მეფის ხელისუფლება უკვე აღარ იყო დამოკიდებული ფეოდალებზე; რომელთაც შეეძლოთ კრიტიკულ მომენტში თავისი რაზმები მეფისავე წინააღმდეგ წარემართნათ. ეს იყო მეფეთა დიდი გამარჯვება. ამან ცენტრალური ხელისუფლება კიდევ უფრო აღამაღლა და განამტკიცა. ფეოდალები, რასაკვირველია, ცდილობდენ ყივჩაღთა შორისაც ერეულობა შეეტანათ და მეფის ღალატი ჩაეგონებინათ. სწორედ ამაზე ამბობს მემატიანე: „რაოდენ გზის ყივჩაღთა თვისთა განიზრახეს ღალატი,“ მაგრამ ვერას გახდენო. ყივჩაღების გადმოსახლებას დიდძალი ფული დასჭირდებოდა. უეჭველია ამ შემთხვევაში ვაჭართა წრე მეფეს შესაფერისს დახმარებას გაუწევდა, ვინაიდან მეფის გაძლიერება, როგორც ვთქვით, მისთვის ხელსაყრელი იყო.

ეკლესია და მეფის უფლება. თავის დროზე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ეკლესია მეფის მომხრე იყო და ფეოდალებთან ბრძოლაში ეხმარებოდა. დიდგვარიანობასთან ბრძოლა არ შეიძლებოდა ეკლესიის სფეროსაც არ შეჰხებოდა. ეკლესიაც სავსებით შესული იყო ფეოდალურ რკალში. უმაღლესი საეკლესიო მსახურნი, კათალიკოსი, ეპისკოპოსნი, მიტროპოლიტნი, საუკეთესო ლავრა-მონასტერთა წინამძღვარნი—უეჭველად დიდგვარიანნი და დიდმამულიანები იყვნენ. ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელნი, როგორც საქართველოს გაერთიანებისა და მონარქიის განმტკიცების მომხრენი,—ცდილობდენ ფეოდალური რკალი გაერღვიათ და ეკლესია ფეოდალების მორჩილებისაგან განეთავისუფლებინათ. ასეთი იყო, მაგალითად, ცნობილი მოღვაწე **გიორგი მთაწმინდელი.**

გიორგი მთაწმინდელი მედგრად იბრძოდა ეკლესიაში ერთნაირ დემოკრატიული წესის დამყარებისათვის (დასავლეთ ევროპაში ასეთი მოძრაობა მხოლოდ მე-13 საუკუნეში დაიწყო წმინდა ფრანცისკის მეთაურობით). გიორგი მთაწმინდელი შეებრძოლა წოდებრიობას და მისი მეოხებით დაბალი წრეებიდან გამოსულ პირებსაც მიეცათ საშუალება უმაღლეს სასულიერო ხარისხის მიღებისა. **„შეკრიბა რომელნიმე ქალაქთაგან, რომელნიმე დაბათაგან, სხვანი უდაბურთა ადგილთა ჰპოვნა, სხვანი მონებისაგან გამოიყვანნა, ხოლო სხვანი უმწარესისა ცხოვრებისაგან იხსნა“** და სამღვდელო პირებად აკურთხა. ეს ფრიად დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული. ახალი სასულიერო პირები უკვე აღარ იყვნენ დიდგვარიანებზე დამოკიდებულნი, მეფის ხელისუფლების ერთგულობას იჩენდენ და მონარქიის განმტკიცებას ხელს უწყობდენ.

მაგრამ მონარქიის სასარგებლოდ საეკლესიო წყობილების გარდაქმნის საქმე დავით აღმაშენებელმა დაამთავრა ძლიერისა და უდრეკი ხელით. ამ მხრით შესანიშნავია 1103 წელს გამართული **რუის-ურბნისის საეკლესიო კრება**. ამ კრებამ, რომელიც მეფის ინიციატივით იყო მოწვეული, დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბევრი ულირსი უმაღლესი სასულიერო პირი (განსაკუთრებით ეპისკოპოსნი) თავის ადგილზე წამოსკუპებულიყო **„მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით“** და ისინი **„იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი“**. ამისთანა მდგომარეობას, ცხადია, მონარქია ვერ შეურიგდებოდა. ამიტომ რუის-ურბნისის კრებამ მრავალი ეპისკოპოსი გადააყენა. ეს საქმე ძალიან ძნელი იყო, ვინაიდან დიდგვარიანები, ცხადია, წინააღმდეგობას არ დააკლებდენ. **„არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითაო“** — აღნიშნავს მატიანე. ამნაირად, სახელმწიფომ დიდგვარიანები საეკლესიო ასპარეზზედაც დაამარცხა და თუ სავსებით ვერ გამოდევნა, თავის კონტროლს მაინც დაუმორჩილა. ეს იყო მეფის ხელისუფლების დიდი გამარჯვება, ვინაიდან ეკლესიას იმ ხანებში დიადი მნიშვნელობა ჰქონდა. თავისი ავტორიტეტით მას დიდი დახმარების გაწევა შეეძლო მეფეთათვის და როგორც ვიცით, უწევდა კიდეც.

სამაგიეროდ მეფეებიც ძალიან აფასებდენ ეკლესიის მნიშვნელობას და ცდილობდენ მის მომადლიერებას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა ეკლესია ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლა და შეუვალობა მიანიჭა. გარდა ამისა, იგი ფრიად ხელს უწყობდა ეკლესია-მონასტრების გაშენება-გამშვენიერებას. მანვე ააგებინა გელათის მონასტერი, რომელიც საუკეთესო და სწავლული

ბერ-მონაზნების სავანედ იქცა. მეფე ცდილობდა მასში მოეგროვებინა „კაცნი პატიოსანი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანისა კიდეცა“ სადაც კი ვინმე მოიპოვებოდაო. ერთი სიტყვით ეკლესია მონასტრებს მან, როგორც მემატიანე გადმოგვცემს: **„უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“**. აღსანიშნავია, რომ დავითი, როგორც ჭკუიანი პოლიტიკოსი, მარტო საქრისტიანო ეკლესიას როდი მფარველობდა. იგი ცდილობდა მაჰმადიანთა სამღვდელოების მიმხრობასაც.

ფეოდალური მონარქიის გაძლიერებამ და საქართველოს ტერიტორიალურმა გაერთიანებამ ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობის შეგნების წარმოშობვასაც. მეთერთმეტე საუკუნემდე არ არსებობდა ქართველთა ყველა ტომის გამაერთიანებელი სახელწოდება და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საერთო სახელწოდება. იყო ქართლი, კახეთი, ლიხთ-იმერეთი, აფხაზეთი და სხვა. მხოლოდ გაერთიანების ხანაში წარმოიშვა ცნება **„საქართველო“**. რასაკვირველია ქართველთა სხვადასხვა ტომის ნათესაობის შეგნება წინადაც იყო. მის აღსანიშნავად იხმარებოდა **„ყოვლი ქართლი“**, ან **„ერთობილი ქართლი“**. მე-XI საუკუნიდან კი მკვიდრდება ტერმინი **„საქართველო“**. ათონის მონასტრის შესახებ გიორგი მთაწმინდელი ამბობს: მის „სათნოებათა სახელი და ღირსება **ყოველსა საქართველოს** განეფინა და არა ხოლო **საქართველოსა**“... რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში ნათქვამია: **„ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“** —ანდრია მოციქულმა შემოიტანაო.

დასასრულ, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ეკლესია, ემხრობოდა რა მეფეთა ხელისუფლებას, მის გაძლიერებისა და მშვიდობიანობისათვის ჰქადაგებდა. ამას მოწმობს ერთი ლოცვა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში ეკლესიებში წარმოითქმოდა ხოლმე: საქართველოს საზღვრების განმტკიცებისათვის, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ქრისტიანობის განმტკიცებისათვის— უფლისა მიმართ ვილოცოთო.

აშნაირად სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ და მონარქიულმა წყობილებამ ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობის შეგნებასა და განმტკიცებას. ამ მთლიანი ერთეულის უზენაეს წარმომადგენელად მეფე იყო დასახული—„ნებითა ღვთისათა“, როგორც ეკლესია ამბობდა. მაშასადამე, მაშინდელი მოწინავე პირების შეგნებით, ყველა, ვისაც საქართველოს გაძლიერება უნდოდა, მეფის მომხრე უნდა ყოფილიყო და მისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ხელი შეეწყო.

სამართლის რეფორმა. ფეოდალური წყობილების დროს სამართლის საქმე, რასაკვირველია, დიდგვარიანების ხელში იყო. უზენაეს მოსამართლედ მეფე ითვლებოდა. როდესაც „მეფე“ პატარა ტერიტორიას ჰფლობდა, ეს კიდევ შესაძლებელი იყო. ხოლო როდესაც იგი გაერთიანებული საქართველოს ხელისუფალი შეიქმნა—საჭირო გახდა სამართლის დარგში რეფორმების მოხდენა. ვაჭართა კლასის ზრდამ, აღებ-მიცემობის გაძლიერებამ მუდმივი და სწრაფი სასამართლოს დაარსების მოთხოვნა წამოაყენა. ამიტომ შეუძლებელი იყო ამ საქმის იმ ძველსა და პრიმიტიულ მდგომარეობაში დატოვება, როგორშიაც წინად იყო.

წინად კი მომჩივანი მეფესთან ადვილად ვერ მივიდოდა. მისი ნახვა ძნელი იყო. ამიტომ, როდესაც მეფე მოგზაურობდა, მომჩივანი და სიმართლის მაძიებელი იძულებული იყო ხერხისათვის მიემართნა. იგი ავიდოდა მაღლობ ადგილას „ბორცვსა ზედა რასამე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, განა თუ ხესა“ და იქიდან ხმამაღლა „საცნაურ ყვის ჭრტვინვა თვისი“. ცხადია, ეს იშვიათად სჭრიდა. „სლვასა შინა თვისა ხამეფოთასა, სიმრავლითა სპათათა და სიმაღლითა სლვითა, ვერ ადვილად მიემთხვეოდიან მოჩივარნი და დაჭირვებულნი („ქ. ცხ.“ ჭიჭ. გვ. 373).

დავით აღმაშენებელმა მოახდინა რეფორმა, სამართლისათვის მან ცალკე უწყება დაარსა. „ამისათვის დაედგინნეს კაცნი მართლიად მცნობელნი, და ვანკითხვარნი მოჩივარნანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასაო“—ამბობს მემატიანე (იქვე). ესეც დიდი გამაოგვება იყო ცენტრალური ხელისუფლებისა და დიდგვარიანების გავლენის შესუსტებას ნიშნავდა. ამ უკანასკნელთა იურისდიქცია თუ სავსებით დამორჩილებული არა, მეფის ხელისუფლების ერთნაირ კონტროლს ქვეშ მაინც იქნა დაყენებული. ეს რეფორმა ფრიად დიდი ნაბიჯი იყო იმისათვის, რომ მეფის ხელისუფლება ახალ წრეებს დაახლოვებოდა და მისი ერთგვარი მოსარჩლეც გამხდარიყო.

თამარ მეფის ეპოქა. დავით აღმაშენებელის შემდეგ ფეხზე დამდგარმა ხელისუფლებამ თავისი მდგომარეობა განამტკიცა (იმავე ფეოდალურ ნიადაგზე) და მალე თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილსაც მიაღწია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ფეოდალებთან ბრძოლა დამცხრალიყოს. პირიქით ეს ბრძოლა გამძაფრდა იმის გამო, რომ ფეოდალები იხმარიებდენ გარეშე ძალას—საბერძნეთს. ბიზანტია მაშინაც და წინადაც საქართველოსათვის განათლების წყაროსა და კერას წარმოადგენდა. საქართველოში მრავლად მიპოვებოდა იქ აღზრდილი ახალგაზრდობა. ამიტომ ბიზანტი-

ის სახელსა და გავლენას ქართველთა უმაღლეს წრეებში დიდი გა-
სავალი ჰქონდა. ფეოდალები ამით სარგებლობდენ და ბიზანტიას
საქართველოს საქმეებში ხშირად ურევდენ. ბიზანტია წინად საქარ-
თველოს ერთნაირ მფარველად ითვლებოდა. მაგრამ ერთმეფობის
გამარჯვებამ და საქართველოს და საქართველოს პოლიტიკურმა გა-
ძლიერებამ ბიზანტია შეაშფოთა. მისთვის ხელსაყრელი აღარ იყო
თურქთა წინააღმდეგ საქართველოს მფარველობა. ეს უკანასკნელი
თვით მისი ტერიტორიალური მთლიანობისათვის საშიში შეიქნა. აი,
რატომ ეხმარებოდენ ბიზანტიის იმპერატორები განდგომილ ფეო-
დალებს (მაგალითად ლიპარიტ ორბელიანს). თურქთა პატარ-პატარა
თუ დიდი სამფლობელოები ხომ, ცხადია, ფეოდალების ბრძოლას,
რომელიც ობიექტიურად საქართველოს მთლიანობის დასუსტებისა-
კენ **იყო** მიმართული,—ყოველთვის მხარს დაუჭერდენ.

დავით აღმაშენებელის შემდეგ გამეფებული დიმიტრი—ფეო-
დალებმა ტახტიდანაც კი ჩამოაგდეს. გიორგი მესამის დროს (1156-
-1181) ფეოდალებმა სცადეს გიორგის ძმისწულის დემნას გამეფება.
„განდგომილთ სურდათ გიორგი მეფე შეეპყრათ და დემნა გაემეფე-
ბინათ, ხოლო გიორგისაგან ფიცისა და სიმტკიცის წიგნი ჩამოერთ-
მიათ, რომ იგი მას დამრჩილებოდა და თავის საკუთარ კერძო საუფ-
ლისწულო მამულით დაკმაყოფილდებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი). გან-
დგომილებმა გაჭირვების დროს სცადეს სპარსეთისა და სხვა მუსუ-
ლმანურ ქვეყნებისათვის დახმარებისათვის მიეშართნათ. გიორგიმ და-
ამარცხა მებამბოხენი და მოწინააღმდეგენი სასტიკად დასაჯა: დე-
მნას თვალები დასთხარა და დაასაჭურისა (რისგანაც ივი გარდაი-
ცვალა), ხოლო მისი მომხრე **ორბელიანთ გვარი თითქმის დედაბუ-
დიანად ამოჟლიტა**. მან ერთნაირი „წმენდა“ მოახდინა ჯარშიაც.
ივანე ორბელიანის მაგივრად სრულიად საქართველოს ჯარების
მთავარსარდლად (ამირსპასალარად) სრულიად უგვარო კაცი, ნაყი-
ვჩაღარი **ყუბასარი** დანიშნა, როგორც მეფის ხელისუფლების ერთგუ-
ლი დამცველი.

გიორგი ამის შემდგომ ძალიან ფრთხილად ექცეოდა დიდგვა-
რიანებს. მას შიში ჰქონდა, ვაი თუ ფეოდალებმა ჩემს მემკვიდრეებს
მეფობა გამოსწირონო. ამიტომ მან თავის სიცოცხლეშივე (ზემო-
ხსენებული ამბოხება ფეოდალებისა 1177 წელს მოხდა) 1778 წ. თა-
ვისი ასული თამარი მეფედ გამოაცხადა. ამით უნდოდა თავისი პი-
რდაპირი შთამომავლობისათვის მეფობა უზრუნველყო. მიუხედავად
ამისა, გიორგის სიკვდილის შემდგომ **„შემოკრბა შვიდთავე სამე-
ფოთა დიდებულნი, რომელნიცა ღირს იყვნეს განზრახვად და გა-**

მორჩევად“ და მათ დაადგინეს, რომ თამარი მეფედ ხელმეორედ კურთხებულიყო.

ის გარემოება, რომ თამარი თითქოს ფეოდალთა თანხმობითა და წყალობით ავიდა ტახტზე—დიდგვარიანებმა გამოიყენეს. მათ გაფიცვა მოახდინეს და გამოაცხადეს: აღარ ვემორჩილებით ძველს ხელისუფალთ, ვინაიდან „**მათგან დაძვრცილნი და უპატიოდ გასულნი ვართ და გვარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულვათ უგვაროთა და უხმართაგანაო**“.

ეს იყო ნაიდვილი ამბოხება მეფეთა პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელნიც ფეოდალებთან ბრძოლაში ახალ წრეებს ეყრდნობოდენ და მოხელეებსაც ამ ახალი წრიდან ნიშნავდენ. მეამბოხეებმა კერძოდ მოითხოვეს ამირსპასალარის ყუბასარისა (რომელიც გიორგი მესამემ დემნას დამარცხების შემდგომ დანიშნა) და მსახურთუხუცესის აფრიდონის გადაყენება. ორივენი მართლაც უკვაროონი და დიდგვარიანების მოწინააღმდეგენი, მეფეთა ერთგულნი იყვნენ. თამარმა მეამბოხეებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და იძულებული გახდა ორივე ზემოხსენებული პირი გადაეყენებინა.

მემატიანე ამის შესახებ ამბობს: „მოიშალა და დაიმხო **ნებითა განზრახვითა ლაშქართათა** და ბრძოლა ყვეს ურთიერთს ხელისუფლებისათვის“. მაშინდელი ტერმინი „**ლაშქარნი**“—ევროპის შუა საუკუნოებრივს „**რაინდობას**“ უდრიდა, ე. ი. აზნაურთა წოდებას, უმაღლეს წრეს ნიშნავდა. ეს „ლაშქარნი“ თამარის დროს ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდენ და სხვადასხვა მოთხოვნებს წამოაყენებდენ ხოლმე. ისინი ცდილობდენ სახელმწიფო საქმეებში უშუალო მონაწილეობა მიეღოთ და მეფე დიდებულთაგან შემდგარი „დარბაზისათვის“ დაემორჩილებინათ. მაგრამ რა იყო და ვისგან შესდგებოდა თვითონ ეს დარბაზი?

დარბაზი. საკონსტიტუციო მოძრაობა. გაერთიანებული საქართველოს დროს მეფის ხელისუფლებასთან ერთად არსებობდა უმაღლესი საბჭო, რომელსაც **დარბაზი** ერქვა (აქედან წარმოსდგა სიტყვა დარბაისელი). იგი შესდგებოდა მაღალი წრეების (განსაკუთრებით ფეოდალების) წარმომადგენელთაგან. დარბაზის მონაწილეებს „**დარბაზის ერნი**“ ერქვათ და ორ ნაწილად განიყოფებოდენ: იყვნენ „**ხელოსანნი**“ (ე. ი. ვისაც რაიმე თანამდებობა ჰქონდა, მოხელე იყო) და „**უხელონი**“. „ხელოსანთა“ ჯგუფს წარმოადგენდენ ვეზირები, ერისთავთ-ერისთავნი, ამირები და სხვა. დანარჩენები შესდგებოდენ თავად-აზნაურობის, სამღვდელოებისა და დიდ-ვაჭართა წარმომადგენელთაგან.

დარბაზი იკრიბებოდა დრო და დრო, როდესაც რაიმე დიდმნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაჭრელი. ეს არ ყოფილა საკანონმდებლო დაწესებულება. ეს იყო სათათბირო, რომლის გადაწყვეტილებას მეფისათვის უფრო მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ცხადია, დარბაზში მონაწილენი ცდილობდენ თავისი უფლებანი გაეფართოვებინათ, თავისი გადაწყვეტილებანი მეფისათვის სავალდებულოდ გაეხადნათ. მაგრამ ამას, რასაკვირველია, მეფეები სასტიკად ეწინააღმდეგებოდენ. დარბაზი, ამიტომ იყო რუსეთის მეფეთა დროს ძველად არსებული »Боярская Дума« -ს მსგავსი დაწესებულება.

გარდა მსხვილი ფეოდალებისა, რომელნიც ცდილობდენ **დარბაზის** გავლენის გაძლიერებას, იყო სხვა ხასიათის მოძრაობაც. ეკონომიურად მოღონიერებული დიდ ვაჭრები შეუთანხმდენ ფეოდალებს და ორთავე ამ წრემ მტკიცედ ჩამოყალიბებული მოთხოვნანი წარუდგინა თამარს. ეს მოთხოვნანი ისეთი ხასიათისანი იყვნენ, რომ მონარქის ხელისუფლებას ძლიერ ზღუდავდენ და პარლამენტის მსგავსი დაწესებულების დაარსების აზრს შეიცავდენ. ამიტომ ამ მოძრაობას შეიძლება **საკონსტიტუციო მოძრაობა** ვუწოდოთ. მემატიანე ამ მოძრაობის ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემს: მოძრაობის მეთაური იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი (ფინანსთა მინისტრი) **ყურთუ-ასლანი**, „გვარითა უაზნოთაგან" გამოსული და როგორც მარიამ დედოფლისეულ „ქ. ცხ." ხელთნაწერშია მოხსენებული—„**ბიჭი**". იგი, ცხადია მდიდარი იქნებოდა და ეს სიმდიდრე მისცემდა საშუალებას, რომ ისეთი მაღალი თანამდებობა დაეჭირა, როგორიც მეჭურჭლეთ-უხუცესობა იყო. სწორედ მაზე ამბობს მემატიანე: „**გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრეო**". ყურთუ-ასლანს საქმე კარგად მოუწყვია და მომხრეებიც უშოვნია. ეს მომხრეები გარდა თავის წრისა (პლუტოკრატიისა) მას უეჭველია, დიდგვარიანებშიაც ბლომად ეყოლებოდა. მაგრამ განსაკუთრებით მას ჯარის მიმხრობისათვის უზრუნვია და მიზნისათვისაც მიუღწევია. საერთოდ მას ჰყოლია „**თანაშეფიცულნი**", რომელთაც შემდგომ, როდესაც ყურთულ-ასლანს განსაცდელი მოელოდა, მართლაც იგი იხსნეს სიკვდილისაგან.

რას მოითხოვდა ყურთუ-ასლანის დასი? მან „**ითხოა დადგმად კარავი ველსა ისანისასა (ავლაბარში), სანახებსა საგოდებელისასა (სასაფლაოს ახლოს). მუნ შიგან თავისუფლებით მსხდომარენი, რათა მივცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვრისხევდეთ, რომელთამე ვწყალობდეთ, ამას ესრეთ ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნ ღა სრულ იქნებოდის განგებული ჩვენიო**" („ქ. ცხ. ჭიჭ. გვ. 408).

მაშასადამე ყურთუ-ასლანის დასი მოითხოვდა საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი დაწესებულების დაარსებას, რომელსაც მეფის უფლება ძალიან უნდა შეეზღუდა. კარავში მსხდომარენი სწყვეტდენ ყველაფერს და მეფეს მხოლოდ ატყობინებდენ შესასრულებლად („მუნღა სრულ იქნებოდის განგებული ჩვენი"). თამარმა ყურთულ-ასლანი შეიპყრო. როგორც გაიგეს ეს მისმა მომხრეებმა და **„ლაშქართა მის თანაშემწეთა და თანაშეფიცულთა"**, გარს შემოერტყნენ თამარის სასახლეს. მათ „ახალი სიმტკიცე და ფიცი" დასდეს, რომ ყურთუ-ასლანი განეთავისუფლებინათ და «არა მიეშვათ ვნებად-მის-სა" (დასასჯელად არ დაენებებინათ). თამარმა მოლაპარაკებს გამართა „საპატიო დიოფალთა" (უმაღლესი წრის მანდილოსანთა)—ქართლის ერისთავის რატის დედის და ჯაყელის დედის საშუალებით. საქმე, როგორც სჩანს, მორიგებით გათავდა. მეამბოხენი დააშოშმინეს იმით, რომ ყურთუ-ასლანი სიკვდილით არ დასაჯეს და ეტყობა, მხოლოდ სამშობლოდან განდევნა აკმარეს. თამარი არ დასთანხმდა მეფის უფლების ისე შეზღუდვას, როგორც ამას ოპოზიციონერები მოითხოვდენ. მაგრამ იძულებული იყო მათი მოთხოვნებისათვის მომავალში დიდი ანგარიში გაეწია. უმაღლეს მოხელეთა არჩევანის დროს ის არ იყო თავისუფალი. ახალ ვეზირთა და სპასპეტების დანიშვნის დროს ის მოქმედებდა **„თანადგომითა** (დახმარებითა) და **ერთნებაობითა** (საერთო სურვილითა) დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა" და მხოლოდ ამ უკანასკნელთა თანხმობის შემდეგ ბრძანებდა ხოლმე ვისიმე დანიშვნის დამტკიცებას.

მიუხედავად ამისა, დიდგვარიანთა და ყურთუ-ასლანის მიერ დაწყებული მოძრაობა, როგორც ეტყობა, შემდეგშიაც არ მინელებულა. ამას მოწმობს ის მრავალი შეთქმულება და განდგომა სხვადასხვა ერისთავთა, რასაც ადგილი ჰქონდა თამარის მეფობის დროს (გიორგი რუსს, თამარის გაყრილს მეუღლეს, როდესაც იგი თამარის წინააღმდეგ წამოვიდა, მიემხრნენ: „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა" გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო, ყვარყვარე ციხისჯვარელი, მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი და სხვ.)

ფეოდალური მონარქის უფლებანი. ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია მოკლედ აღვნიშნოთ, თუ როგორი იყო საზოგადოდ მეფის უფლება ფეოდალური მონარქიის დროს.

თვითონ მეფენი **თვითმპყრობელებს** უწოდებდენ თავიანთ თავს. „სახელითა ღვთისათა... თამარისაგან ბაგრატიონისა, ნებითა ღვთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, დედოფალთ-დედოფლისა და **ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავ-**

ლეთის ფლობით მპყრობელისა“ — ასე იწყება ერთ-ერთი სიგელი თამარ მეფისა, მიცემული შიო-მღვიმის მონასტრისადმი.

რაში გამოიხატებოდა ეს თვითმპყრობელობა? ან, მატიანის სიტყვით რომ ვთქვათ: „რაოდენი საქმენი ეთხოებოდენ მეფობას?“

მის უფლებაში შედიოდა **სამხედრო, საშინაო და საერთაშორისო საქმეები**. მემატიანე დაწვრილებით ჩამოსთვლის, თუ რამდენი „განსაგებელნი“ აქვს მეფეს: „კიდეთ პყრობანი, სამეფოისა წყნარობისა ღონენი, მთავართ ზაკვისა ცნობანი, ლაშქრობათა მეცადინეობანი“ და სხვ. მის ხელში იყო აგრეთვე სამართლის საქმეც დავით აღმაშენებლამდე. ამ უკანასკნელმა, როგორც ვიცით, სასამართლოს რეფორმა მოახდინა და ამისათვის საგანგებო უწყება დაარსა.

სრულიად დამოუკიდებლად სწყვეტდა თუ არა მეფე საერთაშორისო, საშინაო თუ სამხედრო საკითხებს? საბუთებიდან აშკარად ჩანს, რომ არა. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო ფეოდალური წყობილების დროს. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ **დარბაზის** შესახებ. ეს იყო პირველი დაწესებულება, მეფის უფლების შემზღუდველი. მეფე ვერც **საკანონმდებლო უფლებით** სარგებლობდა. რაიმე საკანონმდებლო აქტების შესადგენად უეჭველად კრებული უნდა მოეწვიათ. უმრავლეს შემთხვევაში ეს **საეკლესიო კრება** იყო ხოლმე.

გიორგი ბრწყინვალის (1313—1346) „ძეგლის დადებაში“ ვკითხულობთ: „შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და ხევის თავნი და ხევის ბერნი და ჰეროვანნი და დავსხედით. დავსვით წმინდა მეუფე და ქართლისა **კათალიკოზი** ეფთვიმი და დავსხით **ვაზირნი** და **ეპისკოპოსნი** და **მოურავნი**“ და „ყველა გაეაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოსო“ (ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 4—5).

მე-15 საუკუნის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: ეს სიგელი ბოძებულია თანადგომითა „ათაბაგთა და ამილახორთა (მხედართმთავრის თანაშემწეთა) და ერისთავთა და ამირეჯიბთა (ცერემონმეისტერი) და **თავადთა** და **მოსამსახურეთა** კარისა ჩვენისაო“. კვიტაშვილების სასისხლო სიგელში (1464 წ.) აღნიშნულია: „შემოვიდეს შუა დადიანი ლიპარიტ და ძე მისი გურიელი მამია **და** სხვანი იმერელნი **თავადნი** და **დარბაზის ერნი**“ და ეს სიგელი გავეცითო (ს. კაკაბაძე—„კვლევა-ძიებანი საქ. ისტ. საკ. შესახებ“—72 გვ.).

მაშასადამე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალური დროის ქართველი მეფე არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო „თვითმპყრობელი“. თვითმპყრობელობა—ეს იყო უფრო იდეალი, ვიდრე სინამდვილე. ამ მხრით ფეოდალური დროის მეფეე-

ბზე თამამად შეიძლება ითქვას ის სიტყვები, რომელსაც მეფეთა შესახებ ვახტანგ მე-VI სჯულმდებელი ამბობს: „სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ—რა, როგორც ყმათა სდომებიათ, ისე უსამართლებიათ და ურიგებიათო“. ეს ითქმის განსაკუთრებით ახალი ისტორიის ეპოქის მეფეთა შესახებ.

ვინ იყვნენ ეს „თავადნი“ და „მოსამსახურენი“, რომელთა თანადგომითაც“ მეფეები საქმეებს არიგებდენ? თავადობა—წოდება, როდი იყო. **თავადი—ეს იყო აზნაურთა გვარის მეთაური,** რომელიც მეფის წინაშე მთელი გვარის სახელით წარმომადგენლობდა. აზნაურები, ამნაირად, თავადების საშუალებით იყვნენ **„თანაზიარნი მეფობისა“** და დარბაზში უდიდესი გავლენა ჰქონდათ.

მსახურნი—აზნაურებზე დაბლა მდგარი წრე იყო. ისინი დიდ აზნაურებთან რაიმე სამსახურს ეწეოდენ და სათანადო სასყიდელს იღებდენ. წოდებრიობის უდაბლეს საფეხურებზე **„ქვეყანისა მოქმედნი“** ანუ **გლეხნი** იდგნენ. გლეხობა იყო შემდეგი კატეგორიისა: 1) მეფის ყმები, 2) მეფის აზნაურის ყმები, 3) თავადთა ყმები, 4) თავადთა აზნაურების ყმები და 5) საეკლესიო ყმები. ესენი ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას იყვნენ მოკლებულნი და, რასაკვირველია, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებდენ.

ამით ვათავებთ მეფის უფლებაზე საუბარს. დაწვრილებით მის თაობაზე ლაპარაკი გვექნება ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში, სადაც ფეოდალური საქართველოს შინაგან წყობასა და წოდებათა მდგომარეობას შევეხებით.

ფეოდალური მონარქიის ტერიტორია და რესურსები. ფეოდალური მონარქიის დრო საქართველოს პოლიტიკური გაძლიერებისა და ტერიტორიალური ვაფართოების ხანა იყო. ამის საგარეო და საშინაო მიზეზთა შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ახლა შევეხოთ იმას, თუ რა ტერიტორიას შეიცავდა იგი თავისი განვითარების უმაღლესი წერტილის მიღწევის დროს.

საქართველოს ტერიტორია მაშინ შეიცავდა თითქმის მთელ ამიერ-კავკასიას და მის სამხრით მდებარე ქვეყნებსაც. ფეოდალური მონარქიის ფარგლებში გაერთიანებული იყო: ტფილისის გუბერნია; ზაქათალის ოლქი; ქუთაისის გუბერნია; სოხუმის ოლქი; სოჭისა და ტუაფსეს ოლქი; ბათომის მხარე; ყარსის მხარე; ერევნის გუბერნია; ნაწილი განჯის გუბერნიისა (ყაზახის მაზრა და შამქორის რაიონის ზანგეზური და ყარაბაღის მთეულეთი; ნუხის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი); ცენტრალურ-კავკასიის მთიელთა კანტონები—დვალეთი

დურძუკეთი, დიდოეთი; ოსმალეთის საქართველოს თემები: თორთუმი, ისპირი; ოსმალეთის სომხეთის თემები: ალაშქერტი, ბასიანი, მანასკერტი, არჭეში.

ეს ტერიტორია საქართველოს უშუალო სამფლობელოს წარმოადგენდა და სულ დაახლოვებით 190.000 კვ. კილომეტრს შეიცავდა.

გარდა ამისა, ფეოდალურ მონარქიას ჰყავდა **ვასალური სამთავროები** და ჰქონდა გავლენის სფეროები. ვასალური სამთავროები შემდეგი იყო: **შირვანის საშაჰო** (ბაქოს გუბერნია, დაღესტანის სამხრეთი ნაწილი, არეშის მაზრა და ნუხის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი).

განჯის საათაბაგო: ქალაქი განჯა და არანის ველი (ყარაბაღის ბარი).

კარნუ-ქალაქის სამფლობელო—ეს იყო არზრუმის რაიონი.

ეზინკის სამფლობელო—შეიცავდა ანატოლიის აღმოსავლეთ თემებს.

გავლენის სფეროებს შეადგენდა: ლეკეთი, ოსეთი და ჩერქეზეთი, აგრეთვე ტრაპიზონის იმპერია, რომელიც ქართველთა ჯარმა 1204 წელს დაიპყრო.

ფეოდალური მონარქიის მთელი ტერიტორია (გავლენის სფეროებითურთ) შეიცავდა დაახლოებით 505.000 კვ. კილომეტრს. ამნაირად, ვთქვათ „თამარის ეპოქის საქართველო ცოტათი ნაკლები იყო თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიასთან შედარებით, უფრო მეტი ვიდრე თანამედროვე გერმანია, გაცილებით მეტი, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და იტალია, ხოლო თანამედროვე საქართველოსთან შედარებით იგი შეიცავდა შვიდჯერ უფრო მეტ ტერიტორიას“ (პ. ინგოროყვა-ჩახრუხაისძე-პოეტი მოგზაური-„კავკასიონი“-№ 3-4).

სულ მცირეოდენის გამოანგარიშებით ხსენებულ ტერიტორიაზე ხუთ მილიონზე ნაკლები მცხოვრებნი არ უნდა ყოფილიყვნენ. მონგოლების აღწერის ცნობით მარტოდენ საქართველოს უშუალო სამფლობელოში ყოფილა დაახლოებით ამდენი მცხოვრები.

რა რესურსები ჰქონდა ფეოდალურ მონარქიას? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეფეები ხელს უწყობდენ სავაჭრო კაპიტალის განვითარებას. მაგრამ არც ვაჭრობა, არც საზოგადოდ შინაგან საწარმოო ძალთა განვითარება არ ყოფილა უპირველესი წყარო სახელმწიფოს ძლიერებისა. მის უმთავრესს შემოსავალს წარმოადგენდა ლაშქრობიდან შემოტანილი სიმდიდრე და დაპყრობილ ქვეყნებზე დადებული ხარკი. ეს ხარკი დაახლოებით შემდეგი იყო:

გურგანიდან	4.000.000	დირჰემი
კაზვინიდან, (ზანჯანი)	1.628.000	„ „
ადერბეიჯანიდან (მარაღა, არდაველი)	4·500.000	„ „
გილანიდან	5.000.000	„ „
სომხეთიდან (კარნუ-ქალაქი, არზრუმი, გელაქუნი)	9.100.000	„ „
ერაყიდან	13.000.000	„ „
ხორასანიდან	38.000.000	„ „
სულ	75.228.000	დირჰემი[1])

გარდა ამისა, იყო საშინაო გადასახადები და სამხედრო ალაფიდან ერთი მეხუთედი. მაგრამ, როგორც ვთქვით, უმთავრესი შემოსავალი სწორედ ეს ხარკი, ანუ **ხარაჯა** იყო, დამორჩილებულ ქვეყნებს რომ ადებდენ მეფეები. ამისთანა პირობებში, აშკარაა, შეუძლებელია ლაპარაკი ფინანსიურ თუ პოლიტიკურ სიმტკიცეზე. ეს სიმტკიცე დამყარებული იყო მსოფლიო ძალთა შემთხვევითსა და დროებითს კომბინაციაზე. ეს უკანასკნელი მე-XI-XII საუკუნეში საქართველოსათვის ფრიად ხელსაყრელი იყო. მაგრამ როგორც კი ეს ძალთა კომბინაცია მოიშალა—საქართველოს ძლიერებაც გაჰქრა. ამ ძლიერებას უპირველესი ლახვარი მონგოლებმა ჩასცეს. მათ გრიგალივით გადაიარეს საქართველო, მოსწყვიტეს მას არა მარტო მოხარკე ქვეყნები, არამედ დააშორეს იგი სავაჭრო ცენტრებსაც. მონგოლთა შემოსევამ დაამსხვრია ფეოდალური მონარქია და საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობასას ძირი გამოუთხარა. ეს მოხდა მე-13 საუკუნეში.

[1]) პროფ. ივ. ჯავახიშვილი—„საქ. ეკონომ. ისტ.“ გვ. 51—52.

ფეოდალური მონარქიის დარღვევა და მისი აღდგენისათვის გრძოლა.

მონგოლების შემოსევა. როგორც ვთქვით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერებას უპირველესი და უძლიერესი მახვილი მონგოლებმა ჩასცეს. ფეოდალურ ნიადაგზე აგებული ტერიტორიალური მთლიანობა ძალე დაირღვა, ხოლო მონგოლების შემოსევებმა და მათ მიერ დადებულმა აუტანელმა ხარკმა—საქართველო ეკონომიურად უკან დასწია. ვაჭართა კლასი, რომელიც ფეოდალური მონარქიის ერთგვარს ბურჯს წარმოადგენდა—შესუსტდა. შესუსტდა აგრეთვე უცხო ქვეყნებთან ვაჭრობა და ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით კვლავ წმინდა ნატურალურ მეურნეობას უბრუნდებოდა. მონგოლების შემოსევის შემდეგ დიდი ზარალი მიაყენეს საქართველოს თურქ-ოსმალებმა, რომელნიც სპარსეთს ებრძოდენ მთელი წინა-აზიის ხელში ჩასაგდებად. ხოლო მათ მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ დამღუპველი გავლენა იქონია საქართველოზე და მის მეურნეობაზე. შევეხოთ ყველა ამ გარეშოებას ცალ-ცალკე.

მონგოლები ველური, მომთაბარე ხალხი იყო. ისტორიის ასპარეზზე ისინი პირველად მე-13 საუკუნეში გამოვიდენ. ეკონომიური სივიწროვით შეწუხებულნი—ისინი დაიძრნენ თავის სამშობლოდან ახალ ახალ ადგილთა დასაპყრობად და საშოვრის საძებნად. მათ გამოუჩნდათ ბელადი თემუჩინი, რომელმაც თავის თავს **ჩინგის-ყაენი** (დიდი ყაენი) უწოდა. ჩინგის-ყაენი მონგოლების უდიდესი მოღვაწე და რეფორმატორი იყო. მან დაიმორჩილა მონგოლების დაქსაქსული ტომები, ერთი სახელმწიფოებრივი წყობილება დაამყარა და შესანიშნავი ჯარი შეჰქმნა. მის დროსვე სწავლულებმა შეადგინეს კანონთა კრებული და ამნაირად მონგოლების სახელმწიფოებრიობას საძირკველი ჩაუყარეს.

ჩინგის-ყაენის შკილიშვილმა **ბათუმ** მონგოლთა სამფლობელო უფრო გააფართოვა. მან დაიპყრო და დაარბია რუსეთი, პოლონეთი, ჰუნგრეთი, სილეზია და მორავია. მონგოლების სარძანებელი ერთ

დროს გადაჭიმული იყო აღმოსავლეთით ჩინეთის ზღვიდან პოლონეთამდე და ჰიმალაის მწვერვალებიდან ციმბირის ველამდე. თავისი მრავალი ლაშქრობის დროს მონგოლებმა დაიპყრეს სპარსეთი, შემდგომ სომხეთი და საქართველო.

საქართველოს მხედრობამ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მონგოლთა ჯარს. ამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც ფაქტიურად ფეოდალური მონარქიის ბედი სწყდებოდა—მისი აპარატი, მიუხედავად გარეგანი ძრიელებისა, იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ პირველისავე მარცხის შემდეგ რღვევა იწყო. ამის მიზეზი გაკვრით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: საქართველოს მაშინდელი სამხედრო და ეკონომიური ძლიერება მსოფლიო ძალთა შემთხვევითს კომბინაციაზე იყო დამყარებული. ის ეკონომიური დოვლათი, რომელზედაც ერთხმად ლაპარაკობენ მემატიანეები, — საქართველოს შინაურ საწარმოო ძალთა განვითარების შედეგი არ ყოფილა. სახელმწიფოს შემოსავალს უმთავრესად დაპყრობილ ქვეყნებისაგან შემოსული ხარკი და სამხედრო დავლა შეადგენდა.

მონგოლებმა პირველი დაკვრისთანავე საქართველოს ჩამოაშორეს მოხარკე ქვეყნები და ამით მისი ფინანსიური წყარო დაშრიტეს. მათ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მოსწყვიტეს და შუაკედლად აღიმართნენ ჩვენსა და მათ შორის. ამის გამო მინიმუმამდე დავიდა ის სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც წინად არსებობდა. ამ-ნაც, რასაკვირველია, საუბედურო გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაზე. გარდა ამისა, იყო შინაური მიზეზებიც, რამაც ქართველთა მხედრობის ძალა დააკნინა.

საქმე ისაა, რომ ხშირმა გამარჯვებებმა და იმ აუარებელმა დავლამ, რასაც სხვადასხვა ლაშქრობა იძლეოდა ქართველთა უმაღლესი წრეები გაალაღა და უზრუნველ ცხოვრებას შეაჩვია. მემატიანე ამბობს: **„გააზნაურდეს ქვეყანისა მოქმედნი (გლეხები) და გადიდებულდეს აზნაურნიო“**. როგორც ვიცით ამ „გააზნაურებას“ შინაგანი საფუძველი არ ჰქონია. ისიც უნდა ითქვას, რომ მემატიანე აქ მეატვრულ ხერხს ხმარობს. საქართველოს დოვლათიანობა, რასაკვირველია, გლეხებს ბევრად არაფრად ეცხებოდა. გარედან შემოსული სიმდიდრე ფეოდალების ხელში იყო. ის ვაჭრობა, რომელზედაც ვლაპარაკობდით, შეეხებოდა უფრო ძვირფას ნივთებს, ოქროქსოვილებს, ფარჩეულობას, თვალმარგალიტს. ე. ი. ეს იყო საფუფნო და არა მასიური მოხმარების საგნები. როდესაც უმაღლესი სამხედრო წრეები შესჩიოდეს გიორგი ხუ ამეს: **„არა არს ლონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“**, ეს გასაგები იყო. ამ

ლაშქრობიდან მათ ხომ ლომის კერძი ერგებოდათ! მაგრამ გლეხობა ძალიან წუხდებოდა ამ მუდმივი ლაშქრობისაგან და „გააზნაურების“ მაგივრად უკან-უკან იხევდა. იგი, როგორც ერთად-ერთი მშრომელი ნაწილი ერისა, წელმოხრილი იყო ამ უამრავ ლაშქრობითა და სისხლის ღვრით. ამიტომ, ცხადია, ის ალმაცერად უყურებდა ყველაფერ ამას და არ შეელო მასში გულმხურვალე მონაწილეობა მიელო.

თვითონ უმაღლეს წევრებსაც მოდუნება დაეტყოთ და ძველი ენერგია აღარა ჰქონდათ. ისინი მიეჩვივნენ განცხრომით ცხოვრებას, პირად სიამოვნებაში ჩაეფლნენ და ათასგვარ გარყვნილებას მისდევდნენ. ეს უმაღლესი წრე უკვე დეგრადაციის გზას დასდგომოდა. ყველაფერი ეს საზოგადოების მოწინავე წრეებში უკმაყოფილებას ჰბადებ[2]და და ოპოზიციას ჰქმნიდა. რომ ასეთი ოპოზიცია ნამდვილად არსებობდა, ამას მემატიანის სიტყვები გვიდასტურებს.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მემატიანე თითქმის ერთნაირის თანაგრძნობით ასწერს მონგოლებს. იგი ამბობს: **„ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგოთ. მცირე-მეტყველება და ტყუილი სიტყვა ყოვლადვე არა იყო მათ შორის... კეთილნი წესნი ეპყრნეს, ჩინგიზ-ყაენისაგან გაჩენილნი, რომელთა თვითვეულად წარმოთქმა ძნელ არსო“** (ქ. ცხ. გვ. 500). საერთოდ ჩვენი მატიანის მიერ მონგოლების აღწერა ოდნავ მოგვაგონებს ტაციტის მიერ გერმანელების დასასიათებას. ტაციტი რომში დაკარგულ სიკეთესა და სიქველეს — ველურ გერმანელთა ტომებში ჰპოებდა. ამით იგი თითქოს თანამემამულეებს აოცებდა. შეიძლება ესევე ჰქონდა მხედველობაში ქართველ მემატიანესა, როდესაც მონგოლებზე ლაპარაკობდა? შეიძლებოდა აქ ლაპარაკობდა აგრეთვე ის გადამეტებული წარმოდგენა, მონგოლთა ძლიერებასა და მრისხანებაზე რომ არსებობდა ყველა იმ ერთა შორის, ვინც მათი ლაშქრობის ძალა იწვნია. ცნობილია, რომ მონგოლების ურდოების შიში ზარდამცემი იყო. მონგოლები მიაჩნდათ უძლეველად, ღვთის რისხვად, რომელსაც ვერსად გაექცევი. მათ მოახლოებისთანავე მთელი ერები ხშირად უბრძოლველად ქედს იხრიდენ და დასაკლავად კისერს მორჩილად უწვდიდენ, რადგან წინააღმდეგობას ამაოდ სთვლიდენ.

აღსანიშნავია ის სიტყვებიც, ჩვენი მემატიანე (თანამედროვე) რომ ამბობს იმ შეტაკების გამო, რომელშიაც მონგოლებმა ქართველთა მხედრობა დაამარცხეს: **„ვინათგან ჩვენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, ეგრეთვე ღმერთმან აღავსო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა სირცხვილეულ გვყოვო“**. მეორე

ადგილას იგი უფრო გარკვევით ლაპარაკობს: „აღიძრნეს ძვინვარენი საზღვართა ზედა საქართველოსათა **უკეთურებისათვის მკვიდრთა ქართლისათა.** რამეთუ ყოველი ჰასაკი ბერთა და ჭაბუკთა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა მიმართ, რამეთუ დაუტევეს სამართალი და წყალობა, ვინაითგან ყოვილი ერი იქმოდა სიბილწესა“.... („ქ. ცხ.“ ზ, ჭიჭ. 523 გვ.) მემატიანე კონკრეტულადაც ასახელებს ამ „სიბილწეთ“: „...სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: გემოთმოყვარეობანი, ვერცხლის მოყვარება და დიდების მოყვარება.... ეგრეთვე იქნა ნათევსაცა ამას შორის ქართველთასა. რამეთუ განძღეს და იშვებდეს, და მიდრკეს უწესოებად სიძვათა შინა დამთვრალობათა შინა, და უგნურნი და უწესონი კაცნი, მეფისა კარსა ზედა არაყოფისა ღირსნი, და აწ კარსა ზედაწყოფნი .. **ამისათვის აღმოსცენდეს ცოდვათა სიმრავლენი, მიზეზნი საქართველოსა მოოხრებისანი**“ („ქართლ. ცხ.“ ზ. ჭიჭ. გვ. 498—99).

უეჭველია, ეს გამოძახილია იმ ოპოზიციისა, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ არსებობდა ზოგიერთ მოწინავე წრეებში. ხოლო ხალხის ფართო მასაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია: იგი როგორც ვთქვით, მაშინ იმდენად უუფლებო იყო, მხოლოდ საომარ მასალას წარმოადგენდა,

პირველ შემოსევათა შემდგომ მონგოლებმა თავდასხმანი გააბშირეს 1246 წლიდან. ამ დროს მონგოლები აზერბეიჯანში იყვნენ. მაგრამ საქართველო ჯერ არ დაემორჩილებინათ. მალე ისინი ტფილისს მოადგნენ. მეფე რუსუდანი იძულებულნი გახდა დასავლეთ საქართველოში გადახვეწილიყო. ქართლის ერისთავები და დიდებულნი მონგოლებს დაემორჩილნენ (1239 წ.). აღმოსავლეთი საქართველო, ამნაირად, მონგოლების საბრძანებელი შეიქმნა.

დამპყრობელნი პირველ ხანებში შედარებით ზომიერ პოლიტიკას აწარმოებდენ. საქართველოს მათ დაადვეს განსაზღვრული ხარკი და სამხედრო ბეგარა. რუსუდანი მთელი ამ ხნის განმავლობაში იმერეთში იყო. სხვათა შორის, მან დახმარება სთხოვა რომის პაპს გრიგოლ მე-IX-ეს (1242 წ.) რომელმაც მხოლოდ ის შესძლო, რომ მისიონერები გამოუგზავნა....

თავის სამეფოს გარეშე მყოფმა რუსუდანმა ბოლოს გადასწყვიტა მონგოლებს რამენაირად მორიგებოდა. მან თავისი შვილი დავითი მონგოლთა სატახტო ქალაქ ყარაყორუმს გაჰგზავნა. იქ დავითს მეფობა უნდა გამოეთხოვნა და უკანვე დაბრუნებულიყო. რუსუდანი შვილის დაბრუნებას ველარ მოესწრო და 1245 წელს

გარდაიცვალა. ქართველმა ერისთავებმა მონგოლებს სთხოვეს არა რუსუდანის, არამედ გიორგი ლაშის ძის—დავითის მეფედ დამტკიცება. რუსუდანმა ეს დავითი, როგორც თავის შვილის მეტოქე (ტახტის მაძიებელი) წინად გაუგზავნა თავის სიძეს, იკონიის სულთანს და იგი იქ ტყვედ იმყოფებოდა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ დიდებულებმა დევნილი დავითი საქართველოში დააბრუნეს. ცხადია, მონგოლები ერისთავების სურვილს ანგარიშს გაუწევდენ და ამიტომ დავით (რუსუდანის ძე) მეფედ აღარ დაუმტკიცებიათ. დაიწყო ეგრედწოდებული ხანა უმეფობისა, რომლის დროსაც დიდი გავლენა მოიპოვეს ფეოდალებმა. საერთოდ, მონგოლების შემოსევამ გამოაშკარავა, რომ საქართველოს გაერთიანებას მტკიცე ეკონომიური აიფუძველი არ ჰქონია და ცალკე ნაწილებმა კვლავ განზე წევა იწყეს.

მაგალითად, მონგოლების შემოსევის დროს საქართველოს სამხრეთ—დასავლეთი ნაწილი მათ უბრძოლველად დაემორჩილა და იქაური ათაბაგი მონგოლების ვასალად იქცა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება მტერთან ბრძოლას განაგრძობდა. საათაბაგოს ტერიტორია კი დიდი იყო: იგი შეიცავდა ჯავახეთს, მესხეთს, კოლას, არტაანს, ერუშეთს, ბასიანს, აჭარას, კლარჯეთსა და ტაოს, ე. ი. ტერიტორიას ბორჯომის ხეობიდან ტრაპიზონის მთებამდე და არზრუმის მიდამოებამდე. მონგოლთა შემოსევის შემდგომ საათაბაგო ნახევრად დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა და საქართველოს საბოლოოდ აღარ დაჰბრუნებია. როდესაც (მონგოლების შემდეგ) საათაბაგოსაკენ ოსმალები წამოვიდენ—ათაბაგებს თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ეს იყო საქართველოს უდიდესი მარცხი, რადგან გურჯი-ბოღაზი („საქართველოს კარი"—აზრუმის ჩრდილოეთით) მართლიც იმ კარად გადაიქცა, სააიდანაც მტერი ჩვენს ქვეყანაში იმ ხნიდან სულ ადვილად შემოდიოდა.

უმეფობის ხანაში დავით გიორგის ძისა და დავით ნარინის (რუსუდანის ძეს მონგოლებმა ნარინი, ე. ი. გონიერი დაარქვეს) შომხრეთა შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. მონგოლებმა ხერხს მიმართეს და ორივე დავითი მეფედ დაამტკიცეს. ცხადია, ერთსა და იმავე ქვეყანაში ორი მეფე ვერ ავიდოდა ერთსა და იმავე ტახტზე. ამიტომ დავით ნარინი მალე იმერეთს გადავიდა. იმ ხნიდან იგი ფაქტიურად იმერეთის მეფე იყო, დავით გიორგის ძე კი—ქართლ-კახეთისა, თუმცა ორივენი სრულიად საქართველოს მეფეებადაც ითვლებოდენ. **ამნაირად, კვლავ განახლდა საქართველოს ორ უმთავრეს ნაწილად დაყოფა.** ტფილისი და ქუთაისი ერთსა და იმივე დროს

სატახტო ქალაქებად იყვნენ მიჩნეულნი. ცალკე ფეოდალები, რასაკვირველია, ნაკლებად დაემორჩილებოდენ მოუძლურებულ მეფეებს. მათ უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ მონგოლებთან და თავსაც დამოუკიდებლად იცავდენ.

მონგოლები თითქმის ასი წლის განმავლობაში ბატონობდენ ჩვენში. საქაროველომ მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის დროს (1313—1346 წ.) შესძლო კვლავ გაერთიანება, მაგრამ მხოლოდ დროებით. გიორგიმ დაიმორჩილა საათაბაგოს მმართველებიც, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი მოვლენა. მონგოლების მიერ წელში გატეხილი ფეოდალური მონარქია დაირღვა და საქართველოს ცალკე პროვინციები კვლავ თითქმის დამოუკიდებელნი შეიქმნენ. ამას ხელი შეუწყო იმ ეკონომიურმა დაქვეითებამ, რაიც ჩვენში მონგოლების შემოსევასა და გაბატონებას მოჰყვა.

მონგოლების მიერ დადებული ხრაკი ხალხს ძლიერ აწუხებდა. ხარკი ედვა თითქმის ყველაფერს. აღსანიშნავია ერთი გარემოება. მონგოლებმა ჯარის მოგროების საქმის წესიერად დასაყენებლად მთელი აღმოსავლეთი საქართველო აღწერეს. ამ აღწერის მიხედვით საქართველოს ფარგლებში იმ დროს დაახლოებით ხუთი მილიონი მცხოვრები ყოფილა. ცხადია, ამდენ მცხოვრებთაგან მონგოლებს საგრძნობი შემოსავალი ექნებოდათ.

გარდა საყოველთაო ხარკისა, რომელიც ედვა „კაცთამდე“ და „პირუტყვთამდე“, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე“—შემოღებულ იქნა **სხვა და სხვა ხასიათის ბაჟი:** „რაცა განისყიდებოდეს ტფილისისა ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენეოდ დაიდებოდესო“—გადმოგვცემს მატიანე. მაშასადამე თვითეულ გაყიდულ საგანზე 3% ბაჟი იყო დადებული. ამიტომ სჩივიან თანამედროვენი: „ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობა და აღარ იყოს ხარაჯობა აწინდელსა დებისა“ (კახა ერისთავი—რკონის სიგელი). „ამ საშინელ ხარაჯობას, როცა თვითეულ სოფელს 3 ოქროს დრაჰკანი უნდა გამოეღო ვერცხლის ფულისა, ცხვრის და სხვა გადასახადის გარდა, შედეგად ის მოჰყვა, რომ ის დიდძალი, აუარებელი ფული, რომელიც მე XII საუკუნეში და მე XIII ს. დასაწყისში საქართველოში ტრიალებდა, სულ ცოტა ხანში გაჰქრა, მონგოლების ხელში გადავიდა, სულ ხარაჯაში და ბაჟში წავიდა“ (ივ. ჯავახიშვილი „საქ. ეკონომ. ისტ.“, გვ. 82-83). ფული საშინლად გაძვირდა. **„ხარკობისაგან ოქროდ ძვირად იყვის და სოფელი იეფადო“**—ვკითხულობთ იმავე კახა ერისთავის სიგელში. „რაიცა ხუთიათას თეთრად ღირდის—ორათასდ ძლივ დავაჭირვინი... რაიც ათიათას თეთრად ღირდის ხუთიათას

თეთრად ძლივ გავყიდიო" სჩივის ერისთავი. მაშასადამე ფული თითქმის ერთი სამად გაძვირებულა.

თუ რა ფინანსიურ გაჭირვებაში ჩავარდნილან მეფენი, ამას შემდეგი ამბავი მოწმობს. იძ დროს იყო ვინმე სადუნი მანაკაბერდელი, განდიდებული „უმეტეს ყოველთა მთავართა მის ჟამისათა". როდესაც დიმიტრი მეორე მონგოლთა ურდოში წავიდა, „სთხოვეს საფასე ურიცხვი მეფესა, განზრახვითა სადუნისთა". მეფეს „საფასე" არა ჰქონია და სადუნს უთქვამს: „უკეთუ მომცე დმანისი, მე მივცე საფასე ყაინსა. ისმინა მეფემან და უნებლიედ მისცა დმანისი და მიმდგომი მისი" („ქ. ცხ." ჭიჭ. გვ. 601).

მონგოლებმა სპარსეთი და მისი მომიჯნავე ქვეყნები, რომელშიაც საქართველოც შედიოდა—ერთ იმპერიად გაერთიანეს. მას **ილხანების იმპერია** ერქვა. მონგოლებმა ამ იმპერიაში შეიმუშავეს ასე თუ ისე ჩამოყალიბებული საფინანსო-საბიუჯეტო გეგმა. ამ იმპერიას საქართველოდან დაახლოებით 30 მილიონი დიჰრემი შემოსდიოდა, ე. ი. დაახლოებით ნახევარი იმისა, რასაც საქართველო იღებდა მოხარკე ქვეყნებისაგან თავისი ძლიერების დროს. ეს იყო ფრიად მძიმე ხარკი (იგი დაახლოებით უდრიდა 18.500.000 მისხალ ვერცხლს), თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველო შემოსეულ მტერთაგან სასტიკად აოხრებული და მოხარკე ქვეყნებს სავსებით ჩამოშორებული იყო.

მეთოთხმეტე საუკუნის დამლევს საქართველომ განიცადა მეორე დიდი ტალღა მონგოლთა შემოსევისა, რამაც იგი საბოლოოდ დაქსაქსა, რამდენსამე ნაწილად დაჰყო და ცალკე ერთეულები ერთმანეთს დაუპირდაპირა. ეს იყო თემურლანგის შემოსევა.

თემურლანგმა (თემურ-ლენგი—„თემურ კოჭლი") მონგოლები ხელახლა გამოიყვანა ფართო ისტორიულ ასპარეზზე. მან გააერთიანა მონგოლთა შუაზიელი ტომები, უდიდესი სახელწიფო შეჰქმნა და სამარყანდი სატახტო ქალაქად გამოაცხადა. 1380 წლიდან მოყოლებული თემურ-ლანგმა 35 ლაშქრობა მოახდინა, დაიპყრო სპარსეთი, რუსეთში შეიჭრა და 1394 წ. მოსკოვამდე მიაღწია. მან დაიპყრო ინდოეთი მდ. ჰინდიდან ვიდრე განგის სათავემდე. როდესაც თემური ბიზანტიას დაემუქრა, ბიზანტიის იმპერატორმა შველა ოსმალთა სულთანს ბაიაზეთს I სთხოვა. 1402 წელს თემურმა ბაიაზეთი ანგორასთან სასტიკად დაამარცხა. ულმობელი და შეუბრალებელი იყო თემურლანგის ლაშქარი: სადაც იგი გაივლიდა, დაბა-ქალაქებსა თუ მცხოვრებლებს—ნაცარტუტას ადენდა.

თემური რომ საქართველოს მოადგა, სამცხის ათაბაგმა ბექაქ

მეფე ბაგრატ მე-5-ეს (1360—1395 წ.) უღალატა და მონგოლებს დაემორჩილა. მონგოლებმა მალე ტფილისი აიღეს (1387 წ.) და საშინლად მოარბიეს. თემურმა მოაოხრა ქართლ-კახეთი, დაანგრია ტაძრები (ქვაბთახევის, მცხეთის, რუისის).

გიორგი მე-VII-ის (1395—1407 წ.) დროს მონგოლები ხუთჯერ შემოესივნენ საქართველოს. მტრის თავდასხმის მუდმივმა შიშმა ხალხში დაქსაქსულობა გაამეფა. სამეფოში ერთი ხელისუფლება ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა. ყოველი ცალკე კუთხის მმართველი თავს იცავდა დამოუკიდებლად და ამნაირად დამოუკიდებელს საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ფეოდალები მონგოლების მხარეზე გადადიოდენ და თავის სამფლობელოთა ხელუხლებლობას აღწევდენ. გიორგის დროს იმერეთი კინაღამ მთლად ჩამოშორდა დანარჩენ საქართველოს. იქ საკუთარი მეფეებიც ჰყავდათ—ჯერ ბაგრატი, შემდგომ გიორგი და კონსტანტინე. იმერეთის მოწინავე პირთა დახმარებით იმერეთი კვლავ დანარჩენ საქართველოს შემოუერთდა. მაგრამ არც ეს გაერთიანება აღმოჩნდა მტკიცე და ხანგრძლივი.

მეფე ალექსანდრე I-ის დროს (1414—1442 წ.) მოხდა იურიდიული ჩამოყალიბება იმისა, **რაც ცხოვრებაში უკვე კარგა ხანი იყო რაც არსებობდა**. ალექსანდრემ ტახტი თავის სიცოცხლეში დაუთმო თავის შვილს ვახტანგს. მას დამხმარედ მიუჩინეს ალექსანდრეს დანარჩენი შვილებიც. იმერეთი დიმიტრის ჩააბარეს, კახეთი—გიორგის. ეს იყო დაკანონება არსებული ფაქტისა: ზემოხსენებული კუთხეები ალექსანდრეს შემდეგ არსებობდენ უკვე როგორც დამოუკიდებელი სამეფონი. ამას დაერთო ბიზანტიის დაცემაც, რის გამოც საქართველო სავსებით იზოლაციაში ჩავარდა და ოსმალ-სპარსთა საჯიჯგნად გადიქცა.

თურქ-ოსმალები და კონსტანტინეპოლის დაცემა. მონგოლების შემოსევის შემდეგ საქართველოს ბედზე უდიდესი გავლენა მოახდინა თურქ-ოსმალთა გაძლიერებამ. თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის ნანგრევებზე, ამნაირად, ოსმალთა იმპერია აღიმართა. ეს ასე მოხდა. მონგოლებმა თურქ-სელჩუკები დაამარცხეს და მცირე-აზიისაკენ გადარეკეს. ხორასნიდან გამოდევნილი ერთ-ერთი ტომი თურქებისა მე-13-ს. დასახლდა იკონიაში. კარგა ხნის შინაური ბრძოლის შემდეგ ერთ-ერთმა მათმა წინამძღოლმა ოსმანმა (1288—1336) გაიმარჯვა, გასულთანდა და დაქსაქსული თურქები ერთი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა. ამიტომ ოსმანი თურქთა იმპერიის დამაარსებლად ითვლება. სხვათა შორის მან ქ.

ბრუსა დაიპყრო და იგი სატახტო ქალაქად გამოაცხადა. ოსმანით იწყება ახალი დინასტია და მის ხელქვეით გაერთიანებული ტომები იმ ხნიდან **თურქ ოსმანებად** (ოსმალებად) იწოდებიან.

1356 წლიდან თურქ-ოსმალებმა შეტევითი ომები დაიწყეს. ისინი ვეღარ ეტეოდენ თავის მცირე ტერიტორიაზე და ევროპისაკენ იწევდენ. სულთანმა ურხანმა მალე ნიკეა და ნიკომიდია (მცირე აზიაში) დაიპყრო და ჰელესპონტის ევროპიულ ნაპირზე გამაგრდა, სადაც ოსმალებმა დაიჭირეს გამაგრებული პუნქტი გალიპოლი. 1389 წ. ოსმალებმა კოსოვოს ველზე სერბიელები დააარცხეს, ხოლო 1393 წ. ბოლგარეთი დაიპყრეს. ამნაირად, მათ ბალკანეთის ნახევარ-კუნძული მთლად ხელთ იგდეს. მონგოლების ძლიერების დაცემის შემდგომ ოსმალებს უკვე მეტოქე აღარ ჰყოლიათ და იმ დროისათვის უძლიერესი იმპერია შეჰქმნეს. მალე მათ დასცეს კონსტანტინეპოლი (1453 წ.), ხოლო 1462 წ. თამარ მეფის დროს დაარსებული ტრაპიზონის იმპერიაც დაიპყრეს და შეიერთეს. ყველაფერმა ამან მონგოლთა შემოსვლით პოლიტიკურად და ეკონომიურად დასუსტებულ საქართველოზე ფრიად საუბედურო გავლენა მოახდინა.

შუა საუკუნეებში სამი კულტურა განვითარდა: ბიზანტიური, არაბული და ევროპიული. საქართველო პირველ ორთან ფრიად მჭიდროდ იყო დაკავშირებული და მათი დიდი გავლენა განიცადა. არაბული კულტურის გავლენა მთელ აღმოსავლეთზე განსაკუთრებით გაძლიერდა ბაღდადის ხალიფატის დაარსების შემდგომ. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არაბებმა კულტურის მხრით შუამავლის როლი ითამაშეს. აღმოსავლეთში არაბთა ძლიერების დაცემის შემდეგ ბიზანტიური კულტურა ერთად-ერთი იყო, რომელიც საქართველოზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ბიზანტიის დაცემის გამო კულტურის ეს ცენტრი ჩვენი ქვეყნისათვის დაიხშო და ევროპასთან დამაკავშირებელი გზები მთლად დაიკეტა.

ბიზანტიის მაგივრად საქართველოს დასავლეთ მეზობლად ოსმალეთი აღიმართა. ოსმალეთი დაპყრობილ ერებზე კულტურულ-ეკონომიურად ბევრად დაბლა იდგა და უმთავრესად სამხედრო სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი იმპერიალიზმი დინასტიური და სარწმუნოებრივი ხასიათისა იყო და მტაცებელ იერს ატარებდა. შავმა ზღვამ, რომელიც ოსმალებს ჩაუვარდათ ხელთ, თავისი ეკონომიური მნიშვნელობა დაჰკარგა. იქაური სავაჭრო ცენტრები მალე მოისპო. ოსმალეთის ხელში ეს ცენტრები უმთავრესად სტრატეგიულ პუნქტებს წარმოადგენდენ. საზოგადოდ, ოსმალთა მიერ მცირე აზიის დაპერამ იგი ეკონომიურად დააქვეითა, ხოლო სპარსეთთან გამუდ-

მებულმა ომიანობამ მთელი წინა-აზია საბოლოოდ დასცა და გაველურა.

შუა საუკუნეებში ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ურთიერთობა ასეთი იყო: აღმოსავლეთიდან ევროპიელებს გაჰქონდათ ლითონისა და შუშის ნახელოვნები, სხვადასხვა ქაოვილები, ხალიჩები, ძვირფასი თვლები, ოქრო-ვერცხლი და სხვა. სამაგიეროდ ევროპა აზიას ნედლ მასალას აწვდიდა. ინდოეთში მომავალი გზა მაშინ რამდენიმე იყო. ერთ-ერთი გზა ხმელეთით შავი ზღვიდან კასპიის ზღვისა და შემდეგ ამუ-დარიით და სირ-დარიით ზემო-ჰინდამდე და თვით ჩინეთამდე მიდიოდა. ვენეციელების და გენუელების სავაჭრო რესპუბლიკები ამ გზების საშუალებით აზიასთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდენ. ხსენებულს რესპუბლიკებს თავისი სავაჭრო პუნქტები ჰქონდათ შავ ზღვაზედაც. და რაკი ეს უკანასკნელი ოსმალებმა იგდეს ხელთ, რასაკვირველია ამ პუნქტებმა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაჰკარგეს.

ინდოეთისაკენ მიმავალმა გზამ სამხრეთისაკენ გადიწია და დიდი როლი მიეკუთვნა ჰალეპოს (სირიაში), ისპაჰანს (სპარსეთში) და ბასრას. ამნაირად, საქართველო კულტურის გარდა, ეკონომიურადაც გარიყული დარჩა. იგი პატარა კუნძულს წარმოადგენდა მუსულმანების დიდ ზღვაში და საკუთარ ძალას უნდა დაყრდნობოდა იმ დიდი ბრძოლის დროს, ოსმალეთი და სპარსეთი ერთმანეთს შორის რომ აწარმოებდენ.

ოსმალ-სპარსთა ბრძოლას-გარეგნად სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდა. იბრძოდენ თითქოს შიიზმის და სუნიზმის (მუსულმანური სექტებია — შიიტები სპარსელები არიან, სუნნიტები — ოსმალნი) მომხრენი ნამდვილად კი ეს იყო პოლიტიკური ქიმპობა მთელ წინა-აზიაზე ბატონობისათვის. ბრძოლას ეკონომიური საფუძველიც ჰქონდა. როგორც ოსმალეთი, ისე სპარსეთი იმხანად დიდ მატერიალურ ნაკლებობას განიცდიდენ და მდგომარეობის გამოსწორებას ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობასა და მათ ძარცვაში ეძიებდენ.

საქართველო ახალი საუკუნეების დამდეგს. იმ მიზეზთა გამო, რაიც ზემოდ მოვიხსენიეთ, საქართველო სწრაფი უკანდახევის გზას დაადგა. თუ ევროპისათვის ახალი საუკუნეები აღორძინებისა და წინსვლის, ფეოდალიზმის თანდათანი რღვევის ხანი იყო — იგივ ახალი საუკუნეები საქართველოსთვის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დეგრესის, დაქსაქსვის ეპოქად გადაიქცა. ახალ საუკუნეებს ჩვენი ქვეყანა შეეკება დაშლილი და მრავალ დამოუკი-

დებელ ნაწილად დაყოფილი. იგი შესდგებოდა შემდეგი ერთეულებისაგან:

1. **ქართლის სამეფო,** რომლის დედაქალაქი ტფილისი იყო. მასში შედიოდა მთელი ქართლი, გარდა დასავლეთ ნაწილისა (თითქმის გორამდე), რომელიც იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ქართლსავე ეკუთვნოდა სომხით-ლორე-ბამბაკი.

2. **კახეთის სამეფო**—სატახტო ქალაქ ზაგემით (ყარაღაჯი). მასში შედიოდა დაღესტნის მომიჯნავე ადგილები და აგრეთვე არაგვის საერისთვო.

3. **იმერეთის სამეფო**—მთელ დასავლეთ საქართველოს და ქართლის დასავლეთ ტერიტორიას შეიცავდა. საკუთრივ სამეფოს შეადგენდა—იმერეთი, რაჭა, სვანეთი და ლეჩხუმი. სადადიანო (სამეგრელო და აფხაზეთი) და საგურიელო თითქოს ვასალურ სამთავროებს წარმოადგენდენ. საგურიელოში შედიოდა: გურია, ქობულეთი, ჭანეთი (ქემერამდის). სატახტო ქალაქად იმერეთის მეფეს ქუთაისი ჰქონდა.

4. **სამცხის საათაბაგო.** იგი შეიცავდა ტერიტორიას ბორჯომის ხეობიდან არზრუმამდე.

„მეფის უფლება სამეფოებში, ხოლო ათაბაგებისა საათაბაგოში ჩვეულების თანახმად განსაზღვრული იყო დიდებულ თავადთა მიერ, რომელნიც სათავეში იდგნენ თავიანთ გვარეულობას. თავადთა გვარეულობანი ფლობდენ თავის სამფლობელოს, მათ ჰქონდათ საგვარეულო ციხეები, კოშკები, მონასტრები. გვარეულობის თავი ითვლებოდა ამა თუ იმ სათავადო სამფლობელოს ბატონად. ესევე თავი—ბატონი იყო წარმომადგენელი გვარეულობისა მეფის წინაშე. გვარეულობის მნიშვნელობა დამოკიდებული იყო მამულისა და ყმათა სიმრავლეზე, მაშასადამე გვარის განუყოფლობაზე. გაყრისთანავე გვარეულობა სუსტდებოდა და ჰკარგავდა თავის წინანდელ ძალას.

„როგორც მეფესა და ათაბაგს, ისე აგრეთვე თავადების გვარეულობათ ჰყავდათ აზნაურები. აზნაურებს მისდევდენ მსახურები, რომელთაც ბეგარის მაგივრად ბატონის სამსახური და თანხლება ედვათ. და რომელნიც ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ აზნაურებთან ერთად ომში გამოსასვლელად. მსახურებს მისდევდა გლეხობა, რომლის უდიდეს ნაწილსაც შეადგენდა ბეგრის გარდამხდელი გლეხობა... აზნაურებს შეიძლება ჰყოლოდათ ყმად როგორც მსახურნი, ისე გლეხნი, მსახურთ—მხოლოდ გლეხნი. ყველას ვალდებულება და გარდასახადი სასტიკად განსაზღვრული იყო ჩვეულებით და კანონით" (ს. კაკაბაძე—„საქ. მ. ისტორია", გვ. 5-6).

როგორც ცნობილია, სპარსეთ-ოსმალეთის შეტაკებათა დროს საქართველოს ტერიტორია თითქმის ყოველთვის ომის ასპარეზად ხდებოდა. დასავლეთი საქართველო ოსმალეთის კერძი იყო ხოლმე, აღმოსავლეთი—სპარსეთისა. უნდა ითქვას, რომ ხსენებულ სახელმწიფოებს საქართველო სავსებით თითქმის არასოდეს დაუპყრიათ. ეს მათი ლაშქრობის ხასიათით აიხსნება: როგორც ერთი, ისე მეორე სახელმწიფო ჩვენს ქვეყანაში დროებით მოდიოდა. მათს ლაშქრობას შემოსევის, დარბევის ხასიათი ჰქონდა. გაიმარჯვებდენ, ააოხრებდენ ქვეყანას, აუარებელ დავლას წაიღებდენ და მხოლოდ ის უფრო ეინტერესებოდათ, რომ მეორედ შემოსევის საშუალება ჰქონოდათ. ამიტომ იყო, რომ არც სპარსეთი, არც ოსმალეთი მაინცადამაინც ძალიან არ ცდილობდენ, რომ საქართველოს ყველა ნაწილი დაემორჩილებინათ. უმეტეს შემთხვევაში შინაურ წყობილებას ისინი ხელუხლებლად სტოვებდენ. ისინი სჯერდებოდენ იმას, თუ კართლ-კახეთისა, იმერეთის და სხვა კუთხეთა მმართველებად მათი მომხრენი იყვნენ და ნაკისრ ხარჯს დროზე და უკლებლივ იხდიდენ.

ოსმალეთ-სპარსეთის ბრძოლის გავლენა საქართველოზე. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ოსმალეთი და სპარსეთი ერთ-ხელ კიდევ მორიგდენ. 1553 წელს დადებული ხელშეკრულებით მათ საქართველო ურთიერთშორის გაინაწილეს. დასავლეთი—ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოჰყვა, აღმოსავლეთი—სპარსეთისა. ამ ხნიდან საქართველოს სხვადასხვა ნაწილების მეფეები ერთმანეთში მხოლოდ-ღა ნათესაური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი. გარეშე მტრებთან ერთად ბრძოლის, გაერთიანების საჭიროების შეგნება თითქმის მთლად გაჰქრა. როგორც ქართლ-კახეთი, ისე იმერეთი შინაური ბრძოლისა და არეულობის მსხვერპლი გახდა. ამ არეულობასა და კინკლაობაში უპირველესად მონაწილეობას ფეოდალები, ერისთავები და მთავრები ღებულობდენ. ცალკე ფეოდალები ერთმანეთს ებრძოდენ, ხოლო ყველანი ერთად კი მეფეს ედავებოდენ ხელისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ამნაირი მდგომარეობით სპარსეთი და ოსმალეთი მოხერხებულად სარგებლობდენ. მათ ხელში უბრალო ტიკინებად იქცნენ მეფეებიცა და მთავრებიც. ისინი ხან ერთს მიემხრობოდენ, ხან მეორეს და ამნაირად ერთმანეთს ამარცხებინებდენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1548 წელს სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, რომელსაც მომხრეები იმერეთის თავად-აზნაურობაშიაც ბლომად ჰყავდა—იმერეთის სამეფოს სავსებით განუდგა. მისი მაგალითით წახალისებულმა მთავარმა გურიისამ ისარგებლა ცენტრალური ხელის-

უფლების სისუსტით და მანაც გურია დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადა. გარეგნად, სახელით გურია-სამეგრელოს სამთავროები ძველებურად ისევ იმერეთის მეფის ქვეშევრდომებად ითვლებოდენ, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა იყო. მთავრები სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდენ და მეფის ზურგს უკან ოსმალეთთან სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებას სდებდენ.

მე-16 საუკუნის დამლევს გაძლიერდა **აფხაზეთის სამთავროც**, სადაც დიდი გავლენა მოიპოვეს შარვაშიძეებმა. აფხაზეთის მმართველნი ხშირად თავს ესხმოდენ თავის მეზობლებს, ოსმალეთთან დამოუკიდებელი ურთიერთობა ჰქონდათ და ხარკსაც აძლევდენ. ასე რომ დასავლეთი საქართველო მე-17 საუკუნეში უკვე სავსებით დაქსაქსულ ქვეყანას წარმოადგენდა. არსებობდა **იმერეთის სამეფო, გურიის სამთავრო** (საგურიელო) **სამეგრელო** (სადადიანო) და **აფხაზეთი**. იყო აგრეთვე საერისთავო—ლეჩხუმის, სვანეთის და რაჭისა. ყველა ესენი თითქმის სავსებით დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდენ.

უკეთეს მდგომარეობაში არ ყოფილა აღმოსავლეთი საქართველოც, სადაც სპარსეთი ბატონობდა. ქართლ-კახეთი მრავალი შემოსევის მსხვერპლი შეიქმნა, განსაკუთრებით შაჰ-აბას დიდის (1587—1628 წ.) დროს. ამ უკანასკნელმა მოაოხრა კახეთი (1614 და 1616 წ. წ.) რომლის მეფე თეიმურაზ I (ცნობილი მგოსანი, ქართული მწერლობის აღორძინების ხანის დამწყები) უცხოელთა ბატონობას მედგრად ეპრძოდა. ამ შემოსევათა დროს აუარებელი ხალხი იქნა გაჟლეტილი, ხოლო ასი ათასამდე ქალი და კაცი სპარსეთს იქნა გადასახლებული (მათი ნაშთი—ახლაც არის ფერეიდანში, სადაც ქართული ენა დაცულია). მდგომარეობის დასახასიათებლად კმარა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული თეიმურაზ I ექვსჯერ ავიდა ტახტზე და ექვსჯერვე სპარსელებმა ჩამოაგდეს. ქართლის მეფე ლუარსაბ II (1605—1616 წ.), რომელიც თეიმურაზს მხარს უჭერდა, დატყვევებულ იქნა და თეიმურაზის დედასთან, ქეთევან დედოფალთან ერთად სპარსეთში აწამეს.

შემოსევის დროს, შაჰაბასის ბრძანებით, სპარსელებმა, სხვათა შორის კახეთში მთლად აჰკაფეს თუთის ხეები, რათა მეაბრეშუმეობის გაწევა აღარავის შესძლებოდა. ეს ფაქტი აშკარად მოწმობს, რომ სპარსეთს უნდოდა ეკონომიურად მთლად გაენადგურებინა საქართველო და ამ მხრითაც იგი დამოკიდებული გაეხადა. მას ეშინოდა, რომ მეაბრეშუმეობისა თუ სხვა დარგთა განვითარებით საქართველო ეკონომიურ ურთიერთობას გააჩაღებდა მაშინ უკვე გაერთიანებულ რუსეთთან და ამნაირად სპარსეთის კლანჭებს თავს დააღწევდა.

მაჰმადიანი მეფეების ხანა. სპარსეთი ცდილობდა ქართლ-კახეთის ტახტზე თავისი მორჩილი მეფეები ჰყოლოდა. ამის მიღწევას იგი ჰფიქრობდა იმით, რომ ტახტზე ასვლის პირობად მეფეთაგან გამაჰმადიანებას მოითხოვდა. იმ ხანებში, როდესაც სარწმუნოებას ხალხთა ცხოვრებაში უდიდესი გავლენა ჰქონდა—ეს საშუალება მართლაც მნიშვნელოვანი იყო. სარწმუნოების მოღალატე მეფე თავის ხალხში იშვიათად თუ მოიპოებდა გავლენას. ამიტომ იგი ტახტის შესანარჩუნებლად იძულებული იყო მუდმივად სპარსეთის პირში შემყურე ყოფილიყო. გარდა ამისა, მაჰმადიანი მეფეები სპარსეთში აღზრდილნი, სპარსეთის კულტურით გაჟღენთილნი და ძალაუნებურად ყოველგვარ სპარსულის მოსარჩლე და გამტარებელნი იყვნენ. ასეთი იყო, მაგალითად, როსტომ მეფე (1634—1658 წ.), რომლის მეფობიდან იწყება ეგრედწოდებული **ხანა მაჰმადიანი მეფეებისა.** ძველი მოხელეები ლმეტეს წილად განდევნილ იქნენ და მაჰმადიანი მეფეები სპარსეთის შაჰის კარზე ნამსახურ ქართველებს ნიშნავდენ. ამით, ცხადია, ისინი ქართველთა უმაღლესი წრეების დიდს უკმაყოფილებას იწვევდენ. მაგრამ არც თვით ამისთანა მეფეების მდგომარეობა იყო მტკიცე. ფრიად დამახასიათებელია ერთი გარემოება, რომელსაც ფრანგი მოგზაური **შარდენი** (საქართველო მოიარა 1672—73 წ.წ.) გადმოგვცემს. მეტეხთან მეფე ვახტანგ მე-V (მაჰმადიანობაში შაჰნავაზად წოდებული) ისე ვერ გაივლიდა, რომ შიში არ ჰქონოდა, ვაი თუ სპარსელებმა ჩემი დაპატიმრების განკარგულება უკვე გასცეს, ვაი თუ ახლავე უნდა დამიჭირონო.

მაჰმადიან მეფეების დროს საქართველოში სპარსთა ჯარს უკვე მუდმივი ბინა აქვს. იგი სდგას ტფილისსა, გორსა და სურამში. მეფეები სწორედ ამ ჯარს ემყარებიან და ამიტომ მეფის ხელისუფლება შედარებით ძლიერდება, თუმცა მას ქართლის ზოგიერთი ნაწილი მაინც არ ემორჩილება. სპარსეთის ჯარი თავისუფლად დათარეშობს მთელს ქართლში და მცხოვრებლებს ხშირად არბევს. ხალხს ძლიერ აწუხებს აგრეთვე აუარებელი ხარკი, რომელსაც სპარსეთი გამუდმებით მოითხოვს. გარდა ამისა, სპარსეთს თავს ესხმიან ოსმალნი და ქართლ-კახეთი ხშირად ხელიდან ხელში გადადის. ეს საბოლოოდ დასცემს აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიურ დოვლათსა და კეთილდღეობას.

მაჰმადიან მეფეთა ხანაში ფეოდალების ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ—ხასიათი ეცვლება. გარეგნად ის **ეროვნული ბრძოლის** ხასიათს ღებულობს. ისინი ებრძოდენ მუსულმან მეფეს—მაშასადამე ფაქტიურად უნდა ებრძოლნათ იმ გარეშე-

ძალის (სპარსეთის) წინააღმდეგ, ვინც ამ მეფეთა ბატონად ითვლებოდა. ქართლის მეფეები სპარსეთის შაჰის მოადგილეებად (ჯანიშინებად) ითვლებოდენ. ამიტომ მათ წინააღმდეგ ლაშქრობა—საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იერს იღებდა. ამით აიხსნება, რომ იმჟამად ფეოდალებს ბევრი ისეთი ელემენტი ემხრობოდა, რომელსაც პატრიოტული მოსაზრებები ამოქმედებდა. ფეოდალების უმრავლესობა არსებითად, ცხადია, თავის სამთავრო-საერისთავოების დამოუკიდებლობისათვის იღვწოდა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მათს ბრძოლას ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. მრავალი იყო აჯანყება ფეოდალების მეთაურობით და ბევრი სისხლიც დაიღვარა. მაგრამ ფეოდალების ბრძოლა მარცხით დამთავრდა და სპარსეთმა მე-17 საუკუნის დამლევისათვის ჩვენს ქვეყანაში უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი.

მე-18 საუკუნეში როგორც სპარსეთი, ისე ოსმალეთი უძლურდება. ეს გარემოება გავლენას ახდენს საქართველოზე, რომელიც პოლიტიკურად კვლავ წელში სწორდება და ეკონომიურ მოღონიერებას იწყებს. მაგრამ ვიდრე მე-18 საუკუნეს შევეხებოდეთ, მოკლედ გავეცნოთ იმას, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა საერთოდ საქართველო სპარსეთ—ოსმალეთის გამუდმებული ბრძოლისა, შინაური არეულობისა და შლილობის გამო.

საქართველოს საზოგადო ვითარება მე-15-17 ს. ს. თავის ადგილას ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ის საერთაშორისო და შინაგანი მიზეზები, რამაც ფეოდალური მონარქიის მთლიანობა დაარღვია და საქართველო უკან დახევის გზაზე დააყენა. ეს იყო ის, რომ საქართველოს ძლიერება მე-XII ს. არ ყოფილა შინაგან საწარმოვო ძალთგანვითარებაზე დამყარებული და ამიტომ მონგოლთა შემოსევამ იგი შედარებით ადვილად მოსპო. შემდეგი მიზეზები იყო, როგორც ვთქვით, თურქ-ოსმალთა შემოსევანი, კონსტანტინეპოლის დაცემა, მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზების სამხრით გადანაცვლება და სპარსეთ-ოსმალეთის გამუდმებული ბრძოლა წინა-აზიაში ბატონობისათვის.

ამ ბრძოლის ერთი უსაშინელესი შედეგთაგანი ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის გავრცელება იყო. საქმე ისაა, რომ არც ოსმალეთს, არც სპარსეთს საკმაო სამხედრო ძალა არ ჰყავდათ ომიანობის გასაწევად. ამიტომ თავიანთი ლაშქრის გასაძლიერებლად ჯარისკაცებს ველური წესით აგროვებდენ. ისინი პირდაპირ ნადირობდენ ხალხზე და ჯარში მიჰყავდათ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა და ფრიად გავრცელდა ჩვენში ტყვეთა სყიდვა-გაყიდვა. ოსმალეთსა და სპარსეთს საამისოდ

აუარებელი აგენტები ჰყავდათ. ყაჩაღთა ბრბოები იტაცებდენ კაცებს ბავშვებს და უმთავრესად ოსმალეთის ბაზარზე ჰყიდდენ. შავი ზღვის ნავთსადგურებიდან ყოველწლიურად რამდენიმე ათასი კაცი გაჰყავდათ და ტყვედ ჰყიდიდენ. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მიწის მუშა იძულებული ხდებოდა ყანაშიაც შეიარაღებული ემუშავნა და მუდამ თავდასხმა-გატაცების შიშში ყოფილიყო. განსაკუთრებით გახშირებული იყო ბავშვების გატაცება. ამ ბავშვებს ამაჰმადიანებდენ და განსაკუთრებული სამხედრო წესით ზრდიდენ. სწორედ ამისთანა ბავშვთაგან (როდესაც ისინი დავაჟკაცდებოდენ) ოსმალნი ადგენდენ ეგრეედწოდებულ **იანიჩართა** რაზმებს, როჰელნიც ოსმალეთის ჯარში საუკეთესო მებრძოლებად ითვლებოდენ.

ომიანობისა, რბევა-აწიოკებისა და განსაკუთრებით ტყვეთა ვაჭრობის გამო საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი თითქმის განახევრდა. მე-16 საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 600 ათასი მცხოვრები ითვლებოდა, ხოლო მე-17 საუკუნეში-300 ათასამდეღა დარჩა. დასავლეთი საქქრთველო უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული. იქ დაახლოებით მილიონ ორასი ათასი მცხოვრები ითვლებოდა. მე-18 საუკუნის შუა კი, როდესაც იმერეთიდან ოსმალნი განდევნილ იქნენ,—მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღარ აღემატებოდა.

ცარიელდებოდა სოფლებიცა და ქალაქებიც. არის ცნობა რომ მე-17 ს. ნახევარში ტფილისში დაახლოებით 60.000 მცოვრები ყოფილა. მე-18 ს. დამდეგს კი საქართველოს დედა-ქალაქში 20 ათასიღა იყო. ასეთივე ბედი ეწიათ სხვა ქალაქებსაც: გორს, ახალქალაქს (რომელიც მთლად დაანგრიეს), ქუთაისს და სხვ. ამიტომაც არის, რომ იმ ხანის სიგელ-გუჯრებში „ხშირად გვხვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუზარი, ნასახლარი, ნავენახარი, პარტახი და სხვა მსგავსი ტერმინები“ (ივ. ჯავახიშვილი).

ამისთანა მდგომარეობას, ცხადია, აღებ მიცემობისა და საერთოდ მეურნეობის დაქვეითება უნდა გამოეწვია. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დამლევსვე „მევენახეობა-მეღვინეობა სამეგრელოში უკვე იმდენად იყო დაცემული, რომ ადგილობრივი ღვინო დაბალხარისხოვანი დგებოდა და ტრაპიზონითგან შემოტანილს მეტოქეობას ველარ უწევდა. საფეიქრო ხელოვნებასაც და ქსოვნილებსაც ცხადი ჩამოქვეითება დაემჩნიათ: აქაური ქსოვილები თუმცა გაჰქონდათ უცხოეთში, მაგრამ მათი დაბალი ღირსების გამო წინადელზე ბევრად ნაკლები. იმერეთსა და მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-მეურნეობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ

აქაც სხვადასხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, ვითარცა უფრო ადვილი გასაძღოლი, ჯფრო ნაკლებ იყო ჩამოქვეითებული. დაცემული იყო, რასაკვირველია, ვაჭრობაც. ფული აღებ-მიცემობის დროს ქალაქებსა და სავაჭრო ცენტრებსა და გზების მახლობლად მდებარე ადგილებში ტრიალებდა. მოშორებით კი უკვე იშვიათი სანახავი და სახმარებელი იყო: ვაჭრობა იქ სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლით სწარმოებდა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც აღებმიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა" (ივ. ჯავახიშვილი „ქართვ. ერის ისტ." წ. IV—გვ. 198).

ურთიერთ ბრძოლის, ტყვეთა ვაჭრობის გამო აუცილებელი შუშა-ხელი შორდებოდა თავის კერას და იღუპებოდა. ოსმალეთი და და სპარსეთიც მოითხოვდენ, რომ ადამიანთა ვაჭრობა თავისუფალი ყოფილიყო და მოწინააღმდეგ ქართველთა და ზოგიერთ მეფეთა ბრძოლა ძის წინააღმდეგ უშედეგოდ რჩებოდა. მხოლოდ მე-18 საუკუნეში მოხერხდა ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვა და ისიც მაშინ, როდესაც თვით ოსმალნი განდევნილ იქმნენ საქართველოდან.

სამეფოების ფინანსიური მდგომარეობა. მძიმე იყო, რასაკვირველია, სამეფოების ფინანსიური მდგომარეობაც. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში სცადეს გადასახადების გადიდება, რაიც გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა. მაშინდელი ცნობებით მტკიცდება აგრეთვე, რომ „წინანდელთან შედარებით საზომები გაუდიდებიათ და გამოუცვლიათ. ზედმიწევნითი გამოანგარიშება ცხადჰყოფს, რომ მე-XVI საუკუნის დამდეგისათვის, მაგ. მაშინდელი ლიტრა [1]) პირვანდელ ლიტრასთან შედარებით ექვსჯერ იყო უკვე გადიდებული" (ივ. ჯავახიშვილი). მაგრამ შეუძლებელი იყო გადასახადთა სახით რაიმე დიდი თანხა შეეგროვებინათ. ხალხი გადასახადს უფრო მეტად გარეშე მტრების, სპარსეთ-ოსმალეთის სასარგებლოდ იხდიდა. საერთო სიღარიბის გამო ხაზინა ცარიელი იყო და ზოგიერთი ფეოდალი სიმდიდრით მეფეს სჯარბობდა. ფეოდალების გავლენის ზრდისა და გაძლიერების შეჩერება შეუძლებელი გახდა. მეფეები, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელნი, ფეოდალების ალაგმვასა და დამორჩილებას კვლავ ცდილობდენ. მაგრამ საერთო მდგომარეობა ისეთი იყო, რომ სახელმწიფო იძულებული ხდებოდა თვითონვე ხელი შეეწყო ცალკე ფეოდალების გაძლიერებისათვის, იმ

[1]) წონის ერთეულია.

დროს, როდესაც ხაზინას თითქმის არავითარი ფულადი საღსარი არ ჰქონდა, იგი ვერ შეჰქმნიდა რაიმე მტკიცე აპარატს და იძულებული ხდებოდა იმავე ფეოდალებს დაყრდნობოდა. ამიტომ იყო გაძლიერებული მამულების ბოძება და მსხვილ თავადთათვის მრავალგვარი პრივილეგიების მინიჭება. ბევრი თავადი თარხნობით (შეუვალობით) სარგებლობდა და სამეფოს სასარგებლოდ არას იხდიდა. მხოლოდ ოსმალ-სპარსთათვის მისაცემი ხარკი იყო ყველასათვის საერთო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ერთგამგეობისაკენ მიმსწრაფი მეფეები ფეოდალებს გარდა—თავის გვარეულობათა მეორეხარისხოვანი შტოების წარმომადგენლებსაც ებრძოდენ. ამ მხრით აღსანიშნავია, რომ მე-16 საუკუნის დამლევს სამთავე სამეფოში—იმერეთსა, ქართლსა და კახეთში მეფის გვარეულობის შტოებს ტახტის ძიების უფლებანი ჩამოერთვათ. ამნაირად, ცალკე სამეფოთა შორის ერთობა იმით გამოიხატებოდა, რომ მათში ერთი დინასტია მეფობდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ გარეგანი და არსებითად უმნიშვნელო ფაქტი. ერთგამგეობისაგან საქართველო ძლიერ შორს იყო.

სამუსულმანო საქართველო. როგორც აღვნიშნეთ, მონგოლების შემოსევის დროს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მას დაემორჩილა, სამცხის ათაბაგი მათ ვასალად იქცა. იმ დროიდან ეს კუთხე საბოლოოდ საქართველოს აღარ შემოერთებია და შემდეგ იგი სავსებით ოსმალეთის ფარგლებში მოექცა. კარგა ხნის განმავლობაში იგი ცალკე ერთეულს წარმოადგენდა და ქართველი მეფეები ხშირად ცდილობდენ მის შემოერთებას, რადგან კარგად ესმოდათ საათაბაგოს როგორც სტრატეგიული, ისე ეკონომიური მნიშვნელობა. როგორც ბექას და აღბუღას კანონები მოწმობს, იქ საკუთარი წესები იქმნა შემოღებული და ფეოდალურ სისტემაში მეფის მაგიერობას—ათაბაგი, „პატრონი“ საათაბაგოსი, ეწეოდა. „ეს პატრონობა თითქმის სრულს დამოუკიდებლობას უდრის, რადგან პატრონი ჯაყელი თავისუფლად განაგებს სამთავროს. მეფესთან ათაბაგს მარტო გარეგანი კავშირი აქვს და სამთავროში ყოველგვარი გამგეობა და ქვეყნის მეურნეობა „პატრონის“ სახელით სწარმოებს... უმაღლესი მმართველობა და სჯულმდებლობა ათაბაგს ეკუთვნოდა, როგორც დამოუკიდებელს მთავარს. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს რუსეთის ძველს თავისუფალ მთავარს, კნიაზს“ (ნ. ურბნელი „ათაბ. ბექა და აღბუღა და მათი სამარ“, გვ. 65—66).

საათაბაგოს საზღვრები ხშირად იცვლებოდა, მაგრამ საერთოდ იგი შეიცავდა ტერიტორიას ბორჯომის ხეობიდან დაწყებული ტრა-

პიზონის მთებამდე და არზრუმის მიდამოებამდე (გურჯიბოლაზი— საქართველოს კარი, არზრუმის ჩრდილოეთითაა). ამ ტერიტორიაში შედიოდა ჯავახეთი, მესხეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ბასიანი, აჭარა, კლარჯეთი და ტაო,—ე. ი. დაახლოებით საქართველოს ერთი მესამედი.

იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510—1548) ცდილობდა საათაბაგოს შემოერთებას, რადგან კარგად ესმოდა მისი მნიშვნელობა ოსმალეთთან ბრძოლისათვის. მან ათაბაგი ყვარყვარე დაამარცხა და ტყვედ წამოიყვანა. ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომ დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. 1545 წელს მან ოსმალეთის ჯარით (რომელსაც არზრუმისა და დიარბექირის ფაშები წინამძღოლობდენ) საათაბაგოსაკენ გამოილაშქრა.

ბაგრატ III შველა სთხოვა ქართლის მეფეს ლუარსაბს, რომელმაც ცოტაოდენი ჯარი გაუგზავნა. ქართველთა შეერთებული ჯარი შეეტაკა მტერს ბასიანში—**სოხოისტასთან**. ქართველები დამარცხდენ და სამცხის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა: ოსმალებმა ქაიხოსროს ათაბაგობა მიანიჭეს, მაგრამ სამცხეში თავისი ჯარები ჩააყენეს. შემდეგ ისინი ნელ-ნელა ამცირებდენ საათაბაგოს ტერიტორიას და ცდილობდენ მის სრულ და უშუალო შეერთებას სახელმწიფოსადმი.

1550 წელს ოსმალებმა ათაბაგს წაართვეს ტაო, ხოლო ორი წლის შემდეგ არტაანი და არტანუჯი. ქაიხოსრომ სცადა შებრძოლება, დახმარებისათვის სპარსეთსაც მიმართა, მაგრამ ვერას გახდა. 1553 წელს სპარსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით სამცხე-საათაბაგო (გარდა ოსმალეთის მიერ წინად წართმეული ნაწილებისა) სპარსეთის გავლენის ქვეშ მოჰყვა. მიუხედავად ამისა, საგარეო მდგომარეობისა და შინაურ განხეთქილებათა წყალობით საქართველოს ეს კუთხე ბოლოს ისევ ოსმალეთმა იგდო ხელთ.

საქმე ისაა, რომ ათაბაგსა და ადგილობრივ დიდგვარიანთა შორის ისეთივე დავა იყო ხელისუფლებისათვის, როგორც მეფეთა და ფეოდალებს შუა დანარჩენ საქართველოში. ამ ბრძოლის დროს ადგილობრივი ფეოდალები დახმარებას ჰპოვებდენ ოსმალთაგან. ქაიხოსრო ათაბაგის ქვრივი **დედისიმედი** ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა ფეოდალებს (კერძოდ თავად შალიკაშვილების გვარეულობას, რომელსაც მესხეთში დიდი გავლენა ჰქონდა). მაგრამ ათაბაგები თანდათან ისე მოუძლურდენ, რომ დედისიმედის შვილების დროს იძულებულნი გახდენ ოსმალეთის სრული ბატონობა აღიარებინათ. ათაბაგს ოსმალეთმა ფაშის ხარისხი უბოძა.

საათაბაგოს ბედი საბოლოოდ შეტრიალდა მანუჩარ ათაბაგის

დროს. იგი მოჰკლა ბიძამისმა ბექამ და შემდეგ სულთანს ეახლა. სტამბოლში ყოფნის დროს მან მუსულმანობა მიიღო. მას ოსმალეთისაგან ებოძა მხოლოდ-ღა ახალციხისა და ჩალდირის ათაბაგობა. ბექა მმართველობდა **საფარ-ფაშის** სახელწოდებით (1625 წ.). მის ათაბაგობის დროიდან სამცხეში გაძლიერებულად იწყებს გავრცელებას მუსულმანობა. მუსულმანობის მიღება და საერთოდ ისლამი — ადგილობრივ მცხოვრებთ დენაციონალიზაციის გზაზე აყენებს. საათაბაგო იმ ხნიდან საქართველოს შორდება არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სულიერად და კულტურულადაც.

ხალხში შედის ოსმალური ზნე-ჩვეულებანი და ოსმალური ენაც ნელ-ნელა ვრცელდება. მუსულმანობას იღებენ პირველ ხანებში უმაღლესი წრეები, ვინაიდან უამისოდ ვერავითარი კარიერის გაკეთებას ვერ შესძლებენ. ეკლესია, რომელიც ერთად-ერთი კავშირი-ღაა საქართველოსთან, უძლურდება, ტაძრები იძარცვება და ვერანდება ჯერ ოსმალთაგან. რაც რამ ძვირფასი კიდევ რჩება — სამღვდელოებას ქარიოლსა და იმერეთში გააქვს. ქართული კულტურა სწრაფად ეცემა და ხალხი ეროვნულ შეგნებას ჰკარგავს. ყველაზე დიდხანს ეროვნულ-მეობისათვის გლეხობა იბრძვის. მაგრამ ქრისტიანებისათვის განსაკუთრებული გადასახადები არის დაწესებული, ხოლო მუსულმანებს ხსენებულ ბეგარათაგან ანთავისუფლებენ. სამცხის გლეხობისათვის ასეთი მდგომარეობა აუტანელი ხდება. ოსმალ-სპარსთაგან ისედაც აოხრებული ქვეყანა — ვეღარ უძლებს მოზღვავებულ ტალღას და ნელ-ნელა ხელს იღებს ქრისტიანობაზე. მაშინდელ დროს, როგორც აღვნიშნეთ, სჯულის გამოცვლა — ეროვნულ მეობაზე ხელის აღებასაც ნიშნავდა. ისლამი იყო არა მარტო სარწმუნოება, არამედ იგი ერთგვარს სოციალურ სისტემასა და კულტურასაც შეიცავდა. და აი, სასტიკი ბრძოლის შემდეგ გლეხობაც მარცხდება.

როსტომ-ფაშის დროს (1647—1695 წ.) სათაბაგოში მუსულმანობა უკვე გაბატონებულ სარწმუნოებად ხდება. იმ ხნიდან საქართველოს ეს კუთხე, სადაც გადმოცემით უკვდავი რუსთველი დაბადებულა — მშობელ ქვეყანას ყოველმხრივ მოსწყდა და თავისი წარსულიც თითქმის მთლად მიივიწყა. ერთი რამ კი აღსანიშნავია. მე 18 საუკუნის დამლევამდე ახალციხის საფაშოში ქართული ენა ბატონობდა და ყოველგვარი ოფიციალური მიწერ-მოწერაც ქართულად სწარმოებდა. ამიტომ ქართველ მუსულმანებში დედა-ენა დიდხანს იყო დაცული, გარდა ზოგიერთი კუთხისა, რომელნიც ენითაც სრულიად გაოსმალდენ.

ახალციხის საფაშო ყოველთვის ერთგული დარაჯი იყო ოსმა-

ლეთის ინტერესებისა საქართველოს წინააღმდეგ და მისი საშუალებით სულთნები ჩვენი ქვეყნის საქმეებში ხშირად და ადვილად ერეოდენ ხოლმე.

დაქსაქსულობის მოწინააღმდეგე ელემენტები. საქართველოს დეგრესს, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი მიზეზი ჰქონდა. მის საბოლოოდ დაქსაქვას, დანაწილებას ხელს უწყობდენ არა მარტო გარეშე ძალები, არამედ საზოგადოებრივი სტრუქტურაც. ეს სტრუქტურა ისეთი იყო, რომ ცალკე ნაწილები ჩვენი ქვეყნისა განაგრძობდენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას მაშინაც კი, როდესაც საქართველოს გული, ვთქვათ ტფილისი, უცხოელების ხელში იყო.

ეკონომიურად ჩვენი ქვეყანა იმდენად დაიქსაქსა, რომ ცალკე პროვინციები თითქმის არაფრით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. იმ უდიდესი განსაცდელის დროს, როდესაც სპარსეთი მიზნად ისახავდა მთლად საქართველოს ამოწყვეტას და აქ თავის ერთგული ხალხის დასახლებას—შეიძლება ითქვას, რომ **ფეოდალურმა დაქსაქსულობამ დადებითი როლიც ითამაშა.** მისი გამოისობით უცხოელნი ვერ ახერხებდენ მთლად ჩვენი ხალხის დამორჩილებას: რჩებოდა რომელიმე კუთხე, რომელისამე ფეოდალის სამფლობელო, სადაც პოლიტიკური ცხოვრების დაშთობილი ლამპარი ოდნავ მაინც ბჟუტავდა. მის ირგვლივ იკრიბებოდა ხოლმე აქტიური საქართველო და თვითმყოფობისათვის ბრძოლა არ ნელდებოდა. ფეოდალებისათვის ამ ბრძოლას განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით მაჰმადიანი მეფეების დროს. ისინი მაჰმადიან მეფეებს ებრძოდენ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს. მაგრამ ობიექტიურად ეს იყო ბრძოლა სპარსეთის მძლავრობის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს განიავებას უქადდა.

გარდა ამისა, თვით მოწინავე პირთა და განსაკუთრებით ზოგიერთ მეფეთა პოლიტიკა ისეთი იყო, რაიც გგაფიქრებინებს, რომ მათ ესმოდათ ამ დაქსაქსულობის მოსპობის აუცილებლობა. ისინი ცდილობდენ საწარმოვო ძალთა განვითარებას და გრძნობდენ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას შეეძლო განტკიცება მხოლოდ ახალ საზოგადოებრივ წრეებზე დაყრდნობით. ასეთი იყო, მაგალითად, ლუარსაბ II-ის პოლიტიკა და მისი მარჯვენა ხელის—გიორგი საკაძის ზრახვანი.

ლუარსაბ II ცდილობდა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის დროს მსხვილი ფეოდალებისათვის გვერდი აეხვია. მან დაიახლოვა და უმაღლესი ხელისუფლებით აღჭურვა უბრალო და ღარიბი აზნაურიშვილი **გიორგი საკაძე**. როდესაც ლუარსაბმა საკაძის და

ცოლად შეირთო—სააკაძე უკვე ტფილისის მოურავად იყო. დიდგვარიანები ვერ ურიგდებოდენ სააკაძის ამაღლებას და სააკაძის გავლენა მეფეზე—საშინლად აბრაზებდათ. დედოფალსაც აშკარად დასცინოდენ: ვაი, რა დრო დაგვიდგა, ქართლის ტახტზე უბრალო აზნაურის ქალი გვიზისო. ბოლოს საქმე ისე გამწვავდა, რომ ლუარსაბი იძულებული გახდა მოურავის დას გაჰყროდა. დიდებულებმა სცადეს სააკაძის მოკვლევინება, მაგრამ ვერ მოახერხეს. მოურავი ბედს არ დამორჩილებია და შაჰაბასთან გაიქცა. სწორედ იმ დროიდან იწყება დიდი მოურავის მღელვარე ცხოვრება, მისი ბედის ათასგვარად ტრიალი, რამაც ისტორიას საბუთი მისცა სააკაძისათვის ქართველთა **ალკიბიადე** ეწოდებინა.

სააკაძე მსხვილ ფეოდალებს ებრძვის. მაგრამ საქართველოს შიგნით ის ელემენტები (წვრილი აზნაურობა, ვის წრესაც იგი დაბადებით ეკუთვნოდა), რომელთაც მისთვის მხარი უნდა დაეჭირათ, ძლიერ სუსტნი არიან. ამიტომ იგი გარეშე ძალას მიჰმართავს. სააკაძე ცდილობს სპარსეთის საშუალებით დათრგუნოს ქართლის ფეოდალები. როდესაც თითქოს მიაღწევს ამ მიზანს,—მიუბრუნდება სპარსეთს და ახლა მას ებრძვის. სააკაძეს ამარცხებს არაგვის ერისთავი, ე. ი. მსხვილი ფეოდალი. დიდი მოურავი მოდის ოსმალეთში და იქ იღუპება. საქართველოს შინაური ძალთა განწყობილება იმ დროს ისეთი იყო, რომ მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლა მარცხით უნდა დამთავრებულიყო. ამ მხრით სააკაძის ტრაგედია—ტრაგედიაა იმდროინდელი საქართველოსი, რომელიც ცდილობდა მოჯადოებული წრიდან გამოსვლას, მაგრამ საამისოდ ძალა არ შესწევდა.

აღსანიშნავია აგრეთვე ვახტანგ V (შაჰნავაზის) პოლიტიკა. იგი საქართველოს სამეფო ტახტზე მყოფ მაჰმადიან მეფეთა რიცხვს ეკუთვნის. მიუხედავად სპარსეთისადმი მორჩილებისა, იგი ცდილობდა ქართული პოლიტიკის წარმოებას. როგორც სჩანს, მას კარგად ესმოდა დიდი საჭიროება ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისა და ვაჭრებს ყოველგვარ პრივილეგიას ჰპირდებოდა. როდესაც მის სასახლეს ეწვია ევროპიელი მოგზაური **შარდენი (1672-73 წ.)** ვახტანგმა დიდის პატივისცემით მიიღო: მან დაწვრილებით გამოჰკითხა ევროპის ამბები და, სხვათა შორის, განაცხადა: „მე ძლიერ მსურს ევროპიელები დაბინავდენ საქართველოში. **თუ ისინი სავაჭრო მიზნებით ჩამოვლენ ჩვენში, მე მათ ყოველგვარ პრივილეგიას და უპირატესობას მივანიჭებ, რასაც კი ისინი მოისურვებენ.** ჩემი საბრძანებელი შავ-ზღვამდე აღწევს, სპარსეთში დიდი გავლენა

მაქვს და ოსმალეთში დიდს პატივს მცემენ. ამისათვის ევროპიელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის ჩემს სახელმწიფოზე უკეთესს გზას ვერ გამონახავენ. დარწმუნებული ვარ, ერთხელ რომ სცადოთ ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას ძებნას აღარც დაუწყებთო" («Путеш. Кав. Шардена»—ტ. 226).

მაგრამ ასეთი ვედრება მაშინ ამაო იყო. თვით შარდენისავე მოგზაურობა მოწმობს, რომ თუ აღმოსავლეთი საქართველო მის დროს ასე თუ ისე ნორმალურ პირობებში იყო—ეს დასავლეთისაზე ვერ ითქმის. შარდენს იქ ბევრი უბედურება გადაჰხდა და ცხადია, იგი აღარავის ურჩევდა სავაჭროდ საქართველოსკენ წამოსვლას.

სპარსეთ-ოსმალეთის დასუსტება. მე 18 საუკუნის პირველი ნახევარი პოლიტიკურის მდგომარეობის მხრით საქართველოსთვის წინა საუკუნის გაგრძელება იყო. ქართლ-კახეთი კვლავ სპარსეთის ვასალად ითვლებოდა და ქართველი მეფეები ტახტზე ასვლისათვის იძულებულნი იყვნენ მაამაჰდიანობა მიეღოთ ხოლმე. სპარსელთა მიერ ისინი **ხანებად**, ან საქართველოში შაჰის მოადგილეებად იწოდებოდენ. სპარსელთა პოლიტიკურ გავლენას თან სდევდა მისივე უდიდესი გავლენა საქართველოს საზოგადოებრივ და საკულტურო დარგში. დიდი თანამდებობის ქართველები სპარსეთში აღზრდილნი პირნი იყვნენ და სამშობლოში სპარსეთის კულტურულ-პოლიტიკური გავლენის გამაძლიერებელ აგენტებად ჰხდებოდენ. ვრცელდებოდა მაჰმადიანობა და სწარმოებდა აგრეთვე ქართლ-კახეთის კოლონიზაცია სპარსელთა მიერ.

სპარსეთისა და ოსმალეთის ქიშპობა იმ ხანებშიაც ფრიად დიდი იყო. გაძლიერებულმა ოსმალებმა ვახტანგ მე VI დროს ქართლი დაიპყრეს და იქიდან სპარსელები გარეკეს, კახეთი კი ისევ სპარსელთა ხელში დარჩა. იმ ხნიდან ადგილი აქვს ქართლსა და კახეთს შორის ბრძოლას, რომელიც ანარეკლია სპარსეთ-ოსმალეთის ბრძოლისა. ამ ბრძოლის დროს აუარებელი სისხლი იღვრება და ქვეყანა მოსახლეობისაგან იცლება. ამას ერთვის ლეკთა გახშირებული თარეშები, რაიც ქართლ-კახეთს მეტად აუძლურებს.

გაღარიბებული, მრავალჯერ აოხრებული ქართლ-კახეთიდან სპარსეთის ხაზინას იმ ხანებში ძლიერ ცოტა შემოსავალი აქვს. იგი ხშირად ფულად უფრო მეტს ხარჯავს აღმოსავლეთ საქართველოზე, ვიდრე იქიდან შემოსდის. სპარსელები ქართლ-კახეთიდან წელიწადში ფულად დაახლოებით მხოლოდ 300 თუმანს ხარკს ღებულობენ. მიუხედავად ამისა, სპარსეთი იძულებულია აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ყურადღება მიაქციოს და მისი შენარჩუნებისათვის

ოსმალეთს მედგარი ბრძოლა გაუწიოს. ეს იმ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობით აიხსნება, რაიც ქართლ-კახეთს სპარსეთისათვის ჰქონდა ამიერ-კავკასიაში ოსმალეთის წინსვლის შეჩერების საქმეში.

მე-18 საუკუნიდან სპარსეთის დაცემის პროცესი ფრიად ძლიერდება. მთელი საუკუნის განმავლობაში სპარსეთის ძლიერებამ იფეთქა მხოლოდ ნიჭიერი **ნადირ-შაჰის** დროს, რომელმაც ინდოეთიც კი დალაშქრა. სპარსეთის ძლიერების ხანაში კახეთის მმართველები (თეიმურაზ II და ძე მისი ერეკლე) სპარსეთის ორიენტაციას ემხრობიან და ლოიალური პოლიტიკის წარმოებით ცდილობენ თავის სამეფოს მოლონიერებას. მათი პოლიტიკა გონიერი გამოდგა და მისი წყალობით აღმოსავლეთი საქართველო მამა-შვილის ხელში ერთიანდება: ერეკლე კახეთში მეფობს, თეიმურაზი ქართლში (ორივე-სპარსეთის თანხმობით).

ნადირ-შაჰის დროის ძლიერება სპარსეთისა ხანმოკლე და წარმავალი გამოდგა. ნადირის შაჰობის უკანასკნელ ხანებში სპარსეთში კვლავ თავი იჩინა ურთიერთ შორის ბრძოლამ და შფოთმა. ქიშპობა სხვადასხვა ჯგუფებისა, ნადირ-შაჰის მოკვლით გათავდა (1747 წ.). ქართლ-კახეთმა ისარგებლა ამის შემდგომ სპარსეთში დატრიალებული არეულობით და სპარსეთის დამოკიდებლობისაგან ფაქტიურად სავსებით განთავისუფლდა. თითქმის სრულიად უბრძოლველად ტფილისისა და ქართლ-კახეთის სხვა ციხე-სიმაგრეებიდან სპარსელთა გარნიზონები გამოდევნილ იქმნენ და იქ ქართველთა ჯარი ჩადგა.

სპარსეთს აღარ შეეძლო ქართლ-კახეთისა გაძლიერებისათვის ხელი შეეშალა. როდესაც თეიმურაზმა და ერეკლემ **ყაზახი,** ხოლო შემდგომ **ერევნისა და განჯის** ხანები დაიმორჩილეს და ხარკი დააადეს—სპარსეთი თუმცა გულისტკივილით, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ყველაფერს ამას შეჰრიგებოდა. ამნაირად მე-18 საუკუნის ნახევარში ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში **ეროვნული ხელისუფლების** დამყარებით თავდება. თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ქართლს ეპატრონება ერეკლე (1762 წ.) და ამნაირად ქართლ-კახეთი ერთი მეფის ხელში ერთიანდება.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ბაგრატ მე-IV დროს (1668 წ.) ოსმალებმა დაიჭირეს ქუთაისის ციხე და შიგ თავისი ჯარი ჩააყენეს. შემდგომ მათ ხელთ იგდეს შორაპნის ციხეც, ხოლო მე-18 საუკუნის დამდეგს ფოთიც გაამაგრეს. ამნაირად, მთელი დასავლეთი საქართველო მილიტარულადაც ოსმალთა ხელში იყო. ისინი აქტიურად ერეოდენ სამეფოს შინაურ ბრძოლაში და ხან მეფეებს

ეხმარებოდენ, ხან მათს მოწინააღმდეგე ფეოდალებს. ყველაზე მეტად მძლავრობდენ სამეგრელოს მთავრები, რომელთაც იმერეთის ტახტზე ხშირად თავისი მომხრეები აჰყავდათ. მეფე ალექსანდრე (1721—1752) მე-V დროს თავი იჩინა რაჭის ენერგიულმა და ქედმაღალმა **როსტომ ერისთავმა**. სამეგრელოს მთავრის შემდგომ იმერეთის მეფის ყველაზე მძლავრი მტერი ის იყო. როსტომმა, დადიანებმა და იმერეთის მსხვილმა ფეოდალებმა ალექსანდრე მეფე რამოდენიმეჯერ დაამარცხეს და იძულებული გახადეს ტახტი მიეტოვებინა. მუდმივი რბევა-აწიოკება, ბრძოლა ფეოდალებსა და მეფეთა შორის ქვეყანას აუძლურებდა და ეკონომიურად წელში სწყვეტდა.

მაგრამ სპარსეთთან ერთად მეთვრამეტე საუკუნეში ოსმალეთიც დაცემის ხანას განიცდის. საბოლოოდ წავიდა ის დრო, როდესაც ოსმალთა იანიჩარების წინაშე ევროპა შიშით ძრწოდა. მათი ტერიტორიალური გაფართოების და ძლევამოსილების აღსასრული დგება მე-17 საუკუნისავე ბოლოს, როდესაც 1683 წელს ოსმალნი სასტიკად დამარცხდენ ვენასთან. კარლოვიცის ზავის (1699 წ.) ძალით ისინი იძულებულნი გახდენ ავსტრიასათვის ჰუნგრეთი და სემიგრადია დაეთმოთ, პოლონეთისათვის—პოდოლია და უკრაინა, რუსეთისათვის—აზოვი, ხოლო ვენეციისათვის—პელოპონესი. მეთვრამეტე საუკუნე—ოსმალეთისათვის თანდათანი დაცემის პროცესია. რასაკვირველია, ეს დაცემა იმას არ ნიშნავს, რომ იგი საქართველოს მორევას ვერ შესძლებდა. მაგრამ აღსანიშნავი ის არის რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთი ამიერკავკასიის საქმეებში აქტიურ მონაწილეობას იწყებს და ოსმალეთის წინსვლას საზღვარს უდებს. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა იმერეთის მეფემ **სოლომონ I-ლმა** (1752—1784) და ოსმალეთისათვის ხარკის ძლევაზე უარი განაცხადა.

სოლომონს ექიშპებოდენ რაჭის ერისთავი როსტომ და მსხვილი ფეოდალი ლევან აბაშიძე. სოლომონი ცდილობდა მტრების გათიშვას და სათიოთოდ დამარცხებას. ამიტომ იგი სამეგრელოს მთავარს (ოტია დადიანს) დაუმოყვრდა (მისი ქალი შეირთო). ამნაირს დანათესავებას იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მართლაც ოტია დადიანი იმ ხანებში მეფის მტრებს გამოეთიშა.

სოლომონი ცდილობდა სამეფოს ეკონომიურად ფეხზე წამოყენებას და მცხოვრებთა მომრავლებისათვის ზრუნავდა. მან სასტიკად აკრძალა ტყვეთა ვაჭრობა, რაიც ქვეყნისათვის ესდენ დამღუპველი გამხდარიყო. ტყვეთა გამყიდავებისათვის შემოიღეს სიკვდილით დასჯა. სამეფოს ამ გონიერმა ნაბიჯმა ოსმალეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან ტყვეების უმთავრესი მუშტარი იგი იყო.

ამიტომ სამუსულმანო საქართველო, ახალციხის საფაშო—იმერეთისა და ქართლის წინააღმდეგ ოსმალთა ავანგარდად გადაიქცა. ცენტრალური ხელისუფლების მომდურავი პირები ახალციხის ფაშასთან გარბოდენ და მეფეთა წინააღმდეგ იქიდან ეწეოდენ ინტრიგებს. დიდი ფეოდალი ლევან აბაშიძეც ახალციხეს გაიქცა, ოსმალთა ჯარს წამოუძღვა და სოლომონს დამხობას უპირებდა. ხრესილის ველზე (ქუთაისის მაზ.) 1757 წელს მოხდა დიდი შეტაკება ოსმალთა ჯარსა და იმერლებს შორის. ოსმალთ ამ ბრძოლაში მიემხრო რაჭის ერისთავი როსტომიც, სოლომონს სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი ეხმარებოდა. ოსმალები დამარცხდენ, ლევან აბაშიძე მოკლულ იქნა, რამოდენიმე ფაშა ტყვედ წამოიყვანეს, ერისთავი როსტომ გაიქცა.

ოსმალებმა ამის შემდეგ სამჯერ დალაშქრეს იმერეთი, მაგრამ დამარცხდენ. მეოთხეჯერ მათ სძლიეს იმერლებს და სოლომონი გაიქცა. ბოლოს საქმე მორიგებით გათავდა. იმერეთმა კვლავ იკისრა ოსმალთამდი ხარკის ძღვევა. ამის შემდეგ სოლომონმა უმთავრესი თავისი ყურადღება ფეოდალების ალაგმვას მიაქცია. ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ სოლომონმა როსტომი დაამარცხა და რაჭის საერისთავო მთლად მოსპო. ეს ცენტრალური ხელისუფლების დიდი გამარჯვება იყო და ამ ფაქტმა დანარჩენ ფეოდალებში ერთის მხრით უკმაყოფილება, ხოლო მეორე მხრით შიში გამოიწვია.

სოლომონმა, როდესაც მიიღო ცნობა, რომ მას დაეხმარებოდა რუსეთიდან გამოგზავნილი გენერალი ტოტლებენი თავისი რაზმით—მედგრად შეუტია ოსმალთ. იმერლებმა დაამარცხეს ოსმალნი და გამორეკეს ისინი **შორაპნისა და ცუცხვათის ციხეებიდან.** ცოტა ხანს შემდეგ იმერლებმა ქუთაისიც დაიჭირეს და ოსმალთა რაზმები იქაური ციხიდანაც გამოდევნეს. ოსმალეთი რუსეთთან ომში იყო გართული და ამიტომ ამ მხარეს ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია. სოლომონის ბრძანებით ყველა ციხე-სიმაგრე დაანგრიეს, რათა ისინი ხელახლა ოსმალთ მთელი არ ჩავარდნოდათ ხელთ.

ოსმალთა განდევნის შემდეგ იმერეთის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვის გამო მოსახლეობამ მომრავლება იწყო და ეკონომიურადაც მოღონიერდა. რაჭის ერისთავის როსტომის დამარცხების შემდეგ ფეოდალები მოიკაკვნენ. სოლომონმა დაამარცხა აგრეთვე აფხაზეთის **თავადი შარვაშიძეები,** რომელნიც სამეგრელოს ხშირად თავს ესხმოდენ. სამეგრელო და გურია სავსებით აღიარებდა იმერეთის სამეფოს სუვერენიტეტს და დიდი ხნის გათიშვას დროებით ბოლო მოეღო. ამნაირად, მე-18 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავ-

ლეთი საქართველო—გაერთიანებული იყო თვითო მეფის ხელში და იქ ადგილობრივი ხელისუფლება დამყარდა.

გლეხობის მდგომარეობა მე-18 საუკუნეში. მე-18 საუკუნეში წოდებრივი დაყოფა საერთოდ ძველებური იყო, ზოგიერთი მცირეოდენის განსხვავებით. ბატონიშვილი ვახუშტი ამბობს: სოფლიერნი არიან: 1) ერისთავნი, 2) მთავარნი, 3) აზნაურნი, 4) ვაჭარნი, 5) მსახურნი და 6) მუშაკნი გლეხნი („საქ. ისტ." 4 ,,). აქ, ცხადია, ერთმანეთში არეულია თანამდებობანი და წოდებანი. თუ ფრჩხილებს გავხსნით, მივიღებთ; უმაღლეს წოდებას—აზნაურებს და თავადებს, მსახურთ, ვაჭრებს და გლეხებს. მსახურნი ბატონის (თავადის ან დიდი აზნაურის) მსახური იყო და გლეხსა და აზნაურს შორის იდგა. მსახურნი ხშირად აზნაურთა წოდებაში გადადიოდენ. მაგრამ სწარმოებდა პირუკმო პროცესიც: მსახური, საქართველოს საგარეო და შინაურ კრიზისის გამო განსაკუთრებით მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ხშირად ყმის მდგომარეობაში ვარდებოდა, ე. ი. სავსებით გლეხს უთანასწორდებოდა.

გლეხნი იყვნენ: აზნაურთა ყმანი, სახასონი (სახელმწიფონი) და საეკლესიონი. ყველაზე ცუდს მდგომარეობაში იყვნენ აზნაურთა ყმანი. ამიტომ ძალიან ხშირია გაქცევა საზღვარ-გარედ, ან საეკლესიო თუ სახასო ყმობის ძებნა. სამე ისაა, რომ ვახტანგ VI-ის კანონის მიხედვით ყმას, რომელიც 30 წელიწადი დაჰყობდა სხვაგან, აზატობა ეძლეოდა (თავისუფლდებოდა). ცხოვრებამ ეს ვადა ცოტა შეამოკლა. თუ ყმა ძალიან შეწუხებული იყო ბატონის გადამეტებული ექსპლოატაციით—იგი გაიქცეოდა სხვა ბატონთან. თუ იგი ორჯერ მოხვდებოდა ამ ახალი ბატონის „დავთარში"—ძველი ბატონი უკვე ჰკარგავდა მასზე უფლებას. ქართლ-კახეთში აღწერა შვიდ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. ამნაირად, 14 წელიწადში ყმა უკვე ორჯერ ჩაიწერებოდა „დავთარში" და წინანდელს ბატონს უფლება ეკარგებოდა მისი ძებნისა. ყმას შეეძლო აგრეთვე თავი დაეხსნა ბატონისაგან. „პატრონმა რომ ყმას თავი დაახსნევინოს და ბატონით და თავისის ბეჭდით წიგნი მისცეს, ის სწორედ დახსნილი იქნება; ხელი აღარა აქვს ამასთან და თუ კარგი რამ სჭირდეს, ხანდახან ემსახუროს, არავინ დაუშლისო"—ამბობს ვახტანგის კანონები. მაშასადამე ყმის გასააზატებლად საჭირო ყოფილა უეჭველად ბატონის ხელის მოწერა და მის მიერ ბეჭდის დასმა.

ყმას ჰქონდა კერძო საკუთრება და ბატონის დასტურით შეეძლო მიწა გიეყიდა კიდეც. ყიდვის დროს უპირატესობა ბატონს ეძლეოდა. ისეთი ყმა, რომლის ქალსაც ბატონი გააუპატიურებდა, აზა-

ტი (თავისუფალი) ხდებოდა და სახასო გლეხებში ირიცხებოდა. კანონ-ადათებით არ არსებობდა jus prima noctis (პირველი ღამის უფლება). პირიქით, ვახტანგის კანონებში ვკითხულობთ: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიკოს ან ღამე, ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახელოს და იმან კაცმან მოჰკლას.. სისხლი არ გაუჩნდებისო“— ე. ი. პასუხს არ აგებსო. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის ცალკე შემთხვევები არ იქნებოდა. აქ ყველაფერი ძალაზე იყო დამყარებული და რომელიმე ბოროტი ბატონი თავის ყმას ისე ექცეოდა, როგორც მოისურვებდა. მაგრამ „პირველი ღამის უფლება“, როგორც უფლება, შეწყნარებული თუნდ მარტო თავად-აზნაურობისაგან, არ არსებულა.

ერეკლეს გამოცემული ბრძანების მიხედვით (1765 წ.) „იმ გლეხებზე, რომელნიც ტყვეობიდან დაბრუნდებოდენ, ძველს ბატონებს უფლება აღარ ჰქონდათ თავისი ბატონობა განეახლებინათ“ და კვლავ ყმის მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.

საერთოდ, გლეხს ჰქონდა უფლება ტყით და საძოვრით სარგებლობისა და ერეკლე ზოგიერთ ბატონს მოაგონებს ამას (ამილახვრისადმი მიმართვა). ყმობისაგან თავისუფლდებოდა აგრეთვე ისეთი ტყვე, რომელსაც ბატონი არ გამოისყიდიდა, ან შიმშილობის დროს არ დაეხმარებოდა და სხვ. ბეგარა—ღალა არსებობდა დაახლოებით ასეთი: ბატონს ეძლეოდა სარწყავ მიწიდან ერთი მეხუთედი, ურწყავისაგან ერთი მეშვიდედი მოსავლისა. იყო სხვა მრავალი გადასახადი რომელთა შესახებ ჩვენი წიგნის მეორე ნაწილში გვექნება ლაპარაკი.

იურიდიულად ჩვენი გლეხი თითქოს შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე, ვთქვათ, დასავლეთის ევროპისა, სადაც „პირველი ღამის უფლებაც“ არსებობდა. მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა ბევრად უფრო უარესი იყო. იმ საშინელ კრიზისის დროს, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა მთელი სამი საუკუნის განმავლობაში—ქვეყანა მთლად გავერანდა. ფრიად ღარიბი იყო თავად-აზნაურობაც. 1770 რუსეთის რეზიდენტი იაზიკოვი სწერს თავის მოხსენებაში: „ხალხი ქართლ-კახეთში ძლიერ ღარიბია. გლეხები ძლივს თვეში ერთხელ ერთს ნაჭერ ხორცს თუ მოიხარშავენ. ტანისამოსს და პერანგს სრულს დაფლეთამდე ატარებენ. აზნაურები ბევრნი არიან, მაგრამ ნახევარზე მეტი ისეთი ღარიბია, რომ მთელი დღეობით უჭმელნი სხედანო“.

დიდს გაჭირვებას ადასტურებს აგრეთვე იესე ოსეს შვილის (მიქაძის) მემუარები, რომელიც ს. კაკაბაძემ გამოსცა 1913 წელს.

იესე—მდივანბეგი იყო ერეკლე შეფის დროს. იგი სწერს: „ბატონი ტაბახმელას ბრძანდებოდა. მეც იქ ვახლდი, მანუჩარ სოლაღას შვილი ამოვიდა, დიდი საქმის გაჭირება მიამბო, დიდის ფიცით მითხრა, ორი დღე არის, არც მე მქონია პური, არც ჩემს შვილსაო. ძიძამ შემომიგდო, აღარ აწოვა, საჯამაგიროს მთხოვსო, ექვსის თვისა მმართებსო; ის ჩემი შვილი გუშინ, წუხელის და დღეს ჩემს სახლში გდია, უძუძური ტირისო, ის კი მოკვდება და ვიღასთვის მინდა მამულიო, ელიზბარის წილი ტაგნაგეთი იყიდეო“ („თავგადას. იესე ოსეს შვილისა“, გვ. 51).

ცხადია, ასეთს მდგომარეობაში მყოფი თავად-აზნაურობა უკანასკნელ წვეთს ოფლს დააღვრევინებდა თავის ყმა გლეხს. მართლაც ხშირია გააზატებულ გლეხთა ხელმეორედ ყმად გახდომა მძლავროობით თუ ჩვეულების მიხედვით. საკმარისი იყო განთავისუფლებულს გლეხს რამდენიმე დღე გაეტარებინა ბატონის მამულში, რომ იგი ხელახლა ყმად ექციათ. ცენტრალური ხელისუფლება უძლური იყო ბატონები რაიმე კანონიერ ჩარჩოში ჩაეყენებინა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. იმ სისტემის დროს, როდესაც გამეფებული იყო პატრონ-ყმობა და მძლავრის უფლება, გააზატება (განთავისუფლება) არ იყო ისეთი ხასიათისა, როგორიც შეიძლება დღეს გვეგონოს. გააზატებული მეორე დღესვე სახასო ან საეკლესიო ყმად ხდებოდა, რათა „უპატრონო“ არ დარჩენილიყო და ძველს ბატონს კვლავ თავისი უფლებანი არ განევრცო მასზე.

გლეხობაც, რასაკვირველია, იბრძოდა თავის ბატონების წინააღმდეგ. რაიმე ორგანიზაციულ აჯანყებაზე ძნელია ლაპარაკი. ბატონთა და ყმათა მდგომარეობას მუდამ საგარეო გარემოებანი ართულებდენ: შემოსევები ისე ხშირი იყო, რომ ბატონიცა და ყმაც უცხო ძალთა მძლავრების მსხვერპლნი ხდებოდენ. მაგრამ ხშირი იყო ინდივიდუალური თუ კოლექტიური პროტესტი. ადგილი ჰქონდა ტეროორსაც განსაკუთრებით მკაცრი და სასტიკი ბატონების წინააღმდეგ. ბატონის მკვლელი გლეხი ან ოსმალეთს (უფრო ახალციხის მხარეს) შეაფარებდა ხოლმე თავს, ან ყაჩაღად გავარდებოდა.

ამას მოწმობს იგივე იესე ოსეს შვილი: „მამული მიყიდია ძნელს დროებში. ახლა რომ აშენდა, ყმას ვყიდულობ დიდის გაჭირვებით. ათს რომ ვიყიდი, ორი თუ დამიდგება. **ზოგი იმერეთს მირბიან, ზოგი კახეთს, ზოგი სად**“ („თავგადას. იეს. ოს. გვ 127). სხვა ადგილას იესე ამბობს: „ჯერ მოურავობით მინდა შეუვიდე, **რომ გლეხი კაცი დავამშვიდო, არ აჯანყდენ**“ (იქვე, გვ. 130). იესე ზოგიერთ გაქცეულ ყმებსაც ასახელებს: „შარშან რომ რუსები შემოვი-

პირე, ივანე პატარა დიღმიდამ, სტეფანე თიანეთიდამ, ნიკოლა ჯინ-ჯილხანიდამ, დიდი ივანე სასტიკის საპყრობელიდამ მშიერი, შიშ-ველი, სასიკვდილოდ მიცემული გამოვიყვანე. ჯერ ეს მიყო, ოსე გა-მიქცია, ახლა ოთხნივ ერთად გაიქცნენ და თოფხანაში შევიდნენ... ამ დროს ჩემმა მეთხე არუთინამაც მიღალატა, აიყარა ჩუმად, დურ-ნუკს გაიპარა. მრავლის ცდით დიდის სასჯელით ვიშოვე ისევ და გა-მოვიყვანეო" და სხვ. (იქვე. გვ. 124)

საერთოდ კი აგრარული მოძრაობის შესახებ ჩვენს ისტორიულ დოკუმენტებში ცოტა ცნობებია. მაგრამ ისიც, რაც არის, მოწმობს, რომ გლეხობა მედგრად იბრძოდა და მე-18 საუკუნის დამდეგიდანვე აგრარული მოძრაობა ფართოდ იყო გავრცელებული. ამის ცნობებს უმთავრესად საეკლესიო საბუთებში ვხვდებით.

1712 წ. სოფელ ყვარელის (კახეთში) გლეხები ამბოხდენ და ყოველგვარ გადასახადის გამოღებაზე უარი სთქვეს. კახეთის მაშინ-დელი მმართველი იმამ-ყული-ხანი (ტომით ქართველი) ბრძანებს: გლეხები დათრგუნეთ და გადასახადიც წაართვითო. 1719 წ. მეფე ბაქარმა სოფ. კარწახის გლეხები შესწირა მონასტერს, რომლის წი-ნაშე ხსენებულ სოფლელებს ისეთივე ვალდებულებანი უნდა ჰქონო-დათ, როგორც სოფ. უზნარიანსა და ყარკუმარტს. ეტყობა ეს ვალ-დებულებანი მძიმე იქნებოდა, რადგან გლეხები მთავრობის ბრძანე-ბას არ დაემორჩილნენ, სანამ იარაღით არ იქნენ დამარცხებულნი. 1749 წ. ბოლნისის საეკლესიო გლეხები ამბოხდენ და გადასახადზე უარი სთქვეს. საქმეში ჩაერია კათალიკოსი ანტონი და გლეხები ძლივს-ძლიობით დააშოშმინეს. 1794 წელს მანგლისისა და რუისის ეკლესიათა ყმები აიყარნენ და ბატონებს გაექცნენ (ივ. ჯავახიშვი-ლი—„Полит. и соц. движ. в Грузии в 19 в.").

ამ ცნობათა უმრავლესობა საეკლესიო გლეხებს ეხება. ცნობი-ლია, რომ ისინი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. თუ კი ისინიც ველარ ითმენდენ და ურჩობის გზას ადგებოდენ, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა გლეხებიც გულხელდაკრეფილნი არ იქნებო-დენ და თავის მძიმე მდგომარეობას არ შეურიგდებოდენ.

ტყვეთა სყიდვა-გაყიდვას, რაზედაც თავის ადგილას ვრცლად ვილაპარაკეთ, უდიდესი გავლენა ჰქონდა გლეხობის მდგომარეობის გაუარესებაზე. უკვე მე-17 საუკუნის დამლევიდან ჩნდება გლეხობაში ახალი წრე—ეგრედწოდებული **მოჯალაბეები**, რომელთა მდგომარეო-ბა იურიდიულადაც მონის მდგომარეობას უდრის.

საერთოდ, რუსეთთან დაახლოების დროისათვის—გლეხობა ოდ-ნავ უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე მე-18 საუკუნის დამდეგს

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებამ საკეთილო გავლენა იქონია ხალხის მდგომარეობაზე და ბატონები ასე თუ ისე კალაპოტში ჩააყენა. გადასახადები მტკიცედ განისაზღვრა ადათ-კანონით და გლეხები, ისე როგორც ოდესღაც არქანჯელოს ლამბერტის დროს, მედგრად იცავდენ მას და დაწესებულზე მეტს არაფერს იხდიდენ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის მდგომარეობის გარკვევისა და ზომიერ ფარგლებში ჩაყენებისათვის.

რეფორმატორული ცდები. როგორც აღვნიშნეთ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო გარეშე მტრებისაგან შედარებით მოსვენებულია და ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოში ეროვნული ხელისუფლებაა დამყარებული. მოწინავე პირები და საერთოდ ცენტრალური ხელისუფლება გრძნობენ, რომ საჭიროა ძველი სახელმწიფოებრივი აპარატის გადახალისება, მისი სასტიკად ჩამოყალიბება და ადგილობრივი ფეოდალების გადამეტებული გავლენისაგან განთავისუფლება. ერთი სიტყვით, საქართველოს მმართველები ინსტინქტიურად გრძნობენ, რომ ფეოდალური წყობილება, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ასე თუ ისე ფონს გადიოდა—უკვე დრომოჭმული იყო და ახალ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებდა. ამიტომ დაიწყო ახალ გზათა ძიება, რეფორმების მოხდენის ცდები. ამ მხრით დამახასიათებელია ერეკლე მეფის მოღვაწეობა.

ადგილობრივი ფეოდალებისაგან დამოკიდებულების მოსასპობად და გარეშე მტრების ასალაგმავად ცენტრალური ხელისუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შეარაღებული ძალის ორგანიზაციას. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი როლი ითამაშა ყივჩაღთაგან შემდგარმა მუდმივმა ჯარმა დავით აღმაშენებლის დროს. ასეთისავე მუდმივი ჯარის შედგენას ცდილობდა ერეკლე მეფეც. მან შემოიღო ეგრედწოდებული **მორიგეობა,** სამილიციო ჯარის სისტემის მსგავსი. ყოველი ქართველი, რომელსაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვე ჯარში ემსახურნა—„მორიგეობა“ გაეწია. ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი და მალე შესამჩნევი ნაყოფიც გამოიღო. ლეკთა ბრბოები, რომელთაგან ქართლ-კახეთს მოსვენება არ ჰქონდა, რაკი მწყობრ და სისტემატიურ წინააღმდეგობას ხვდებოდენ, შემოსევას აგრე ადვილად ველარა ბედავდენ.

ერეკლე ცდილობდა მუდმივი ჯარის მოწყობას რუსების მსგავსად, რომელნიც ტოტლებენის მეთაურობით იყვნენ საქართველოში მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოსულნი. „ამ მიზნით ერეკლე II-ემ თავი მოუყარა ჯამაგირის დანიშვნით ათას ჯარისკაცამდის,

შექმნა მათთვის ცალკე სამხედრო ფორმა რუსის ჯარის ფორმის წაბაძვით, მაგრამ ქართული ტანისამოსის ხასიათის დაცვით. ჯარის უფროსებად მან დანიშნა ბლომად თავადები. ხოლო, რადგანაც ეს უფროსები სამხედრო წესით გაწრთვნილნი არ იყვნენ, ამას გარდა ინსტრუქტორებიც არსაიდან სჩანდენ, ამიტომ ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა. საყურადღებოა, რომ რუსეთი არ უწყობდა ხელს ქართული რეგულიარული ჯარის შექმნას. არა თუ ინსტრუქტორებს არ იძლეოდა, არამედ თავის სამსახურში მყოფი მოხელეების წინააღმდეგ გამოძიებას ნიშნავდა, უკეთუ ასეთ პირებზე ეჭვი ექნებოდა მოტანილი, რომ ისინი ქართველებს ზარბაზნების ჩამოსხმის გაუმჯობესების შესახებ ცნობებს აწვდიდენ, ან და ქართველ მეზარბაზნეებს ლაფეტზე ზარბაზნის დადგმას ასწავლიდენ. რუსეთის ასეთი ტაქტიკა გამოწვეული იყო აშკარა სურვილით, „რომ სუსტ და სამხედრო თვალსაზრისით მოუწყობელ საქართველოს უფრო მეტად ეგრძნო თავისი დამოკიდებულება ჩრდილოეთის დიდი იმპერიისაგან და მუდამ მისი, ხშირად მარტო ქაღალდზე აღთქმული დახმარების შემცქერალი ყოფილიყო“ (ს. კაკაბაძე — „საქ. ეკონომ. ვითარ. შეს. მე-18-ში“. ჟურნ. „მნათობი“ — № 3 — 1924 წ.).

არტილერიის საქმე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ოთხმოციან წლებში, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა მოსკოვში ნასწავლი პაატა ანდრონიკაშვილი. ამ დროისათვის ქართლ-კახეთის საველე არტილერია 15 ზარბაზანს შეიცავდა და მის გამგეს სპარსული სახელის მინბაშის (ათასისთავის) მაგივრად — პოლკოვნიკი ერქვა. იყო აგრეთვე (რუსების მსგავსად) შემდეგი ჩინები: აფიცარი, კაპიტანი, სერჟანტი, უნტერ-აფიცარი და კაპრალი. გაუმჯობესდა ტფილისში არსებული ზარბაზნის ჩამომსხმელი და ტყვია-წამლის დამამზადებელი ქარხანა (თოფხანა).

ყველაფერ ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ სახელმწიფოს ხაზინის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ იგი ამ რეფორმებით გამოწვეულ ხარჯებს ვერ ასდიოდა. ამიტომ ყველაფერი შუაგზაზე რჩებოდა და ბოლომდე გატარებას ვერ ეღირსებოდა ხოლმე.

ერეკლე ცდილობდა აგრეთვე თვით სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება მოეხდინა. მან შექმნა **მდივანბეგების** მუდმივი აპარატი, რომელიც სხვადასხვა საჩივრებს განიხილავდა და მეფეს ამგვარ წვრილმანი საქმეებისაგან ანთავისუფლებდა. თუ რა აუტანელი მდგომარეობა იყო ამ მხრით, ამას იგივე იესე ოსეს შვილი გადმოგვცემს: „...ეს ასეთი დრო იყო, **ერთი აბაზის საჩივარზედ ქართველ ბატონს ხამს არზას მიართმევდენ ხოლმე**“ ახლა კი „ოთხი მდივანბეგი ზის

მუდამ სამართალში და დღითი დღე მიუწოდენ მანდატურნი მოჩი-ვართაო“ („თავგადას. იესე ოსეს შვ.“ გვ. 19).

მეფემ ალაგმა მსხვილი ფეოდალები. მან ჯერ კიდევ 1743 წელს მოსპო **არაგვის საერისთავო,** ხოლო 1777 წელს **ქსნის ერისთვის** სამფლობელოც სახასოდ (სახელმწიფოდ) გამოაცხადა. მას სურდა ასპარეზი გაეხსნა ახალი, თუმცა უგვარიშვილო, მაგრამ ნიჭიერი პირებისათვის და მათი სახით ტახტის და ცენტრალური ხელისუფლების ერთგული სახელმწიფო მოღვაწენი გაემრავლებინა. ფეოდალებთან ბრძოლის დროს—ერეკლეს სწორედ ასეთ პირებზე დაყრდნობის იმედი ჰქონდა. მისი უახლოესი თანამშრომელი, თავის დროის მიხედვით ფრიად განათლებული ადამიანი—**სოლომონ ლეონიძე** ნალეკარი დეკანოზის შვილე იყო. მან პირადი დამსახურებისა და ნიჭის გამო აიწია მაღლა და ერეკლეს მარჯვენა ხელი შეიქმნა.

მეფის ხელისუფლება სწავლა-განათლებისათვისაც ზრუნავდა. ტფილისსა და თელავში დაარსდა **სემინარიები**. მომრავლდა აგრეთვე სამრევლო სკოლები. ითარგმნებოდა წიგნები და განახლებულ იქნა სტამბაც, რომელიც ვახტანგ VI-ის შემდეგ შეჩერებული იყო. მე-18 საუკუნის 80-იან წლებში 14.000 ცალი სხვადასხვა საეკლესიო წიგნი დაიბეჭდა.

მოგვარებულ იქნა ფულის მოჭრის საქმეც: ტფილისში **ზარაფხანა** გამართეს. მეფემ გამოიწერა მადნის საქმის მცოდნე ბერძნები, რომელთაც ახტალის მადნები უნდა აემუშავებინათ და წესიერად მოეწყოთ. ამ მადნებიდან სახელმწიფოს წლიურად დაახლოებით 60.000 მანეთი შემოსავალი ჰქონდა (მთელი ბიუჯეტის მეხუთედი).

ტფილისში პატარა წარმოებაც იყო—ჩითისა. სპარსეთ-ოსმალეთის ეკონომიურად დაუძლურების გამო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას. რუსეთიდან შემოჰქონდათ ოსეთის გზით: ჩაი, შაქარი, საღებავები, ბეწვეულობა, ტილო და რკინეულობა. საქართველოდან გატანილი საქონელი უმთავრესად ყიზლარის ბაზარზე იყიდებოდა. ეს იყო: შეღებილი ნარმა, უბრალო ნარმა, ზონარი, ბამბა, ღვინო, ხილი, ბოსტნეული, პური, მარილი, შაბი. საქართველოდან წასული ვაჭრები იმყოფებოდენ აგრეთვე ასტრახანს, მოსკოვსა და სხვაგან. ასე რომ თუ პირველ ხანებში რუსეთიდან მომავალ საქონელზე არავითარი ბაჟი არ იყო დადებული, შემდეგ იგი ამ მხრით სხვაიდან შემომავალ საქონელს გაუთანასწორდა. ოსეთის გზით შემოტანილ საქონელზედაც განსაზღვრული (შედარებით მცირე) ბაჟი იქნა დადებული.

რუსეთი საქართველოს დასავლეთის მხრითაც დაუახლოვდა. ეს

მოხდა მას შემდეგ, როდესაც რუსეთმა ყირიმი დაიპყრო. დასავლეთი საქართველო იმ დროს უფრო ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში იყო. მას ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ ოსმალეთთან და ამიტომ სავაჭრო ცხოვრება მხოლოდ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებს—ფოთსა და სოხუმს ემჩნეოდა. ქუთაისი ოსმალთაგან მთლად გავერანებული იყო და მხოლოდ ოსმალთა მეცხრამეტე ჯარის სამყოფელს წარმოადგენდა. სოლომონ პირველის დროს, როდესაც ოსმალნი განდევნილ იქმნენ, ქუთაისი მოლონიერების გზას დაადგა, მაგრამ მაინც ფრიად უმნიშვნელო ქალაქი იყო. იმერეთის მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობის ნათელ სურათს გვიხატავს ის მოხსენება, რომელიც 1769 წ. სოლომონის ელჩმა **მაქსიმე ქუთათელმა** წარუდგინა რუსეთის მთავრობას. „იმერეთში მოდის თეთრი პური, შავი პური, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სამარხო, წამლის ბალახები, ყურძენი და სხვა ხილი, ამბობს ქუთათელი. ამეების დიდი სიმრავლე არის ყოველს ფერში. ასეთი ნაყოფიერი ქვეყანაა, რომ ტყეებშიაც მოსავალი ყურძენი და სხვა კარგი ხილი არის. შავი ზღვის ნაპირზე ნარინჯი და ზეთისხილი ნოდის. აბრეშუმი, ბამბა და დიაღ წმინდა ხილი არის იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიაც მიაქვთ, დიაღ იაფად ჰყიდულობენ, ცხენი და სხვა პირუტყვი, დიდი და პატარა, დიაღ მრავალია.. ქუთაისის ქალაქიდან ვაჭრები დადიან ნავითა იმ სამს (ზღვის სანაპირო) ციხეში—ბათომში, ფოთსა და სოხუმს. გასასყიდლად დაქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა, კვერნისა და ვეფხვისა და საჭმლის ხორაგი. იქიდანაც წყლით მოაქვთ ოსმალოს სავაჭრო: სხვადასხვაფერი ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა და სხვაცა (**სტამბოლიდან რვა დღეზე და ყირიმიდან ხუთს დღეზე ხომალდები იმ ციხეებში მიდიან**). ოსმალონი იმერეთს მოდიან ხმელეთით: ახალციხიდან, არზრუმიდან და ტრაპიზონიდან“.

რაკი ყირიმიდან გზა უფრო მოკლე იყო, ვიდრე სტამბოლიდან, ცხადია, როდესაც იგი რუსეთმა დაიჭირა, ყირიმთან სავაჭრო ურთიერთობა უფრო გაცხოველდებოდა.

იმერეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **სიმინდის** მოყვანის შემოღებას. იგი შემოტანილ იქმნა (ალბად ოსმალთა საშუალებით) რუმინიიდან და სწრაფად გავრცელდა (მე-18 ს მეორე ნახევ.). მან ღომის მოყვანა ფრიად შეამცირა, როგორც უფრო ნაყოფიერმა და ნოყიერმა საზრდომ.

ფეოდალიზმის ლიკვიდაცია.

რეფორმების უნაყოფობის მიზეზები. როგორც აღვნიშნეთ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო პოლიტიკურად ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მას შეეძლო ზოგიერთ რამის გაუმჯობესებაზე ეფიქრნა. სპარსეთი და ოსმალეთი, რომელნიც საშინელი უკანდახევის გზას ადგნენ — აღარ შეიძლებოდა საქართველოსათვის ეკონომიური თუ კულტურული წყარო ყოფილიყვნენ. მეორე მხრით მდგომარეობა მოითხოვდა ცენტრალური ხელისუფლების უფრო მეტად განმტკიცებას, ფეოდალიზმის პოლიტიკურ ნიადაგის მოსპობას და ასე თუ ისე გაევროპიელების გზაზე დადგომას. როგორც ვთქვით, სოლომონ I ისა და ერეკლეს მცდელობა და რეფორმები სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. მაგრამ მათს მეცადინეობას გარდაულახავი დაბრკოლებანი დახვდენ წინ და ქართული სახელმწიფოებრიობა კრიზისს განიცდიდა. აჰის მიზეზი მრავალი იყო. აღვნიშნავთ უმთავრესს.

უპირველესი დაბრკოლება დრომოჭმულ ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და ჩვენი ცხოვრების ახალ გზაზე დადგომისათვის—ეს ეკონომიური გაჭირვება იყო. ხელისუფლება ცდილობდა ახალ წრეებზე დაყრდნობას და სახელმწიფო აპარატზე ფეოდალების უშუალო გავლენის შესუსტებას. მაგრამ ქართველი ხალხის ეკონომიური ვითარება ისეთი იყო, რომ სახელმწიფოებრივი მუშაობისათვის ფეოდალური ელემენტების გარდა სხვა არავინ სჩანდა. იმ ეკონომიური აღორძინების დროს, ჩვენს ქვეყანას რომ დაეტყო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში—სავაჭრო კაპიტალი ასე თუ ისე განვითარებას იწყებს. მაგრამ იგი იმდენად ლონიერი ვერ არის, რომ დრომოჭმული ფეოდალური წყობილება დაანგრიოს და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათავეში თვითონ ჩაუდგეს. მეორნეობა კვლავ ნატურალური რჩება იესე ოსეს შვილი ვადმოგვცემს: „სამდივანბეგოს წილი მომცეს, მესამედი მდივნობისა, აგრეთვე ბრინჯი მომცეს, რაც მდივნებს ვვერგებოდა; იმ თვეებში მოვიდა და ოცდა-

ხუთი ლიტრა ბრინჯი მოგვიტანეს“ და სხვ. („თავგად. იესე ოს. შვ.“ გვ. 47). საერთოდ ნატურალურ მეურნეობას იმავე იესე ოსეს შვილის შემდეგი სიტყვები მშვენივრად ახასიათებს: „თუნდ კარზედ სახელო არა მქონდეს, ქართველები ვართ, პური საჭმლად და სამოსლად უნდა ვიყოფინოთ, ღვინო სამოსლად და სასმლად; ცხვარი, ღორი საკლავად, ძოხა სახნავად და ასე უნდა დავიჩეთ... ქართველის კაცის რჩომა ასე ყოფილა და ასე იქნებაო“ (იქვე, გვ. 29). ცხადია, ასეთი რწმენით ჩვენი წინაპრები შორს ვერ წავიდოდენ!

მე-18 საუკუნის დამდეგს ტფილისში დაახლოებით 200 დუქანი ითვლებოდა. იმავე საუკუნის 80-იან წლებში კი ეს რიცხვი ხუთასს გასცილდა. იმ აოხრებათა შემდეგ, აღმოსავლეთმა საქართველომ ოსმალ-სპარსთაგან რომ იწვნია, ეს ფრიად დიდი პროგრესია. მაგრამ ეს არ იყო, რასაკვირველია, საკმარისი. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რასაც ყურადღებას აქცევს ს. კაკაბაძე. საქმე ისაა, რომ ვაჭრობა, კერძოდ ვთქვათ ტფილისში, უმეტესად უცხოელების (სომხების) ხელში იყო. ამიტომ მეფენი, ცხადია, თავისუფალნი არ იყვნენ არჩევანში. მათ უძნელდებოდათ ახალი და იმავე დროს ქროვნული სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა.

მეორე მხრით საკმეს აბრკოლებდა უფულობა. სახელმწიფო შემოსავალი იმდენად მცირე იყო საჭიროებასთან შედარებით, რომ ხელისუფლება დიდის გაჭირვებით ახერხებდა წარასწორობის დაცვას. მრავალჯერ მიმართა ერეკლემ რუსეთს დახმარებისათვის. ჯერ თხოულობდა სესხად ერთ მილიონ მანეთს, შემდეგ სამასი ათასს, მერე ორასსაც. იმ ომიანობის გამო, ერეკლემ რომ გადიხადა ოსმალეთთან რუსეთის შეტაკების დროს (ეკატერინეს კარნახით)— ქართლ-კახეთმა დაახლოებით 400 ათასი მანეთი დახარჯა. ეს ფრიად დიდი თანხა იყო და ვალად აწვა სახელმწიფოს. რუსეთმა ფულის სესხება არ მოინდომა ალბად იმავე მოსაზრებით, რისთვისაც იგი თავის ოფიცრებს ხელს უშლიდა ქართველებისათვის სამხედრო საქმეში ინსტრუქტორობა გაეწიათ. ოსმალეთი დაჰპირდა ერეკლეს ერთ მილიონს სესხად გაიღებდა კიდეც ამ თანხას, მაგრამ ამას უნდა მოჰყოლოდა ორიენტაციის შეცვლა და რუსეთისაგან ზურგის შებრუნება. ეს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ნაშინდელ ინტერესებს და ამიტომ ოსმალეთიდანაც ცერაფერი იქნა მიღებული.

ეს უფულობა (ქრონიკული ხასიათისა) ძირშივე სპობდა ფეოდალიზმის ლიკვიდაციისაკენ მიმართულ ღონისძიებათა გავლენას. სახელმწიფო კვლავ იძულებული იყო თავისი მსახურნი მიწით და თავადის ხარისხის მინიჭებით დაეკმაყოფილებინა. ასე უქნეს, მაგა-

ლითად, სოლომონ ლეონიძეს, რომელსაც თავადობა და დიდძალი მამული უბოძეს. ასევე უყვეს იესე ოსესშვილს, რომელიც მსაჯულად იყო—იგიც გაათავადეს და ამნაირად ფეოდალურ რკალში მოაქციეს. ეს იყო ტრაგედია მეფის ხელისუფლებისა და ამ ტრაგედიის მსხვერპლად იქცა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა.

ან კი, რანაირი უნდა ყოფილიყო საქართველოს მდგომარეობა, როცა იგი მუდმივ შიშიანობას განიცდიდა.

„... ავი დრო იყო ყოველ დღე დამხობას მოველოდით, ლეკისაგან აკლებას, საქართველოს სრულიად დაჭერასა. კარგი არა ჩნდა რა მეფის ჭკუისა და ღვთის მიწოლის მეტი. ყოველ დღე დიდს ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალკასა და ჩვენს აკლებასა და დატყვევებასაო"—ასე ახასიათებს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას იესე ოსეს შვილი 1760 წლებში („თავგად. იესე ოს. შვ.", გვ. 53).

მდგომარეობის სერიოზობას მოწინავე პირები ინსტინქტიურად გრძნობენ, მაგრამ გამოსავალი ვერ უპოვნიათ: „დიდება შენდა, ყოვლისა მპრობელო ღმერთო! რამ დაგვახამუხა, არ ვიცი. ჩვენ ისევ ქართველნი ვართ და კახნი და არა მოგვკლებია რა. დიდის ხელმწიფის ჯარი არის დიდროანისა და წვრილის ზარბაზნით და ათას ხუთასი ქვეითი ჯარი (ლაპარაკობს რუსის ჯარზე. ქ. რ.)... რამ შეგვკრა, რამ გვიქნა, არ ვიცითო"—სწერს ეკონომიური გაჭირვებისა და ომარ-ხანის შემოსევებით აოხრებული საქართველოს შემყურე იგივე იესე („თავგად. ისე ოს. შვ." გვ. 36).

მეორე მხრით ფეოდალებიც არ ისვენებენ და მეფის წინააღმდეგ იბრძვიან. ისინი ხშირად შეთქმულებას აწყობდენ და უკმაყოფილო ხალხს დემაგოგიური ქადაგებით მიმართავდენ: მეფის დამორჩილება მათ უკვე აღარ შეეძლოთ, მაგრამ მდგომარეობას კი ართულებდენ.

შეთქმულობას ხელს უწყობდენ ხოლმე რუსეთის წარმომადგენლებიც (რასაკვირველია სულ სხვა მოსაზრებით). 1775 წელს ასეთი შეთქმულობა მოაწყო რუსეთის წარმომადგენელმა ბაკუნინმა, თავადები და მათი ამყოლნი საერთოდ ხალხში ხმას ავრცელებდენ: მეფე თეიმურაზმა ერეკლეს მარტო კახეთი მიუბოძა საბრძანებლად. ერეკლემ რაღაც ხრიკები იხმარა, თეიმურაზი რუსეთს გაგზავნა ვითომდა იმპერატორთან მოსალაპარაკებლად, ნამდვილად კი დასაღუპად. თეიმურაზი მართლაც იქ მოკვდა (ასტრახანში) და ერეკლემ მისი სამეფოს (ქართლის) უზურპაცია მოახდინაო („საქ. სიძველენი"-ტ. III, გვ. 106-108 და 370-72).

რაკი მეფე ასეთს მოჯადოებულ წრეშია და ფეოდალური რკა-

ლიდან ვერ გამოდის, იგი ცდილობს პიროვნებათა შეცვლით დაკმაყოფილდეს. ქართლ-კახეთის ცალკე კუთხეები, ძველი ფეოდალების მაგივრად სამართველოდ ეძლევათ მეფის მრავალრიცხოვან შთამომავლობას—ბატონიშვილებს. გიორგი (უკანასკნელი მეფე) ერეკლეს დროს განაგებდა კახეთს, იულონი—ქართლის დასავლეთსა და ქსანს, ვახტანგი—არაგვს და სხვა. ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, რამაც უფრო არივ-დარია მთელი მმართველობა. ბატონიშვილები ძველებურ ფეოდალებზე უფრო ნაკლებს პასუხისმგებლობას გრძნობდენ და ერთმანეთს მოურიდებლად ექიშპებოდენ. ერთი სიტყვით, შინაური ძალებით შეუძლებელი შეიქნა საქართველოს მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია. საჭირო იყო გარეშე ძალისაგან ფინანსიური, სამხედრო და პოლიტიკური დახმარება. ასეთს ძალად მაშინდელ მოწინავე ქართველობას რუსეთი მიაჩნდა.

რუსეთთან დაახლოების ცდა. რუსეთთან დაახლოების ცდა ახალი საქმე როდი იყო, მძ-მე, შავი დღეების დროს, როდესაც საქართველო მეზობელ სახელმწიფოებთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლით იცლებოდა, ქართველი პოლიტიკოსები ხშირად ჩრდილოეთისაკენ აღაპყრობდენ თვალებს. იქ არის საქრისტიანო დიდი რუსეთი, ის მოგვეშველება როგორც ერთმორწმუნე ძმებს და უანგაროდ დახმარების ხელს გამოგვიწდისო—ჰფიქრობდენ ისინი.

ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ საქართველოს მეფენი ნიადაგ მიმართავდენ თხოვნით რუსის მეფეებს, მიუხედავად მრავალგზის იმედის გაცრუებისა. ჯერ კიდევ 1571 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II სთხოვს რუსის მეფე თეოდორე იოანეს ძეს დახმარებას. შემდეგ თეიმურაზ I მიმართავს იმავე თხოვნით (1634 წ.) და ტახტის დაკარგვის შემდეგ მოსკოვშიაც წავა. რუსეთის იმედი აქვს იმერეთის მეფე ალექსანდრესაც (მესამეს) და 1652 წელს მფარველობას თხოულობს. ცხადია, არც ერთს ზემოხსენებულს მეფეს რეალური დახმარება არ მიუღია. რუსის მეფეებმა თავის ტიტულს მიუმატეს მხოლოდ, რომ ისინი არიან მეფენი „მიწათა ივერიისათა“ და სხვა არაფერი. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. რუსეთის თვითმპყრობელობა თუმცა მტკიცედ, მაგრამ მხოლოდ ნელ-ნელა მოიწევდა სამხრეთისაკენ, შავისა და კასპიის ზღვის ნაპირებისკენ.

მხოლოდ მე-18 საუკუნის დამლევს გახდა შესაძლებელი საქართველოსა და რუსეთის რეალურ დაახლოებაზე ლაპარაკი. იმ დროს რუსეთის სავაჭრო კაპიტალი უკვე იმდენად ძლიერი იყო, რომ იმპერიალისტურ გეგმებს ისახავდა და ამიერ-კავკასიის საზღვრებს უახლოვდებოდა. სწორედ მაშინ დადგა დრო რუსეთის მიერ საქართვე-

ლოს გამოყენებისა მეტოქე ოსმალეთის წინააღმდეგ. დაიწყო მოლაპარაკება.

1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი ატყდა. ერეკლემ ისარგებლა შემთხვევით და ეკატერინე მეფეს მიმართა: მაშველი ჯარი გამოგზავნეთ და ოსმალეთს საქართველოს მხრით მე დავეხმი თავსაო. რუსეთი დათანხმდა და გამოგზავნა მკირე რაზმი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ხსენებული გენერალი ფრიად უტაქტო ადამიანი გამოდგა და თავის წინააღმდეგ ყველა ააჯანყა. ისე იქკეოდა მისთვის უცხო ქვეყანაში, როგორც ნამდვილი ბატონი. როდესაც რუსისა და ქართველთა ჯარი ბორჯომის ხეობას მიადგა და ახალციხეზე იერიში უნდა მიეტანა, გენ. ტოტლებენი სრულიად მოულოდნელად თავისი რაზმით უკან გაბრუნდა და ქართლს მიაშურა. მრავალრიცხოვან ოსმალთა წინაშე ერეკლე მარტო დარჩა. მას ნახლოდ 7000 კაცი ჰყავდა და სამი ზარბაზანი ჰქონდა. მაგრამ უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. ერეკლემ ბრძოლა გადასწყვიტა და სწორედ მაშინ (1770 წ.) მოხდა სახელგანთქმული **ასპინძის ბრძოლა** (სოფ. ასპინძასთან). მიუხედავად სიმრავლისა, მტერი სასტიკად დამარცხდა და გაიქცა. ერეკლეს მარჯვენა ჯარი არ ჰყავდა ბრძოლის დასაგვირგვინებლად და ამიტომ უკან გამობრუნდა.

რუსეთთან კავშირმა, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად უშედეგოდ დამთავრდა — საქართველოს დიდი ვნება მოუტანა. ოსმალეთმა და მოუძლურებულმა სპარსეთმა ყური სცქვიტეს: საქართველოს დაკავშირება რუსეთთან მათს არსებობას უშუალოდ ემუქრებოდა. იმ ხნიდან ოსმალეთი და სპარსეთი სასტიკად თვალყურს ადევნებენ და ზვერავენ საქართველოს ყოველ ნაბიჯს. რუსეთისაგან დახმარების უშედეგო ცდის გამო საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა ორხმრივი თავდასხმის მ ხვერპლი ხდება.

თითქმის იმავე დროს, რა ხანებშიაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, იმერეთიც რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. საამისო მოლაპარაკება სოლომონ I დროს ხდებოდა.

რუსეთმა სოლომან აც მისცა წინადადება: გურია-სამეგრელოს მთავრებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გამოილაშქრეთო. როგორც ვიცით, გამოგზავნილი იქნა გენერალი ტოტლებენი, რომელთანაც სოლომონსაც მოუხდა საქმის ქონა. ტოტლებენს საგანგებო დარიგება ჰქონდა: რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, სამხედრო მოქმედებას ძორიდებოდა. გრაფმა პანინმა (კინიკური ინსტრუქცია გამოუგზავნა რუსის გენერალს: „სული ჩვენი, რუსული იყოს, ხორცი

ქართველებისაო“ („Была бы душа русская, а тело грузинское“).

ამისთანა გარემოებაში საკვირველი როდი იყო, რომ რუსის რაზმს, თავის თავად მკირეს, ერეკლესა და სოლომონისათვის რეალური დახმარება არ გაუწევია. სოლომონი, მორალურად მაინც გამხნევებული, მარტოდ-მარტო ებრძოდა ოსმალებს. ჯერ კიდევ ვიდრე ტოტლებენი იმერეთს გადავიდოდა, სოლომონმა ოსმალები შორაპნისა და ცუცხვათის ციხიდან გამორეკა. ცოტა ხანს შემდეგ იმერლებმა ქუთაისიც დაიჭირეს. ტოტლებენი მთელი ამ ხნის განმავლობაში არეულ-დარეულად იქცეოდა, ხოლო ფოთის უშედეგო გარემოცვის შემდეგ თავის რაზმით რუსეთს გაბრუნდა (1772 წ.).

რუსეთ-ოსმალეთის ომი გათავდა ხელშეკრულებით, რომელიც მებრძოლმა მხარეებმა **ქუჩუკ-კაინარჯში** დასდეს (1773 წ.). ამ ხელშეკრულებამ როგორც ერეკლეს, ისე სოლომონ I იმედები გაუცრუა. ერეკლეს იმედი ჰქონდა რუსეთის დახმარებით საქართველოს დაკარგული ნაწილის (მესხეთის) შემოერთებისა. ხელშეკრულებაში მესხეთის შესახებ სიტყვაც არ ყოფილა დაძრული. იმერეთი კი (გურია სამეგრელოითურთ)—სოლომონ I მედგარი ბრძოლით ოსმალოთაგან განთავისუფლებული—თვითმპყრობელობამ ოსმალეთის ქვეშევრდომად აღიარა. „ვინაიდან ხსენებული ხალხები არიან ბრწყინვალე პორტის ქვეშევრდომები,—ნათქვამია ხელშეკრულებაში,—ამიტომ რუსეთის იმპერია მომავალში მოვალეა მათს საქმეებში არ ჩაერიოს და არც რითიმე შეავიწროვოსო“.

საქართველოს იმ ხნიდან საბედისწერო ჟამი დაუდგა. დახმარების მიღების მაგივრად ქართლ-კახეთი და იმერეთი მარტოდ-მარტონი დარჩნენ გაალმასებული ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. საბედნიეროდ იმერლების მედგარი წინააღმდეგობის გამო ოსმალებმა იქ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებანი ვერ განახორციელეს. დასავლეთი საქართველო ფაქტიურად დამოუკიდებელი დარჩა. ამნაირად, რუსეთთან დასახლოებლად გადადგმული პირველი ნაბიჯები უნაყოფო აღმოჩნდა.

ერეკლემ სცადა ორიენტაციის შეცვლა. როდესაც სპარსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი უთანხმოება ჩამოვარდა—ერეკლემ ოსმალეთს თავისი ძალები შესთავაზა და აზერბეიჯანის ხანების მიმხრობასაც დაჰპირდა. სამაგიეროდ იგი მოითხოვდა, რომ მომავალ ხელშეკრულებაში აუცილებლად შეტანილი ყოფილიყო მოთხოვნა სპარსელთა პრეტენზიებისაგან აღმოსავლეთ საქართველოს სამუდამოდ განთავისუფლების შესახებ. ერეკლე ოსმალეთს აღუთქვამდა აგრეთვე რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტას. ოსმალეთი ყველა ზემოხსენე-

ბულს პირობას სიხარულით დაეთანხმა, მაგრამ ეს დაკავშირება უდღეური აღმოჩნდა. საქართველო თითქოს ინსტინქტიურად გრძნობდა, რომ ოსმალეთს არ შეეძლო იგი ჩიხიდან გამოეყვანა. რაიმე რეალური სარგებლობა მოეტანა და გაევროპიელების გზაზე დადგომაში დახმარებოდა. საჭირო გახდა ახალ გზათა ძიება.

ვიდრე ხელახლა რუსეთს მიმართავდა, ერეკლემ ევროპის სახელმწიფოებთან უშუალოდ დაკავშირება სცადა. ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ მან დახმარება სთხოვა ავსტრიის იმპერატორს, საფრანგეთის მეფეს, ნეაპოლისა და ვენეციის მთავრებს. რასაკვირველია, აქედან არაფერი გამოსულა. ევროპისათვის საქართველო თითქმის სავსებით უკნობი ქვეყანა იყო და არც რაიმე რეალური ინტერესი ეგულებოდათ რამე კავკასიაში. ერეკლე კვლავ რუსეთს მიმართავს. რუსეთს კი იმჟამად უკვე ფართო გეგმები აქვს დასახული. იგი ჰფიქრობს კავკასიის გზით სპარსეთის ხელში ჩაგდებას და შემდეგ ინდოეთზე გალაშქრებას. საქართველოს თხოვნა მფარველობის შესახებ რუსეთისათვის იმხანად სწორედ მისწრება იყო და იგიც სიამოვნებით დათანხმდა მოლაპარაკების დაწყებას. მოსალაპარაკებლად საქართველოს მხრით გაგზავნილი იყვნენ თავადნი გარსევან ჭავჭავაძე და ბაგრატიონი. რუსეთისაგან იყვნენ – პ. პოტიომკინი და პოდპოლკოვნიკი ტამარა. მოლაპარაკება დამთავრდა 1783 წელს. იმავე წლის ივლისის 24—ს ქალ. გიორგიევსკში ორივე მხარემ ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს ცნობილ ტრაქტატს.

ხელშეკრულება და მისი შედეგები. 1783 წლის ხელშეკრულება საქართველოსთვის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესვლას ადასტურებდა. მის ძალით შეფე ერეკლე ნებაყოფლობით ხელს იღებდა ზოგიერთ უფლებაზე და რუსეთის იმპერატორების უზენაესობას აღიარებდა. თავის მხრით რუსეთი ჰპირდებოდა მას აღმოსავლეთი საქართველოს მთლიანობის დაცვას გარეშე მტრებისაგან. შინაური წყობილება რჩებოდა ხელუხლებელი და სამეფო ტახტი კვლავ ბაგრატიონების გვარეულობას (ერეკლეს მემკვიდრეებს) უნდა დარჩენოდათ. ტრაქტატის ძირითადს იდეას კარგად გამოხატავს მისი პირველი ორი არტიკული:

„1. მისი ბრწყინვალება მეფე ქართლისა და კახეთისა, საკუთარისა და თავის მემკვიდრეთა თუ შთამომავალთა სახელით საჯაროდ და სამუდამოდ უარს ამბობს სპარსეთისა თუ სხვა რომელისამე სახელმწიფოს ყოველგვარ ვასალობასა, ან სხვა რაიმე ტიტულით დამოკიდებულებაზე; და ამით წინაშე მთელის ქვეყნისა აცხადებს, რომ იგი თავის თავისა და მემკვიდრეებისათვის არ აღიარებს სხვის

თვითმპყრობელობას, გარდა მის იმპერატორებითი უდიდებულესობისა, მის უმაღლეს მემკვიდრეთა და რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეთა უმაღლესი ხელისუფლების და მფარველობისა; იგი ამ ტახტს ჰპირდება ერთგულებას და მზაობას სახელმწიფოს სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მისგან მოითხოვენ.

2. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა, შეიწყნარებს რა მისი ბრწყინვალების ესოდენ გულწრფელს დაპირებას, თანაბრადვე თავისა და თავის მემკვიდრეთა სახელით ჰპირდება და იმედს აძლევს იმპერატორობითი თავისი სიტყვით, რომ ქართლისა და კახეთის ბრწყინვალე მეფეთ მოწყალება და მფარველობა არასოდეს მოაკლდებათ. ამის დასამტკიცებლად მისი უდიდებულესობა კისრულობს იმპერატორობითი თავდებობას, რომ დაიცვას ხელუხლებლობა და მთლიანობა მისი ბრწყინვალების მეფე ერეკლე თეიმურაზის ძის ახლანდელი სამფლობელოებისა და განავრცოს ასეთივე თავდებობა იმ სამფლობელოებზედაც, რომელნიც დროთა განმავლობაში და გარემოებათა გამო შეძენილ და მის ხელში მტკიცედ იქნება.

საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველო რუსეთის ვასალი ხდებოდა და მის დაუკითხავად ამ დარგში არცერთი ნაბიჯი არ უნდა გადაედგა. ურთიერთობის გასაადვილებლად ორივე სახელმწიფოს ერთმანეთთან სრულუფლებიანი წარმომადგენლობა უნდა ჰყოლოდა. ტახტზე ასვლა ქართველ მეფეებს რუსეთის იმპერატორებისათვის უნდა შეეტყობინებინათ და მათგან მიეღოთ სამეფო ღირსების ნიშნები. ხელშეკრულება დადებული იყო სამარადისოდ და მისი შეცვლა შეიძლებოდა მხოლოდ ორისავე მხარის თანხმობით (არტ. 12).

გარდა ზემოხსენებულისა, იყო დამატებითი მუხლები, რითაც ერეკლეს იმერეთის მეფეებთან თანხმობა ევალებოდა. თუ ომი ასტყდებოდა, საქართველოს საზღვრებთან მდგარი რუსის ჯარი ქართველებს უნდა მიშველებოდა. გარდა ამისა, უნდა გამოეგზავნათ ორი ბატალიონი (2000 კაცამდე) რუსის ჯარისა ორის ზარბაზნით. საყურადღებოა ერთი მუხლიც: მისი ძალით, თუ რუსეთი ოსმალეთს ჩამოართმევდა ისეთს ტერიტორიას, რომელიც წინად ჩვენი ქვეყნის ნაწილს შეადგენდა—იგი საქართველოს მეფეთა სამფლობელოს უნდა შეერთებოდა.

ფრიად საყურადღებოა გენერალურ ხელშეკრულებაში ის პუნქტი, რომელიც სავაჭრო ურთიერთობას ეხება. იქ, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ საქართველოს ერთნაირი გზობა უნდა გაეწია რუ-

სეთის სავაჭრო კაპიტალისათვის სპარსეთისაკენ. მე-11 არტიკულში ვკითხულობთ:

„11. ქართლისა და კახეთის ვაჭრები თავისუფლად ჰგზავნიან თავიანთ სავაჭროებს რუსეთში და ისარგებლებენ იმნაირისავე უფლებებითა და უპირატესობანით, რანაირითაც რუსეთის ქვეშევრდომები სარგებლობენ; სამაგიეროდ მეფეც აღთქვას მოსაზღვრე მთავარსარდალსა თუ მის უდიდებულესობის მინისტრს შეუთანხმდეს, რათა რუსის ვაჭრებს ყოველგვარად გაუადვილდეთ ვაჭრობა როგორც მის სამფლობელოებში, **ისე სავაჭროდ სხვა ოლქებში გასვლა,** ვინაიდან თუ არა ასეთი ზედმიწევნილი დადგენილება, მის ვაჭრებს სარგებლობა ვერა ექნებათ რა“.

იმავე 1783 წელს ტფილისს ჩამოვიდა რუსის მცირერიცხოვანი რაზმი. რასაკვირველია, მარტო ამ რაზმს არ შეეძლო ჩვენი ქვეყნის დაცვა მეზობელ სახელმწიფოთაგან, რომელთაც კარგად ესმოდათ რუსეთ-საქართველოს დაახლოების მნიშვნელობა და საშიშროება. ოსმალეთი და სპარსეთი მყისვე დატრიალდენ, რომ ერეკლესათვის დადებულ ხელშეკრულებაზე უარი ეთქმევინებინათ.

ახალციხის ფაშა სულეიმანი დახმარებას სთხოვდა სულთანს და მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „მეფე ერეკლე მოქანავე კლდეა, რომლის მოგლეჯისა ძლიერ უნდა გვეშინოდეს. მას რუსები ამაგრებენ, რადგან იგი ჩვენს დაქცევას ცდილობს. თუ დროზე დახმარება არ იქნება, უ ჭველია ჩვენ დავიღუპებითო“. ასეთი აზრისანი იყვნენ თვით პორტასა და და სპარსეთის შაჰის კარზედაც. საქართველოს მდგომარეობა ფრიად სახიფათო გახდა. და როდესაც ის მცირერიცხოვანი რაზმიც, რუსეთს ტფილისში რომ ჰყავდა, იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო,—ჩვენი ქვეყანა მარტოდ-მარტო დარჩა გაალმასებული მტრების წინაშე, რომელნიც რუსეთთან საქართველოს დაახლოების გამო ცეცხლმოკიდებულნი იყვნენ.

იმავე ხანებში გაძლიერა ლეკთა თარეშიც, რასაც ხან ოსმალები უწყობდენ ხელს, ხან სპარსელნი. იტაცებდენ და ტყვედ მიჰყავდათ ხალხი და გამოსასყიდათ აუარებელი ფული იყო საჭირო, გასაკვირებით აწუხებდა ჩვენს ქვეყანას დაღისტნის ერთი ბატონთაგანი— **ომარ-ხანი,** რომელმაც ქართლ-კახეთი რამოდენიმეჯერ მოაოხრა. სხვათაშორის მან დაარბია ახტალის მადნები და იქ მუშაობა თითქმის შეწყდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერეკლე იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის ჯამაგირის სახით წლიურად 10.000 მანეთი ეძლია.

როდესაც ტფილისიდან რუსის რაზმი წავიდა, მეზობლებთან

მორიგება თითქოს ოდნავ გაადვილდა. მაგრამ წვრილ-წვრილს და მუდმივს შეტაკებებსა, შემოსევებსა და თარეშებს უკვე ქვეყანა და ნგრიათ: ყველა რეფორმა, რომელიც ერეკლესაგან იყო წამოწყებული, ფაქტიურად გაბათილდა. მოისპო აგრეთვე **მორიგე ჯარიც**, რომელსაც ქვეყნის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას დაერთო მეფის გვარეულობაში მომხდარი შფოთი და დავიდარაბა. ერეკლე იძულებული გახდა მემკვიდრეობის კანონი შეეცვალა: ტახტი უნდა გადასულიყო არა მეფის უფროს შვილზე, არამედ გვარეულობაში ყველაზე უფროსზე. ეს იყო ნამდვილი უკანდახევა და თითქმის გვაროვნულიწყობილ ბის აღდგენა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ აგრეთვე იმაზე, რომ ერეკლეს შვილებმა ცალკე პროვინციები ჩამოირიგეს და ფეოდალური წყობილების ყოვლად უმსგავსი სისტემა გაამეფეს. ამის გამო საქართველოს ხელახალი ცდა — რუსეთის დახმარებით მომავლის უზრუნველსაყოფად — მეორედ მარცხდებოდა. რუსეთს იმჟამად არ შეეძლო ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოში რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა დაებანდებინა. ამიტომ იყო, ერეკლეს ხვეწნა ჯარის გამოგზავნის შესახებ — ამაოდ რჩებოდა. საქმე ისე გამწვავდა, რომ საქართველოს წარმომადგენელმა რუსეთში — გარსევან ჭავჭავაძემ პირდაპირ დასვა საკითხი: ან აასრულეთ დაკისრებული მოვალეობანი, ან სრულიად მოვსპოთ ეს ხელშეკრულება, რომელმაც ესდენ დიდი გასაჭირი დაგვატეხა თავსაო.

მაგრამ რუსეთისადმი ნდობა ქართველთა უმაღლეს წრეებსა და მმართველებში ფრიად დიდი იყო. ამ ნდობას წარსულშიაც ჰქონდა ფესვები და აწყოშიაც ბევრი გარემოება უწყობდა ხელს. რუსეთს უყურებდენ, როგორც ქრისტიანობის დამცველს და საქართველოს მოსარჩლეს. ეს იყო ციხეები, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკაში ჩახედულნი და გამოცდილი ქაროველებიც კი — რუსეთის თვითმპყრობელობასთან მილაპარაკების დროს განსაცვიფრებელს მიამიტობას და ზოგჯერ გულუბრყვილობას იჩენდენ. რუსეთის მთავრობა იმპერიალისტურ გზაზე ახლად შემდგარი იყო, სავსებით არ ჰქონდა ახლობელი მოქმედების გეზი ჩამოყალიბებული და ამიტომ რყევაში იყო. ერეკლეს შეეძლო, თუ რუსეთთან დაახლოებაზე ხელს აიღებდა, მეზობლებთან მორიგებულიყო. მაგრამ მაშინდელი საქართველო ინსტინქტიურად გრძნობდა, რომ ეს იქნებოდა დროებითი მოვლენა. მეზობლები (სპარსეთი და ოსმალეთი) საშინელ დეგრადაციას განიცდიდენ. მათ უკვე აღარ შეეძლოთ რისამე მიცემა საქართველოსათვის და მხოლოდ ექსპლოატატორად თუ ეარგოდენ. ამიტომ ჩვე-

ნი ქვეყნის მმართველნი კვლავ რუსეთის საშუალებით ეძიებდენ მომავლის უზრუნველყოფას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთთან დაახლოების საქმეში აგრეთვე ქართველთა იმ მრავალრიცხოვან კოლონიებს, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში რომ არსებობდენ და საკულტურო მუშაობასაც ეწეოდენ. იქ სწერდა თავის „ისტორიას“ და „საქართველოს გეოგრაფიას“ ბატონიშვილი ვახუშტი, იქვე მოღვაწეობდა მგოსანი დავით გურამიშვილი, მე-18 საუკუნის ერთი ნიჭიერი პოეტთაგანი. ყველაფერს ამას მნიშვნელობა ჰქონდა და მჰართველ წრეებში რუსოფილურ მიმართულებას ამაგრებდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. მოწინავე ქართველობა ცდილობდა ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ იმერეთიც შეეყვანა ერეკლეს სამფლობელოში. ეს იქნებოდა ფრიად დიდი ნაბიჯი წინ. გაერთიანება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისკენ ნაბიჯი იქნა გადადგმული. ქართლ-კახეთის და იმერეთის ერთ სამეფოში მოქცევას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და შეიძლება სამეფოს ბედიც ისე მალე არ გადაწყვეტილიყო, როგორც ეს მოხდა კრწანისის ველზე დამარცხების შემდგომ.

გაერთიანების ცდა. აღმოსავლეთ საქართველოსათვის ამ საბედისწერო ჟამს იმერეთშიაც არეულობა სუფევდა. ერეკლეს შვილიშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდეს და ბრძოლა გრძელდებოდა. იმერეთის დიდებულნი და მოწინავენი ერეკლეს მიმართავენ—იმერეთი შეიერთეო. 1792 წელს ერეკლეს ეახლა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ: სახლთ-უხუცესი ზურაბ წერეთელი, მიტროპოლიტი ქუთაისისა, გენათისა და სხვა გამოჩენილი პირები. ერეკლემ სიხარულით მოისმინა დელეგაციის აზრი. გაიმართა თათბირი, რომელიც სამს დღეს გრძელდებოდა. ბოლოს გადასწყვიტეს, რომ გაერიანებისათვის ჯერ დრო არ დამდგარიყო. რუსეთთან ურთიერთობა კვლავ გაურკვეველი იყო. ამას გარდა, იმერეთის შემოერთება ოსმალეთის ბრძოლაში გამოწვევა იქნებოდა და მისი მხრით წინააღმდეგობა მოჰყვებოდა. ამიტომ საქმე დროებით ჩაიფუშა. მაგრამ ერეკლემ სოლომონს დახმარება გაუწია და ეს უკანასკნელი ტახტზე კვლავ დაბრუნდა. სოლომონ II გამთიშველ ძალებს ენერგიულად ებრძოდა და ერეკლესთან კავშირს არ სწყვეტდა.

გაერთიანების საქმე ჩაიშალა, მაგრამ იმ ხანებში ყურადსაღები ნაბიჯი გადიდგა. ერეკლეს მსაჯულის, ცნობილი სოლომონ ლეონიძის მეოხებით—ერეკლემ, სოლონონ II და გურია-სამეგრელოს მთავრებმა ერთობის ხელშეკრულება დასდეს.

„ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მახლობელთა სამეფოსა შინა ქართლ-კახეთისა, ოდიშისა და გურიისა აქვთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი, ერთის ენისა მქონენი, აქვთ მავასხელობითაცა სიყვარული, ვითარცა სიხლით ნათესავთა და მოყვრობითა შეკრულთა ურთიერთა შორის — ამისათვის ჩვენ, ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი ამა პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისა, აღვთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქნებისო“ — ნათქვამია ტრაქტატის შესავალში.

მთელი ტრაქტატის დედა-აზრს გამოხატავს პირველი მუხლი, რომლითაც ხელშემკვრელნი თვითეულად აღთქვამენ: „შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემად და ყოვლისა სამეფოისა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვარისა“ (ვ. იოსელიანი „ცხ. მ. გიორგი მეცამ.“ გვ. 22-29).

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ერეკლემ, სოლომონ მეორემ, გრიგოლ დადიანმა და სვიმონ გურიელმა. ეს იყო დიდი პოლიტიკური აქტი, რასაც საქართველოს ცალკე კუთხეების მეტი დაახლოება და გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთობილი გამოსვლები უნდა მოჰყოლოდა. სამწუხაროდ ხსენებულ აქტს განხორციელება და განმტკიცება არ ჰღირსებია. რამდენიმე წლის შემდეგ ქართლ-კახეთი სპარსეთის მსხვერპლი შეიქნა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ საბოლოოდ დაასუსტა და დასცა აღმოსავლეთი საქართველო.

ეკრწანისის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა. მოხდა ის, რისაც ქართველ პოლიტიკოსებს ეშინოდათ და რისთვისაც რუსეთთან დაახლოებას ცდილობდენ. სპარსეთი დროებით კვლავ გაერთიანდა და ფეხზე წამოდგა ახალი დინასტიის — **კაჯართა გვარეულობის** წარმომადგენელ აღა-მაჰმად-ხანის ხელში. კაცი ენერგიული, მაგრამ სასტიკი და შეუბრალებელი — აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს რისხვად მოევლინა. მან ერეკლეს მოსთხოვა რუსეთთან ყოველგვარი ურთიერობის შეწყვეტა. საქართველო მაშინ უკვე იმდენად იყო ჩრდილოეთისაკენ გადახრილი, რომ ორიენტაციის გამოცვლაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ამიტომ ერეკლემ ყაჯარს მტკიცე უარი შეუთვალა. აღა-მაჰმად-ხანი დიდძალი ჯარით ტფილისისაკენ გამოემართა. ერეკლემ დახმარება სთხოვა იმპერატორ პავლე I ს. მაგრამ რუსის გენერალმა გუტოვიჩმა თავისი მთავრობის სახელით ერეკლეს შეატყობინა: საქართველოში ჯარის გამოგზავნა ამჟამად მოსახერხებლად არ არის ცნობილიო (за благо не приемлется). მარტოდ დარჩენილი სამეფო

მტრის დასახვედრად ეჰზადებოდა, მაგრამ შინაური უთანხმოება ხელს უცარავდა.

აღა-მაჰმად-ხანი 30 ათასი კაცით ტფილისს მოადგა. კრწანისის ველზე მოხდა შეტაკება, სადაც მცირერიცხოვანი ქართველი ჯარი დამარცხდა. 1795 წლის 11 სექტემბერს სპარსელთა ჯარი ქალაქში შემოვიდა და საშინლად ააოხრა. დანგრეულ იქნა სემინარია, სტამბა, გოგირდის აბანოები, თოფხანა და სხვ. შეიქნა ხოცვა-ჟლეტა. მეტე ერთი მეჯა ერთგული მეომრებით იძულებული გახდა მთაში გაქცეულიყო. სპარსელები ტფილისის დარბევით არ დაკმაყოფილდენ. ქართლს მოედვნენ სათარეშოდ რაზმები და მთლად გაანადგურეს ყველაფერი.

მაგრამ სპარსეთი იმდენად ძლიერად არ გრძნობდა თავს, რომ ქართლში საბოლოოდ დამკვიდრება ეფიქრნა. ერთი კვირის შემდეგ, ტფილისის აღებისა აღა-მაჰმად-ხანმა ქალაქი მიატოვა. მან თან 30 ათასამდე ტყვე წაიყვანა. ამნაირად, ტფილისისა და ქართლის განადგურება თითქოს მარტოოდენ შურისძიების აქტად დარჩა და მას სამეფოს დაპყრობა არ მოჰყოლია. მაგრამ ქვეყანა იმდენად აოხრებული იყო, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა კარგა ხნის განმავლობაში დარბეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა. ყოველგვარი აღმშენებლობითი მუშაობა შეჩერდა. გაძარცული, განადგურებული, განაწამები ხალხი—სასოწარკვეთილი იყო და ყოველგვარი იმედი გაჰქრობოდა.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის უკანასკნელი სატანჯველი იყო. ეს არ იყო უბრალო დამარცხება, რაც ყველა ერის ცხოვრებაში შეიძლება მოხდეს. ეს იყო ნამდვილი კატასტროფა მთელი იმ სოციალ-პოლიტიკური წყობილებისა, რომლითაც მაშინდელი საქართველო ცხოვრობდა. ეს იყო კატასტროფა ფეოდალური ორგანიზაციისა. კრწანისის ველზე დამარცხებამ მართლაც საბოლოოდ გადასწყვიტა ბედი ქართლ-კახეთის სამეფოისა.

საქმე ისაა, რომ ფეოდალურმა სისტემამ ერთხელ კიდევ და ფრიად ნათლად დაამტკიცა თავისი დრომოჭმულობა და უვარგისობა. ამ განწირულობის ჟამს სახელმწიფო აპარატი იმდენად მოშლილი აღმოჩნდა, რომ ხეირიანი თავდაცვის მოწყობა ვერ მოახერხა. ცალკე კუთხეებში მყოფმა ბატონიშვილებმა ძველს ფეოდალებზე უარესი ორგულობა გამოიჩინეს. ერეკლეს იმედი ჰქონდა დამხლოეებით 80 ათასის კაცის გამოყვანისა. ყოველ შემთხვევაში მას შეეძლო დანამდვილებით 40 ათასზე მეტი კაცის შეგროვების მოლოდინი ჰქონოდა. მაგრამ ვერ შეგროვდა ათი ათასიც კი. მხოლოდ იმ რეგმა მოაშველა ორი ათას კაცამდე, ბატონიშვილს იულონს დასავლეთ ქართლი-

დან ერთი კაციც არ გამოუგზავნია. გიორგი თელავში იყო და არც თუ მას შეუწუხებია თავი ჯარის შესაკრებად. იოანე ბატონიშვილმა ქსნის ხეობიდან მხოლოდ სამასი კაცი გამოჰგზავნა. ქიზიყის ნამოურავალმა ზაქარია ე'დრონიკაშვილმა ‘ხოლოდ ორი ათასი კაცი მოიყვანა და ისიც ბრძოლის დაწყებამდე უკან გააპარა, ამ ტრაგიკულ მომენტში მეფის ხელისუფლება მარტო დარჩა. ფეოდალურმა საქართველომ აქ გამოიჩინა თავისი უკიდურესი ღალატობა და სრული დარღვევა. სამეფოს მწუხრი დამდგარიყო და მისი დაცემა აუცილებელი გახდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ფეოდალური სისტემის კრიზისი საბედისწერო აღმოჩნდა. ეს არ იყო, რა საკვირველია, კრიზისი ქართველი ხალხისა, რადგან იგი სრულიად ვერავითარ მონაწილეობას ვერ იღებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ქართველი ხალხის ფართო მასსები ბატონ-ყმობის მძიმე უღელში შებმულნი, მხოლოდ მაშინ ახელდენ თვალს. გარეშე ძალის დაუხმარებლად ქართლ-კახეთის სამეფომ ვერ შესძლო ფეოდალური სისტემის გარსიდან გამოსვლა. ერთად-ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო იმ დროს ერთნაირი დახმარება გაეწია ჩვენი ქვეყნისათვის-რუსეთი იყო. დასახმარებლად მოწვეულმა რუსეთის თვითმპრობელობამ მართლაც მოსპო ფეოდალური დაქსაქსულობა, მაგრამ მან საქართველოს სახელმწიფოებრიობაც ზედ მიაყოლა. საქართველო გაერთიანდა ტერიტორიალურად და ხელისუფლების მხრით და იგი მალე რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად იქცა. რუსეთის ჩვენში შემოსვლით ფეოდალური წყობილების პოლიტიკური ლიკვიდაცია ხდება და მის მაგივრად პიურროკრატიული რეჟიმი მეფდება.

ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობა. როგორც ვთქვით, ალამაშმადხანის შემოსევამ საბოლოოდ ცხადჰყო ძველი სახელმწიფოებრიობის სისუსტე და სრული დეზორგანიზაცია. ეს იყო სასიკვდილო ჭრილობა, რომელმაც ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოც იმსხვერპლა. ჩვენი ქვეყანა სწრაფის ნაბიჯით მიეექანებოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირისაკენ და მისი მფარველობის იმედი ჰქონდა. ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდენ რუსეთის სრული ვასალობის მიღებას იმ პირობით, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა კვლავ დარჩენილიყო. მაგრამ ფაქტების ლოგიკამ ნებაყოფლობითი კავშირი, შემდგომ კიდევ ვასალობა—მალე სრულ ინკორპორაციად გადაქცია და ერეკლეს მემკვიდრეს გიორგი მე-XIII ს ბედმა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფობა არგუნა.

რუსეთის თვითმპყრობელობა, რაკი იგი აღმოსავლეთ საქარ-

თველოში დამკვიდრდა—უიქველია დასავლეთისაკენაც გაიწევდა. იმერეთის სამეფოს მიერ (აგრეთვე გურია-სამეგრელოს სამთავროთაგან) რუსეთის მფარველობის აღიარება—ეს იყო პირველი ნაბიჯი. ამას მოჰყვა შემდეგ გაუქმება მეფობა-სამთავროებისა და ისეთისავე ბიუროკრატიული რეჟიმის დამყარება, რანაირიც აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა.

გიორგი მე-XII, რომელსაც დაახლოებით მხოლოდ სამი წელიწადი მოუხდა მეფობა (1798—1800), ცდილობდა სპარსეთსა და ოსმალეთთან კეთილგანწყობილება დაემყარებინა. გახსაცდელის ჟამს რუსეთის თვითმპყრობელობამ თავის თავზე მიღებული ვალდებულება არ აასრულა. ამიტომ ბუნებრივი იყო ის რყევა, რასაც იმ დროის ქართველი პოლიტიკოსები განიცდიდენ. ამას ხელს უწყობდა, ვთქვათ, სპარსეთიც, სადაც აღა-მაჰმად-ხანის შემდგომ ბაბახანი გაშაჰდა. სპარსეთი საქართველოს აქეზებდა: აღიარე ჩვენი ვასალობა და აზერბეიჯანის ხანებს (განჯა-ერევნისას), რომელნიც აღარ გემორჩილებიან და ხარკს აღარ იძლევიან, კვლავ თქვენს ვასალად გავხდიო. პოლიტიკურად და ფინანსიურად საშინელ კრიზისში ჩავარდნილი სამეფოსათვის—ეს ფრიად საცდუნებელი რამ იყო. გიორგი მეფემ ბაბახანთან მოსალაპარაკებლად გაჰკზავნა გიორგი ციციშვილი, იმავე დროს ოსმალეთისაკენ, იმავე მოლაპარაკების მიზნით—ასლან ორბელიანი გაემგზავრა.

მაგრამ სწორედ იმ ხანებში რუსეთიდან ბრუნდება ბატონიშვილი დავითი და საიმედო ცნობები მოაქვს. ჩრდილოეთ მეზობლისადმი მისწრაფება კვლავ ცხოველდება. ორბელიანს ახალციხიდან აბრუნებენ; ციციშვილიც მალე დაბრუნდა ისე რომ ვერ მოელაპარაკა ბაბახანს, რომელსაც შინაური საქმეები კვლავ აეწეწა და ქართლ-კახეთისათვის აღარ სცალოდა. პეტერბურგს იგზავნება გარსევან ჭავჭავაძე რუსეთთან ხელახლა მოსალაპარაკებლად. იმპერატორი პავლე გიორგის სამეფო ნიშნებს უგზავნის და ტახტის მემკვიდრედ ბატონიშვილ დავითს ამჯიცებს. ამასთანავე ტფილისს ჩამოდის რუსის ჯარი გენერალი ლაზარევის მეთაურობით. ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მეფე წაათამამა. 1800 წელს სოფ. საგარეჯოსთან შეერთებულმა ქართველთა და რუსის ჯარმა სასტიკად დაამარცხა ცნობილი **ომარ-ხანი**, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს (სპარსეთის წაქეზებით.) აწუხებდა და აოხრებდა.

ქართველ პოლიტიკოსებს მაინც კარგად ესმოდათ ჩვენი ქვეყნის მერყეევი მდგომარეობა და რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავ-

შირებას ცდილობდენ. რუსეთშიაც იმ დროს უკვე ფეხს იკიდებს აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების აზრი. ტფილისში მყოფი კამერგერი პავლე იმპერატორისა, **მუსინ-პუშკინი** თავის მოხსენებაში ასე ახასიათებდა აღმოსავლეთი საქართველოს დაპყრობის საჭიროებას: „1) შემოვიერთებთ ფიზიკურად მდიდარსა და ნოყიერს მიწა-წყალს; 2) მთიელთ ავლაგმავთ და ამნაირად კავკასიის საზღვრებს უზრუნველვყოფთ; 3) ფართო ასპარეზი გაგვეხსნება სპარსეთსა და ინდოეთთან სავაჭროდ; 4) პორტასთან (ოსმალეთთან) ბრძოლის დროს რუსეთს საშუალება ექნება ანატოლიის მხრით დაემუქროს როგორც ოსმალეთს, ისე სპარსეთს და 5) ქართლ-კახეთის შემოერთება გამოიწვევს იმპერიისადმი იმერეთისა და სამეგრელოს შემოერთებასაც.“

ამნაირად, რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტებს ჩვენში მთელი სამოქმედო პროგრამა აქვთ შემუშავებული. პავლე პირველი ამ პროგრამას იწონებს და მალე მას მოხერხებულად ანხორციელებენ კიდევაც.

ყველაფერ ზემოხსენებულის გამო, როდესაც გიორგი XIII რუსეთს სთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოს შეყვანა იმპერიის ფარგლებში განსაზღვრული პირობებით, რუსის მთავრობა ამას უკვე სიამოვნებით დასთანხმდა. იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო იმპერიის ფარგლებში შედიოდა როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური ერთეული. მეფობა კვლავ იქნებოდა და ტახტი ისევ ბაგრატიონების ხელში უნდა ყოფილიყო. მმართველობა ქართული უნდა დარჩენილიყო, აგრეთვე ჯარიც. მადნების დასამუშავებლად რუსეთი მეფეს ჰპირდებოდა გამოცდილი ხელოსნების გამოგზავნას. ფული უნდა მოჭრილიყო ქართული წარწერით: ერთს მხარეს რუსული გერბი იქნებოდა, მეორეზე —ქართული. რუსის ჯარი ქართველებთან ერთად ჩადგებოდა ყველა ციხე-სიმაგრეში, მაგრამ ციხისთავებად (კომენდანტებად) უეჭველად ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

როდესაც შეთანხმების ტექსტი ტფილისში ჩამოიტანეს, გიორგი უკვე ცოცხალი აღარ იყო (1800 წ. დეკემბრის 20-ს გარდაიცვალა). ტახტზე, თანახმად რუსეთისავე მიერ დამტკიცებული წესისა, ბატონიშვილი დავითი უნდა ასულიყო. მაგრამ გენერალ ლაზარევს ცენტრალურ მთავრობისაგან საიდუმლო მოწერილობა ჰქონდა,—არამც და არამც საქართველოში არავინ გაემეფებინა. ამიტომ დავითს იგი ყოველგვარად ხელს უშლიდა: ჯერ მეფედ ნუ გამოაცხადებ თავს, პე-

ტერბურგიდან ბრძანებას მოუცადეო. დავითიც იძულებული იყო თავი მხოლოდ რეგენტად გამოეცხადებინა.

ცოტა ხანს შემდგომ პეტერბურგიდან მართლაც მოვიდა „ბრძანება“. ეს იყო პავლე I მანიფესტი საქართველოს სრული შეერთების შესახებ. ქართველთა მოწინავე პირებს იგი წაუკითხეს სიონის ტაძარში, რომელიც გარშემორტყმული იყო რუსის ჯარით. მანიფესტმა რუსეთის მომხრენიც გააკვირვა. მასში ლაპარაკი იყო „შეერთებაზე“ და ერთი სიტყვითაც აღარ ყოფილა მოხსენებული პირობები, მოლაპარაკების დროს რომ იყო გათვალისწინებული. არაფერი ყოფილა მეფობის დატოვებისა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობის შესახებაც, რასაც ქართველი მეფეები მოითხოვდენ. რუსეთის მთავრობისადმი ნდობა და რწმენა მაინც ისეთი ძლიერი იყო, რომ ყველაფერი ზემოხსენებული—გაუგებრობა ეგონათ. პეტერბურგს მყისვე აფრინეს დელეგაცია, იქნებ მეფობა მაინც არ მოისპოსო. რასაკვირველია, დელეგაციისაგან არა გამოსულა რა. პავლეს სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრე I აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება დაადასტურა და 1801 წლის სექტემბრის 12 ს საამისო მანიფესტიც გამოსცა. „არა განძლიერებისათვის, არა ისედაც მთელ ქვეყნიერებაზე უდიდესი იმპერიის ფარგალთა გაფართოებისათვის“, —ამბობდა იმპერატორი მანიფესტში,—შემოვიერთეთ საქართველო. ჩვენ „ყურადვიღეთ ტანჯულთა ვედრება, მათ ვაების შესამსუბუქებლად“ შემოვიღეთ საქართველოში ისეთი წყობილება, „რომელიც დაამყარებს მართლმსაჯულებას, პირადსა და ქონებრივ უშიშრობას და მიანიჭებს ყოველთა კანონის მფარველობ სო“.

ამნაირად, ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ ზოგიერთ უზენაეს უფლებაზე უარის თქმა და მფარველობის ძებნა—სამეფოს სრული მოსპობით დამთავრდა. აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის პროვინციად იქცა და **„საქართველოს გუბერნია“** დაერქვა. მყისვე დანიშნეს მთავარმართებლად გენერალი კნორინგი, ხოლო სამოქალაქო საქმეთა მმართველობა—სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენელად მყოფს კოვალენსკის ჩააბარეს.

რუსეთის მოამხრენი და მოწინააღმდეგენი. ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობას და რუსეთთან შეერთებას არ მოჰყოლია პირველ ხანებში რაიმე საგრძნობი წინააღმდეგობა. საკითხავია, რატომ მოხდა ეს?

ქართველ პოლიტიკოსებში იმ დროს ორი უმთავრესი მიმართულება იყო: რუსოფილების და მათი მიწააღმდეგეებისა. რუსეთის მომხრეები (ყველაზე ძლიერნი) გრძნობდენ საქართველოს სახელმწი-

ფოებრიობის საბოლოოდ დაავადებას და რუსეთის საშუალებით აპირებდენ მის გამაგრებას. რუსეთს ისინი უყურებდენ არა მარტო როგორც ფიზიკურ ძალას, როსელსაც შეეძლო ს. ქართველო გარეშე მტრებისაგან დაეფარა. ისინი ჰხედავდენ რუსეთის კულტურულობასაც და მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უპირატესობას. მათ იმედი ჰქონდათ რუსეთის საშუალებით ცივილიზაციას ზიარებისა. ეს ჯგუფი საერთოდ შორსმჭვრეტი ვერ იყო. პოლიტიკურად და მიამიტად სწამდა იმპერატორების დანაპირები. მათთვის სამეფოს მოსპობა სრულიად მოულოდნელი იყო. რუსოფილების ჯგუფს ეკუთვნოდა, სხვათა შორის, მეფის თითქმის მთელი გვარეულობა.

თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო მეფობის მოსპობისა. ძველი სახელმწიფოებრივი აპარატის დამსხვრევა მისთვის ხელსაყრელი არ იყო. იგი სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობას მთლად შორდებოდა და მისი პოლიტიკური როლი ფრიად ვიწროვდებოდა. ამიტომ აზნაურობა მეფობის მოსპობისთანავე ახალი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს. ეს არ ითქმის ზოგიერთ მცხვილ ფეოდალზე. ზოგი ფეოდალი ინერციით განაგრძობდა იმ ბრძოლას მეფეთა წინააღმდეგ, რომელსაც იგი წინად ეწეოდა. ამ ფეოდალებს მეფობის მოსპობა თავის გამარჯვებად მიაჩნდათ და რუსეთის მთავრობისაგან მოელოდენ იმ პრივილეგიათა დაბრუნებას, რაც მათ დაჰკარგეს მეფეებთან ბრძოლის დროს. თვითმპყრობელობა ძალიან აფასებდა მათ და მართლაც პირველ ხანებში ყოველგვარად ასაჩუქრებდა.

როგორი იყო თვით ხალხის შეხედულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობაზე? ფართო მასსები, კერძოდ გლეხობა, ბატონ-ყმობის ღელში გაბმული, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარს მონაწილეობას არ ღებულობდა. რამდენადაც მას ესმოდა მომხდარი ამბების მნიშვნელობა, მას აქტიური წინააღმდეგობა არ გაუწევია რუსეთ თვითმპყრობელობისათვის. თავის მძიმე მდგომარეობით და შინაურ თუ გარეშე მტერთაგან აოხრებული გლეხობა მოხარული იყო ყოველგვარი ცვლილებისა: ეგებ ეს უკეთესი რამ იყოსო. ჩვენში რუსეთის დამყაობისაგან ხალხი მოელოდა თავის უნუგეშო ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, მშვიდობიანობის ჩამოვარდნას და გარეშე მტერთაგან ქვეყნის უზრუნველყოფას. ამიტომ იყო, ახალი რეჟიმს იგი იმედით შეჰყურებდა და მეფობის მოსპობას მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

არსებობდა ერთი პატარა ჯგუფი ქართველი პოლიტიკოსებისა,

რომელიც რუსეთთან დაახლოებას თავიდანვე ალმაცერად უყურებდა. მას ერეკლე მეფის მსაჯული **სოლომონ ლეონიძე** მეთაურობდა. ამ ჯგუფმა განსაკუთრებით მაშინ მოიპოვა გავლენა, როდესაც გამოირკვა, რომ რუსეთს არ შეეძლო თავის თავზე მიღებული ვალდებულება—გარეშე მტერთან ბრძოლაში საქართველოსადმი დახმარება,—აღესრულებინა. აღა-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრების დროს რუსეთის გულგრილობამ სომ რუსოფილებში დიდი რყევა შეიტანა. რუსეთთან დაახლოებამ საქართველოს ვერავითარი რეალური სარგებლობა ვერ მოუტანა. პირიქით, მან მის წინააღმდეგ საშინლად აამხედრა ოსმალეთი და სპარსეთი. საჭიროა ჩრდილოეთს თავი ვანებოთ, უფრო კარგი იქნება მეზობლებს მოვურიგდეთ და ერთნაირი „მოდუს ვივენდი“ დავამყაროთო,—ამბობდენ ლეონიძის თანამოაზრეები. საქმე ისე გამწვავდა, რომ ხსენებულმა ჯგუფმა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდებაც კი მოინდომა, რათა რუსეთის ორიენტაციისაკენ მიმართულ პოლიტიკისათვის ამით ბოლო მოეღო. მაგრამ ფაქტების ლოგიკამ ლეონიძის მიმართულება დაამარცხა. საქართველოს სამეფო მოისპო. მეთაურნი ახალ მთავრობას მაინც არ დამორჩილებიან და და ბრძოლას განაგრძობდენ. სოლომონ ლეონიძე, რუსის მთავრობისაგან დაპატიმრებული, ციხიდან გაიქცა და მეფე სოლომონ მე-II-სთან, იმერეთს გადავიდა. მან იქ კვლავ კანცლერობა მიიღო და დიდხანს იბრძოდა ამ შემთხვევაში უკვე დასავლეთ საქართველოს მეფობის დასაცავად.

იმერეთის სამეფოს მოსპობა. აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაციის შემდეგ ჯერი დასავლეთზე მიდგა. რუსეთის თვითმყრობელობა, ცხადია, შუა გზაზე ვერ შეჩერებოდა. იმერეთის სამეფოს ბედი ქართლ-კახეთის დაცემის შემდეგ—გადაწყვეტილი იყო. მიუხედავათ ამისა, თვითმყრობელობას მაინც კარგა ხანს მოუნდა ბრძოლა იმისათვის, რომ დასავლეთი საქართველოც. იმპერიისათვის შეერთებინა.

მე-19 საუკუნის დამდეგს იმერეთის სამეფოს ვითარება შემდეგნაირი იყო: სოლომონ მე-II გურიის სამოავრო უკვე სავსებით დაიმორჩილა და სამეგრელოს შემოერთების ჭლამობდა. მთავარი გრიგოლ დადიანი დიდხანს და სასტიკად ებრძოდა მეფეს. იგი, სხვათა შორის, სამეფოს ედავებოდა ლეჩხუმის გამო, მაგრამ რამოდენიმე ბრძოლაში დამარცხდა. რუსეთის თვითმყრობელობა ფხიზლად თვალყურს ადევნებდა იქაურ ამბებს და არეულობით სარგებლობდა. იგი დახმარებას უწევდა სოლომონის მოწინააღმდეგეს—გრიგოლ დადიანს. 1803 წელს დადიანმა რუსეთის მფარველობა აღიარა და იმერეთის

მეფის უზენაესი ხელისუფლებისაგან თავს სავსებით განთავისუფლებლად სთვლიდა. ეს იყო თვითმყრობელობის მხრით პირველი შემოვლითი ნაბიჯი იმერეთის დასამორჩილებლად გადადგმული.

იმერეთის პოლიტიკოსები კარგად გრძნობდენ რუსეთის საშიშროებას და ამიტომ დათმობის გზაზე დადგომა ამჯობინეს. პეტერბურგს გაგზავნილი იქნა დესპანად ცნობილი სოლომონ ლეონიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა რუსეთთან დაახლოებით ისეთისავე საპროტექტორატო ხელშეკრულების დადება, როგორც 1783 წ. ქართლ-კახეთმა დასდო. მაგრამ დასავლეთ საქართველოს მთლიანი ფრონტი, როგორც ვთქვით, დადიანმა გაარღვია. მან რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. ამის შემდეგ საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელ ციციანოვს ცენტრიდან ბრძანება მოუვიდა: იმერეთი ან შეთანხმებით დაიმორჩილე, ან ძალით დაიპყარი. ციციანოვი გადავიდა დასავლეთ საქართველოში რუსის ჯარით და სოლომონიც იძულებული გახდა მიეღო ის პირობები, რაც რუსეთმა ოკარნახა (1804 წ.) იმერეთში უნდა დამდგარიყო რუსის ჯარი (არა უმეტეს 120 კაცისა) ხოლო ლეჩხუმი, რომელსაც დადიანი ედავებოდა იმერეთს, სამეგრელოს სამთავროს მიეკუთნა.

რუსეთის მთავრობას განსაზღრული გეგმა ჰქონდა დასახული და ცხადია, იმერეთის სამეფოს ვერც ნახევრად დამოუკიდებელ არსებობას მოითმენდა. მას ეშინოდა, რომ უფლებამოყვარული და თავმოყვარე მეფე სოლომონ ოსმალეთს მიმართავდა. ამიტომ თავისი ბატონობა იმერეთში რუსეთს უზრუნველყოფილად არ შეიჩნდა. მეფესთან ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ სოლომონმა მიატოვა ქუთაისი, სადაც რუსის ჯარი ნელ-ნელა თავს იყრიდა—და თავისი ტახტი ვარციხეში გადაიტანა. რუსის მთავრობა გაფაციცებით და ენერგიულად მოღვაწეობდა მეფის წინააღმდეგ, იქრთამავდა ზოგიერთ გავლენიან პირებს, ზოგზე დაშინებით მოქმედებდა. სოლომონს უღალატა მისმა ახლობელმა, ცნობილმა პირმა და სახლთ-უხუცეხმა ზურაბ წერეთელმა, რომელსაც მთავრობა დაჰპირდა: სოლომონის შემდეგ იმერეთის მმართველობას შენ ჩაკაბარებთო. რუსის მთავრობამ მოითხოვა სოლომონისაგან კვლავ ქუთაისის დაბრუნება, რათა იქ იგი თავის მუდმივს კონტროლს ქვეშ ჰყოლოდა. მეფე მიხვდა ამას, აგრეთვე შიში ჰქონდა, ვაი თუ დამაპატიმრონო და ვარციხიდან წასვლაზე უარი სთქვა. იმავე დროს სოლომონი ოსმალეთთან რუსეთის საწინააღმდეგო იდუმალ მოლაპარაკებას აწარმოებდა. მაშინ 1810 წ. რუსეთის იმპერატორის სახელით გამოიცა მანიფესტი სოლომონის გადაყენებისა და იმერეთში რუსული წესწყობილების დამყარების

შესახებ. ამავე დროს იწყება ლაშქრობა იმერეთის წინააღმდეგ. რუსეთის მომხრე ლევან დადიანი (გრიგოლის ვაჟი) თავისი ჯარით იმერეთის საზღვრებს გადალახავს, ხოლო რუსის ჯარი ვარციხეს (სოლომონის ბინას) უახლოვდება. სოლომონი განსაცდელშია და თანხმდება ციციანოვთან მოლაპარაკებას. იგი მიემგზავრება ქართლს.

იმედი საქმის მშვიდობიანად დამთავრებისა არ მართლდება. ქართლში, მოლაპარაკების მაგივრად, სოლომონ მეფეს აპატიმრებენ და ტფილისის ციხეში ათავსებენ. ცოტა ხანს შემდეგ მეფე ციხეს იქიდან გაპარვას. ერთგული კაცებით, რომელნიც მის ამალას შეადგენენ—იგი გადადის ახალციხეს, სადაც სიხარულით ეგებებიან, როგორც ოსმალეთის მტერ რუსეთთან მებრძოლს. მალე სოლომონი კვლავ იმერეთს მოევლინება. ხალხი, რომელიც უკვე განიცდიდა ახალი რეჟიმის სიმძიმეს, მის მოწოდებას გამოეხმაურა და მოხდა აჯანყება. სოლომონის ჯარმა რუსეთის რაზმები რამოდენიმჯერ დაამარცხა (სოფ. ალთან და სხვ.) მან დაამარცხა აგრეთვე ლევან დადიანი, რუსეთის ჯარის დასახმარებლად წამოსული. მაგრამ ჩხერის ციხესთან იმერლები დამარცხდენ და იძულებული გახდენ ხანისწყლის ხეობში გამაგრებულიყვნენ. ამ დროს მეფის წინააღმდეგ მოვიდენ თავიანთი ძალებით, გარდა რუსის ჯარისა, სამეგრელოს მთავარი ლევან, გურიელი, თავადი წულიკიძეები (გავლენიანი გვარეულობა) და ზურაბ წერეთელი. ალყაშემორტყმული მეფე მტრებს მაინც ხელიდან გაუძვრა და კვლავ ახალციხეში ამოჰყო თავი. იგი ოსმალეთს დახმარებას სთხოვდა. მაგრამ იმჟამად ამ უკანასკნელს არ ჰქონდა სურვილი რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებისა და მეფეს ვერაფერი დახმარება გაუწია. განდევნილი მეფე დიდხანს არ ჰკარგავდა დაბრუნების იმედს, მაგრამ ამაოდ. 1815 წ. იგი გარდაიცვალა ტრაპიზოხში.

ამნაირად მოისპო იმერეთის სამეფო. 1810 წლიდან დასავლეთი საქართველოც, გარდა გურია-სამეგრელოს სამთავროებისა, რომელნიც გარეგნად კიდევ არ ჰკარგავენ დამოუკიდებლობას—რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად იქცევა.

სამთავროების მოსპობა. რუსეთის მიერ დასავლეთ—საქართველოს დაპერის შემდეგ ზოგიერთ მის ნაწილებში, როგორც აღვნიშნეთ, ავტონომიური მმართველობა დარჩა. ასეთი მმართველობა არსებობდა სამეგრელოში, გურიასა და სვანეთში.

როგორც ვიცით, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა უკვე 1803 წელს აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა. მისი შვილი ლევანი მთავრად უკვე იმპერატორმა დაამტკიცა. ლევანის შემდეგ

გამთავრდა ძე მისი — დავითი, კაცი ევროპიულად განათლებული. იგი ცდილობდა ბატონ-ყმობის საშინელებათა შენელებას და ზოგიერთი სასტიკი სასჯელი, რომელიც სამეგრელოში განსაკუთრებით იყო გავრცელებული, მოსპო. ცხადია, თვითმყრობლობის სისტემა ვერ მოითმენდა იმპერიაში რომელისამე კუთხის ავტონომიას. ამიტომ იყო, ძთავრობა სამეგრელოს სამთავროს არსებობას აღმაცერად უყურებდა, მის შინაურ საქმეებში ერეოდა და მისი მოსპობისათვის საბაბს ეძებდა. ყირიმის ომის დროს სამეგრელო რუსეთ-ოსმალეთის შეტაკებათა მეორეხარისხოვან ფრონტად იქცა. ოსმალებმა, სხვათა შო-ის, ზუგდიდიც კი დაიჭირეს. მაგრამ 1856 წელს პარიზში დადებულ საზავო პირობების ძალით იქულებულნი გახდენ სამეგრელო კვლავ დაეცალათ. სამთავროს მოსპობის საბაბად იქცა მთავარ ეკატერინეს დროს მომხდარი დიდი ამბოხება სამეგრელოს გლეხობისა, რომელიც არსებითად ბატონ-ყმობის საშინელებათა წინააღმდეგ იყო მიმართული.

მთავარი (დედოფალი) ეკატერინე გაიწვიეს პეტერბურგს, ხოლო სამეგრელოში რუსული მმართველობა შემოიღეს. სამეგრელოს გამგებლობა ჩააბარეს კოლიუბიაკინს, რომელთანაც არსებობდა 5 წევრისაგან შემდგარი საბჭო (ორი წევრი მთავრობისაგან დანიშნული, ორი სამეგრელოს თავადთაგან, ხოლო ერთი აზნაურთაგან). კოლიუბიაკინი სარგებლობდა სამხედრო გუბერნატორის უფლებით.

ეკატერინე დედოფლის მემკვიდრე ნიკოლოზმა, მთავრობის სურვილის თანახმად უარი სთქვა სამთავროს უფლებებზე, რისთვისაც ჯილდოდ მიიღო ერთი მილიონი მანეთი და დიდძალი მამულები სამეგრელოში, აგრეთვე უგანათლებულესი თავადი მინგრელსკის ხარისხი (1867 წ.).

გურიის მთავარი მამია გურიელი ჯერ კიდევ მაშინ, რუსეთის მთავრობა სოლომონ მე-II რომ ებრძოდა, მთავრობის მხარეზე იყო და მისი ქვეშევრდომობაც აღიარა. მამიას მცირეწლოვანი შვილი დარჩა და ამიტომ მის შემდეგ სამთავროს მისი ქვრივი სოფიო განაგებდა. იგი ძლიერ უკმაყოფილო იყო, რომ თვითმპყრობელობამ მას უფლებანი შეუკვეცა და გურიის შინაურ საქმეებში ერეოდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1828 წ.) სოფიო ასი კაცისაგან შემდგარი ამალით ოსმალებთან გაიქცა და მათი საშუალებით რუსებისაგან სამთავროს განთავისუფლებას ჰფიქრობდა. მთავრობამ ამ შემთხვევით ისარგებლა და 1829 წ. გურიის სამთავროც მოსპო, როგორც ავტონომიური ერთეული.

ავტონომიური მმართველობა შედარებით უფრო დიდხანს დარ-

ჩა აფხაზეთსა და სვანეთში. აფხაზეთში ბატონობდენ თავადი **შარვაშიძეები**, ხოლო მთლად სამთავრო ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა. თავად შარვაშიძეებს ხშირი უთანხმოება ჰქონდათ ოსმალეთთან და ამიტომ იქაურმა მთავრებმა საქართველოს ნაწილებთან თითქმის ერთსა და იმავე დროს აღიარეს რუსეთის ქვეშევრდომობა (1808 წ.). მიხეილ შარვაშიძის მთავრობის დროს რუსეთის თვითმპყრობელობამ აფხაზეთში რუსული მმართველობა შემოიღო (1864 წ.), ხოლო თვით შარვაშიძე რუსეთს გადაასახლა. აფხაზეთის სამთავროს მოსპობას მოჰყვა აფხაზთა დიდი აჯანყება (1867 წ.), რომელიც მთავრობამ სასტიკი ზონებით ჩააქრო. მაჰმადიანი აფხაზები რუსეთის გაბატონებას არ შეურიგდენ და მრავალი მათგანი ოსმალეთში გადახიზნა (ეგრედწოდებული მახაჯირები).

სვანეთში ბატონობდენ თავადი **დადიშქელიანები.** ორმოცდაათიან წლეებში კონსტანტინე დადიშქელიანმა განიზრახა სვანეთის დამოუკიდებლად გამგებლობა და ხალხი თავის ერთგულებაზე დააფიცა. მთავრობა ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა და კონსტანტინე ქუთაისს დაიბარეს. როდესაც იგი გენერალ-გუბერნატორს გაგარინს ეახლა — ამ უკანასკნელმა მოსთხოვა მას საქართველოს საზღვრების დატოვება და პეტერბურგს, ან უკიდურეს შემთხვევაში ერევანში გადასახლება. ლაპარაკის დროს დადიშქელიანი მოთმინებიდან გამოვიდა და გაგარინი ხანჯლით მოჰკლა. კონსტანტინე დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს (1858 წ.). ამის შემდეგ სვანეთიც სავსებით დამორჩილებულ იქნა და რუსულმა მმართველობამ იწყო იქ შესვლა.

ბიუროკრატიული რეჟიმი საქართველოში. სამეფოთა და სამთავროთა მოსპობის შემდეგ საქართველოში, როგორც რუსეთის პროვინციაში, ბიუროკრატიული რეჟიმი მყარდება. მთელი ჩვენი ქვეყანა ემორჩილება ერთს ცენტრალურს (რუსულს) ხელისუფლებას. ცალკე წოდებათა ურთიერთობა პირველ ხანებში ძველი რჩება, მაგრამ თანდათან იმავე კალაპოტში დგება, რანაირშიაც რუსეთის დანარჩენი ნაწილები არიან. 1801 წლის სექტემბრის 12 უმაღლესი რესკრიპტით ნაბრძანები იყო; საქართველოს სამეფოს მცხოვრებთა მდგომარეობა უცვლელი რჩება მათი უფლება-მოვალეობანითურთო. პირველ ხანებში ადმინისტრაცია თითქოს ცდილობდა ვახტანგ მეფის კანონებით ესარგებლნა. მაგრამ ვინაიდან ამ კანონების ცოდნა რუსის მოხელეებს ნაკლებად ჰქონდათ, მალე ფაქტიურად რუსეთის კანონები იქნა შემოტანილი. პირველ ხანებიდანვე იქნა შემოღებული მმართველობაში აგრეთვე რუსული ენა.

საერთოდ მმართველობის სახე ასე ჩამოყალიბდა: უმაღლესი

ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში იყო **მთავარმართებელი**. იგი სამხედრო პირი იყო და მთელი შეიარაღებული ძალაც (რუსის ნაწილები) მას ექვემდებარებოდა. მთავარმართებელს ჰყავდა თანაშემწე, რომელიც იმავე დროს ტფილისის სამხედრო გუბერნატორად ითვლებოდა. მთელს მმართველობას უძღვებოდა **ოთხი ექსპედიცია**: აღმასრულებელ საქმეთა, სახაზინო და სამეურნეო საქმეთა, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლისა. ეს ექსპედიციები გაერთიანებული იყვნენ საქართველოს უმაღლეს მართებლობაში, რომელსაკ მთავარმართებელი თავმჯდომარეობდა. ყველა ცალკე ექსპედიციის თავმჯდომარეებად რუსის მოხელენი იყვნენ. მთელი ყოფილი სამეფო დაჰყვეს ხუთ მაზრად (ქართლი სამად, კახეთი—ორად).

ამნაირად, რუსეთის შემოსვლით ისპობა ის საუკუნეებრივი ფეოდალური დაქსაქსულობა, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმს ღრღნიდა. თავად-აზნაურობა წარმოადგენს ახლა მხოლოდ ქემამულეს, ყმათა პატრონს, იგი პოლიტიკურ ცხოვრებასა და მმართველობაში უშუალო მონაწილეობას ჩამოშორებულია. არსებობს ერთი ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ყველა წოდება ერთნაირად უნდა დაემორჩილოს. ეს ხელს უწყობს ქართველი ერის ერთად მოგროვებას. შედარებითი მშვიდობიანობა, რაიც ჩამოვარდა რუსეთის ფარკლებში საქართველოს შესვლის შემდეგ—ხალხის მომრავლებაზედაც ახდენს გავლენას. თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, მაინც ეკონომიურად ძლიერია. ბატონ ყმობის არსებობის გამო, მიუხედავად პოლიტიკური უფლებების დაკარგვისა, მას ხალხი მაინც ხელთ უჭირავს. რუსეთიც ამას ხელს უწყობს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ იქ ბიუროკრატიული რეჟიმი მეფობს, მემამულეთა კლასიც ფრიად გავლენიანი და ძლიერია. **საქართველოს ტერიტორიის გაერთიანება და ამნაირად ფეოდალიზმის პოლიტიკური ბაზისის მოსპობა—ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.** ეს იყო უმთავოესად ის დადებითი მოვლენა, რაიც მოჰყვა თვითმპყრობელობის ჩვენში გაბატონებას (რასაკვირველია მისდა უნებურად; ამისთანა მიზანი თვითმპყრობელ რუსეთს, ცხადია, არ დაუსახნია).

მაგრამ მეორე მხრით ახალი წყობილების დამყარება ისეთის უხეშის წესით ხდებოდა, რომ ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა. ადგილობრივ პირობებს თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევდენ და ხელუხლებლად გადმოჰქონდათ უცხო ქვეყანაში შიდა რუსეთის არა მარტო კანონები, არამედ მმართველობის ყველა მეთოდები. ამასთა-

ნავე მთავრობა აწარმოებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ამ მხრით მტკიცედაც მისდევდა დასახული გეგმის განხორციელებას.

რათა უკმაყოფილო ელემენტებს მეთაურები არ გამოსჩენოდა, მთავრობამ რუსეთს გადაასახლა მთელი სამეფო გვარეულობა.

უნდა ითქვას, რომ კავკასიას რუსეთში მაშინ ისე უყურებდენ, როგორც ქართველი ხალხი ერთ დროს—ციმბირს. მართლაც, ჩვენსკენ ხშირად იგზავნებოდენ სხვადასხვა დამნაშავენი ცენტრალური გუბერნიებიდან. ჩვენსკენ მოაშურებდა ცენტრში გამოუსადეგარი და ბედდაკარგული მოხელე, ვინაიდან აქ მას სამსახურიც ადვილად ეძლეოდა, ჯამაგირიც უფრო მეტი ჰქონდა. საშინლად გავრცელებული იყო მოხელეთა შორის მექრთამეობა. ამას გარდა, ადგილი ჰქონდა კანონთა ხმარების სხვადასხვაობას, რასაც მოჰყვა „ხელისუფალთა უდიდესი ბოროტმოქმედებანი", როგორც აღნიშნულია 1802 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში. შემდგომ ხანებში მთავარ მართებელი პასკევიჩი ასე ახასიათებდა მმართველობას: უპირველესს ბოროტებას წარმოადგენს „მმართველობის გასაოცარი ნაირ-ნაირობა,. ერთს მაზრაში რუსეთის სამართალია შემოღებული, მეორეში აღმასრულებელი ხელისუფლება სასამართლოს უფლებასთან არის გაერთიანებული, ყველგან რუსისა და ქართველთა კანონების ერთმანეთში აღრევა არსებობს... ადგილობრივი დაბალი მოხელეების ბოროტმოქმედებანი უმაღლესს წერტილს აღწევდა... საგუბერნიო უფროსების თვალყურის დევნება წესიერებისა და მართლმსაჯულებისადმი—ფრიად სუსტი იყო... არსებობს მრავალი სხვადასხვა გადასახადი, რომელიც ხალხს ძალიან აწუხებს და ვაჭრობა—მეწველობას თრგუნავსო" (1. ავალიანი—„Крестьянск. вопрос в Зак.—I ტ. გვ. 88).

განსაკუთრებით მოუწყობელი იყო სასამართლო. ჯერ ერთი, იქ საქმეებს რუსულ ენაზე აწარმოებდენ. გარდა ამისა, ბიუროკრატიული მიწერ-მოწერა ისეთი ვრცელი და ნელი იყო, რომ უბრალო საქმის გარჩევას წლობით უნდებოდენ. სენატორების ქუთაისოვისა და მეჩნიკოვის რევიზია შემდეგს აღნიშნავს: „მრავალს მოხელეს დაჰვიწყებია ღვთის შიში, პატიოსნება და თვით ფიცი, რომელიც მას მეფისათვის მიუცია... ამიერ-კავკასიის არც ერთ დაწესებულებაში ნატამალიც არაა იმ ფორმებისა და წესებისა, რაიც კანონითაა გათვალისწინებული... ზოგიერთ დაწესებულებაში უწესო ორგანიზაციის, ხოლო ზოგიერთებში კიდევ მოხელეთა გამოუცდელობისა და უნიჭობის გამო... და სამსახურის მცოდნე მოხელეთა სრულიად უყოლობის გამო... გადაუწყვეტელ საქმეთა რიცხვი განუზომელია... ამიერ-კავკასიის ადგილობრივი უფროსები წარმოადგენდენ კანონე-

ბის დამრღვეველთა უფრო ნიმუშებს, ვიდრე მათ დამცველებს"... აქაური მმართველობა „უპასუხისმგებლობის, თვითნებობის და გაურკვეველობის ბეჭდით არის დადაღულიო" (ს. ავალიანი—იქვე, გვ. 89).

ეს იწერებოდა თვითმპყრობელობის ჩვენში დამყარების 30 წლის შემდეგ. ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენი გაუგებრობა, ბოროტმოქმედება იქნებოდა პირველ ხანებში, როდესაც მოსახლეობა სრულიად არ იცნობდა ახალ წყობილებას და მის ასეთს ერთგულს მსახურთ!

გლეხობის მდგომარეობა თვითმპყრობელობის ხელში. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს გლეხობა მეფობის მოსპობას გულგრილად შეხვდა. ახალი რეჟიმისაგან იგი მოელოდა მდგომარეობის გაუმჯობესებას და ბატონყმური უღლის შემსუბუქებას. მაგრამ როგორი შეიქნა მისი ყოფა ახალ ხელისუფალთა დროს?

უნდა აღინიშნოს, რომ თვითმპყრობელობა პირველი ხნიდანვე ცდილობდა წოდებათა ურთიერთობის მტკიცედ ჩამოყალიბებას. იგი თითქოს ჰფიქრობდა თავისი ღონისძიებანი ადგილობრივ პირობებსა და ვახტანგის კანონებთან შეეთანხმებინა. რამოდენიმჯერ სცადეს ხსენებული კანონების თარგმნა და შესწავლა, მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა. თავიდანვე აღებული რუსიფიკატორული კურსი—მთავრობასნებას არ აძლევდა ადგილობრივს ელემენტებს ნდობოდა და ისინი საქმეში ჩაეთრია. ამიტომ მისი ღონისძიებანი ხშირად დიდს გაუგებრობასა და უკმაყოფილებას იწვევდა. მაინც აღსანიშნავია ზოგიერთი ღონისძიებანი, რაიც მთავრობამ მიიღო,

უპირველესა ყოვლისა, 1808 წ. ივლისის 7 კანონით გამოცხადებულ იქნა, რომ „სასულიერო წოდება არა თუ ყმობისა, არამედ მემამულეთა მიმართ ყოველგვარი გადასახადისა და ბეგრისაგან თავისუფალია". იმპერატორ ალექსანდრე I მიერ გამოცემული კანონით გლეხებს უფლება ენიჭებოდათ სასამართლოს წესით თავისუფლების ძებნისა. ამიტომ მრავალი ყმა ცდილობდა ბატონისაგან განთავისუფლებას. თუ მებატონე ვერ წარადგენდა სათანადო საბუთს (სიგელს)—რომ ესა და ეს კაცი, ან მთელი სოფელი,—მისი ყმა იყო, იგი ჰკარგავდა ყმებზე უფლებას. ამნაირი საჩივრებით სავსე იყო სასამართლოები. თუ მხედველობაში მიიღებთ იმ საშინელ ვიკხანალიას, მექრთამეობას, რასაკ ოფიციალური მოწმობით მაშინდელს სასამართლოში ადგილი ჰქონია, ადვილად მიხვდებით, რომ ასეთი საჩივრები უმრავლეს შემთხვევაში ძლიერის, ე. ი. ბატონის სასარგებლოდ გათავდებოდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს გზით ცალკე

პირები და სოფლებიც კი—თავისუფლებოდენ, ან ხაზინის გლეხებად ჩაირიცხებოდენ, ან მოქალაქობას ღებულობდენ ხოლმე.

მაგრამ თვითმპყრობელობა მაინც ძალიან სათუთად ეპყრობოდა თავად-აზნაურობის ინტერესებს. იგი ცდილობდა მის თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამიტომ მან 1833 წ. განათავისუფლა ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან ისეთი აზნაურები, რომელნიც თავადთა ყმებად ითვლებოდენ. ამნაირად თავად-აზნაურთა წოდება მტკიცედ ერთ წოდებად ყალიბდებოდა, ისევე, როგორც გლეხობა, რომელშიაც სხვადასხვა კატეგორიები თანდათან ისპობოდა. 1842 წ. სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი ტფილისს ჩამოვიდა აქაური მმართველობის გასაცნობად. თავად-აზნაურობამ იგი დიდის ზეიმით მიიღო. ჩერნიშოვმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ადმინისტრაციას წინადადებას აძლევდა: ხელი შეუწყეთ აზნაურობას, რომ გლეხობა მას ყველაფერში ეძორჩილებოდესო. 1848 წელს მეფის ნაცვალმა ამიერ-კავკასიაში **ვორონცოვმა** — მოსპო გლეხობისათვის სასამართლოს წესით თავისუფლების ძიების უფლება. ეს ფრიად აუარესებდა გლეხობის მდგომარეობას და ბატონყმობის თითქოს ხელმეორედ დაკანონებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, რუსეთის კანონების მიხედვით, თავად-აზნაურობამ მიიღო გლეხთა გაციმბირების უფლება, რითაც იგი სარგებლობდა ყმების დასაშინებლად და დასამორჩილებლად.

ობიექტიური პირობებისა გამო ბატონებმა ყმებს უფრო მაგრად მოუჭრეს ხელი. თავად-აზნაურობამ დაჰკარგა ძველი პოლიტიკური და სამხედრო ფურქციები, რასაც იგი საქართველოს სამეფოს ჟრსებობის დროს ასრულებდა. ივი სამს ნაწილად გაიყო: ერთმა სამხედრო სამსახურს მიაშურა, რასაც თვითმპყრობელობა ფრიად ხელს უწყობდა. ეს ნაწილი თავად-აზნაურობისა სამსახურში თავის წარმატებას—საქართველოს წარმატებად სთვლიდა და თვითმპყრობელობის მიერ ნაწარმოებ ომებში (მაგალითად მთიელების დამორჩილებისათვის ბრძოლაში) მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მეორე ნაწილი ქალაქებში გადაბარგდა და ვაჭრობას, ქეიფსა და პირად სიამოვნებაში აჩარებდა დროს. მესამე, ფრიად მცირე ნაწილი თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედით ისევ დაინტერესებული იყო და ხელსაყრელ დროს უცდიდა.

სავაჭრო კაპიტალს გასაქანი მიეცა და მან შედარებით სწრაფად იწყო განვითარება. 1817 წლის განმავლობაში უცხოეთიდან შემოუტანიათ ამიერ-კავკასიაში 809.315 მანეთის საქონელი, გაუტანიათ 166.767 მანეთისა. ცოტა ხანს შემდეგ (1822—1832 წ.) საქონლის საშუალო შემოტანის რაოდენობა იყო უკვე 1.700.000 მან-

ბატანა კი—700.000 მანეთისა. ე. ი. სავაჭრო ურთიერთობა მოკლე ხანში დახლოებით 100 % გაზრდილა (ფ. მახარაძე-„საქ. მე-19 საუკუნეში“, ჟურნ. „მნათობი“, № 3, გვ. 187).

გარეგანი ევროპიული ცხოვრებისადმი ხარბად დაწაფებისა და ბაზარზე მოავალი ახალი საფუფუნო საგნის გაჩენამ—ქართველ თავად-აზნაურობას გაუჩინა ახალი მოთხოვნანი, რისთვისაც მას სჭირდებოდა ის, რაიც ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს ნაკლებად ეინტერესებოდა—ფული. ფულის შემოსვლა კი ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის ნელი-ნელ რღვევას. ფულის არმქონე თავად-აზნაურობა თვითონ ვერ ახერხებს ვაჭრობაში ჩაბმას და ამიტომ იგი თითქმის მთლად უცხოელების (სომხების) ხელშია. ფულის საჭიროება თავად-აზნაურობას აიძულებს გლეხობის მეტი ექსპლოატაცია მოახდინოს. იწყება მამულებისა და ყმების გაძლიერებული გაყიდვა თუ დაგირავება, პირდაპირი მათი ფლანგვა. ოციანი წლების გაზეთებში მრავლად შეხვდებით განცხადებას: იყიდება ესა და ეს სოფელი ყმებითურთ, დაგირავებული, ან ვალის ასანაზღაურებლადაო. სანიმუშოდ ერთს ასეთს განცხადებას მოვიყვანთ: „ტორლი. 16 ოქტომბერს, სიღნაღის უეზდის სამართველოში თავად ვაჩნაძეს ვალში გაისყიდებიან ამისივე ყმათა ექვსი კომლი, თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით. წლიური შემოსავალი 136 მან. აქვსთ. ათი წლის შემოსავლის ზედშეკვეცით 1300 მან. არის დაფასებული („საქ. ბატონყმობის ფაქტიური მასალები“, ზაქ. ჭიჭინაძისა, გვ. 255).

საერთოდ თავად-აზნაურობის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის ადვილად შეეგუა სამეფოს გაუქმებას. პირველად იგი ახალ რეჟიმს ოპოზიციაში უდგა და რამდენიმე შეთქმულობაც მოაწყო, მაგრამ დამარცხების შემდეგ ბედს მალე შეურიგდა. 1832 წ. შეთქმულება უკანასკნელი ცდა იყო მეფობის აღდგენისათვის ზრუნვისა და მისი ჩაშლის შემდგომ თავად-აზნაურობა აღარავითარი პოლიტიკური ილუზიებით აღარ იკვებება. იგი ეწყობა რუსეთის თავად-აზნაურობის მსგავსად. ჯერ კიდევ 1819 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში არსდება თავად-აზნაურთა საკრებულო, რომელიც ამ წოდების ცხოვრებაში თანდათან დიდს როლს თამაშობს. სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურშიაც იგივე თავად-აზნაურობაა ჩაბმული და ხშირად გლეხობას ევლინება როგორც ორგვარი მბრძანებელი: როგორც მებატონე და როგორც მთავრობის მოხელე. ამას, ცხადია, უარყოფითი გავლენა აქვს გლეხთა მდგომარეობაზე.

გლეხობა თავის მხრით მედგრად იბრძვის როგორც ბატონყმობის, ისე ახალი რეჟიმის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ეს

ბრძოლა გამოიხატება იმ მრავალ აჯანყებაში, რასაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

გლეხთა მოძრაობანი. ბატონყმობის ულელი გლეხობას, რასაკვირველია, ყოველთვის ამძიმებდა. მის წინააღმდეგ ინდივიდუალური პროტესტი—ეს იყო ტერორისტული აქტი ცალკე, განსაკუთრებით მკაცრი მებატონეების წინააღმდეგ ტეროროის ჩამდენ პირებს, ცხადია, საქართველოში აღარ ედგომებოდათ. ისინი ან ყაჩაღად გავარდებოდენ, ან სპარსეთ-ოსმალეთში იხიზნებოდენ. ბატონყმობის საშინელებათა გამო ყაჩაღად გავარდნილთა საუკეთესო და ტიპიური წარმომადგენელი **არსენა ოძელაშვილია.**

არსენა იყო ყმა დიდი მემამულის თავად ხაალ ბარათაშვილისა, მარაბდელი (სოფ. ტფილ. მაზრ.) გლეხი. მან მოინდომა ბატონის მოახლე გოგოს შერთვა, მაგრამ ჟანიანმა ბატონმა მტკიცე უარით გამოისტუმრა. შეურაცყოფილმა და ამაყმა არსენამ ბატონს გოგო მოსტაცა და ბირთვისის კლდეებში იმალებოდა. ცოტა ხანს შემდეგ იგი გადავიდა ახალციხეს. ახალციხეში გადასვლამდე მას შეტაკება მოუხდა მთავრობის მიერ მის დასაჭერად გაგზავნილ ყაზახებთან. ამიტომ არსენა მთავრობისაგან გაქცეულადაც ითვლებოდა. როდესაც რუსეთმა ახალციხე აიღო (1828 წ.)—არსენა იძულებული გახდა კვლავ საქართველოში დაბრუნებულიყო. ცხადია, ის თავის სოფელში ვეღარ მივიდოდა, ვერც ქალაქში იცხოვრებდა მთავრობის შიშით. და აი, იგი გავარდება ყაჩაღად. მთელ თავად-აზნაურობას მისი დიდი შიში აქვს, ვინაიდან იგი სიკვდილით ემუქრება ყველას, ვინც გლეხებისადმი გადამეტებულ სისასტიკეს იჩენს. თხუთმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობს იგი ასე კანონს გარეშე. ეს ულეველად მოწმობს იმას, რომ ხალხს იგი თავის მოსარჩლედ მიაჩნდა, იფარავდა და დახმარებას უწევდა. არსენას ქალაქშიაც ჰყოლია თანამგრძნობელნი. ციხიდან გაპარვა სწორედ ამ მეგობრების საშუალებით შესძლო. უნდა აღინიშნოს, რომ იგი, როგორც სახელგანთქმული ვაჟკაცი და გონიერი ადამიანი, დანაჩენ გავარდნილთა ბელადად ითვლებოდა. მისი ხელქვეითი წევრები მის სიკვდილს შემდეგაც განაგრძნობდენ მებატონეებთან ბრძოლას. ასეთი იყვნენ, მაგალითად, ყაჩაღნი **გიგუა** და **ფიდუა**, რომელთაც სამოციან წლებამდე მოაღწიეს და არსენას სიცოცხლეში მის ხელქვეითებად ითვლებოდენ. არსენას ხსოვნა უკვდავყოფილია ხალხის მიერ მის შესახებ ცნობილ ლექსში. თუ რა ხასიათისა იყო არსენას დროის ყაჩაღობა, ეს მშვენივრად არის დახასიათებული ხსენებულ ლექსში. ქალაქს მიმავალ სომხის ბიჭს არსენა ეუბნება:

„ესე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა:
არსენა რომ დაიჭირეს, ქვევით მიდიოდა დღესა,
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ
წაახდენსა?

. . . . . .

სადაც რომ ტიტველსა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა“.

მაგრამ გარდა ამ ინდივიდუალური პროტესტისა, გლეხები ორგანიზაციულადაც გამოდიოდენ ხოლმე ბატონების წინააღმდეგ. რასაკვირველია, მათ მოქმედებას რაიმე გარკვეული პროგრამა არა ჰქონია. გლეხობის მოსრაობა სტიქიური ხასიათისა იყო, თუმცა ზოგიერთი გამოსვლა, მაგალითად კახეთის აჯანყება, რამდენსაც თვეს გრძელდებოდა.

ჩვენ აქ არ შევეხებით ისეთს გამოსვლებსა და აჯანყებებს, რაიც მარტო რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და როდესაც გამწარებული ხალხი რუსეთის განდევნას მოითხოვდა. ასეთი იყო, მაგალითად, 1802, 1804 წლის მთიულთა აჯანყება, ნაწილობრივ ასეთივე იყო 1812 წლის აჯანყება კახეთისა, 1819 წელს იმერეთისა და სხვ. ჩვენ შევეხებით უფრო ისეთს მოძრაობას, სადაც გამოსვლებს აგრარული ხასიათიც ჰქონდა.

1809 წ. ამბოხდენ ქსნის ხეობის გლეხები. მათ დაარბიეს სოფ. ლამისყანა და შალვა და რევაზ ეროსთავები დახოცეს. ამის მიზეზი ერისთავების ძიერ სოფ. ოძისის აკლება ყოფილა. გლეხები სჩიოდენ: „ყველა ჩვენა გვჩაგრავს და უკანასკნელს ქონებას გვართმევს. იქამდე მიგვიყვანეს, რომ დღიური ლუკმა პური აღარ დაგვიტოვეს.“ გლეხები მოითხოვდენ: ერისთავები 20 კაცია, ყველა ცალ-ცალკე ტყავს გვაძრობს, იქამდე არ დავყრით იარაღს, სანამ მარტო ერთ-ერთს მათგანს არ მიგვიჩენთ ბატონადო. მთავრობამ მოძრაობა შეიარაღებული ხელით ჩააქრო და გლეხები დააშოშმინა (სიმ. ავალიანი, იქვე, გვ. 100)

ყველაზე დიდი აჯანყება—ეს იყო კახეთის ამბოხება 1812 წელს. თუმცა მერმე მას გარკვეულად რუსეთის საწინააღმდეგო ხასიათი მიეცა, მაგრამ პირველ ხანებში მას ნამდვილი აგრარული ხასიათიც ემჩნეოდა. გენ. რტიშჩევი მას „საშინელ რევოლიუციას უწოდებდა“ და თან დასძენდა: „ამ აჯანყებას ხალხის სულის გაუგონარი გაბოროტება (Неслыханное ожесточение народного духа) ახასიათებდაო“. მოძრაობის მიზეზები კარგად არის აღნუსხული მარშალ თამაზ ორბელიანის მოხსენებაში, რომელსაც მთავაოძართეგელი პაულიჩი დაეკითხა ამბოხების მიზეზთა შესახებ.

„კახეთმა და ქიზიყმა რომ იარაღი იხმარა რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ, — სწერს ორბელიანი, — როგორც დავრწმუნდი ერის მითქმა-მოთქმიდან წინად და ახლა, ჩემის ფიქრით და გონებით, მიზეზი ესაა: 1-თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ორი წელიწადი ზედიზედ მოუსავლობა იყო საქართველოში. 2 ჩაცივება და ახირება მთავრობისა, გინდა თუ არა პური უნდა მოგვიზიდოთ ჯარის გამოსაკვებადო, მაშინ როდესაც ხალხს არ მოეპოვებოდა საკუთარის ოჯახის დასარჩენად ხორბალი. 3. მთავრობა გაჭირვეულდა, უსათუოდ ექვს აბაზად უნდა გვაძლიოთ კოდი პურიო. ხალხი იძულებული იყო, რაკი ოჯახში არა ჰქონდა რა, ბაზარში ეყიდნა ხაზინისათვის კოდი 4-5 მანეთად. ფულის საშოვნელად მამულსა და ცოლშვილს აგირავებდენ. სწორედ ამ გაჭირვების დროს მთავრობამ გაიხსენა პურის ძველი, აუკრეფავი გადასახადი და შეუტია მკვიდრს, — ძველი და ახალი შეკრიბეთ და ჩაგვაბარეთო. 4. სასურსათო მოხელენი უზომოდ ატყუებდენ ხალხს წონაში ამ მოუსავლობით გაჭირვებულ დროსა. 5 იგივე მოხელენი განზრახ აჭიანურებდენ კვირაობით პურის ჩაბარებას, რა არის, ქრთამი დავცინცლოთო. ძალაუნებურად ქრთამს აძლევდენ, ოღონდ კი ჩაებარებინათ პური. გაჭირვებული კაცი, რაკი მობეზრდებოდა მალაზიასთან ტრიალი, თავს ანებებდა ურემსა და ხარკამეჩს და შინ გარბოდა. გაქცეულს, რასაკვირველია, ქირაც ეკარგებოდა. 6. ვერცხლმოყვარე სათემო მთავრობამ მდაბიო ერი მეტის მეტად შეავიწროვა და შეაწუხა. 7. საითაც კი ჯარი დაიძვროდა, აუარებელი ბეგრის ურემი გაჰყავდათ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რამოდენი საქონელი წყდება ბეგარაზე, თითქმის მეოცედი ნაწილიც არ დაბრუნებულა შინ უვნებელი. ძვირად ნაყიდი საქონლის დაკარგვა სამუდამოდ აღატაკებდა გლეხკაცობას. 8. შინაური მართვა-გამგეობა საქართველოსი ანუ მთავრობის დაწესებულებანი არ შეეფერება აქაურ ხეპრე და გაუთლელი (деревенщина-грубый) ერის ზნე-ხასიათსა. შეუფერებელ დაწესებულებას გენერალი ტორმასოვის დროიდან საგრძნობლად შეეპარა ბოროტმოქმედება, რომელიც უფრო ამწვავებდა საქმეს. 9. ხალხი დრტვინავდა, ამოდენა ხარჯი და ბეგარა ჩვეულებრივ ღალა-კულუხის გარდა არც ერთი წინანდელი მთავრობის დროს არ ყოფილაო. წელში გავწყდით, მეტის ატანა აღარ შეგვიძლიაო, გაიძახოდა ხალხი, მთავრობა-კი ყურსაც არ იბერტყდა. 10. ძლიერი სამხედრო ეკზეკუცია, რომელიც სრულებით არ შეეფერება კავკასიის ერის ზნე-ხასიათსა და ჩვეულება-ადათს.“ მარშლის მოხსენება ასე თავდებოდა: „ჩემის ფიქრით, ხალხი თუ აქამდის არ აჯანყდა, მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ

ძლევამოსილი მხედრობა მათის იმპერატორობითის უდიდებულესობისა ხალხს იფარავდა გარეშე მტრების შემოსევისაგანო“ (ა. ფრონელი, „ამბოხება კახეთისა“, გვ. 42-44).

აღსანიშნავია, რომ მარტო ერთი წლის განმავლობაში კახეთიდან უსასყიდლოდ ბეგარის ძალით გაუყვანიათ 112,154 ურემი და 99,780 საბარგო ცხენი. რომ მოძრაობა ნამდვილი ხალხური იყო და უკიდურესობამდე მისული, განაწამები გლეხობა რომ სასოწარკვეთილი სიფიცხით იბრძოდა, ამას მოწმობს ის პასუხი, აჯანყებულებმა რომ მისცეს პაულიჩის, როდესაც იგი მიმართავდა კახელებს: ღმერთი და ხელმწიფის ფიცი დაივიწყეთო. ეს პასუხი იმდენად დამახასიათებელია, რომ მოგვყავს თითქმის მთლად.

„მთელი კახეთის თემი, მთასა და ბარში მცხოვრებელნი,—უთვლიდენ მეამბოხენი მთავარ-მართებელს,—მოგახსენებთ, რომ წიგნის ხალხი არა ვართ (неопытны в письмах), გვაკლია გამოცდილება და ვერ გავიგეთ თქვენი მონაწერი. საიდან მოიგონეთ, რომ ჩვენ ქრისტე უარვყავით, ხელმწიფეს ვუღალატეთ და ფიცი გავტეხეთ. თუ რამე ჩავიდინეთ, მიზეზი და საბაბი თქვენ თვითონა ბრძანებით. რაც მანიფესტით ნაბრძანებია უმოწყალესი ხელმწიფისაგან, არაფერი შეასრულეთ. ყველაფრის მიზეზი თქვენ იყავით, ვინაიდან ბრალიანისა და უბრალოს გარჩევა არ იცოდით, ისე ჰხოცდით ხალხსა და აღრჩობდით. ვხედავდით ამ უსამართლობას, მაგრამ ვითმენდით, რადგან შევფიცეთ ხელმწიფე იმპერატორსა, ერთგული ვიქნებითო. ამას გარდა, ეკზეკუაციისა და ხიშტების საშუალებით მიგქონდათ რაც რამ გვებადა. გვიყლეტდით ცოლ-შვილსა, საზრდო პური მოგვტაცეთ და შიმშილითა გვხოცავდით და ნუგეშად გვეუბნებოდით,—ბალახი სძოვეთო. არა, ქორფამ ბალახი როგორ უნდა სძოვოს, სად გაგონილა? იმოდენა ბეგარა გაგვიჩინა მთავრობამ, რომ საქონელი გაგვიწყდა და ტყეებში ურმის საშენი მასალა გამოილია. ველარ ავიტანეთ ასეთი გათახსირება და შეურაცყოფა და გულში გავიფიქრეთ—სჯობს კაცმა სხვას აუგოს ანა დერძი, ვიდრე საკუთარის თვალით იხილოს ცოლშვილის აწიოკება და შიმშილით სიკვდილი. დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ ხელმწიფე იმპერატორს აზრად არ მოუვა ხალხის გაჟლეტა. საბაბი არეულობისა თქვენ თითონ მოგვეცით. ჩვენ ველარ მოვრიგდებით. რაც იქნება იქნეს, თავი და ცოლშვილი გავსწირეთ. კოდ პურში 1 მ. 20 კ. გვაძლევდით, ვისაც პური არა ჰქონდა, კოდის საფასურად 4 მ. არ-თმევდით. ხელმწიფისათვის არ გვიღალატნია და არც მოღალატენი ვართ. თქვენ თითონ არღვევდით იმპერატორის ბრძანებას, ველარ

ავიტანეთ ამდენი უსამართლობა და უნამუსობა. ჩვენსა და თქვენს შორის ხიდი ჩატყდა, ერთად ველარ მოვთავსდებით. ჩვენი სიცოცხლე, რა სიცოცხლეა: ისედაც მკვდრები ვართ და ბარემღაც მართლა დავიხოცებით. თხოვნა გავუგზავნეთ იმპერატორს და თქვენ-კი სადღაც მიმალეთ და ხელმწიფეს არ აცოდინეთ. გვატყუებდით, თვალთმაქცობდით და ჩვენც ვითმენდით. ბასტა, მეტის ატანა აღარ შეგვიძლია. გათავდა ყველაფერი. გადავწყვიტეთ სიკვდილი და დავიხოცებით კიდეცო“ («Акты Кавк. Арх. Ком», ტ. V. მოყვანილი აქვს ა. ფრონელს, გვ. 139-40).

„ძნელად დასაჯერებელია ხალხის მაშინდელი გაბოროტება; იგი სულ ახლობელსაც არ დაინდობდა. თუკი მას რუსების მომხრეობას შეამჩნევდაო“, ამბობს უმაღლეს კარისადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში პოეტი ალ. ჭავჭავაძე (ჟურნ. „ქართული მწერლობა“ № 4—5). თავად აზნაურობა შეშინებული იყო. მისგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი დიდს მონაწილეობას იღებდა მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მთავარმმართებელ მარკიზ პაულიჩის ხელმძღვანელობით. როცა ხმები გავრცელდა ალექსანდრე ბატონიშვილის მოახლოებაზე: „კახეთის თავად-აზნაურობის მაზრის წინამძღოლებმა... სთხოვეს მთავრობას მაზრებში ჯარის გაძლიერება და აღნიშნავდენ, თუ რა საშიში მდგომარეობა შეიქნებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილი რომ გამოჩენილიყო და მას წინააღმდეგობა არ შეხვედროდაო“— დასძენს იგივე ალ. ჭავჭავაძე.

აჯანყება მთელ ოთხ თვეს გრძელდებოდა. მეამბხოეებმა მთავრობის ჯარი დაამარცხეს სოფ. ვარდისუბანთან და მერე თელავს მიადგნენ. მეორე მხრით ქიზიყელებმა სიღნაღი აიღეს. მთავრობის ჯარი დამარცხდა სოფ. საგარეჯოსა და ხაშმთანაც. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ სარდლობა თვით მთავარმართებელმა პაულიჩიმ იკისრა. მეაბოხეებმა პაულიჩის დამარცხებაც შესძლეს და მისი ჯარი ს. ჩუმლაყიდან გამოდევნეს. ამასობაში პაულიჩს მაშველი ჯარი მოუვიდა და ზემოხსენებული სოფელი ცეცხლსა და მახვილს მისცეს. აჯანყება ოდნავ მინელდა.

რუსეთს იმ დროს ნაპალეონი შემოესია. საქართველოს სამეფოს აღდგენის მომხრე ქართველები ამან წაათამამა. ისინი კახეთის აჯანყებაში ჩაერივნენ და მოძრაობამ წმინდა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. საქართველოში გაჩნდა მეფე ერეკლეს ძე ალექსანდრე, რომელიც ტახტს ეძიებდა. რეგულიარულმა ჯარმა ბოლოს და ბოლოს მეამბოხენი დაამარცხა. გამარჯვებულმა მთავრობამ მრავალი დაბა-სოფელი ცეცხლს მისცა და დაარბია. მეაბოხეთა მეთაურების

უმეტესობა დააპატიმრეს, ზოგი სიკვდილით დასაჯეს, ზოგი ციმბირში გადაასახლეს.

1841 წელს დიდი აჯანყება მოხდა გურიაში. ამ ამბოხებასაც აგრარული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური ხასიათი მიეცა. გლეხებმა გადასახადებზე უარი სთქვეს: „ჩვენი ბატონებისაგან მათ სასარგებლოდ ბეგრის გადახდის მხრით ძალიან გაჭირვებულნი ვართ. ამიტომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ნატურალური სათემო (земская) ბეგარა, მაგალითად: საპარგო ცხენების, ურმების გამოყვანა, კორდონის (ჯარის) შენახვა საზღვრებზე—ძალიან აუტანელიაო“ განუცხადეს გლეხებმა მთავრობას (სიმ. ავალიანი—„Крестьянск. вопрос в Закавк.“, გვ. 262). გურიანთის სახაზინო, საეკლესიო და მემამულეთა ყმებმაც უარი სთქვეს სათემო გადასახადებზე. სოფ. ხვარბეთში შეგროვდა 100 კაცამდე. გლეხები სოფლიდან სოფელში გადადიოდენ და მეამბოხეთა რიცხვი ამნაირად თანდათან იზრდებოდა. ამბოხება ივლისის 20-ს დაიწყო და აგვისტოში აჯანყებულთა რიცხვი სამი ათას კაცს აღემატებოდა. ოსმალეთი პოლიტიკური მოსაზრებით იარაღით და თოფიწამლით ეხმარებოდა გურულებს. მეამბოხეებმა დაამარცხეს საზღვრებზე მყოფი ჯარები და ოზურგეთს ალყა შეშოარტყეს. ბოლოს და ბოლოს რეგულიარულმა ჯარმა ეს ამოხებაც ჩააქრო (1841 წლის სექტემბერში). გურულები ხელახლა დაიფიცეს, ხოლო მრავალი მონაწილე ამბოხებისა, მეთაურთაგან ვინც კი სიკვდილს გადაურჩა—ას-ასი წკეპლით დასაჯეს (გურიის აჯანყება მშვენივრად აქვს აწერილი ე. ნინოშვილს მოთხრობაში—„ჯანყი გურიაში“).

ფართო ხასიათის აჯანყება მოხდა, ამ შემთხვევაში უკვე პირდაპირ ბატონყმობის წინააღმდეგ—სამეგრელოში 1856 წელს. მოძრაობას „გლეხთა გენერლებიც“ გამოუჩნდნენ: **კოჩა და მართალი თოდუები** (მეჭურჭლეები) და **უტუ მიქავა** (მჭედელი). გლეხები შეგროვდენ ზუგდიდს ახლო და იქ სამხედრო ბანაკი დასცეს. თავი შეიყარა ათი ათას კაცზე მეტმა. გლეხთა ზემოხსენებულ მეთაურებთან მიდიოდა ყველა ის გლეხი, ვისაც ბატონი მკაცრი ჰყავდა და აწუხებდა. მეთაურები გამოუძახებდენ ხოლმე დამნაშავე ბატონს და წინადადებას აძლევდენ, აღარ გაემორებინა დანაშაული, ყმებს კარგად მოქცეოდა. თავად-აზნაურობა საშინლად შეშინებული იყო და მეთაურების დაბარებაზე უარს ვერ ამბობდა. ვინც თავად-აზნაურთაგანი მისვლაზე უარს იტყოდა, გლეხები თავს ესხმოდენ, მთელ მის ქონებას ცეცხლს უკიდებდენ, ხოლო მებატონეებს ჰკლავდენ.

განსაკუთრებით დიდი ტემპერამენტის კაცი და მშვენიერი

ორატორი იყო **მჭედელი მიქავა**, რომელმაც გლეხობაზე ძალიან დიდი მოვლენა მოიპოვა. ოფიციალური ცნობებით, მის მეთაურობის ქვეშ გაერთიანებული იყო დაახლობით 7000 გლეხი. მთავრობის მიერ გაგზავნილი ჯარი ქუთაისის გუბერნატორის კოლუბიაკინის წინამძღოლობით განსაცდელში იყო, ვინაიდან სამეგრელოში, ცხადია, „არავითარი ზნეობრივი დახმარება არ ჰქონდა.“ მაისის 20 მიქავას რაზმი, რომელიც მიდიოდა დანარჩენ აჯანყებულებთან შესაერთებლად, შეხვდა კოლიუბიაკინის ჯარს. კოლიუბიაკინმა შებრძოლება ვერ გაჰბედა და მიქავასთან მოლაპარაკება დაიწყო. გლეხთა გენერალი სიამოვნებით ეახლა კოლიუბიაკინს. მას ეგონა, რომ რუსის მთავრობა გლეხებს მხარს დაუჭერდა და გულახდილად მოუთხრო ყმათა გაჭირვება, „ხალხის ტანჯვა“, „გადასახადები უზომოა, ამბობდა მიქავა, ოჯახები ნაწილდება, საკუთრებას ვინც გნებავთ წაგართმევთ... ერთის სიტყვით, სამეგრელოში გლეხები ადამიანები როდი არიან“. დიდხანს ვითმენდით, ახლა კი გადავწყვიტეთ, რომ გვირჩევნია „მოვკვდეთ, ვიდრე ტანჯული ცხოვრება განვაგრძოთო.“

გენ. კოლიუბიაკინი თავის მოხსენებაში აღნიშნავს: მოძრაობას ისეთი იერი აქვს, რომ მის დასახასიათებლად საჭირო ხდება „დასავლეთის რევოლიუციონური ნომენკლატურა ვიხმაროთო“. აჯანყებულთა ლოზუნგებია: „თავადის და აზნაურის წოდება არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ყველა ადამიანები ძმები არიან“. „სავაჭრო მოგება უნდა განისაზღვროს და ამიტომ ნიხრი უნდა იქნას შემოღებული არა მარტო ბუნების ნაყოფზე, არამედ ყველა საქონელზე საერთოდ“. კოლიუბიაკინი ბოლოს დასძენს: მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი აქვს, ეტყობა იგი დიდხანს მზადდებოდა. „ეჭვს გარეშეა, რომ მმართველობის ნაკლს... დაერთო **დასავლეთის იდეები**... იკითხავენ, ვინ და რა გზით შემოიტანა ისინიო? გიპასუხებთ: ისინი შემოვიდა განვლილ ომის (ყირიმის), აქ მოვაჭრე უცხოელების წყალობით, კონტრაბანდით, ბოლოს, თუ ასე შეიძლება ითქვას, შემოვიდა ზღვიდან, ქარს შემოჰყავო“ (სიმ. ავალიანი, იქვე, გვ. 173).

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ სამეგრელოს გლეხობის გამოსვლას მთავრობაზედაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, ამიტომ მან შეიარაღებული ხელით ჩააქრო მეგრელების მოძრაობა. მთავრობა მაიხც ცდილობდა გლეხების მდგომარეობა გამოერკვია და საამისოდ კომისიაც კი დანიშნეს. თვითმყრობელობამ თანაც ისარგებლა ამბოხებით და სამეგრელოს ავტონომიური არსებობა ფაქტიურად მოსპო.

1858 წელს ამაღლებისა და ბაღდადის რაიონის (ქუთ. გუბ.)

გლეხობა ამბოხდა ბატონების წინააღმდეგ. დაიწყეს კრებების მართვა და გამოჰქონდათ დადგენილება ბატონყმობის გაუქმების შესახებ. 1861 წ. აჯანყდენ გურიელების და ნაკაშიძეების გლეხები და საბატონო მოვალეობათა აღსრულებაზე უარი სთქვეს. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ქართველი გლეხობა მედგრად იბრძოდა თავისი ბედის შესაცვლელად ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთის გლეხობაში. გლეხთა განთავისუფლება, ჩვენში სამი წლით ნაგვიანევად გამოცხადებული (რუსეთთან შედარებით)—შეიძლება ითქვას ქართველი გლეხების ბრძოლითაც იყო მინაღწევი. ამიტომ მან ფართოდ ისარგებლა იმ კუდმოკვეცილი უფლებებით, რაიც მას მთავრობის მანიფესტით მიენიჭა.

ბატონყმობის გაუქმება. როგორც ვთქვით, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთშიაც ძველათგანვე სწარმოებდა. იყო ისეთი აჯანყებები, როდესაც ხალხის რისხვამ მონარქია კინაღამ დაამხო, ხოლო ბატონებს თავზარი დასცა. ასეთი იყო **სტეფანე რაზინის** (მე-17 ს.) და **პუგაჩოვის** (მე-18 ს. მეორე ნახევარში) მოძრაობა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს (ეგრედწოდებულ საგლეხო რეფორმის ხანამდე) რუსეთის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში გლეხთა მღელვარება არ შეწყვეტილა. ამიტომ, თავის თვალსაზისრით სავსებით მართალი იყო იმპერატორი ალექსანდრე II, როდესაც მოსკოვში თავად-აზნაურობას მიმართავდა: სჯობია რეფორმა მაღლიდან მოვახდინოთ, ვიდრე მას ქვეიდან მოახდენენო.

მეორე მხრით, გლეხთა განთავისუფლების მიზეზი იყო რუსეთის ეკონომიკის მაშინდელი მდგომარეობა. მე-XIX ს. დაადეგამდე რუსეთი წარმოადგენდა სავაჭრო კაპიტალის ქვეყანას. მონარქიაც სავაჭრო კაპიტალის სახელმწიფოებრივ აპარატს წარმოადგენდა, თუმცა თავადაზნაურობას მასზე დიდი გავლენა ჰქონდა. თვით ეს თავად-აზნაურობაც სავაჭრო კაპიტალის გარსში იყო მოქცეული, როგორც მემამულე, ხორბლის გამყიდავი და საზღვარგარეთ გამტანი. დაახლოებით მე-19 საუკუნის 30-იან წლებიდან რუსეთში ფეხს იკიდებს და ვითარდება სამრეწველო კაპიტალიც. სამოციანი წლებისათვის იგი უკვე საკმაო მძლავრს ფაქტორს წარმოადგენს. როგორც საერთო წესი, შეიძლება ითქვას, რომ სამრეწველო კაპიტალი ვერ ურიგდება ბატონყმურ მუშაობას, ვინაიდან იგი ნაკლებად პროდუქტიულია. ამიტომ ბატონყმობის მოსპობასა და მუშა-ხელის განთავისუფლებას სამრეწველო კაპიტალის ინტერესიც მოითხოვდა. მონარქია, რომელიც გამომხატველია სავაჭრო კაპიტალისა და მემამულეთა კლასის ინტერესებისა, იძულებულია დაუთმოს ერთის მხრით

გლეხობას და სამრეწველო კაპიტალს, მეორე მხრით ცდილობს თავისი დედაბოძი კლასების ინტერესიც არ შელახოს. ამიტომ არის 60-იანი წლების საგლეხო რეფორმა კუდმოკვეცილი და მას ორმაგი, ურთიერთის საწინააღმდეგო ძალთა გავლენა ატყვია.

ასე იყო თუ ისე, 1861 წლის თებერვლის მანიფესტით გლეხობამ მოიპოვა ბატონუბისაგან პირადი თავისუფლება, იგი უკვე აღარ არის მიკრული ბატონსა და მის მამულზე. ეს ხელს უწყობს გლეხობაში მეტი ინიციატივის გაღვივებას. თუმცა იგი უმიწოა (მიწა კვლავ ბატონებს დარჩათ), მაგრამ თავისი ბედის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის მეტი საშუალება აქვს.

საქართველოში (აღმოსავლეთში) გლეხთა განთავისუფლება გამოცხადდა მხოლოდ სამი წლის შემდეგ—1864 წლის ოქტომბრის 13 მანიფესტით. ქუთაისის გუბერნიაში—1865 წლის ოქტომბრის 13-ს, სამეგრელოში 1866 წლის დეკემბრის 1-ს და ბოლოს ბატონყმური დამოკიდებულება მოისპო 1867 წელს აფხაზეთშიაც. როგორც ვთქვით საგლეხო რეფორმა, რუსეთში—ეს იყო გლეხთა უფრო პირადი განთავისუფლება. საქართველოში იგი უფრო კუდმოკვეცილად განახორციელეს და გლეხებს აუარებელი მიწები „ჩამოაჭრეს“ (სხვათა შორის, 1905 წლის აგრარული მოძრაობის ერთ-ერთი ლოზუნგთაგანი ჩვენში სწორედ ამ „ჩამონაჭრების“ გლეხთადმი გადაცემა იყო). მებატონეთა ხელში დარჩა აგრეთვე ტყე, საძოვრები, წყალი.

ტფილისის ყ. გუბერნიაში ბატონყმობის დროს გლეხთა მფლობელობაში იყო 7.049 დესეტ. ვენახ-ბაღი, 34.992 დესეტ. სარწყავი მიწა, 46.624 დესეტ. ურწყავი, სულ 84.665 დესეტინა. დაახლოებით სულზე მოდიოდა 5,9 დესეტინა. რეფორმამ ვენახ-ბაღები გლეხებს დაუტოვა უკლებლივ, სარწყავი და ურწყავი სახნავი მიწის რაოდენობა კი შეუმცირა 25.254 დესეტინამდე, ასე რომ გლეხობამ დაჰკარგა დაახლოებით 23.986 დესეტინა მიწა. ამიტომ მიწის ნორმამ დაიწია წინანდელი 5,9 დესეტინიდან 3,9 დესეტინამდე. თვითეულ სულზე $^1/_2$ დესეტინაზე ნაკლები მოდიოდა. 1334 კომლს მამული სულ არ მიუღია, 386 კომლმა ნორმაზე ნაკლები მიიღო. საერთოდ, გლეხობის დაახლოებით 13 $^0/_0$-ს მიწის საკმაო რაოდენობა არ მიუღია.

მიწა გლეხობას ეძლეოდა სამუდამო სასარგებლოდ და უფლება ჰქონდა იგი მებატონისაგან გამოესყიდა. მამულის სარგებლობისათვის იგი უხდიდა ბატონს განსაზღვრულ ღალას ან ფულად, ან ნატურით. ეს ღალა დაახლოებით მოსავლის $^1/_5$ უდრიდა. გამოსყიდვის დროს ნაგულისხმევი იყო მთავრობის მხრით ფულადი დახმარება,

მაგრამ მიწის ფასებთან შედარებით იგი იმდენად მცირე თანხას წარმოადგენდა, რომ გლეხობა გამოსყიდვას ვერ ახერხებდა. ამნაირად წარმოიშვა დროებით ვალდებულ გლეხთა კატეგორია, რომელიც მოისპო მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგს, 1912 წლის დეკემბერში (ცნობები ამოღებ. სიმ. ავალიანის წ-დან «Крестьянск. вопр. в Зак.», გვ. 415-28, ტ. I).

მაგრამ გლეხობის განთავისუფლებას პიროვნული დამოკიდებულებისაგან ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდის გაჭირვებით, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა მამულის გამოსყიდვას და დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობას. რადგან მიწა არ ჰყოფნიდა, გლეხობა იძულებული იყო იჯარით აეღო მიწები ბატონებისაგან. საამისოდ მას ფული სჭიროდა. და აი, იგი თავის სოფლის გარეშე ეძიებს სამუშაოს, რათა დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობა შეესძლოს. სოფლიდან ქალაქად ლტოლვა თანდათან ძლიერდება და ხელს უწყობს გლეხობის გათვისცნობიერებას. იგი ნელ-ნელა გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე. როგორც წოდება, თავად-აზნაურობა, რომელსაც ჩვენი ერის მესაჭედ მიაჩნია თავი, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიეჭანება სრული ეკონომიური და საზოგადოებრივი გაკოტრებისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითმპყრობელობას, გარდა გლეხთა განთავისუფლებისა, ჩვენში არ განუხორციელებია არც ერთი იმ ცვლილებათაგანი, რომელთაც რუსეთში „დიდი რეფორმების“ სახელწოდება მიიღეს. მთელი თავისი არსებობის დროს თვითმპყრობელობა ჩვენი ქვეყნისათვის ფუფუნებად სთვლიდა ხსენებულ რეფორმებს. ერობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო—საქართველოში მხოლოდ 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ბატონყმობის უღლიდან განთავისუფლებული ქართველი ხალხი სამოციანი წლებიდან ნელ-ნელა წინ მიდიოდა, ვითარდებოდა და მეოცე საუკუნეში უკვე მთელი ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობის მეთაური შეიქნა.

საქართველოში რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის დამყარებით ფეოდალიზმს თავისი პოლიტიკური ბაზისი გამოეცალა და დაენგრა. ბატონყმური ურთიერთობის მოსპობით ფეოდალური წყობილების იურიდიული, და ნაწილობრივ ეკონომიური ბაზისიც დაინგრა. ამიტომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლები **შეგვიძლია ფეოდალიზმის ლიკვიდაციის ხანად ჩავთვალოთ.** ეს ლიკვიდაცია დიდხანს გრძელდებოდა და ფეოდალური ურთიერთობის ზოგიერთი ნაშთი ჩვენში საბოლოოდ მხოლოდ 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ მო-

ისპ. გლეხობა მუდამ მედგრად იბრძოდა ზემოხსენებული ნაშთების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში დიდი ენტუზიაზმი და რევოლიუციონური ენერგია გამოიჩინა (1905 წელი).

ფეოდალიზმის ლიკვიდაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერისათვის. მას შემდეგ სწრაფი ნაბიჯით ირღვევა ჩვენში ნატურალური მეურნეობა და ძლიერდება ჯერ სავაჭრო, შემდეგ სამრეწველო კაპიტალი. გლეხობა მიეშურება ქალაქებისაკენ (ქუთაისი, ბათომი და ტფილისი). იგი პირველ ხანებში ისევ მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფელთან და „მონაგები“ ფულიც უმთავრესად „ნადელის“ გამოსასყიდად სჭირდება. ამ გამოსყიდვას უფრო ადრე ახერხებს დასავლეთ საქართველოს გლეხობა, ვინაიდან იქ თავად-აზნაურობა საერთოდ ქართლისთანა მძლავრი არ ყოფილა. 80-იან წლებში ჩვენში მნიშვნელოვანი ამბავი ხდება: **რკინის გზით შეაერთებენ ბათომ-ბაქოს.** მეზობელ ქვეყნებში გასვლა ამით ადვილდება. ქართველ გლეხს თქვენ უკვე ხშირად შეხვდებით საქართველოს გარეშეც სამუშაოდ წამოსულს. ამავე ხანებში ტფილისში არსდება და მალე ფართოვდება რკინის გზის სახელოსნოები, ბათომში ჩნდება ფაბრიკები. **იზრდება აგრეთვე ჭიათურის შავი-ქვისა და ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაცია.** ყველაფერი ეს ხელს უწყობს გაღატაკებული გლეხობიდან გამოსული ელემენტების ჩამოყალიბებას: ჩნდება **პროლეტარიატი.** იგი ჯერ მცირერიცხოვანია, მაგრამ თავიდანვე მთელი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ჰეგემონი ხდება. თვითმპყრობელობასთანა და თავად-აზნაურობასთან მედგარი ბრძოლის დროს პროლეტარიატი ხდება რევოლიუციონური ხალხის მეთაურად და პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელად. 1905 და 1917 წლების რევოლიუციის შემდეგ პროლეტარიატი მოიპოებს პოლიტიკურ ჰეგემონობასაც და ქართველი გლეხობაც მისი სრული პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფება.

წყაროები და ლიტერატურა

„ქართლის ცხოვრება“. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა 1897-99 წ. წ.

„საქართველოს ცხოვრება“ (ს. ჩხეიძის, პ. ორბელიანის, ომან ხერხეულიძის და სხვ.). ზ. ჭიჭინაძის გამოც., 1913 წ.

ვახუშტი საქართველოს ისტორია—I ტ. განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილი არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, 1885 წ.

ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913 წ.

ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ (ტექსტი)—ს. კაკაბაძის გამოცემული, 1913 წ.

თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა—ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913 წ.

იაკობ ხუცესი—ცხოვრ. და წამ. წმ. შუშ.—ს. გორგაძის გამოც., 1917 წ.

ა. ხახანაშვილი—გუჯრები (საისტ. მასალა), 1891 წ.

თ. ჟორდანია—ქრონიკები—I ტ., 1892 წ.

ს. კაკაბაძე. შიო-მღვიმის სამი სიგელი, 1912 წ.

ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ II, და III. 1909-1910 წ. წ.

ალ. ჭყონია. ისტორიული ნარკვევი—ქრესტომატია, 1890 წ.

დიმ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკ. დამლევამდე), 1889 წ.

ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია—I, II და IV წიგნი. 1913, 1914, 1924 წ.

მისივე. ქართული სამართლის ისტორია, 1919 წ.

მისივე. საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907 წ.

მისივე. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, 1905 წ.

მისივე. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, 1919 წ.

ა. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე. მე-2 გამოცემა, 1910 წ.

ა. ხახანაშვილი. იმერეთის მეფე სოლომონ II, 1911 წ.

პ. იოსელიანი—ცხოვრება მ. გიორგი მეცამეტისა.

ს. კაკაბაძე. საქართველოს ძოკლე ისტორია-ახალი საუკ. ეპოქა, 1920 წ.

მისივე. საისტორიო ძიებანი, 1924 წ.

მისივე. საქ. ეკონომ. ვითარ. შესახებ მე-18 ს. (ჟურნ. „მნათობი", № 3—4, 1924 წ.).

მისივე. საქართველო ერეკლე II დროს—ჟურნ. „შვიდი მნათობი"—№ 2, 1914 წ.

მისივე. კვლევა-ძიებანი საქ. ისტ. საკითხების შესახებ.

ნ. ურბნელი. ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890 წ.

ს. გორგაძე. საქართველოს ძველი ისტორია, 1920 წ.

ალ. ფრონელი. ამბოხება კახეთისა, 1907 წ.

მისივე. მთიულეთი.

პროფ. გ ნათაძე. საქ. ისტ. ძოკლე სოციოლოგ. მიმოხილვა—I, II წ, 1925 წ.

ალ. ორბელიანი. აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში, 1895 წ.

ფ. მახარაძე. „საქ. მე-19 საუკუნეში"—ჟურნ. „მნათობი", № 3.

ნ. ბუხარინი. ისტორიული მატერიალიზმი—შ. ნუცუბიძის თარგმანი, 1924 წ.

ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები.

პ. ინგოროყვა—ჩახრუხაის ძე პოეტი-მოგზაური (ჟურნ. „კავკასიონი", № 3-4).

Г. Мерчул. Житие Св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Академ. Н. Марра, 1911 г.

Кав. Шарден. Путешествие по Закавказью в 1672-1673. г., перев. Носовича и Хутовой.

Ив. Джавахишвили. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., П., 1906 г.

Ив. Джавахишвили. Государственный строй древней Грузии и древней Армении, 1905 г.

З. Авалов. Присоединение Грузии к России, 1901 г.

Мих. Хелтуплишвили. Вступление Грузии в состав Рос. империи, 1901 г.

С. Авалиани—Крестьянскій вопрос в Закавказьи—I т., 1912 г.

Обществоведение—библ. общ. под ред. проф. Н. Г. Тарасова—1-2 т. т., 1925 г.

Книга для чтения по ист. средних веков. Под ред. П. Виноградова—II вып., 1899 г.

Фюстель-де Куланж. История общественного строя древней Франции (Начала феодального строя). Перев. под ред. проф. Гревса, 1910 г.

Проф. Гревс. Ст. о Феодализме—Энц. слов. Брокгауза и Ефрона.

Эд. Мейер. Экономическое развитие древнего мира, пер. под редакцией Гершензона.

Липперт. История культуры, 1902 г.

Кулишер. Очерки по экономич. быту Зап. Европы—I, 1922 г.

Полиевктов. Посольство Стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию—1650-1652 ტფ. უ-ტის გამოც., 1926 წ.

Рожков. Русская история в сравнительно историческом освещении (основы социальной динамики)—т. I, II, 1923 г.

Кареев. Поместье—государство и сословная монархия средних веков, 1906 г.

Его-же. Монархии древнего востока и греко-римского мира, 1913 г.

სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . . 3 გვ.

შესავალი . . . . . 6—16 გვ.

ფეოდალიზმის რაობა (6).
ქართული ფეოდალიზმი (11).

ფეოდალიზმის წარმოშობა . . . . . 17—47 გვ.

გვაროვნული წყობილება (17).
გვაროვნული წყობილების დროის მეურნეობა (20).
ქალაქების წარმოშობა (24).
გვაროვნული სახელმწიფო (25).
საკუთრების წარმოშობა (29).
აზნაურთა წარმოშობა (32).
ვაჭრობის დაცემა (35).
სენიორალური სისტემის ჩასახვა (37).
სენიორალური სისტემის განმტკიცება (46).

ფეოდალური მონარქია . . . . . 48—79 გვ.

სენიორალური სისტემიდან—ფეოდალური მონარქიისაკენ (48).
ტაო-კლარჯეთისა და აფხაზეთის გაძლიერება (49).
ეკლესიის როლი მონარქიის განმტკიცებისათვის (56).
ფეოდალური მონარქია (57).
ბრძოლა მონარქიის განმტკიცებისათვის (58).
ფეოდალური მონარქიის განმტკიცება (62).
ბრძოლა დიდგვარიანებთან და სავაჭრო კაპიტალი (65).

ხელისუფლების თავდაცვითი აპარატი (66).
ეკლესია და მეფის უფლება (68).
სამართლის რეფორმა (71).
თამარ მეფის ეპოქა (71).
დარბაზი. საკონსტიტუციო მოძრაობა (73).
ფეოდალური მონარქის უფლებანი (75).
ფეოდალური მონარქიის ტერიტორია და რესურსები (77).

ფეოდალური მონარქიის დარღვევა და მისი აღდგენისათვის ბრძოლა . . . . . 80—113 გვ.

მონგოლების შემოსევა (80).
თურქ-ოსმალები და კონსტატინეპოლის დაცემა (87).
საქართველო ახალი საუკუნეების დამდეგს (89).
ოსმალეთ-სპარსეთის ბრძოლის გავლენა საქართველოზე (91).
მაჰმადიანი მეფეების ხანა (93).
საქართველოს ვითარება მე-15-17 ს. ს. (94).
სამეფოების ფინანსიური მდგომარეობა (96).
სამუსულმანო საქართველო (97).
დაქსაქსულობის მოწინააღმდეგე ელემენტები (100).
სპარსეთ-ოსმალეთის დასუსტება (102).
გლეხობის მდგომარეობა მე-18 საუკუნეში (106).
რეფორმატორული ცდები (110).

ფეოდალიზმის ლიკვიდაცია . . . . . 114—152 გვ.

რეფორმების უნაყოფობის მიზეზები (114).
რუსეთთან დაახლოვების ცდა (117).
ხელშეკრულება და მისი შედეგები (120).
გაერთიანების ცდა (124).
კრწანისის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა (125).
ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობა (127).
რუსეთის მომხრენი და მოწინააღმდეგენი (130).
იმერეთის სამეფოს მოსპობა (132).
სამეფოების მოსპობა (134).

ბიუროკრატიული რეჟიმი საქართველოში (136).
გლეხობის მდგომარეობა თვითმპყრობელობის ხელში (139).
გლეხთა მოძრაობანი (142).
ბატონყმობის გაუქმება (149).

წყაროები და ლიტერატურა . . . . . I გვ.

საძიებელი . . . . . V გვ.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ჭ. ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წიგნის ბაზარი ამ უკანასკნელ ხანებში ორიგინალური ნაშრომებითაც მდიდრდება. ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ არის ცდები, ჩვენი მახლობელი წარსულის ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით დაფასებისა. ყველგან ამ საზომს თუმცა ბოლომდი არ ანვითარებენ და ზოგიერთები წინასიტყვაობის იქით იბნევიან, მაგრამ წინამდებარე წიგნს, მიუხედავათ ნაკლულევანებისა, მრავალი ღირსებაც აქვს. აქ კარგად არის გარკვეული თუ როგორ აფასებენ ისტორიული მატერიალიზმის მიმდეერები ფეოდალიზმის წარმოშობას. მოყვანილია სხვათა შორის მარქსისტ ისტორიკოს როჟკოვის აზრიან საკითხზე და არის ცდა ჩვენი წარსულის ზოგიერთი მომენტების ისტორიულ მატერიალიზმის თვალსაზრისით დასაბუთებისა; მაგალითად, თამარ მეფის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის ხანის.

ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული იყო აზრი, რომ რუსეთის საქართველოში გაბატონება, ეს იყო დაბალი კულტურის მაღალ კულტურაზე გაბატონება, და საქართველოს ცხოვრებაში წარმოადგენდა პოლიტიკურ-ეკონომიურ რეგრესს, უკან დახევას. (არ. ჯორჯაძე, აკაკი, მიხ. წერეთელი და სხვები) ავტორი საქართველოს ძახლობელ წარსულის ამ მომენტს სულ სხვანაირად აფასებს. ის რუსეთისაკენ ლტოლვას საქართველოს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობით და სახელმწიფო აპარატზე ფეოდალიზმის უშუალო გავლენის შესუსტების საჭიროებით ხსნის.

წიგნში ფეოდალიზმის ზოგიერთი მომენტები ზერელედ, ქრონოლოგიურად არის მოთხრობილი, მაგალითად, მონგოლებისა, სპარს-ოსმალებისა და სხვათა შემოსევის მშრალი აღნიშვნით ახსნილია ფეოდალიზმის ზრდისა და დაუძლურების ზოგიერთი მხარეები.

წიგნი კარგი ქართული ენით არის დაწერილი.

ფარი.

ფასი 1 მ. 30 კ.

947.922
ნ 314